


ISSN 1512-0597

# ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის  
ჟურნალი



№ 10

2002

**ძ ი მ ბ ა ნ ი**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის  
ჟურნალი

№ 10

**D Z I E B A N I**

**The Journal  
of the Centre for Archaeological Studies  
Georgian Academy of Sciences**

**Tbilisi**

**2002**

**თბილისი**

63.4 (2Г)  
902/904 (479.22)  
ძ531


მთავარი რედაქტორი: † ოთარ ლორთქიფანიძე  
Editor-in-Chief: † **Otar Lordkipanidze**

სარედაქციო საბჭო: გ. ლიხელი, ირ. ჯალაღანია,  
გ. კვიციანი, გ. ჯაფარიძე,  
გ. ნარიმანიშვილი, გ. მინდიაშვილი,  
ა. ჭყონია, დ. ბაქრაძე

Editorial council: **V. Licheli, I. Jalaghania, G. Kvirkvelia,**  
**V. Japaridze, G. Narimanishvili,**  
**G. Mindiashvili, A. Chqonia, D. Bakradze**

სარედაქციო კოლეგია: † ოთ. ლორთქიფანიძე (თავმჯდომარე),  
გ. კვიციანი (მოადგილე),  
დ. კაჭარავა (პასუხისმგებელი მდივანი),  
ნ. მიწიშვილი, მ. კვაჭაძე, ა. ჭანტურია

Editors of the volume: † **O. Lordkipanidze (editor-in-chief),**  
**G. Kvirkvelia, D. Kacharava,**  
**N. Mitsishvili, M. Kvachadze,**  
**A. Chanturia**



## ოთარ ლორთქიფანიძე

უდიდესი დანაკლისი განიცადა ქართულმა მეცნიერებამ და ჩვენმა საზოგადოებრიობამ. 2002 წლის 19 მაისს მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, არქეოლოგი და ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო და ჰუმბოლდტის პრემიების ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ოთარ ლორთქიფანიძე.

ბატონი ოთარი დაიბადა 1930 წლის 30 ოქტომბერს, თბილისში, ცნობილი მკურნალის დავით ლორთქიფანიძისა და სათნო ქალბატონის პარასკევა ამაშუკელის ოჯახში. საქართველოს ძველი ისტორიის სიყვარულმა, რაც სიყრმიდანვე გამოვლინდა, ის 1948 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მიიყვანა. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ასპირანტურაში მეცნიერული წვრთნა საქართველოს ძველ ისტორიასა და არქეოლოგიაში მან ცნობილი ბიზანტიანისტი, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა. ერთხანს ის სანკტ-პეტერბურგში იყო მივლენილი. აქაც მას ბედმა გაუღიმა და ისეთი თვალსაჩინო სპეციალისტების ხელში აღმოჩნდა, როგორც პროფესორები ქსენია კოლობოვა და ვიქტორ გაიდუკევიჩი იყვნენ. გავიდა ხანი და ოთარ ლორთქიფანიძემ, უკვე სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა, წიგნი ფასისის შესახებ თავის სათაყვანებელ მასწავლებლებს უძღვნა.

შთამბეჭდავია მის მიერ გავლილი სამეცნიერო, საველე-არქეოლოგიური, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის გზა.

1957 წელს ოთარ ლორთქიფანიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა მცხეთაში ახ.წ. I-III საუკუნეებში“; 1960 წელს ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლად ჩაირიცხა; აქვე, 1966 წელს დაიცვა მან სადოქტორო დისერტაცია – „ანტიკური სამყარო და ძველი საქართველო“, ხოლო 1972 წელს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა; 1967 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მისი სამეცნიერო გზის სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო 1977 წლიდან, როდესაც მან ჩამოაყალიბა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. ცენტრის ხელმძღვანელი იყო იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ჩამოყალიბების დღიდანვე ცენტრი აწარმოებს როგორც საქართველოში არსებული

ყველა პერიოდის ძეგლის, ისე საქართველოს, კავკასიისა და ძველი სამყაროს ისტორიისა და არქეოლოგიის კარდინალური საკითხების კვლევას.

უაღრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო ოთარ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. მას გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, დაბეჭდილი როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, საბერძნეთი, შვეიცარია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, რუსეთი, სირია): 20-ზე მეტი მონოგრაფია, 160-ზე მეტი სტატია, გათხრების ყოველწლიური ანგარიშები, მრავალი თეზისი, საენციკლოპედიო სტატიები, სახელმძღვანელოები, რეცენზიები, წინასიტყვაობები. არ დარჩენილა ძველი საქართველოსა და ანტიკური სამყაროს ისტორიისა და არქეოლოგიის არცერთი კარდინალური საკითხი, რომელსაც მისი კალამი არ შეეხო, იქნება ეს ისეთი პრობლემები, როგორცაა ქართული სახელმწიფოებრიობის და ცივილიზაციის გენეზისი, ძვ.წ. VIII-VI საუკუნეების ბერძნული კოლონიზაცია, კოლხეთისა და იბერიის ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან, „ელინიზმისა“ და „ელინისტური კულტურის“ დეფინიციის პრობლემები, „აბრეშუმის გზის“ ისტორიული წანამძღვარი, კოლხეთის რელიგია, თუ მრავალი სხვა. ყველა ეს პრობლემა, როგორც წესი, ფართო ისტორიულ ფონზეა განხილული და დაფუძნებულია როგორც მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის, ისე წერილობითი წყაროების (ძველი ქართული, ბერძნულ-რომაული, ძველ-აღმოსავლური) და ეპიგრაფიკული ძეგლების სკრუპულოზურ ანალიზზე.

უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ის ნაშრომები, რომლებიც ნივთიერი კულტურის ცალკეულ ძეგლებს (სოხუმის სტელა, ვანის ბრინჯაოს ტორსი, გონიოსა და ახალგორის განძები, რომაული ტორეტიკის ნიმუშები ნიჩბისიდან, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი ვანიდან, კოლხური თეთრი, ელინისტური ხანის თავდაცვითი სისტემა, ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა და ოქრომჭედლობა და მრავალი სხვა, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა) ეძღვნება. თითოეული მათგანი შედარებით-ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის ნიმუშია.

ბატონი ოთარის მეცნიერულ მემკვიდრეობაში რელიეფურად იკვეთება ღრმა განსწავლულობა, უდიდესი ერუდიცია და მაღალი პროფესიონალიზმი, წერილობითი წყაროებისა თუ ნივთიერი ძეგლების სისტემური ანალიზის უზადო ტექნიკა, ფართო ისტორიული განზოგადების იშვიათი უნარი.

ფრიად ნაყოფიერი იყო ბატონი ოთარის საგამომცემლო საქმიანობაც. მისი რედაქტორობით გამოვიდა კრებულები – „ვანი, არქეოლოგიური გათხრები“ (9 ტომი), „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“ (3 კრებული), შავი-ზღვისპირეთისა და იბერიის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმების მასალები (11 კრებული), საქართველოს არქეოლოგიის მრავალტომეული (2 ტომი), არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში (17 კრებული), ჟურნალი „ძიებანი“ (10 ნომერი).

ბატონი ოთარ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. არქეოლოგიური ნათლობა მან მცხეთაში მიიღო, შემდეგ კი მონაწილეობდა ხოვლეს, ვანის, ბიჭვინტის, სოხუმის, ფოთის, ბათუმის, ქუთაისის, აგრეთვე მირშეკიონისა და ილურატის (ყირიმი) გათხრებში. 1966 წლიდან კი მისი საველე-არქეოლოგიური საქმიანობა დაუკავშირდა ვანსა და მის სიძველეებს, რომელთა ბრწყინვალე აღმოჩენებმა და ბატონი ოთარისეულმა ინტერპრეტაციებმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართულ არქეოლოგიას.

ბატონ ოთარს უტყუარი ალლო ჰქონდა ახალი მეცნიერული ტენდენციების წინასწარ განსაზღვრისა, სიახლეზე სწრაფი რეაგირებისა და, რაც მთავარია, მას ჰქონდა მათი დანერგვის და ხორცშესხმის იშვიათი უნარი. იგი იყო ინიციატორი ჩვენს არქეოლოგიაში კვლევის თანამედროვე მეთოდების დამკვიდრებისა (ჰიდრო- და აერო-არქეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ინტერდისციპლინარული). მანვე შემოიღო არქეოლოგიაში სტრუქტურულ-შედარებითი ანალიზის მეთოდები. ამ ურთულეს ხანაში, როდესაც ეკონომიკური, კულტურული თუ სულიერი ცხოვრება ჩვენში თითქმის პარალიზებულია, ბატონმა ოთარმა შეიმუშავა ახალი სტრატეგია ცენტრის სამეცნიერო საქმიანობისა. ამ ახალი ტენდენციის წყალობითაა, რომ არა მხოლოდ თვითონ ბატონ ოთარს, არამედ მთელ დაწესებულებას ერთი დღითაც კი არ შეუწყობია მუშაობის ჩვეული ტემპი. მის მიერ შემუშავებული პროგრამის თანახმად, ცენტრში გამოსაცემად მზადდება საქართველოს არქეოლოგიური ატლასი, „ქართლის ცხოვრების“ ტოპო-

გრაფიულ-არქეოლოგიური ცნობარი, არქეოლოგიური ტერმინოლოგიის ქართული განმარტებითი ლექსიკონი, კლასიკური არქეოლოგიის მრავალენოვანი ლექსიკონი, ანტიკური ხანის შავი-ზღვისპირეთის ტოპოგრაფიული ცნობარი, კლასიკური არქეოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონი.

ბატონი ოთარი არაჩვეულებრივი ორგანიზატორულ-ადმინისტრაციული უნარით დაჯილდოებული ადამიანი იყო. მან დააარსა საქართველოში უდიდესი, მისთვის ჩვეულ მაღალ სამეცნიერო დონეზე ორგანიზებული, ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. დიდია მისი წვლილი ფოთის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენის მოწყობაშიც. იგი იყო სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი საზღვარგარეთ მოწყობილი არაერთი არქეოლოგიური გამოფენისა (მოსკოვში, საარბრუკენში, შტუტგარტში, ბრაუნშვაიგში, ბონში და სხვ.), რომელთაც დიდი მოწონება და აღიარება ხვდათ წილად. 2002 წელს გერმანიის ქალაქ ბონუმში მოწვობილ გამოფენას, სახელწოდებით „საქართველო: არქეოლოგიური განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან“, ისეთი დიდი წარმატება ხვდა წილად, რომ სამი თვით გაგრძელდა, ხოლო 2002 წლის დეკემბრიდან ქალაქ ვისბადენში გადაინაცვალა. ოთარ ლორთქიფანიძემევე ჩაუყარა საფუძველი შავი-ზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომლის რიგით მეათე შეკრება 2002 წლის სექტემბერში ჩატარდა. სიმპოზიუმის მასალები სისტემატურად ქვეყნდება. მათგან უკანასკნელი ხუთი საფრანგეთში დაიბეჭდა. მისი თაოსნობით მოეწყო აგრეთვე ორი საერთაშორისო კოლოკიუმი კავკასიის იბერიისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ. 2002 წლის აპრილის თვეში არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა გამართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – „არქეოლოგია XXI საუკუნეში: მემკვიდრეობა და პერსპექტივები“, რომელიც მიეძღვნა ცენტრის დაარსებიდან 25 და საქართველოში პირველი არქეოლოგიური გათხრების 150 წლისთავს. კონფერენციამ დასახა ახალ საუკუნეში საქართველოს არქეოლოგიის განვითარების მაგისტრალური ხაზი. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პერიოდული ორგანო – ჟურნალი „ძიებანი“, რომლის მეათე ნომერი ამჟამად თქვენს წინაშეა – ბატონი ოთარის მიერვეა დაფუძნებული.

განუზომლად დიდია ოთარ ლორთქიფანიძის როლი ძლიერი ქართული არქეოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებაში. ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1957 წლიდან მან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა მაგისტრანტებს და კითხულობდა ანტიკური ხელოვნებისა და არქეოლოგიის კურსს. ლექციების ეს კურსი დაედო საფუძვლად სახელმძღვანელოს „ანტიკური არქეოლოგია“ – სრულიად ორიგინალურ სახელმძღვანელოს, რომლის მსგავსი არ გამოქვეყნებულა არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ. მისი ხელმძღვანელობით 20-მდე საკანდიდატო დისერტაციაა დაცული. ბატონი ოთარის მოწაფეთა შორის შვიდი მეცნიერებათა დოქტორია.

საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის განვითარებაში შეტანილმა უდიდესმა წვლილმა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძეს საყოველთაო აღიარება მოუტანა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. ამის დასტურია მისი არჩევა სხვადასხვა ქვეყნების (ესპანეთი, გერმანია, იტალია, შვეიცარია, პოლონეთი, ბულგარეთი და სხვ.) აკადემიების, ასოციაციებისა და პერიოდული თუ სერიული გამოცემების სარედაქციო საბჭოების წევრად. საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი იყო კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონის საერთაშორისო კომიტეტის წევრი. 1972 წელს ოთარ ლორთქიფანიძე აირჩიეს პოლონეთის არქეოლოგიის საზოგადოების, 1978 წელს – კლასიკური არქეოლოგიის ასოციაციის წევრად. 1980 წლიდან იგი გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 2001 წლიდან ესპანეთის სამეფო საისტორიო აკადემიის წევრია. გარდა ამისა, ბატონი ოთარი იყო ინდო-ევროპული და თრაკოლოგიური კვლევის საერთაშორისო კონსულატის, ქალაქ მაინცის (გერმანია) არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი. 2002 წელს საფრანგეთში დაიბეჭდა კრებული "Autour de la mer Noire", რომელიც ბნი ოთარის 70 წლისთავს მიუძღვნეს მისმა უცხოელმა კოლეგებმა.

რეცენზია ბატონი ოთარის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომზე ამ სიტყვებით ბოლოვდება: „ქართული არქეოლოგიის პოპულარიზაციისათვის არავის გაუკეთებია იმდენი, რამდენიც შესძლო ოთარ ლორთქიფანიძემ“. და მართლაც, ბატონი ოთარის მიერ მრავალრიცხოვან საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებსა და კოლოკვიუმებზე წაკითხული მოხსენებები, საჯარო ლექციები, სამეცნიერო-პოპულარული

ხასიათის ნაშრომები ფართო აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომს ხდიდა ქართული არქეოლოგიის მონაპოვარს.

მამულიშვილობა, მალაღზნობრივობა, პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობა, არაჩვეულებრივი გულისხმიერება და სიკეთე, სხარტი იუმორი ბატონ ოთარს განუმეორებელ ადამიანურ ხიბლს ანიჭებდა. იგი უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა არა მხოლოდ მეგობრების, მოწაფეებისა და კოლეგების წრეში, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებაში.

მისი წასვლით ქართულ მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას აუნაზღაურებლად ბევრი დააკლდა.

### **არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭო**

აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ოჯახმა მიიღო სამძიმრის წერილები საქართველოს პრეზიდენტისაგან და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისაგან

#### **აპაღმპიძის ოთარ ლორთქიფანიძის ოჯახს**

დიდი მწუხარებით შევიტყვე ბატონი ოთარის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი.

ქართულმა მეცნიერებამ დაკარგა დიდი მეცნიერი, თქვენ – ოჯახის შესანიშნავი უფროსი.

მან ყოველთვის იცოდა, რა სჭირდებოდა ქართულ მეცნიერებასა და ქვეყანას და ამიტომ მე ყოველთვის ვენმარებოდი მას. გულსატკენია, რომ იგი ასე მოულოდნელად წავიდა ჩვენგან.

გთხოვთ, ამ მძიმე წუთებში თქვენს გვერდზე გვიგულოთ მე და ნანული.

პატივისცემით,

**საქართველოს პრეზიდენტი**

**ედუარდ შევარდნაძე**

#### **ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის ოჯახს**

მიიღეთ ჩვენი გულითადი თანაგრძნობა ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო. დიდია მისი ღვაწლი ქართველი ერის, ქართული მეცნიერების წინაშე.

აღვავლენთ ლოცვებს და შევთხოვთ უფალს, რათა სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ მშვიდობა და შინაგანი მხნეობა.

ღრმა პატივისცემით,

**სრულიად საქართველოს**

**კათალიკოს-პატრიარქი**

**ილია II**

ბატონი ოთარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან როგორც არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, ასევე მისი ოჯახის სახელზე მოვიდა სამძიმრის წერილები. ვაქვეყნებთ ფრაგმენტებს ზოგიერთი მათგანიდან.

... ოთარის მოულოდნელმა გარდაცვალებამ შეგვპრა. ჩემს მეუღლეს, მე და გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის მრავალ თანამშრომელს გვსურს ღრმა თანაგრძნობა გამოვიცხადოთ ამ უმძიმესი დანაკლისის გამო. ჩვენ ვგლოვობთ საყვარელ მეგობარს და დიდ მეცნიერს, რომლის წინაშეც ჩვენ ყველა უსასრულოდ ბევრი რამის გამო მადლობლები ვართ.

წარმოუდგენელია, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ ერთად მხიარულად ვიყავით და რომ ოთარის მიერ შექმნილი უსაზღვროდ მნიშვნელოვანი კვლევითი ინსტიტუტის 25 წლისთავს ვზეიმობდით და უცებ ეს მხოლოდ მოგონებად იქცა.

გულწრფელად თქვენი,

**პროფესორი ჰელმუტ კირიელაისი**  
გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის  
პრეზიდენტი

... პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის უაღრესად ადრე გარდაცვალებით სამეცნიერო საზოგადოებამ სამწუხარო დანაკლისი განიცადა, ხოლო ჰუმბოლდტის ფონდმა დაკარგა მეგობარი ...

**მანფრედ ოსტენი**

ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის  
გენერალური მდივანი

... გულის სიღრმემდე შეგვპრა ოთარ ლორთქიფანიძის გარდაცვალებამ, რადგანაც მას ჩვენს ნამდვილ მეგობრად ვთვლიდით მუდამ. სამეცნიერო საზოგადოებრიობამ დაკარგა ჭეშმარიტი მეცნიერი ...

**მარკუს ლამბერზი**

გერმანია, ბონი,  
ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის  
უცხოეთის განყოფილების გამგე

... მინდა თანაგრძნობა გამოვთქვა კონსტანცის უნივერსიტეტის მხრიდან ... თითქმის 20 წელი ოთარ ლორთქიფანიძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონსტანცის უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტისთვის უდიდესი პატივი იყო მასთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით მას

შემდეგ, როცა მას ალექსანდრე ჰუმბოლდტის ფონდის პრემია მიენიჭა მის მიერ ჩატარებული კვლევისათვის.

**პროფესორი გერჰარტ ფონ გრევენიტცი**  
კონსტანცის უნივერსიტეტის რექტორი

... პროფესორი ლორთქიფანიძე იყო არა მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მეცნიერი და სწავლული, არამედ ჩვენი ინსტიტუტის ერთგული მეგობარი, უაღრესად გულთბილი და საყვარელი სტუმარი. რამდენი სასიამოვნო საუბარი გვქონია ერთად...

**პროფესორი დიტერ მერტენსი**  
რომში გერმანიის არქეოლოგიური  
ინსტიტუტის დირექტორი

... გულის სიღრმემდე შემძრა ცნობამ პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის გარდაცვალების შესახებ. ის იყო ბრწყინვალე არქეოლოგი და შესანიშნავი პიროვნება. მის მიერ წლების მანძილზე ორგანიზებული საერთაშორისო სიმპოზიუმები ნიმუშია მეცნიერთა თანამშრომლობისა და აზრთა ურთიერთგაცვლა-გამოცვლისა. არქეოლოგთა საერთაშორისო სათვისტომომ უზარმაზარი დანაკლისი განიცადა...

**პროფესორი ჯეინ ვალდბაუმი**  
ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუტის  
პირველი ვიცე-პრეზიდენტი

... გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების დირექცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის უეცარი გარდაცვალების გამო. სწორედ წელს იყო ის სტუმრად ჩვენს ინსტიტუტში, ამ ცოტა ხნის წინ კი ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებს გულთბილი მასპინძლობა გაუწია თბილისში გამართულ კონფერენციაზე. ჩვენთვის ოთარ ლორთქიფანიძე მეცნიერებაში დიდი ავტორიტეტი იყო. ამავე დროს იგი უხვად იყო დაჯილდოებული საუკეთესო ადამიანური თვისებებით. მისი სახით ჩვენ დაკარგეთ საიმედო პარტნიორი და მეგობარი, რომელსაც ვერასდროს ვერ დავივიწყებთ. ფიქრებით თქვენთან ვართ. გისურვებთ მხნეობას ამ გაჭირვების ჟამს...

**პროფესორი ჰერმან პარცინგერი**  
გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის  
ევრაზიის განყოფილების დირექტორი

... თავზარდაცემული ვარ. ვერ დამიჯერებია, რაც თავს დავგატყდა... ისე ველოდებოდი ბატონ ოთართან კვლავ შეხვედრას ამდენი წლის შემდეგ სექტემბერში, ვანის სიმპო-



ზიუმზე. ძალიან მინდა თქვენს გვერდით ყოფნა. მე ხომ პროფესორ ლორთქიფანიძით აღტაცებული ვიყავი და ვიქნები. სიცოცხლის ბოლომდე ვიქნები მისი მაღლიერი იმ დიდი სიკეთისათვის, რაც მან გამოავლინა ჩემს მიმართ, როდესაც მე ერთი პატარა, არქეოლოგობაზე მეოცნებე გოგონა ვიყავი. ვანის ექსპედიციაში გატარებული დღეები ჩემი ცხოვრების საუკეთესო ნაწილია...

**დოქტორი ბალბინა ბებლერი**  
შვეიცარია, ბერნი

...ოთარ ლორთქიფანიძე უთვალსაჩინოესი ქართველი არქეოლოგი იყო. იგი ჩემთვის მეცნიერული კომპეტენტურობის მაგალითს წარმოადგენდა. ამავე დროს ჩვენი პიროვნული ურთიერთობები მუდამ უბრალო და იუმორით სავსე იყო. მთელი ჩვენი ინსტიტუტი გლოვობს ამ დიდ პიროვნებას, რომლითაც ყოველთვის აღფრთოვანებულები ვიყავით. ამ დაუღალავი მკვლევარისა და აქტიური ორგანიზატორის სიკვდილი უზარმაზარი დანაკლისია ქართული და საერთაშორისო არქეოლოგიისათვის. ნება მიბოძეთ, გამოვთქვა ჩემი მწარე ტკივილი და სამძიმარი. თქვენს გვერდით მიგულებთ ამ უმძიმეს წუთებში...

**პროფესორი ანდრეას ფურტგენგლერი**

გერმანია, ჰალეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტი, კლასიკური არქეოლოგიის ინსტიტუტი

...დგება დრო, როდესაც არ გინდა დაიჯერო მომხდარი. ... შეუვსებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა არქეოლოგიამ. გულწრფელად ვწუხვართ ჩვენი დარგის უდიდესი წარმომადგენლის დაკარგვის გამო, რომელსაც ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა გერმანელი და ქართველი არქეოლოგების თანამშრომლობა. ოთარ ლორთქიფანიძე კვლავაც იცოცხლებს მის მიერ შექმნილი უამრავი ფუნდამენტური ნაშრომით საქართველოს არქეოლოგიის შესახებ, წარმატებით წარმოებული ვანის არქეოლოგიური გათხრებით. მისი სახე მუდამ დარჩება თითოეული ჩვენთაგანის მეხსიერებაში...

**პროფესორი ანგელიკა გაიერი**

**დოქტორი ანეგრეტ პლონტკე-ლუნინგი**

გერმანია, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი, კლასიკური არქეოლოგიის ფაკულტეტი

...ვანში მე მოწმე გავხდი ოთარის დიდი მიღწევებისა სავსე არქეოლოგიურ მუშაობაში. გარდა ამისა, ის დიდი მეცნიერი იყო, რაც აისახა მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში და მის მიერ შესანიშნავად ორგანიზებულ წყალტუბო-ვანის სიმპოზიუმებში, რომლებმაც ახალი პერიზონტები გაშალეს მსოფლიო არქეოლო-

გიისათვის. და ეს ყველაფერი ყოველთვის ოთარის სახელთან იქნება დაკავშირებული...

**პროფესორი ბრაიან შეფტონი**

დიდი ბრიტანეთი, ნიუკასლის უნივერსიტეტი

...ბატონი ოთარის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება მოგვეგვარა აშშ-ის მუზეუმის ანტიკური ხანის განყოფილების თანამშრომლებს. ზოგს მასთან მეგობრობა გვაკავშირებდა, ზოგი მას მხოლოდ ნაშრომებით ან ოქსფორდში წაკითხული მოხსენებებით იცნობდა. ის ჭეშმარიტი მეცნიერი იყო, რომლის ჩვენგან უდროოდ წასვლა აუნაზღაურებელი დანაკლისია.

**დოქტორი მაიკლ გიკერსი**

დიდი ბრიტანეთი, ოქსფორდი, აშშ-ის მუზეუმი

...ოთარ ლორთქიფანიძის ნაშრომები აღიარებულია მთელს მსოფლიოში. ...მან ბევრი რამ გააკეთა თავისი კოლეგებისათვის. ის შესანიშნავი ადამიანი იყო. მე მას შედარებით იშვიათად ვხვდებოდი, მაგრამ ყოველი შეხვედრა მასთან ნამდვილი საჩუქარი იყო ჩემთვის. ...ჩვენი სხეული არ არის მარადიული, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი ადამიანის სული აგრძელებს ჩვენთან ყოფნას გარდაცვალების შემდეგაც. მათ რიცხვს მიეკუთვნება ოთარ ლორთქიფანიძე...

**დოქტორი ელენე ვლასოვა**

რუსეთი, სანკტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი, ანტიკური სამყაროს განყოფილება

...ამ დანაკლისთან შერიგება შეუძლებელია. ჩვენი მეცნიერება დაობლდა. მართალია, მე არც ისე დიდი ხანი ვიცნობდი ოთარ ლორთქიფანიძეს, მაგრამ ჩემს თავსაც დაობლებულად ვთვლი; თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ის ღრმა კვალს სტოვებდა ყველა ადამიანის სულში, ვისაც კი მასთან ბედი შეახვედრებდა....

**პროფესორი ასკოლდ ივანჩიკი**

რუსეთი, მოსკოვი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი

...მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა – ამ ქვეყნიდან წავიდა გამოჩენილი მკვლევარი, რომლის ნაშრომებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა და გააფართოვა საქართველოს ძველი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, წარმოაჩინა ამიერკავკასიისა და ანტიკური ცივილიზაციის კულტურების ურთიერთმოქმედების ახალი ასპექტები. როგორც შესანიშნავი ორგანიზატორი, ის ხელმძღვანელობდა უმნიშვნელოვანეს სავსე მივსებს, ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო საერთაშორისო სიმპოზიუმებისა, რომლებიც ეძღვნებოდა შავი-ზღვისპირეთის ანტიკური ისტორიის აქტუალურ პრობლემებს... ისტორიკოსები ყოველთვის ისაზრდოვებენ ოთარ ლორთქიფანიძის შრო-

მებით. ხსოვნა მის შესახებ სამუდამოდ დარჩება ერმიტაჟელთა გულებში, რომლებიც იცნობდნენ მას.

**პროფესორი მიხეილ პიოტროვსკი**  
სახელმწიფო ერმიტაჟის დირექტორი

...თავზარი დაგვცა ცნობამ ჩვენი ძვირფასი მეგობრის ოთარ დავითის ძე ლორთქიფანიძის გარდაცვალების შესახებ. მან ჭეშმარიტად დიდი წვლილი შეიტანა კლასიკური არქეოლოგიისა და კავკასიისმცოდნეობის განვითარებაში. ჩვენ მუდამ სათუთად შევინახავთ ჩვენს გულებში ხსოვნას ამ შესანიშნავი მეცნიერისა და არაჩვეულებრივი ადამიანის შესახებ. მიიღეთ ჩვენი ღრმა და გულწრფელი თანაგრძნობა.

**პროფესორი რაუფ მუნჩაევი**  
რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის  
არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

...არ ვიცი რა სიტყვებით გამოვხატო ჩემი განცდები ასეთი არაორდინალური პიროვნებისა და ჩემთვის მეტად ძვირფასი მეგობრის დაკარგვის გამო. ბევრს ვფიქრობ თქვენზე და იმ შემზარავ უბედურებაზე, რაც უეცრად თავს დაგვატყდა ...

**პროფესორი ჟან-პოლ მორელი**  
საფრანგეთი,  
ექს-ან-პროვანსის უნივერსიტეტი

...საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დაკარგა დიდი მეცნიერი. თქვენ კი, მისმა კოლეგებმა, მთელმა ვანის ექსპედიციამ დაკარგეთ უახლოესი მეგობარი. ვერასოდეს დავივიწყებ ვანში გატარებულ დღეებს...

**დოქტორი კლერ ბალანდიე**  
საფრანგეთი,  
ექს-ან-პროვანსის უნივერსიტეტი

...ქართულმა არქეოლოგიამ (არა მარტო კლასიკურმა, არამედ საერთო ეროვნულმა) აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ჩვენგან წავიდა დიდი მეტრი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დამაარსებელი, ვანის შემქმნელი. მან არა მარტო გამოზარდა ქართული კლასიკური არქეოლოგიის სკოლა, არამედ კოლხეთის სიძველეთა მთელი მსოფლიოს წინაშე წარმოჩენა მოახერხა. მისი წყალობით ქართული არქეოლოგიური სკოლა მსოფლიოს არქეოლოგთა სათვისტომოს განუყოფელი ნაწილი გახდა. მის მიერ ორგანიზებულმა სიმპოზიუმებმა თქვენი ქვეყნისკენ მიიპყრეს მრავალი ქვეყნის მკვლევართა ყურადღება. მან მოახერხა, რომ თქვენს მიერ გამოვლენილი კოლხეთის საგანძური ეჩვენებინა მთელი მსოფლიოსთვის ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა გამოფენებზე. შეიტანა რა თავისი წვლილი ჩვენი მეცნიერების – არქეოლოგიის – განვითარებაში როგორც მეცნიერმა, 10

მან კლასიკური არქეოლოგიის ნაციონალური კადრების მთელი სკოლა მოამზადა. როგორც ადმინისტრატორმა, მან საქართველოში ის გააკეთა, რაც ვერავინ ვერ მოახერხა და ვერც მოახერხებს დსთ-ს ტერიტორიაზე: მუზეუმების დაარსება, ძეგლების აღმოჩენა და რესტავრაცია, გათხრების უზადო ორგანიზაცია, საქართველოს სიძველეთა შესანიშნავი პუბლიკაციები, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა ყველა ამ პროგრამისა მაღალ დონეზე... ძნელია მისი შემცვლელის მოძებნა... მიუხედავად უკანასკნელი ათწლეულის მოვლენებისა, მან შეუნარჩუნა ქართულ არქეოლოგიას ქმედითობა. უკრაინის არქეოლოგიის ვეტერანები მას იცნობდნენ ჭაბუკობიდან, როდესაც ის ოლბიაში ჩამოდიოდა გათხრებში მონაწილეობის მისაღებად. შემდეგი თაობა მას მისი ნაშრომებით, კონფერენციებზე შეხვედრებით იცნობდა. ის აღარ არის... მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა, მისი კოლხეთის მიწა...

**აკადემიკოსი სერგეი კრიჟიცკი,**  
**პროფესორები ნინა ლეიზუნსკაია, ანა რუსიაევა და სხვ.**

უკრაინა, კიევი, არქეოლოგიის ინსტიტუტი

...პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია არა მარტო ქართული არქეოლოგიისათვის, არამედ ყველა იმ მეცნიერისათვის, ვინც კი ჩართულია შავიზღვისპირეთის და კავკასიის არქეოლოგიურ შესწავლაში. მისი დიდი მიღწევები მეცნიერულ კვლევაში, პუბლიკაციები და მის მიერ ორგანიზებული სიმპოზიუმები ყველასთვის დაუვიწყარია, ვისაც კი ჰქონია მათთან შეხება...

**პროფესორი ჟან დე ბოერი**

ჰოლანდია, ამსტერდამის უნივერსიტეტი

სამძიმრის წერილები მოვიდა კიდევ ბევრი სხვა სამეცნიერო დაწესებულებიდან თუ კოლეგისაგან, მათ შორის:

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებისაგან,  
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებისაგან,

პროფ. ილიას ბაბაევისგან (აზერბაიჯანი, ბაქო, არქეოლოგიის ინსტიტუტი),

აკად. მ. კერიმოვისა და აკად. წ/კ ა. აბასოვისგან (აზერბაიჯანი, ბაქო, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილება),

პროფ. ვახტანგ ჯობაძისგან (აშშ, ლოს-ანჯელესი, კალიფორნიის უნივერსიტეტი),

დოქტ. კრისტინ რომისაგან (აშშ, ჟურნალ "Archaeology"-ს რედაქტორი),

პროფ. ელკა ბაკალოვასგან (ბულგარეთი, სოფია, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი),

პროფ. ვერბინკა ნაიდენოვასგან (ბულგარეთი, სოფია, არქეოლოგიის ინსტიტუტი),

დოქტ. ანტიე კრუგისაგან (გერმანია, ბერლინი, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი),  
პროფ. რაინერ ზლოტასაგან (გერმანია, ბოხუმის სამთო მუზეუმი),

პროფ. იმა კილიანისაგან (გერმანია, მაინცი, რომაულ-გერმანული მუზეუმი),

პროფ. მანფრედ კორფმანისაგან (გერმანია, ტიუბინგენის უნივერსიტეტი),

პროფ. დევიდ ბრაუნდისაგან (დიდი ბრიტანეთი, ექსეტერის უნივერსიტეტი),

პროფ. გვადალუპე მონტეაგუდოსაგან (ესპანეთი, მადრიდის უნივერსიტეტი),

დოქტ. დომენიკ კასაბ-ტეზგორისაგან (თურქეთი, ანკარის უნივერსიტეტი),

აკად. ა. დერევიანკოსაგან (რუსეთი, მოსკოვი, არქეოლოგიის ინსტიტუტი),

პროფ. კარინე კუშნარიოვასაგან (რუსეთი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტი),

აკად. წ/კ ენ. ნოსოვისაგან (რუსეთი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტი),

დოქტ. ოლგა სოკოლოვასაგან (რუსეთი, სანკტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი)

პროფ. ვოლფ-დიტრიხ ნიმაიერისაგან (საბერძნეთი, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ათენის განყოფილება),

დოქტ. არლენტ ფრესისაგან (საფრანგეთი, ექს-ან-პროვანსის უნივერსიტეტი),

დოქტ. ეველინ ჟენისაგან (საფრანგეთი, ბეზანსონის უნივერსიტეტი),

პროფ. პიერ დიუპონისაგან (საფრანგეთი, ლიონის უნივერსიტეტი),

აკად. ფ. სარკისიანისა და აკად. გ. ავეტი-სიანისაგან (სომხეთი, ერევანი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილება),

დოქტ. ალა და სერგეი ბუისკინებისაგან (უკრაინა, კიევი, არქეოლოგიის ინსტიტუტი),

ტავრიის ქერსონესის ეროვნული მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებისაგან (უკრაინა, სევასტოპოლი),

პროფ. იან ბოუზეკისაგან (ჩეხეთი, პრატის კარლოსის უნივერსიტეტი).

გარდა ამისა, სამძიმრის წერილები მოვიდა:

ისრაელში საქართველოს ელჩის – ბატონ რევაზ გაჩეჩილაძისგან,

იტალიაში საქართველოს ელჩის – ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძისგან,

საფრანგეთში საქართველოს ელჩის – ბატონ გოჩა ჩოგოვაძისგან,

საფრანგეთში საქართველოს საელჩოს დესპანის – ქალბატონ ნათელა ლალიძისგან,

ქართველ ლტოლვილთა ათენის სათვის-ტომოსგან (30 ხელმოწერა),

ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი უკვე აწვობილი იყო, როდესაც მივიღეთ 2003 წლის American Journal of Archaeology-ის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ნეკროლოგი. გთავაზობთ ამ ნეკროლოგის ქართულ თარგმანს.

### ოთარ ლორთქიფანიძე, 1930-2002

კარენ ს. რუბინსონი

პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის უეცარი და სრულიად მოულოდნელი გარდაცვალება 2002 წლის 19 მაისს დიდი დანაკარგია კლასიკური არქეოლოგიისათვის და საერთოდ მეცნიერთა იმ საერთაშორისო საკრებულოსთვის, რომელიც დაინტერესებულია საქართველოსა და შავიზღვისპირეთის არქეოლოგიით. დაბადებული 1930 წლის 30 ოქტომბერს, ის გარდაიცვალა გულის შეტევით ახალციხეში (საქართველო), სადაც მან რეგიონალურ მუზეუმში გამართულ კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე „საქართველოს ისტორია და არქეოლოგია“. ლორთქიფანიძისეული ღრმა ცოდნა საქართველოს არქეოლოგიისა, გადაწყვეტილება, რომ საქართველოს არქეოლოგია რაც შეიძლება მეტად გაეცნო მსოფლიოსთვის, პირველობა საქართველოს არქეოლოგთა შორის, და ხელმძღვანელობა ვანის მნიშვნელოვანი გათხრებისა ასახულია მის მრავალფეროვან სამეცნიერო ნაშრომებში. ოთარ ლორთქიფანიძის საიუბილეოდ მისი ქართველი მოწაფეების მიერ 2001 წელს გამოქვეყნებულ კრებულში მოცემულია მისი ნაშრომების სია, რომელიც 267 სტატიას, მონოგრაფიას, თეზისს მოიცავს. ლორთქიფანიძის მიზანი, რომ ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა საქართველოს არქეოლოგიის მიღწევები, ასახულია მის წიგნებში, რომლებიც დაბეჭდილია რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, გარდა მისი მშობლიური ქართულისა. ერთ-ერთ მის უკანასკნელ ნაშრომში - "Phasis: The River and City in Colchis" (Stuttgart, 2000) – შესწავლილია ბერძნული კოლონიის დაარსება და ბერძენთა ურთიერთობა რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობასთან.

გარდაცვალებისას ოთარ ლორთქიფანიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი, რომელიც მან 1977 წელს დააარსა. 1966 წლიდან ის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო. ვანში მოღვაწეობისას მან შექმნა ვანის არქეოლოგიური მუზეუმი და საკონფერენციო ცენტრი. კოლხეთის გამორჩეული კულტურის აღქმისათვის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ექსპედიციის შრომების ცხრა ტომში (ქართულ

და რუსულ ენებზე), აგრეთვე მონოგრაფიაში „Vani: une Pompñi gñorgienne“ (Paris, 1995).

ამ მიღწევების უკან კი იდგა კეთილშობილი და სტუმართმოყვარე პიროვნება, რომელიც ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა სულ უფრო და უფრო მზარდ ნაკადს უცხოელი კოლეგებისა, რომელთაც სურდათ გაეცნოთ საქართველოს რთული კულტურები. ცოდნა და ინფორმაცია, რომელსაც ის ფლობდა, უკიდევანო იყო. ის ყველა მსურველს იღებდა თავის ძეგლზე და უზიარებდა თავისი კვლევის შედეგებს. ის უზვად ამარაგებდა ბევრ კოლეგას ძნელად ხელმისაწვდომი პუბლიკაციებით, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო მათი მუშაობისთვის. პირადად კარენ რუბინსონს ბევრჯერ მიუღია ასეთი დახმარება მისგან, დაწყებული 1990 წელს ლორთქიფანიძის პირველი ვიზიტიდან ნიუ-იორკში, როდესაც მან ჩაუტანა თავისი წიგნი „Наследие древней Грузии“ (თბილისი, 1989), რომელიც მოგვიანებით გერმანულად გამოქვეყნდა „Archäologie in Georgien von der Altsteinzeit zum Mittelalter“ (Weinheim, 1991). „პერესტროიკამდე“ და საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ბევრად ადრე ლორთქიფანიძე შავიზღვისპირეთში საერთაშორისო თანამშრომლობის ავანგარდში იდგა. მის მიერ ორგანიზებული იყო ათი საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიძღვნილი შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემებისადმი. პირველად ეს სიმპოზიუმი 1977 წელს ჩატარდა. ხშირ შემთხვევაში ოთარ ლორთქიფანიძის პირადი წერილი კიდევ უფრო მეტად წაახალისებდა ხოლმე უცხოელ მეცნიერებს, რომ მონაწილეობა მიეღოთ სიმპოზიუმის მუშაობაში. ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ჯეინ ვალდბაუმი, რომელიც დაესწრო სიმპოზიუმს 1999 წელს, აღნიშნავდა, რომ გარდა ქართველი მეცნიერებისა მონაწილეები ჩამოსულნი იყვნენ ესპანეთიდან, ნიდერლანდებიდან, საფრანგეთიდან, ისრაელიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, აშშ-დან. სიმპოზიუმი გამოირჩეოდა არა მარტო სამეცნიერო დონით, არამედ თბილი სტუმართმოყვარეობითაც. ტრადიციული ქართული ბანკეტები, ცეცხლოვანი ქართული ხალხური ცეკვები და მელოდიური გუნდური სიმღერები ამშვენებდა საღამოებს, ხოლო საქართველოს ძეგლებისა და მუზეუმების მონახულებამ ქვეყნის სიძველეებით სიმდიდრის ახალი სამყარო გადაუშალა სიმპოზიუმის მონაწილეებს.

ვანის სიმპოზიუმებით ოთარ ლორთქიფანიძემ საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო თანამშრომლობას შავიზღვისპირეთის ქვეყნების შესწავლაში. შავიზღვისპირეთი კი დღეს კვლევის სულ უფრო და უფრო მეტად მნიშვნელოვანი რეგიონია არქეოლოგიებისთვის, რომლებიც სხვადასხვა პერიოდების და გეოგრაფიული რეგიონების სპეციალისტები არიან. ამ საერთაშორისო ინტერესის მიღწევები

ასახულია მეორე საიუბილეო კრებულში, რომელიც ოთარ ლორთქიფანიძეს მიეძღვნა (D. Kacharava, M. Faudot, E. Geny, eds. *Autour de la mer Noire: Hommage a Otar Lordkipanidze*, Paris, 2002). ამ კრებულში მონაწილეობა მიიღო ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ბევრი ქვეყნის წარმომადგენელმა. ლორთქიფანიძე იყო ჟურნალების "Il Mare Nero" და "Colloquia Pontica" სარედაქციო საბჭოს წევრი. ამავე დროს ის იყო Electronic Cultural Atlas Initiative-ის წევრი და აწვდიდა მას მონაცემებს საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების კვლევის შესახებ. ლორთქიფანიძის ხანგრძლივი და გამორჩეული მოღვაწეობა აღინიშნა მისი არჩევით გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად (1980 წ.) და ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრად (2001 წ.), ისევე როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად (1999 წ.). მან მიიღო აგრეთვე მეტად პრესტიჟული ჰუმბოლდტის პრემია და მაინცის არქეოლოგიური საზოგადოების მედალი (ორივე 1999 წელს).

ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრებს მუდამ ემახსოვრებათ შეხვედრა ლორთქიფანიძესთან, როდესაც ის მონაწილეობდა 1998 წლის ყოველწლიურ შეხვედრაზე ვაშინგტონში. მისი მოხსენება „კოლხეთის ბერძნული კოლონიები არქაულ და კლასიკურ პერიოდებში“ ნაწილი იყო კოლოკვიუმისა თემაზე „ასტუ და ხორა კლასიკური ხანის პონტოში“, რომელიც ოვენ ღუნანის მიერ იყო ორგანიზებული. ლორთქიფანიძის ყოფნა ამ შეხვედრაზე იყო მისი საერთაშორისო რეპუტაციისა და ამ სფეროში მომუშავე მეცნიერებისთვის მისი კვლევის მნიშვნელობის შედეგი. მისმა გამოკვლევებმა საფუძველი ჩაუყარა კლასიკური სამყაროს უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილის შესწავლას. ოთარ ლორთქიფანიძის უდროოდ გარდაცვალება აუნახლარებელი დანაკლისია მთელი მსოფლიოს მეცნიერთათვის.

# შინაარსი Contents

## ს ტ ა ტ ი ე ბ ი Articles

ა. ორჯონიკიძე. საქართველოში არარატული ტიპის კერამიკის გავრცელების საკითხი-სათვის .....	15
<b>A. Orjonikidze.</b> On the Diffusion of Ararat Pottery on the Territory of Georgia (Summary) ..	16
ბ. კვაჭაძე. სამარხები სოფ. თელათგორთან .....	18
<b>M. Kvachadze.</b> Pit-Burials near the Village of Telatgori (Summary) ..	21
ღ. სახაროვა. კიდევ ერთხელ კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხისათვის .....	25
<b>L. Sakharova.</b> Once More on the Relationship of the Colchian and Koban Cultures (Summary)	29
ნ. სულავა. ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ .....	31
<b>N. Sulava.</b> On a Small Mould Discovered in Lechkhumi (Summary) ..	33
რ. პაპუაშვილი. ტორფქვეშა ნამოსახლარი ონწყომიაში .....	35
<b>R. Papuashvili.</b> Ontsqoshia – Underpeat Settlement Site (Summary) ..	36
გ. გამყრელიძე. ვერსია ბრძოლის სიუჟეტური ვერცხლის რიტონის შესახებ ზემო რაჭის სოფ. გომიდან .....	39
<b>G. Gamkrelidze.</b> On the Silver Rhyton Bearing a Representation of a Fighting Scene from the Village of Gomi in Highland Racha (Summary) ..	45
დ. ახვლედიანი, რ. ფუთურიძე. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ჰერაკლეურ, თასოსურ, ქიოსურ და კნიდურ ამფორათა დამღები .....	50
<b>D. Akhvlediani, R. Puturidze.</b> Heracleian, Thasian, Chian and Cnidian Amphorae Stamps Revealed on the Territory of Colchis (Summary) ..	51
ქ. ჯავახიშვილი. გლიპტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები. II. გემა ერწო-თიანეთიდან .....	52
<b>K. Javakhishvili.</b> Gems Bearing Representations of Scenes from Specimens of Ancient Monumental Art. II. Gem from Ertso-Tianeti (Summary) ..	55
მ. ჩარკვიანი. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე .....	57
<b>M. Charkviani.</b> Archaeological Excavations Carried out by Ekvtime Taqaishvili at the Vani City Site (Summary) ..	61
ქ. რამიშვილი. აღრეული შუა საუკუნეების ქართლის გლიპტიკური ძეგლების რამდენიმე თავისებური ჯგუფის შესახებ .....	62
<b>K. Ramishvili.</b> On a Few Specific Groups of Early Mediaeval Georgian Glyptics (Summary)	67
პ. ლეჟავა. ზურტაკეტის ხეობის ნამოსახლარები .....	72
<b>P. Lezhava.</b> Rock-cut Architectural Complex in Zurtaketi Gorge (Summary) ..	74
დ. მინდორაშვილი. მასალები გვიანი შუა საუკუნეების უფლისციხის შესწავლისათვის ..	80
<b>D. Mindorashvili.</b> Toward the Study of Mediaeval Uplistsikhe (Summary) ..	84
ნ. კებულაძე. რკინის კოროზია და არქეოლოგიური ნივთების რესტავრაცია-კონსერვაცია	88
<b>N. Kebuladze.</b> Corrosion of Iron and Restoration-Conservation of Archaeological Artefacts (Summary) ..	90

**ა რ ქ ე თ ლ ო გ ი ი ს   ი ს ტ ო რ ი ა**  
**History of Archaeology**

<b>ს. აბულაშვილი.</b> ბორის კუფტინი – მასალები 1934 წლის არქეოლოგიური ექსპოზიციისათვის .....	<b>92</b>
<b>S. Abulashvili.</b> Boris Kufin – Materials for the Archaeological Exhibition of 1934 .....	<b>92</b>
<b>ს. ჯორბენაძე.</b> დიმიტრი ბაქრაძის დვაწლი ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში .....	<b>98</b>
<b>Kh. Jorbenadze.</b> Services Rendered by Dimitri Bakradze to the Development of the Georgian Archaeology .....	<b>98</b>
<b>სიმონ ჯანაშიას არქივიდან</b> .....	<b>102</b>
<b>From the Archive of Simon Janashia</b> .....	<b>102</b>

**მ ი ლ ო ც ვ ა**  
**Congratulations**

<b>ქართული ნუმისმატიკური მეცნიერების ახალი ეტაპი (პროფ. გიორგი დუნდუას 70 წლისთავის გამო)</b> .....	<b>111</b>
<b>New Stage of Development of Georgian Numismatics (Giorgi Dundua – 70)</b> .....	<b>111</b>

**ქ რ ო ნ ი კ ა**  
**C h r o n i c l e**

<b>გ. მინდიაშვილი.</b> 2001 წლის საველე სამუშაოები .....	<b>114</b>
<b>G. Mindiashvili.</b> Field Work in 2001 .....	<b>116</b>
<b>შემოკლებათა სია</b> .....	<b>119</b>
<b>Abbreviations</b> .....	<b>119</b>

## სტატიები ARTICLES

### ალექსანდრე ორჯონიკიძე

#### საპარტიოლოში არარატული ტიპის კერამიკის გავრცელების საკითხისათვის

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების მოგვიანო ეტაპზე საქართველოს ტერიტორიაზე შეინიშნება ამ კულტურის სამხრეთ ამიერკავკასიური ვარიანტის ელემენტების მოძალევა [10, გვ. 142]. ერთ ასეთ გამოვლინებას წარმოადგენს ჩაღარვა-ამობურცვის გზით გამოყვანილი გართულებული სპირალური ორნამენტის მქონე სამნაწილადტანიანი თიხის ჭურჭლის გამოჩენა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ რაიონში.

ამგვარი კერამიკის ჩამოყალიბების უმთავრეს კერად მიჩნეულია არარატის ველი. სწორედ აქედან ივარაუდება მისი გავრცელება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის – აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება მანამდე აქ არსებული მუცელწიბოიანი თიხის ჭურჭლისაგან როგორც ფორმით, ისე ორნამენტის ხასიათით [10, გვ. 124]. მართალია, სპირალური ორნამენტი საქართველოს მტკვარ-არაქსულ კერამიკაზე ადრეც კარგად იყო ცნობილი, მაგრამ ახლადგამოჩენილ თიხის ჭურჭელზე იგი განსხვავებული ტექნიკითა და გართულებული სახითაა გადმოცემული.

შესანიშნავად შესრულებული ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტის ეს სახე განსაკუთრებით დამახასიათებელია ეჩმიადინის რაიონის ძეგლებისათვის. ფიქრობენ, რომ სწორედ აქედან ვრცელდება იგი ჯერ მთლიანად სომხეთის მთიანეთში, შემდეგ, თანდათანობით, მისი გავლენის ქვეშ ექცევა დასავლეთი აზერბაიჯანი და აღმოსავლეთ ანატოლიის გარკვეული ნაწილი. მისი გავრცელების ძირითად მიმართულებას, ჩანს, უფრო სამხრეთი წარმოადგენდა, რადგან ჩრდილო კავკასიაში იგი თითქმის არ შეინიშნება [10, გვ. 153]. საქართველოში კი ამგვარ კერამიკას ვხვდებით ქვემო და შიდა ქართლის ვაკის ძეგლებზე, თრიალეთსა [10, გვ. 142] და ჯავახეთის პლატოზე [3, გვ. 173].

ჩაღარულ-ამობურცული გართულებული სპირალებით შემკულმა კერამიკამ იმთავითვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ბეშთაშენის მასალების განხილვისას აკად. ბ. კუფტინმა პირველმა აღნიშნა ამგვარი კერამიკის სიახლოვე არარატის ველის ძეგლების – შრემ-ბლურისა და შენგავითის ნაწარმთან [11, გვ. 116]. მისივე მსგავსი აღმოჩნდა დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე [12, გვ. 124] და ოზნიში [9, გვ. 60] მოპოვებული ფრაგმენტებიც. მტკვარ-არაქსის

კულტურის სამხრეთამიერკავკასიური ვარიანტის არსებობის კვალს შიდა ქართლის ნამოსახლარის – ქვაცხელას B<sub>1</sub> ფენაშიც ხედავენ [9, გვ. 142]. 1957 წელს ქვემო ქართლის არქეოლოგიური დაზვერვებით აკრეფილი თიხის ჭურჭელი ასევე ახლო დგას სომხეთის ნაწარმთან. იგივე სურათს გვიჩვენებს ამ მხარის სოფლების ბრდაძორის, სადახლოსა და ქერიფლუდან მომდინარე კერამიკაც [5, გვ. 93]. მდ. დებედას ქვემო წელზე ამ ხანის ცხრა ნამოსახლარი ბორცვი აღმოჩნდა. ზოგიერთ მათგანზე შეგროვილი თიხის ჭურჭელი, შემკული ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით, სომხეთის მასალების იერის მატარებელია და უახლოვდება ისეთი ძეგლების ნაწარმს, როგორცაა ქიულ-თეფე და ეჩმიადინი [1, გვ. 69-70]. გამოითქვა ვარაუდი, მომავალში გვიანმტკვარ-არაქსული ხანის ძეგლებზე ამგვარი კერამიკის კიდევ უფრო მომრავლების შესახებ [5, გვ. 93].

მნიშვნელოვნად იმატა ამგვარი კერამიკის შემცველი ძეგლების რაოდენობამ მომდევნო წლებში. 1960 წელს საბურთალოზე აღმოჩნდა აღნიშნული ტიპის ორნამენტიანი წითელპირილა სასმისები [5, გვ. 93], რომელთა უახლოეს პარალელებად მიჩნეულია შრემ-ბლურისა და შენგავითის კერამიკა [10, გვ. 142]. განსაკუთრებით მრავლად გამოვლინდა ჩაღარულ-ამობურცული ხერხებით გამოყვანილი გართულებული სპირალურ ორნამენტიანი თიხის ჭურჭელი ქვემო ქართლის ველის ისეთ ძეგლებზე, როგორცაა შულავერი II [13, გვ. 167], დანგრეული გორა და ღაით-მაზი, რომელთა ანალოგებად როგორც ფორმით, ისე შემკობის მხრივ მიიჩნევენ არარატის ველზე გავრცელებულ თიხის ჭურჭელს [7; 10, გვ. 142].

საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი მსგავსი ორნამენტით შემკული კერამიკა შიდა ქართლის სტრატეგიციურულ ნამოსახლარზე – კასპის ციხიანგორაზეც. აქ იგი გამოჩენას იწყებს B<sub>2</sub> ფენაში და უწყვეტად განაგრძობს არსებობას ამ ძეგლის ზედა ფენებშიც [2, გვ. 52]. სომხეთისათვის დამახასიათებელი კერამიკის ცალკეულ ეგზემპლარებს ვხვდებით ჯავახეთის პლატოს ძეგლებზეც. აქ წარმოებული დაზვერვითი სამუშაოებითა და მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრებით ამგვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები გამოვლინდა ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების სოფლების სათხეს [3, გვ.

173], ჯიგრაშენისა [4, გვ. 17] და ბარალეთის [6, გვ. 43] გორანამოსახლარებზე.

ძირითადად ჩამოთვლილით ამოიწურება საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილი ჩალარულ-ამობურცული გართულებული სპირალებით ორნამენტირებული კერამიკა. ჩანს, რომ იგი აქ მაინცდამაინც ფართოდ არ გავრცელებულა [9, გვ. 60]. თუმცა, მისი გამოვლინება არ არის ყველგან ერთგვაროვანი. უფრო მძლავრად ამგვარი კერამიკა ქვემო ქართლის ველის ძეგლებზეა წარმოდგენილი [10, გვ. 114, 142], შემდეგ – შიდა ქართლში [2]. დაახლოებით მსგავსი სურათი იხსნება ამ კერამიკის აღმოჩენისა თრიალეთსა და ჯავახეთში. იგი აქ ქვემო და შიდა ქართლთან შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული.

ამრიგად, მოიხაზა ის არეალი, სადაც არარატის ველისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის არსებობა დასტურდება. როგორც ჩანს, ამ არეალში არ შედის სამცხე და კახეთი, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთულ, მათ შორის სომხეთის მთიანეთისათვის დამახასიათებელ მატერიალური კულტურის სხვადასხვა ელემენტს საქართველოს ამ რეგიონებშიც ვხვდებით. არარატული ტიპის ორნამენტით შემკულ კერამიკას ვერ ვხედავთ შიდა ქართლის ჩრდილო ზოლშიც. კიდევ უფრო ნაკლებად ვრცელდება იგი დასავლეთ საქართველოს მიმართულებით – ლიხს იქით ამგვარი კერამიკა უცნობია [4, გვ. 20]. იგი არც შიდა ქართლის მრავალფენიან ნამოსახლარზე – ხაშურის ნაცარგორაზეა აღმოჩენილი. სადღეისო მონაცემებით ისე ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არარატული კერამიკის დასავლეთით გავრცელების უკიდურესი ზღვარი ქარელი-ახალქალაქის შემაერთებელ ზოლზე გადის.

ფიქრობენ, რომ კერამიკის ეს ვარიანტი საქართველოს სიღრმეში უშუალოდ არარატის ველიდან კი არ ვრცელდება, არამედ უმთავრესად მტკვრის ხეობით აღწევს დასავლეთ აზერბაიჯანისა და ქვემო ქართლის ვაკის მხრიდან, სადაც ის იმდენად მძლავრადაა წარმოდგენილი, რომ მოსახლეობის გადმოადგილებასაც კი ვარაუდობენ [2, გვ. 65]. რამდენადმე შესუსტებული სახით არარატული კულტურული ნაკადი შიდა ქართლსაც აღწევს, თუმცა, წამყვანი აქ მაინც ადგილობრივი თიხის ჭურჭელი რჩება [2, გვ. 65]. კიდევ უფრო ნაკლებად ვლინდება ამგვარი ორნამენტის მქონე კერამიკა ჯავახეთის პლატოსა და თრიალეთში. შიდა ქართლის მსგავსად აქაც წამყვანი ადგილობრივი კერამიკა ჩანს, რომელსაც ბევრი აქვს საერთო შიდა-ქართლურ ნაწარმთან [10; 4]. საფიქრებელია, რომ სამხრეთ საქართველოს ეს მაღალმთიანი რაიონები არარატული ტიპის კერამიკის გავრცელების პერიფერიულ არეს წარმოადგენდა, სადაც ეს ნაწარმი უმთავრესად შიდა ქართლის გზით უნდა მოხვედრილიყო [4, გვ. 20].

სომხეთის ადრებრინჯაოს ხანის კერამიკის პერიოდიზაციის სქემით ჩანს, რომ შრემ-ბლურის ტიპის ჩალარულ-ამობურცული გართულებული სპირალებით შემკული თიხის ჭურჭელი უფრო ადრეულია კიროვაკანის ჯგუფის ნაწარმზე, რომელსაც ამგვარი სპირალების გარდა ჭრილი გეომეტრიული ორნამენტიც გააჩნია [14, გვ. 110]. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ არარატული კერამიკის შემცველი ძეგლების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ამ უკანასკნელს აკუთვნებენ [14, გვ. 110; 2, გვ. 52]. მასში ერთიანდება ციხიაგორის B<sub>2</sub> ფენის მასალაც [2, გვ. 52].

დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, შიდა ქართლში ჩალარულ-ამობურცული გართულებული სპირალური ორნამენტის თავდაპირველი გამოჩენა ქვაცხელა B<sub>1</sub> ფენის ხანას უკავშირდება. ქვაცხელას ეს ფენა კი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ციხიაგორის B<sub>2</sub> ფენას, რომლის კერამიკა, როგორც აღვნიშნეთ, კიროვაკანის ჯგუფს მიეკუთვნება [2, გვ. 76]. ამდენად, შეიძლება დავუშვათ, რომ ქვაცხელას B<sub>1</sub> ფენის ამგვარი ნაწარმი განეკუთვნება კიროვაკანის წინამორბედ – შრემ-ბლურის ჯგუფს. ამის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს მსგავსი ორნამენტის მქონე ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტიც ქვაცხელას ნასახლარის კიდევ უფრო ადრეულ C<sub>1</sub> ფენაში [8, გვ. 40]. ეს გვაფიქრებინებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში არარატის ველიდან მომდინარე პირველი იმპულსები უკვე ამ დროიდან იწყება და შრემ-ბლურის ჯგუფს უკავშირდება. ქვაცხელას C<sub>1</sub> ფენაში ტრადიციული შიდაქართლური ტიპის ბიკონუსურტანიანი მასობრივი ნაწარმის გვერდით მანამდე უცნობი – სამნაწილადი თიხის ჭურჭლის გამოჩენაც [8, ტაბ. XXXI-5], რომლის უახლოეს პარალელებს ისევ სამხრეთ ამიერკავკასიურ მასალებში ვხედავთ [13, ტაბ. 44<sub>124</sub>; 10, ტაბ. 48<sub>1</sub>], ამის დასტური უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთაღნიშნული იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სიღრმეში არარატული წარმომავლობის მქონე კერამიკა მეტ-ნაკლები ინტენსივობით რამოდენიმე ქრონოლოგიურ ნაკადად ვრცელდება, თანაარსებობს ადგილობრივ ნაწარმთან და როგორც ციხიაგორის სტრატეგრაფიული მონაცემები მოწმობს [2, ტაბ. XLVII, LXIII], აქ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობამდე ცოცხლობს. თუმცა, როგორც შენიშნულია, ამ კულტურის სამხრეთამიერკავკასიური ვარიანტის გამოჩენას არ მოჰყოლია მკვეთრი ცვლილებები ადგილობრივი კულტურის ძირითად კომპონენტებში [2, გვ. 65].



**A. Orjonikidze**

**ON THE DIFFUSION OF ARARAT  
POTTERY ON THE TERRITORY OF  
GEORGIA**

Summary

Vessels with convexo-concave spiral ornament appear on the territory of Eastern Georgia at the late stage of the Kura-Araxes culture. The Ararat valley is considered the home of such pottery, penetrating from there into the central and southern areas of Eastern Georgia. A stronger trace of this pottery is observable on sites of the Lower Kartli plain and the foothill zone of the Inner Kartli. It is represented relatively weaker in Trialeti and on the Javakheti Plateau.

**ლიტერატურა**

1. გრიგოლია გ., ტატიშვილი თ. ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები. – სიგკ, I, თბ., 1960, გვ. 67-70.
2. მახარაძე ზ. ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბ., 1984.
3. ორჯონიკიძე ა. მტკვარ-არაქსის კულტურის ახალი მასალები ჯავახეთის პლატოდან. – მაცნე, № 2, 1989, გვ. 172-176.
4. ორჯონიკიძე ა. აღრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დიგამენი I. – ძიებანი, № 1, 1998, გვ. 15-22.
5. ფხაკაძე გ. ქვემო ქართლის ენეოლითი. თბ., 1963.
6. ქიქოძე ზ., კოლი ფ., მინდიაშვილი გ., ორჯონიკიძე ა. აღრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა სამხრეთ საქართველოდან. – ძიებანი, № 2, 1998, გვ. 42-51.
7. ღლონტი ლ. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები. – ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971), თბ., 1975, გვ. 129-136.
8. ჯავახიშვილი ა. ღლონტი ლ. ურბნისი, I, თბ., 1962.
9. ჯაფარიძე თ. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.
10. ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976.
11. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Тrialeti. Тб., 1941.
12. Куфтин Б. А. Урартский "колумбарий" у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. – ВГМГ, 13-В, 1944, с. 1-71.
13. Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н. Древние культуры Южного Кавказа. Л., 1970.

**14. Ханзаян Э. В.** Культура Армянского нагорья в III тыс. до н.э. Ер., 1967.

## მარინე კვაჭაძე

### სამარხები სოფ. თელათგორთან

კასპის რ-ნის სოფ. თელათგორის ტერიტორიაზე 1976 წლიდან 1990 წლამდე ტარდებოდა მცირემასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა ნამოსახლარი „საფურების გორა“, რომელიც მრავალფენიან ძეგლს წარმოადგენს [8, გვ. 40-45]. ელინისტური ხანის ნასახლარების ქვეშ აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის რამდენიმე სამარხი – 1976 წელს გათხარა 3, ხოლო 1989 წელს 7 სამარხი.<sup>1</sup>

**სამარხი № 1** (1976 წ.) მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე. ოვალური ფორმის ორმოსამარხში (0,85×0,6 მ) დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით სამხრეთ-დასავლეთისკენ, მარცხენა გვერდზე, ძლიერმოხრილი კიდურებით. იგი დაუსვენებიათ სამარხში წინასწარ ჩალაგებულ თიხის ჭურჭელზე, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო მჯდომარე, სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ზურგით აღმოსავლეთ კედელზე მიყრდნობილი. სამარხში აღმოჩნდა:

ლოქი – ლეგა-მოშავოდ გამომწვარი; შემკულია ამოღარული ორნამენტით (ტაბ. II<sub>5</sub>).

კოჭობი – მოშავოდ გამომწვარი; აქვს ზომორფული ყური, ყელი შემკულია რელიეფური სარტყლებით და სამკუთხედისებური ნაჭდევებით, ტანზე დაუყვება ვერტიკალური ნაპრიალები ზოლები (ტაბ. II<sub>4</sub>).

ლანგარი – შავად გამომწვარი; კალთის გარე ზედაპირს ამკობს ნაპრიალები რადიალური ხაზებით (ტაბ. II<sub>3</sub>).

საკინძი – ბრინჯაოსი, ბოთლისებური; შემკულია ამოღარული პარაკეტისებური ორნამენტით (ტაბ. II<sub>2</sub>).

სამაჯური (2 ც.) – ბრინჯაოსი (ტაბ. II<sub>1</sub>).

**სამარხი № 2** (1976 წ.) აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე. ორმოსამარხი (1,25×0,6 მ) გეგმაში წარმოადგენს კუთხეებმომრგვალებულ მართკუთხედს, რომელიც დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. სამარხში აღმოჩნდა:

ჯამი – მოშავოდ გამომწვარი; შემკულია ამოღარული ტალღური ორნამენტით (ტაბ. I<sub>10</sub>).

ქოთანი – ლეგა-მოშავოდ გამომწვარი; ძლიერ დაშლილი.

სატევარი – ბრინჯაოსი, ფოთლისებური (ტაბ. I<sub>8</sub>).

შუბისპირი – ბრინჯაოსი, მასრაგახსნილი (ტაბ. I<sub>9</sub>).

**სამარხი № 3** (1976 წ.) აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე. ორმოსამარხი გეგმაში წარმოადგენს კუთხეებმომრგვალებულ კვადრატს (1,0×1,0 მ). მიცვალებული დაკრძალულია თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, ძლიერმოხრილი კიდურებით. სამარხში აღმოჩნდა:

კოჭობი – ლეგა-მოშავოდ გამომწვარი; შემკულია ირიბი ნაჭდევების სარტყლით (ტაბ. I<sub>4</sub>).

ქოთანი – ლეგად გამომწვარი; აქვს ზომორფული ყური, მხარი შემკულია ირიბი ნაჭდევების სარტყლით (ტაბ. I<sub>3</sub>).

ტოლჩა – ლეგა-მოშავოდ გამომწვარი; ზედაპირი მცირედ ნაპრიალებია (ტაბ. I<sub>5</sub>).

ჯამი – ლეგა-მოშავოდ გამომწვარი; შემკულია ამოღარული ორნამენტით (ტაბ. I<sub>6</sub>).

ლანგარი – ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი; შემკულია ამოღარული ორნამენტით (ტაბ. I<sub>7</sub>).

სატევარი – ბრინჯაოსი, ფოთლისებური, უქედო (ტაბ. I, 2).

საკინძი – ბრინჯაოსი, თავხვია (ტაბ. I<sub>1</sub>).

**სამარხი № 4** (1989 წ. № 12 სამარხი) წარმოადგენს გეგმაში ოვალური ფორმის ორმოსამარხს (1,0×0,75 მ). იგი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. მიცვალებული დაკრძალული იყო თავით აღმოსავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. სამარხში აღმოჩნდა:

ლოქი – ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი; პირგადაშლილი, ძაბრისებური ყელით, რომლის გარე ზედაპირი გოფირებულია. აქვს მხრებში ძლიერ გაზიდული ტანი, მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირზე და მხარზე, მხარი შემკულია სამი ამოღარული სარტყლით. აქვს ბრტყელი ძირი. ცუდადაა გამომწვარი და ვერ აღდგა.

ლანგარი – მოშავოდ გამომწვარი; შიდაპირი ნაპრიალებია, ზედაპირი კი – ხაოიანი (ტაბ. II<sub>13</sub>).

ფიალა – მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი; ზედაპირი ნაპრიალებია (ტაბ. II<sub>12</sub>).

ბუნიკი – ბრინჯაოსი, გუმბათისებური. შემკულია რელიეფური სამკუთხედებითა და რომბებით (ტაბ. II<sub>11</sub>).

სატევარი – რკინის, ჟანგისაგან სრულიად დაშლილი.

**სამარხი № 5** (1989 წ. № 13 სამარხი) წარმოადგენს გეგმაში ოვალური ფორმის ორმოსამარხს (1,1×0,8 მ); დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. სამარხში აღმოჩნდა:

<sup>1</sup> 1976-1979 წწ.-ში თელათგორის რაზმს ხელმძღვანელობდა ისტ. მეცნ. დოქტორი ალ. რამიშვილი, 1980-2000 წწ.-ში – რ. კვიციანი.

ლოქი – მონაცრისფროდ გამომწვარი; შემკულია ამოღარული ორნამენტით, ზედაპირი ოდნავ ნაპრიალები აქვს. ცუდადაა გამომწვარი (ტაბ. III<sub>4</sub>).

ქოთანი – მონაცრისფროდ გამომწვარი; ზედაპირი ხაოიანი აქვს (ტაბ. III<sub>1</sub>).

კოჭობი – მოყავისფროდ გამომწვარი, ზედა და შიდა პირი მონაცრისფროა; შემკულია ნაჭდევი ორნამენტით. ზედაპირი ხაოიანია (ტაბ. III<sub>2</sub>).

ლანგარი – ლეგა-მოშავოდ გამომწვარი, ზედა და შიდაპირი მოყავისფროა; ცუდადაა გამომწვარი (ტაბ. III<sub>3</sub>).

შუბისპირი – რკინის, მასრაგახსნილი, 2 მანჭვალით.

დუგმა – ბრინჯაოსი.

**სამარხი № 6** (1989 წ. № 14 სამარხი) წარმოადგენს გეგმაში კუთხეებმომრგვალებულ მართკუთხა ფორმის ორმოსამარხს (0,9×0,7 მ), დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. სამარხში აღმოჩნდა:

დერგი – ლეგა-მოშავოდ გამომწვარი, ზედაპირი მონაცრისფროა. შემკულია ამოღარული ორნამენტით (ტაბ. I<sub>4</sub>).

კათხა – მოყავისფრო-მოხალისფროდ გამომწვარი; შემკულია ნაჭდევი ორნამენტით. ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი (ტაბ. I<sub>3</sub>).

კოჭობი – მოყავისფროდ გამომწვარი, ზედა და შიდა პირი ლეგა-მონაცრისფროა (ტაბ. I<sub>2</sub>).

სატევარი – ბრინჯაოსი, ფოთლისებური (ტაბ. I<sub>1</sub>).

**სამარხი № 7** (1989 წ. № 15 სამარხი) წარმოადგენს გეგმაში მართკუთხა ფორმის კუთხეებმომრგვალებულ ორმოსამარხს (1,3×1,2 მ), დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. სამარხში აღმოჩნდა:

ლოქი – მოყავისფროდ გამომწვარი, ზედა და შიდაპირი ლეგა-მონაცრისფრო აქვს; შემკულია ამოღარული ორნამენტით (ტაბ. III<sub>5</sub>).

კოჭობი – ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირი მონაცრისფრო და ოდნავ ნაპრიალებია (ტაბ. III<sub>6</sub>).

ჯამი – მოყავისფროდ გამომწვარი, ზედა და შიდაპირი ლეგა-მოშავოა (ტაბ. III<sub>7</sub>).

ლანგარი – ლეგა-მოშავოდ გამომწვარი; ზედა და შიდაპირი შემკულია ნაპრიალები ორნამენტით (ტაბ. III<sub>8</sub>).

სატევარი – რკინის, ჟანგისაგან სრულიად დაშლილი.

**სამარხი № 8** (1989 წ. № 16 სამარხი) წარმოადგენს გეგმაში მართკუთხა ფორმის კუთხეებმომრგვალებულ ორმოსამარხს (1,4×0,9 მ), დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი. სამარხში აღმოჩნდა:

ლოქი – ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალებია; შემკულია ამოღარული ორნამენტით (ტაბ. III<sub>9</sub>).

ქოთანი – მოყავისფროდ გამომწვარი, ზედა და შიდაპირი შავია; ზედაპირი ოდნავაა გაპრიალებული. ძლიერ ფრაგმენტული. ვერ აღდგა.

კოჭობი – მონაცრისფროდ გამომწვარი; შემკულია ამოღარული ორნამენტით (ტაბ. III<sub>10</sub>).

ლანგარი – ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედა და შიდაპირი მოშავო-მოყავისფროა; შემკულია ამოღარული სარტყლებით (ტაბ. III<sub>12</sub>).

ჯამი – გამომწვარია მოყავისფროდ, ზედა და შიდაპირი მონაცრისფროა (ტაბ. III<sub>11</sub>).

მახვილი – რკინის, ბრინჯაოს ჩარჩოსებური ტარით. პირი ცუდადაა დაცული. ტარს ახლავს 14 მანჭვალი (ტაბ. III<sub>9</sub>).

დანა – რკინის, ჟანგისაგან სრულიად დაშლილი.

**სამარხი № 9** (1989 წ. № 18 სამარხი) წარმოადგენს გეგმაში მართკუთხა ფორმის კუთხეებმომრგვალებულ ორმოსამარხს (1,0×0,8 მ), დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოკუნტული. სამარხში აღმოჩნდა:

ლოქი – მოშავოდ გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალები აქვს; შემკულია ამოღარული ორნამენტით (ტაბ. II<sub>8</sub>).

ქოთანი – მოხალისფროდ გამომწვარი; გარე და შიდაპირი შავი ლაქებითაა დაფარული. ზედაპირი ნაპრიალები აქვს (ტაბ. II<sub>10</sub>).

კოჭობი – მოყავისფროდ გამომწვარი, ზედა და შიდაპირი მონაცრისფროა; შემკულია ამოღარული ორნამენტით (ტაბ. II<sub>9</sub>).

ფიალა – მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალებია (ტაბ. II<sub>7</sub>).

საკინძები (2 ც.) – ბრინჯაოსი, ბოთლისებური. შემკულია ამოღარული ორნამენტით (ტაბ. II<sub>6</sub>).

ზემოთ აღწერილი კომპლექსები ქრონოლოგიურად ორ ძირითად ჯგუფად იყოფა. უფრო ადრეულია ის სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირები. № 3 სამარხში (ტაბ. I<sub>1-7</sub>) აღმოჩნდა უქედო ფოთლისებური სატევრისპირი, რომელსაც აქვს წვერმომრგვალებული ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის პირი, სამნაჩრეტიანი და მომრგვალებული სატარე, რომლის მხრები ასევე მომრგვალებულად გადადის ფხეებში. ტარის დასაგებ ნაწილთან შეინიშნება ნახევარწრიული ფორმის ანაბეჭდი (ტაბ. I<sub>2</sub>). ეს სატევარი შეიძლება ადრეულ ფორმად ჩავთვალოთ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამ ტიპის სატევრები ძალიან ჩამორჩენილი იყოს ქედიან სატევრისპირებთან შედარებით [9, გვ. 51].

№ 2 და № 6 სამარხებში აღმოჩნდა ქედიანი სატევრისპირები. როგორც ცნობილია, ბრინჯაოს სატევარ-მახვილები მონოგრაფიულად შეისწავლა გ. ლომთათიძემ და ფოთლისებური სატევრების გარკვეულ ჯგუფს, კერძოდ, ვიწრო-

ქედან სატევრისპირებს „სამთავრული ვარიანტი“ უწოდა. მკვლევარმა ამ ვარიანტის საერთო დამახასიათებელ ნიშნებად გამოყო: დაბალი და ტრაპეციისებური, მომრგვალებულ-სამკუთხედი-სებური მოყვანილობის სატარე; ქედის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებული 2 სამსჯვალის დასამაგრებელი ნაჩვრეტი; ტარის ქვემო ბოლოს ანაბეჭდი ხაზი, რომელიც შუაში ოვალურადაა ქედის გარშემოვლით მორკალური; შედარებით დიდი სიგანე და არცთუ მცირე სიგრძე [9, გვ. 66-67]. ამ ნიშნების მიხედვით ფოთლისებური სატევრისპირების სამთავრულ ვარიანტს მიეკუთვნება თელათგორის № 2 და № 6 სამარხში აღმოჩენილი სატევრისპირები (ტაბ. I<sub>8,11</sub>).

ფოთლისებურ სატევრისპირებსა და მათ შემცველ კომპლექსებს რ. აბრამიშვილი ათარიღებს ძვ.წ. XV ს-ის მეორე ნახევრითა და XIV საუკუნით [2, გვ. 313; 4, ტაბ. III, 42, 71], თუმცა არ გამორიცხავს მათ არსებობას ძვ.წ. XIII ს. – XII ს-ის პირველ ნახევარშიც [4, ტაბ. II, 116]. კ. ფიცხელაურის აზრით, ფოთლისებური სატევრისპირები არსებობენ გვიანი ბრინჯაოს ხანის II საფეხურზე – ძვ.წ. 1250-1100 წწ. [14, გვ. 160; 16, გვ. 101].

თელათგორის № 2 სამარხში სატევრისპირის გარდა აღმოჩნდა მასრაგახსნილი შუბისპირი, ხოლო № 3 სამარხში – თავხვია საკინძი. როგორც ცნობილია, ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირები, მასრაგახსნილი შუბისპირები და თავხვია საკინძები სამთავრული კულტურის დამახასიათებელი ელემენტებია [16, გვ. 115]. ფოთლისებური სატევრისპირიანი სამივე კომპლექსი შეიცავს ერთგვაროვან და სამთავრული კულტურისათვის ტიპიურ კერამიკას: ზომორ-ფულყურიან კათხებს, ამოღარული ტალღისებური ორნამენტით შემკულ ჯამებს, გოფირირებულზედაპირიან ტოლჩას.

ამრიგად, თელათგორში აღმოჩენილი № 2, 3 და 6 სამარხები სამთავრული კულტურის არეალში შედის და თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით – ძვ.წ. XIII-XII სს-ით.

მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება თელათგორში აღმოჩენილი დანარჩენი ექვსი სამარხი – № 1, 4, 5, 7, 8, 9. მათ აერთიანებთ რკინის იარაღის არსებობა და თიხის ჭურჭლის გარკვეული ნაწილის მსგავსება ერთმანეთთან (ტაბ. II, III). თუმცა ბოთლისებური საკინძების შემცველ სამარხებში № 1, 9 (ტაბ. II<sub>1-10</sub>) რკინის იარაღი არ აღმოჩენილა. თელათგორში აღმოჩენილ ბოთლისებურ საკინძებს პარალელები მოეძებნებათ ბეშთაშენის სამაროვანზე [10, გვ. 117-118; 15, გვ. 48], სიონში [11, გვ. 108], სათოვლენაბაღრებში [5, გვ. 147; 6, გვ. 166], დმანისში [13, გვ. 39-47] და სხვ. 1958-1959 წწ.-ში მ. ბარამიძემ ზემოთ აღწერილი სამარხების მახლობლად გათხარა ერთი სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ბოთლისებური საკინძები [7, გვ. 58]. თელათგორში აღმოჩენილი ბოთლისებური სა-

კინძების შემცველი კომპლექსები პარალელების გათვალისწინებით უნდა დათარიღდეს ძვ.წ. VII-VI სს-ით. თუმცა შესაძლებელია ამ ტიპის საკინძების უფრო გვიან – ძვ.წ. V ს-ში არსებობაც [12, გვ. 79].

თელათგორის № 4 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბუნიკი. იგი ზოგადად ჰგავს ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში აღმოჩენილ გუმბათისებურ ბუნიკებს, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. VIII-VII სს-ით [1, გვ. 136; 3, სურ. 80; 15, გვ. 56-58], მაგრამ ამავე სამარხში ლეგა-მოშავოდ გამომწვარი კერამიკის გვერდით აღმოჩნდა მოყვითალო-მოჩაღისფროდ გამომწვარი თიხის ჯამი (ტაბ. II<sub>13</sub>). ხოვლეგორის მასალების მიხედვით, მსგავსი კეცისა და შეფერილობის კერამიკა ჩნდება IV ჰორიზონტის არსებობის ბოლო ფაზაში და III ჰორიზონტის დროიდან ანუ ძვ.წ. VII ს-ის ბოლოსა და VI ს-ის დასაწყისიდან [12, გვ. 44, 63].

II ქრონოლოგიურ ჯგუფში შემავალ 4 სამარხში (№ 4, 5, 7, 8) აღმოჩნდა რკინის იარაღები. იმის გამო, რომ სამარხები მიწის თანამედროვე ზედაპირთან ძალიან ახლოს იყო, რკინის ნივთები ძალიან ცუდადაა შემონახული. მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია განვსაზღვროთ მათი ფორმა: № 4 და № 7 სამარხებში აღმოჩნდა რკინის სატევარი, № 5 სამარხში – რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი, № 8 სამარხში – რკინის დანა და მახვილი ბრინჯაოს ტარით. უკეთაა შემონახული მახვილი, რომლის ფორმის აღდგენა შესაძლებელი გახდა. ეს არის რკინის წვეტიანი მახვილი, რომლის ტარს გარშემოვლებული აქვს ბრინჯაოს ჩარჩო. მახვილის პირს გასდევს მკვეთრი ქედი. ტარის ბრინჯაოს ჩარჩო გარს შემოსდევდა რკინის ენას, რომელიც პირის გაგრძელებას წარმოადგენდა. შემორჩენილია ბრინჯაოს 14 მანჭვალი, რომლებითაც ხის ნაწილები მაგრდებოდა ტარზე. მსგავსი მახვილები ცნობილია სამთავროდან, პატარძეულიდან, ნარეკვაკვიდან და თარიღდება ძვ.წ. VIII-VII სს-ით [2, გვ. 368-370]. მ. პოვრეხოვა ანალოგიურ ბრინჯაოსტარიან რკინის იარაღს „ურარტული ტიპის“ მახვილებად მოიხსენიებს, თუმც კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მახვილების სიმრავლისა და მრავალფეროვნების გამო თვლის, რომ ეს იარაღი ადგილობრივ იწარმოებოდა ურარტული ტრადიციების გათვალისწინებით. იგი ბრინჯაოს გარსაკრავიანი ტარით შემკულ მახვილებს ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით ათარიღებს [17, გვ. 48-58].

ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ II ქრონოლოგიურ ჯგუფში შემავალ კომპლექსებში თითქმის ერთგვაროვანი თიხის ჭურჭელია (ტაბ. II, III); განსაკუთრებით ეს ითქმის დოქების შესახებ. გარდა ამისა, № 7 და № 8 სამარხებში აღმოჩენილი ჯამები (ტაბ. III<sub>8,12</sub>) ფორმითა და კეცის შეფერილობით უფრო მოგვიანო ხანისათვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, № 8 სამარხში აღმოჩენილ ჯამს (ტაბ. III<sub>11</sub>) ზუსტი პარალელები მოეძებნება ღრმანხვისთავის სამა-

როვანზე, რომელიც თარიღდება რკინის ფართო ათვისების ხანით – ძვ.წ. VII-VI სს-ით [3ა, ტაბ. XII<sub>154</sub>; ტაბ. XIII<sub>162</sub>; XIV<sub>190-191</sub>]. ამიტომ ვფიქრობთ, რომ II ქრონოლოგიურ ჯგუფში შემავალი სამარხები შეიძლება დათარიღდეს ძვ.წ. VII-VI სს-ით.

ამრიგად, თელათგორის მახლობლად აღმოჩენილი კომპლექსები იყოფა 2 ძირითად ქრონოლოგიურ ჯგუფად:

I – სამარხები № 2, 3, 6 (ტაბ. I<sub>1-14</sub>) თარიღდება ძვ.წ. XIII-XII სს-ით.

II – სამარხები № 1, 4, 5, 7, 8, 9 (ტაბ. II<sub>1-13</sub>; III<sub>1-13</sub>) თარიღდება ძვ.წ. VII-VI სს-ით.

## M. Kvachadze

### PIT-BURIALS NEAR THE VILLAGE OF TELATGORI

#### Summary

Nine pit-burials were discovered to the southwest of the central hill, under a cultural layer belonging to the settlement of the Hellenistic period multilayered site “Sapuzrebi” near the village of Telatgori (Kaspi district) some 40 km westward of Tbilisi, in the historical province of Shida (Inner) Kartli.

Two chronological groups are distinguished in the burial complexes:

I – burials № 2, 3, 6 (Pl. I<sub>1-14</sub>) – 13<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cent. B.C.

II – burials № 1, 4, 5, 7, 8, 9 (Pl. II<sub>1-13</sub>; Pl. III<sub>1-13</sub>) – 7<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cent. B.C.

The first group, comprising complexes containing daggers with leaf-shaped blades, is included in the area of spread of Samtavro culture, dating from the Late Bronze Age.

The second group belongs to the last stage of the period marked by broad mastery of iron.

#### ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, ტ. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 115-139.

2. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ, ტ. XXII-B, 1961, გვ. 291-377.

3. აბრამიშვილი რ., ვიგუაშვილი ნ., კახიანი კ., ოქროპირიძე ნ., სულთანაშვილი ი. თრელის სამაროვნის ძვ.წ. XIII-XII სს-ის სამარხები. – თბილისი. არქეოლოგიური ძეგლები. I, თბ., 1978. გვ. 86-159.

3ა. აბრამიშვილი რ., ვიგუაშვილი ნ., კახიანი კ. ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1980.

4. აბრამიშვილი რ. ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები. – თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი № 1, 1997.

5. აფაქიძე ა., აბდუშელიშვილი მ. და სხვ. მცხეთა – 1977 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – მცხეთა, ტ. V, თბ., 1981. გვ. 119-152.

6. აფაქიძე ა., აბდუშელიშვილი მ. და სხვ. მცხეთა – 1978 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – მცხეთა, ტ. V, თბ., 1981, გვ. 153-169.

7. ბარამიძე მ. კასპის სამაროვანი. – მსკა, ტ. 4, გვ. 31-65.

8. კვიციანიშვილი რ. თელათგორის ნაქალაქარი. – მმ, № 1, 1990, გვ. 40-45.

9. ლომთათიძე გ. ბრინჯაოს სატევარ-მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. თბ., 1974.

10. მენაბდე მ., დავლიანიძე ც. თრიალეთის სამაროვნები. კატალოგი, ტ. I. თბ., 1968.

11. მენაბდე მ., კილურაძე თ. სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1981.

12. მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ., 1978.

13. ნიორაძე გ. დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება. – სსმმ, ტ. XIV-B, 1947, გვ. 1-56.

14. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.). თბ., 1973.

15. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, т. I. Тб., 1941.

16. Пицхелаури К. Н. Восточная Грузия в конце бронзового века. Тб., 1979.

17. Погребова М. А. Закавказье и его связи с Передней Азией в скифское время. М., 1984.

#### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1-7. სამარხი № 3; 8-10. სამარხი 2; 11-14. სამარხი № 6.

ტაბ. II – 1-5. სამარხი № 1; 6-10. სამარხი № 9; 11-13. სამარხი № 4.

ტაბ. III – 1-4. სამარხი № 5; 5-8. სამარხი № 7; 9-13. სამარხი № 8.




#### Description of the plates

Pl. I. – 1-7. burial № 3; 8-10. burial № 2; 11-14. burial № 6




Pl. II. – 1-5. burial № 1; 6-10. burial № 9; 11-13. burial № 4

Pl. III. – 1-4. burial № 5; 5-8. burial № 7; 9-13. burial № 8


ტაბ. I



ჭაბ. II



ტაბ. III





პიღვ მართლ კოლხური და ყოზანური კულტურების ურთიერთობის საკითხისათვის

კუძღვნი ჩემი მეგობრის  
ო. ლორთქიფანიძის ნათელ ხსოვნას

ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, რომ ყოზანის სამაროვნის აღმოჩენამ 1869 წელს საფუძველი დაუდო სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინის – „ყოზანური“ ცულის და შესაბამისად „ყოზანური“ კულტურის დამკვიდრებას [6, გვ. 23]. ცოტა მოგვიანებით მ. ივაშჩენკომ აღნიშნული კულტურის ცენტრად კოლხეთი გამოაცხადა [21, გვ. 111]. ამის საფუძველი იყო კოლხეთში ყოზანისათვის დამახასიათებელი ნივთების დიდი რიცხოვრები უმრავლესობით დადასტურება. მ. ივაშჩენკოს მიერ კოლხეთში გამოვლენილი კულტურის ეთნიზაციის პირველი ცდები ეკუთვნით ლ. მუსხელიშვილსა [3, გვ. 12] და ი. მეშჩანინოვს [9, გვ. 246]. ამ კულტურას მათ კოლხური უწოდეს, დაუკავშირეს რა ისტორიულ კოლხეთს. კოლხური კულტურის გენეზისისა და ეთნოპრობლემების კვლევამ სავსებით გაამართლა ეს ტერმინი. ტერმინი „ყოზანური“ კი დარჩა სუფთა გეოგრაფიულ, პირობით სახელწოდებად, რადგან ჯერჯერობით არ არის ცნობილი რამდენადმე წარმატებული ცდა მისი ეთნიკური ატრიბუციისა [6, გვ. 23].

კოლხური და ყოზანური კულტურების ურთიერთობის მიმართ არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოიკვეთა სამი მოსაზრება: პირველი, რომ ყოზანური კულტურის ცენტრი კოლხეთშია (მ. ივაშჩენკო, ლ. მუსხელიშვილი, ი. მეშჩანინოვი, ა. იესენი, ალ. კალანდაძე); მეორე, რომ კოლხური და ყოზანური კულტურები ერთგვაროვანია (ბ. კუფტინი, ი. ვორონოვი) და მესამე, რომ კოლხური და ყოზანური კულტურები სხვადასხვა კულტურებია, მაგრამ მჭიდროდ დაკავშირებული ერთმანეთთან (ო. ჯაფარიძე, ე. კრუპნოვი, დ. ქორიძე, ბ. ტეხოვი, გ. გობეჯიშვილი, თ. მიქელაძე, ვ. კოზენკოვა და სხვ.).

ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ეს კულტურები ცალკეული კულტურებია, მაგრამ ჩვენი დაკვირვება პერიოდულად სამივე მოსაზრების მარცვლებს მოიცავს. ეს კულტურები ადგილობრივი მოვლენებია, რადგან გარკვეული თავისებურებები ახასიათებთ, თუმცა ნაწილია საერთო კავკასიური ბრინჯაოს კულტურისა, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულ მიმართებაშია წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვის აუზის კულტურებისადმი.

კოლხური და ყოზანური კულტურები, ისე როგორც ყველა არქეოლოგიური კულტურა, მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია დროით, ტერიტორიული გავრცელებით, ხასიათდება კომპაქტურობით, ერთგვაროვანი, მხოლოდ მისთვის

დამახასიათებელი ძეგლებით. ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს კულტურა.

კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურას ძვ.წ. XV-VII საუკუნეებით ათარიღებენ, რისი საფუძველიცაა აღმოსავლეთ საქართველოს კარგად სტრატოციფირებული და დათარიღებული კოლხური ინვენტარის შემცველი კომპლექსები (ურბნისის № 219 სამარხი, ბეშთაშენის № 11 სამარხი, სამთავროს № 208, 121, 260 სამარხები და სხვა) და განძები (ურეკის, მახოს, ლიხნის და სხვა). გათვალისწინებულია კოლხური ძეგლების გარკვეული ქრონოლოგიური შესატყვისობაც მცირე აზიის ძეგლებთან [17, გვ. 48]. კერამიკის განვითარების თ. მიქელაძის მიერ გამოყოფილი ქრონოლოგიური მიჯნები დაემთხვა კოლხეთის ლითონის ინდუსტრიის განვითარების სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ მიჯნებს, და ამას მართლაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ კოლხური კულტურის შემდგომი კვლევისათვის და ქრონოლოგიისათვის. თ. მიქელაძე ძველ კოლხურში ორ ქრონოლოგიურ ეტაპს გამოყოფს: ძვ.წ. XV-X სს. და ძვ.წ. X-VII სს. [17, გვ. 47-51]. მიუხედავად ბოლო ხანებში დაგროვილი უამრავი არქეოლოგიური მასალისა (მხედველობაშია ნამოსახლარები, სამაროვნები, განძები და სხვ.), კოლხური კულტურის, განსაკუთრებით ლითონის ნაწარმის ქრონოლოგიური დიფერენცირება მაინც პრობლემატურია მასალის ცალმხრივობისა და უკმარისობის გამო. ასე მაგალითად, გვაქვს სტრატოციფირებული ძეგლები: ნოსირი, ფიჩორი, დიხაგუძუბა, ნაოხვაძუ და სხვა, სადაც არ გვაქვს ლითონის ნაწარმი. ე.ი. გვაქვს ნამოსახლარები და განძები ორივე ეტაპისა და სამაროვნები ძვ.წ. VIII-VII-VI საუკუნეებისა (ნიგვზიანი, ურეკი, ერგეტა, მუხურჩა და სხვ.) და არა ჩანს სამაროვნები პირველი ეტაპისა და მეორის დასაწყისისა, რომლებიც შეავსებდნენ არსებულ ქრონოლოგიურ ხარვეზს. ე.ი. არ ვიცით სად და როგორ იმარხებოდნენ პირველი ეტაპის ნამოსახლარების მოსახლენი.

ყოზანური კულტურის დათარიღებაც არაერთმა მკვლევარმა სცადა. თარიღი მერყეობდა ძვ.წ. XX საუკუნიდან ძვ.წ. IV საუკუნემდე [14, გვ. 9]. ბოლო ხანებში შეიმჩნევა ყოზანური კულტურის დაძველების ტენდენცია. ვ. კოზენკოვა, რომელიც სპეციალურად იკვლევს ყოზანურ კულტურას, გავრცელების თვალსაზრისით გა-

მოყოფს სამ ვარიანტს: ცენტრალურს (ჩრდილო ოსეთი), დასავლურს (ყაბარდო-ბალყარეთი) და აღმოსავლურს (ჩეჩნეთ-ინგუშეთი). ქრონოლოგიური თვალსაზრისით გამოყოფს ოთხ პერიოდს: 1. პროტოყობანურს (ყობანი I) – ძვ.წ. XIV და ძვ.წ. XII საუკუნის პირველი ნახევარი. 2. ადრეყობანურს (ყობანი II) – ძვ.წ. XII საუკუნის შუა ხანები და ძვ.წ. X საუკუნის დასაწყისი. 3. კლასიკურ ყობანურს (ყობანი III) – ძვ.წ. VII საუკუნის დასაწყისი. 4. გვიანყობანურს (ყობანი IV) – ძვ.წ. VII საუკუნის შუა და ძვ.წ. IV დასაწყისი [14, გვ. 89]. ე.ი. მცდელობა პროტოყობანურის გამოყოფისა ვ. კოზენკოვას ეკუთვნის. ამ ჯგუფში იგი აერთიანებს მასალებს ბეახნი-კუპის, ზედა რუთხის, გალიათის, კუმბულთის და სხვა. თვლის, რომ ცხინვალის ნაცარგორასა და სტირფაზის კრომლებთან ერთად ეს ჯგუფი ერთიანი კულტურული მოვლენაა, რომელიც თარიღდება ძვ.წ. XIV საუკუნით და ძვ.წ. XII საუკუნის პირველი ნახევარით. მაგრამ გენეტიკური კავშირი პროტოყობანურსა და ადრეყობანურს შორის არა ჩანს. ეს უფრო ქრონოლოგიური თანმიმდევრობაა იმ ჯგუფთან მიმართებაში, რომელიც არსებითად სამხრეთ და ჩრდილო კავკასიური იმპულსების შედეგია. მაგრამ ვ. კოზენკოვა თვითონაც კრიტიკულად არის განწყობილი ამ თეზის მიმართ, რადგან თვლის, რომ მასალა ეპიზოდური და სინკრეტულია [14, გვ. 111]. მაშინ მით უმეტეს გაუგებარია პროტოყობანურში კიდევ ორი ეტაპის გამოყოფა. ვ. კოზენკოვას აზრით, პროტოყობანურს მაინც აქვს ტერიტორია და ქრონოლოგია, და მისი ფორმირება იკვეთება თლირაჭა-დიგორის სამკუთხედში [14, გვ. 118]. ეს მოსაზრება, ალბათ, მართებულია, მაგრამ აქ არ ჩანს ის მემკვიდრეობითობა, რაც აკავშირებს კოლხურ საბრძოლო და სამეურნეო იარაღს, როგორც წინამორბედ, ასევე მომდევნო კულტურასთან.

ამ გარემოებას კარგად ეხმიანება 1998 წელს კავკასიის არქეოლოგიურ კონფერენციაზე წაკითხული ვ. როსტუნოვისა და მ. სიკორსკის მოხსენება. საქმე ისაა, რომ მათი პალეონოლოგიური და რადიონახშირბადის ანალიზები ნიადაგისა და დასტურებენ, რომ ჩრდ. ოსეთის მთისწინა ზოლის დასახლება უნდა მომხდარიყო ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედში–შუა წლებში, რომ ყორღანული სამარხების 94% მოდის ჩრდ. ოსეთის სამხრეთ ნაწილზე – ვლადიკავკაზ-არხონსკაია-დიგორის ხაზზე [18, გვ. 106-108]. ე.ი. მოსახლეობა აქ მოვიდა და თან მოიტანა თავისი ნაწარმი. ამიტომ, ალბათ, გასაგებია თლირაჭა-სტირფაზული მასალების გამოჩენა დიგორში და ჩრდილოური იმპულსებისაც. ჩვენი აზრით, შემდეგ ქრონოლოგიური წყვეტილია ძვ.წ. XI საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით ძვ.წ. X საუკუნიდან თავს იჩენს ყობანური მასალის საოცარი (ა. იესენი) მსგავსება კოლხურთან.

ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს მხარი დაეუჭიროთ მოსაზრებას, რომ ყობანის სამაროვანი მთაში და მთის წინა ზოლში მოსახლე კოლხური ტომების ერთი ნაწილის მიგრაციის შედეგია [2, გვ. 3; 17, გვ. 75-76]. ეთნიკურმა ინფილტრაციამ და ძეგლთა შემდგომმა რადიაციამ ყოველი მხრიდან და განსაკუთრებით სამხრეთიდან, როგორც ჩანს, დიდი გავლენა იქონია ყობანური კულტურის ჩამოყალიბებაზე და ნაწილობრივ განაპირობა კიდევ მისი ძლიერ გამოხატული კოლხური ელფერი. ამიტომ არამართებულია ყობანის ყველა ძეგლის – ცულეების, ბრტყელი ცულეების, შუბისპირების, ლითონის ჭურჭლის და რიგი სამკაულის, ყობანურად გამოცხადება.

კოლხური და ყობანური ძეგლების ტიპოლოგიურმა კვლევამ ნათელი მოჰფინა წინათქმულს.

ცულეების ტიპოლოგიური კვლევისას არსებითად მივიჩნიეთ ცულეების მორფოლოგიურ ნიშანთა ერთგვარობა – ტანის ექვსად დაწახნაგება, წვეტიან-ოვალური ხვრელი და შემკულობა, რაც კოლხურ ცულეებს ერთმანეთთან აკავშირებს და ერთი ქუდის ქვეშ აქცევს. ნიშანდობლივია აგრეთვე ტექნიკურ საშუალებათა – ჩამოსხმა, გრავირება – ერთგვაროვნებაც. ცულეების ტიპოლოგიურმა და ქრონოლოგიურმა მონაცვლეობამ ნათლად დაგვანახა, რომ კოლხური ცულის ექვსივე ვარიანტი (თავისი ვარიაციებით) კოლხურ სამყაროშია შექმნილი. რადგან სწორედ აქ დასტურდება მისი, როგორც უშუალო, ასევე შორეული პროტოტიპები და შესაბამისად მხოლოდ აქ იკითხება მისი გენეტიკური და ევოლუციური განვითარების გზა. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ კოლხეთში დადასტურებულია ცულეების ჩამოსახმელი ყალიბების (თელოვანი, თავილონი, ჭუბურხინჯი, ნიგვზიანი, საბაჟო, ნამჭედური და სხვა) აღმოჩენა. საინტერესოა კოლხური ცულის ფორმის რკინის ცულეებში გარდასახვა, რაც არანაკლები მნიშვნელობისაა ტრადიციის სიმყარის თვალსაზრისით [7, გვ. 34-39].

ყოველივე აღნიშნულის გამო, სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია კოლხური ცულის IV ტიპის (ტანმრუდი) გამოცხადება ყობანურად და II ტიპისა – არატიპიურად. ორივე ამ ტიპის ცულის ყუა და პირი იდენტურია. განსხვავებაა ტანის სიმრუდეში. თუ გავითვალისწინებთ ტანმრუდობის უძველეს ტრადიციას ქვიშარის, ბრილის, სვანეთისა და სხვა ყუამილიანი ცულეების სახით, მაშინ ეს მორფოლოგიური სიახლე არც ისე უცხოდ მოგვეჩვენება. მით უმეტეს, რომ აფხაზეთისა და ლეჩხუმის მასალებში არის ცულეები, რომლებიც მიდრეკილია ტანის სიმრუდისაკენ. ვ. კოზენკოვა თვლის, რომ ტანში ორგზის მოხრილი ცული ჩამოყალიბებული უნდა იყოს ბეახნი-კუპის ცულისა და ზილგის ყალიბში ჩამოსხმული ცულეებიდან [14, გვ. 54]. მაგრამ ზილგის ყალიბში ჩამოსხმული ცულის ფორმა უფრო ყუბანისპირულსა ჰგავს. რაც შე-

ენება ბეახნი-კუპის ცულს, აქ ცდუნება დიდა, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევაა.

დასკვნა შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს. როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული არქეოლოგების მიერ, ბრინჯაოს აღნიშნული ცულების სამშობლო კოლხური სამყაროა, და სადაც არ უნდა აღმოჩნდეს იგი (თუნდაც ადგილობრივ დამზადდეს), ყველგან კოლხური იქნება, ისევე როგორც სკვითური ისრისპირა ყველგან სკვითური.

მეურნეობასთან დაკავშირებული იარაღი კარგად ესადაგება მეურნეობის დარგობრივ პროცესებს, ამავე დროს ასახავს განვითარების დონეს და წარმომავლობას.

არსებითი განსხვავებაა მოწათმოქმედებასთან დაკავშირებულ იარაღებში. მაშინ როცა კოლხეთში მიწის მეურნეობის მთელი სისტემა იყო შექმნილი და ბუმი იყო მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღისა (ცული, ხვეწი, ნაირსახოვანი თოხები, სახვნელები, ნამგლები და ბოლოს რკინის სახნისები), ყობანურში ამ მხრივ მეტად დაბალი დონე ჩანს განვითარებისა. ცხადია, გარკვეულ წილად ეს აიხსნება ეკოლოგიური პირობებით, მაგრამ იქაური მთის წინა ზოლიც წარმოდგენილია ამ მხრივ მეტად ძუნწად – ხუთიოდე თოხი, კაჟის ნამგლის ჩასართები, ყუნწიანი ნამგლები, ხელსაფქვაკები და სასრეს-სანაყები. ჩამოთვლილი შრომის იარაღი ასევე დამახასიათებელია კოლხური კულტურისთვისაც. ვ. კოზენკოვაც კი აღნიშნავს, რომ ყობანურში თოხების გაჩენა კოლხურ კულტურასთან ურთიერთობის შედეგია [15, გვ. 17]. მეურნეობის წამყვანი დარგი ყობანურში, როგორც ჩანს მესაქონლეობა იყო, რასაც ჩვენი აზრით, ადასტურებს უამრავი ბრინჯაოსა და რკინის დანების აღმოჩენა ყობანური კულტურის გავრცელების სფეროში და უამრავი ოსტეოლოგიური ნაშთები. ყუნწიანი ნამგლები იხმარებოდა, როგორც ცელისებური მოქმედების იარაღები, რომლებითაც ბალახს ცელავდნენ და საქონლისათვის ზამთრის მარაგს ამზადებდნენ. ხორბლეულის ნაკლებობას კი შეიძლება კოლხეთიდან შემოტანილი მარცვლეულით ივსებდნენ [8, გვ. 41-42].

ხითხურობის დარგშიც კოლხეთში გარკვეული სისტემა არსებობდა. ამ დარგის იარაღიც მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. იყო ცულები, ბრტყელი ცულები, ცულსაკაფი, სატეხები, ხელეჩოები, ღორეჩოები, ხვეწები. ყობანურშიც დამოწმებულია ცულები, ბრტყელი ცულები და სატეხები, მაგრამ მას არ ახასიათებს ის მრავალფეროვნება, რაც კოლხური კულტურის ამ დარგისათვისაა დამახასიათებელი. კოლხური ბრტყელი ცულების ტიპოლოგიურმა და ქრონოლოგიურმა კვლევამ, საფუძველი მოგვცა ვარაუდისათვის, რომ იარაღის ამ ფორმამ კოლხეთის საშუალებით შეაღწია ყობანურ კულტურაში. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა ყობანში დადასტურებული ვ. კოზენკოვას მიერ III ტიპად

გამოყოფილი [15, გვ. 13, ტაბ. II<sub>6-7</sub>] ბრტყელი ცულების მსგავსება აჭარა-გურია-იმერეთში აღმოჩენილ ბრტყელ ცულებთან [8, გვ. 42-53].

ლითონის ჭურჭლის წარმოებას ჩვენ არაერთხელ შევეხეთ. კოლხურ და ყობანურ კულტურებში დადასტურებულია ლითონის შემდეგი ჭურჭელი – ჯამები, თასები, ტოლჩები, ქვაბქოთნები და ვაზები, რომლებიც რაოდენობრივი თვალსაზრისით აშკარა უპირატესობით არის წარმოდგენილი კოლხურ კულტურაში. ჭურჭელთა ტიპოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული ფორმები (განსაკუთრებით ქვაბები და ტოლჩები ზომორფული ყურებით) გენეტიკურად უშუალო კავშირშია ადგილობრივ კერამიკულ ფორმებთან და დეკორთან. გავიხსენოთ ნაოხვამუს, ნოსირის III-II ფენების კერამიკა, დიხა-გუძუბას ვაზა. ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბრინჯაოს ჭურჭელთა გენეტიკური კავშირი ადგილობრივ კოლხურ კერამიკულ ფორმებთან, მტკიცე საფუძველია მათი კოლხურობის სამტკიცებლად. ფორმა, განსაკუთრებით ზომორფული ყურები, ყობანში ვერ შეიქმნებოდა, რადგან იქ ამის საფუძველი არ არსებობდა. ქართველი არქეოლოგები ითვალისწინებენ რა ე.წ. სიტულათა და ტოლჩების მსგავსებას კოლხურ კერამიკულ ფორმებთან და დეკორის ადრეულობას და შემდგომ თანადროულობასაც, მხარს უჭერენ მოსაზრებას მათი ადგილობრივი, კოლხური წარმომავლობის შესახებ, რაც სავსებით მართებულია [8, გვ. 43].

სატევრების ტიპოლოგიურმა კვლევამ შემდეგი სურათი გვიჩვენა: კოლხური და ყობანური კულტურების არეალში ბრინჯაოს 500-ზე მეტი სატევარია დადასტურებული. ყველაზე ადრეული ე.წ. ფოთლისებური სატევრების ასაკი შიდა ქართლში ძვ.წ. XIV-XIII სს. განისაზღვრება. აქედან უნდა გავრცელებულიყო ისინი კოლხეთში და ყობანში. სადაც მათი შეღწევა ძვ.წ. XIII საუკუნეზე ადრეულ ხანაში არ ჩანს. ამ ეტაპს უკავშირდება ე.წ. „წინააზიური“ სატევარ-მახვილების გაჩენა, რომლებიც ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში კოლხეთში დამოუკიდებელ-ადგილობრივ ფორმად ყალიბდება.

ადრეულ ეტაპზე გავრცელებული სამკუთხა ფორმის ყუნწიანი სატევრები წარმოადგენენ პროტოტიპებს კოლხური კულტურის მრავალრიცხოვანი გრძელყუნწიანი, მოგრძო სატევრებისას, რომელთა გამოჩენა ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის იწყება. ყობანში ამ ტიპის იარაღი ძვ.წ. VIII ს. ადრეულ კომპლექსებში არ ჩანს. აშკარაა, რომ ისინი სწორედ კოლხეთიდან არის ყობანში შემოსული. რაც შეეხება წეროვან-ნარეკავის ტიპის ბრინჯაოს ტარიან სატევრებს ისინი დამახასიათებელია ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურისათვის და აქედან არის გავრცელებული ყობანში. მცდარი ჩანს ამ ფორმის დაკავშირება კარპატო-დუნაისპირეთის სატევრებთან. ძვ.წ. VIII საუკუნის კოლხურ კულტურაში ჩნდება მთლიანადსხმუ-

ლი სატევრები. რკინის სატევრებიც ამ პერიოდთან ჩნდება და იმეორებს ბრინჯაოს სატევრების ფორმას. ანალოგიური პროცესი ჩანს ყობანშიც და ეს პროცესი თითქმის სინქრონულია. გარკვეულ ყურადღებას იპყრობს ბრტყელი სოკოსებრთავიანი, მთლიანადსხმული სატევრები, რომლებიც დამახასიათებელია ყობანური კულტურისათვის და არ ჩანს კოლხეთში.

საქართველოში, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გავრცელებულ შუბისპირთა შესწავლისას ჩვენ ოთხი ძირითადი ტიპი გამოვყავით: I. ფრთისებური (ვიწროპირიანი), II. ფოთლისებური, III. ალისებურპირიანი და IV. სამკუთხაპირიანი, და მოვხაზეთ მათი გავრცელების საზღვრები [5, გვ. 88]; რ. პაპუაშვილმა სრულიად მართებულად დაუმატა მეხუთე ტიპი – სატევრისებური [4, გვ. 11]. ნიშანდობლივია, რომ ალისებურპირიანი შუბისპირების უმეტესობა კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი დეკორითა და მხატვრული სიუჟეტებითაა შემკული [10, გვ. 71-75]. ყობანისათვის სრულიად უცნობია ალისებურპირიანი შუბისპირი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ შუბისპირს, რომელიც დაცულია ერმიტაჟში და ნაყილია ნალჩიკის ბაზარზე, სადაც ნივთი ყოველი მხრიდან შეიძლება მოხვდეს. აღნიშნულ გარემოებათა გამო, სრულიად სამართლიანად, ალისებურპირიანი შუბისპირები კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ იარაღად მიაჩნიათ. ჩვენი აზრით, ყობანში ძირითადად დადასტურებულია ფოთლისებური ტიპი თავისი ვარიაციებით. ე. კრუპნოვი და ვ. კოზენკოვაც თვლიან, რომ შუბისპირები არ არის დამახასიათებელი მეტროპოლიისათვის [14, გვ. 59], ხოლო ე. კრუპნოვი ფიქრობდა, რომ საწყისი მათი უნდა ვეძიოთ ამიერკავკასიაში ან დასავლეთ საქართველოში [16, გვ. 100].

კოლხური და ყობანური კერამიკის ტიპოლოგიურმა კვლევამ მ. ბარამიძე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ყობანურ კერამიკაში არის მთელი პლასტი თიხის ნაწარმისა, რომელიც ძირითადად ორნამენტით, იშვიათად კი ფორმებით, მჭიდროდაა დაკავშირებული კოლხურ გარემოსთან და შესაძლებელია სამხრეთული ტალღის გავლენის შედეგად იყოს ყობანში გაჩენილი. მისი აზრით, ეს რამდენიმეგზის ხდება: ერთი ტალღა ადრერკინჯაოს ხანაზე მოდის, მეორე ტალღა – ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანაზე, მესამე ტალღა კი – ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისთან არის დაკავშირებული [1, გვ. 40].

მაგრამ ყობანური კერამიკა მაინც თავისებურია. იგი უხეშია, ხელით ნამერწი. შესამჩნევია ფორმათა სიმცირე. ყობანურ კერამიკაში შეინიშნება ისეთი ორნამენტული სახეები, რომლებიც აშკარად ადგილობრივია. ეს არის რელიეფური ნამერწები – სვასტიკა ან მისი მოდიფიკაცია, გადმობრუნებული ღუნა, ცხოველთა გამოსახულებები, რელიეფური ბურთულები,

ნუშისებური დანამერწები და სხვ. ასევე უცხოა კოლხურისათვის ჭადრაკული დეკორი, სპირალისებური ხვია, წამწამისებური ორნამენტი, სამკუთხედებისა და ოვალური რგოლების კომბინაცია და სხვ. ყობანისათვისაა დამახასიათებელი კერამიკის თეთრი პასტით ინკრუსტაცია. ამრიგად არის კოლხური დეკორის გავლენაც და საკმაო ორიგინალობაც.

სამკაულის ტიპოლოგიურმა კვლევამ დაახლოებით ისეთივე სურათი შექმნა, როგორც კერამიკული ნაწარმის შესწავლამ. არის რიგი სამკაულისა, რომლებიც გაცილებით უფრო ადრე ჩნდებიან კოლხურ სამყაროში, ვიდრე ყობანში. ასეთებად მიგვაჩნია თავხვია და ვოლუტებიანი საკინძები, სწორკუთხა და ნახევარწრივბურთი აბზინდები, ფიბულები, სპირალურბოლოებიანი სამაჯურები, საყელური რგოლები და სხვ. სინქრონულობის შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება რაოდენობას. განსაკუთრებული ორიგინალობით გამოირჩევა საკიდები (ბრინჯაოს, ქვის, ძვლის, ანთიმონის), რომლებიც გადატვირთულია შემკულობით. უნიკალურია აღმოსავლურ ვარიანტში ლუგუვოეს სამაროვანზე დამოწმებული სამკუთხა მასიური ფირფიტა, შემკული რელიეფური სპირალური ორნამენტით. ფირფიტის ერთ კუთხეზე მარყუჟია, რომლითაც მას ფიბულაზე კიდებდნენ. ამ კუთხის მოპირდაპირე გვერდი დახვრეტილია და მასზე ჩამოკიდებულია ბოლოზარაკიანი ჯაჭვები [13, გვ. 60, ტაბ. XXXVII<sub>10-11</sub>]. ასევე უნიკალურია ცენტრალურ ვარიანტში, ლაშკუტას სამაროვანზე (ბაქსანის ხეობა) დამოწმებული ბრინჯაოს სამკერდე სამკაული, რომელიც წარმოადგენს ჯაჭვს. მის რგოლებზე დამაგრებულია წნული ორნამენტით შემკული თხელი სამმარყუჟიანი ღეროები, რომლებზედაც ჰკიდია მსხლისებური მოყვანილობის საკიდები. სამკაულის ბოლოები შემკულია ერთ შემთხვევაში თხის თავით და მეორე შემთხვევაში ქალის ქანდაკებით. სამკაულს ათარიღებენ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის დასაწყისით [11, გვ. 12, ტაბ. 42].

რამდენიმე სიტყვა ლოკალურობის შესახებ. შიდა ქართლის მთიანი ნაწილის ბრინჯაოს ხანის ძეგლებს დიდი ხანია იკვლევს ბ. ტეხოვი. მართალია, იგი ყოველთვის აღნიშნავდა შიდა ქართლის ძეგლთა დიდ მსგავსებას კოლხური კულტურის ძეგლებთან, განსაკუთრებით რაჭალეჩხუმის არქეოლოგიურ ძეგლებთან, მაგრამ, რადგან მსგავსებას უფრო ყობანურ კულტურასთან ხედავდა, ყოველთვის ანვითარებდა აზრს, რომ შიდა ქართლის მთიანი ნაწილი დასახლებული იყო ყობანური კულტურის მატარებელი ტომებით. ბოლოს საქმე იმით გაამარტივა, რომ ცენტრალურ-კავკასიურ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურაში გამოყო ორი ძირითადი ვარიანტი – ჩრდილო და სამხრეთ კავკასიური. სამხრეთ კავკასიურ ვარიანტში გააერთიანა რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და ზემო

იმერეთის მატერიალური ძეგლები. ცენტრალურ-კავკასიური ბრინჯაოს მწარმოებელ ცენტრად, მეტალურგიულ ბაზად სამხრეთული ვარიანტი მიიჩნია, რადგან ფიქრობდა, რომ აქედან გაედინებოდა ძვ.წ. XII-X საუკუნეებში ბრინჯაოს ნაკეთობანი ჩრდილოეთით. კოლხური კულტურა ცენტრალურ-კავკასიური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურის ლოკალურ ვარიანტად მიიჩნია და თავად ცენტრალურ-კავკასიური კულტურა გააიგივა ყობანურ კულტურასთან [19, გვ. 189-192]. ბოლო ხანს გამოქვეყნებულ თავის სტატიაში იგი კვლავ ადასტურებს თავის მოსაზრებას. შემოაქვს ახალი ტერმინი – „ყობანი-თლი“, და კავკასიონის სამხრეთ კალთაზე ყობანი-თლის კულტურაში შეყავს მთელი მთა და მთისწინა ზოლი იალბუზიდან ყაზბეგამდე. ყობანი-თლის კულტურას ყოფს ოთხ პერიოდად [20, გვ. 7], დაახლოებით ისევე როგორც ვ. კოზენკოვა. როგორც ვხედავთ, ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებაში, სადაც ლაპარაკია სამხრეთიდან ბრინჯაოს ნაწარმის გადინებაზე ჩრდილოეთით, რეალობა გარკვეულწილად ასახულია, მაგრამ თუ სად არის ფესვები კავკასიის სამხრეთული ვარიანტისა, სად იკითხება გენეტიკა კულტურისა, ბ. ტეხოვი ამას არ ეხება.

ტიპოლოგიური კვლევა არქეოლოგიური ძეგლებისა სრულიად საპირისპირო შედეგს იძლევა. კავკასიის სამხრეთ კალთებზე მთისა და მთისწინა ზოლში მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები მჭიდრო კავშირშია კოლხურ სამყაროსთან. მაგალითად, ყუამახვილი კოლხური ცულები, რომლებიც უფრო მეტად დადასტურებული იყო კოლხურ სამხრეთში, ჩნდება დიდი რაოდენობით თლიაში (40 ცალი); კოლხურ სამაროვნებზე ჩნდება II და IV ტიპის ცულები, ჩნდება გრაფიკული დეკორი, რომელიც კიდევ უფრო ამყარებს და ერთგვაროვანს ხდის კოლხურ კულტურას, ჩნდება სამეურნეო იარაღი, რომელიც ხელს უწყობს გენეტიკურ მთლიანობას. რაც მთავარია, კოლხური კულტურა ერთი მოდემის, ქართველური ტომების შექმნილი კულტურაა, რასაც ერთგვაროვანი არქეოლოგიური მასალის გარდა ამტკიცებს ტოპონიმის კა, რომელიც შეჭრილია ჩრდილო ოსეთშიც და შიდა ქართლში.

დასკვნის სახით შემიძლია მოგახსენოთ, რომ კოლხური და ყობანური კულტურები სხვადასხვა კულტურებია. განსხვავებაა სამეურნეო და საბრძოლო იარაღში, სამკაულში და კერამიკაში. კოლხური კულტურა გენეტიკურად მთლიანი, ევოლუციურად განვითარებადი მოვლენაა გარკვეული ეთნიკური ატრიბუციით, რასაც ვერ ვიტყვით ყობანურზე. აქ დასახლება ძვ.წ. XV საუკუნეში ჩნდება (ვ. როსტუნოვი, მ. სიკორსკი). ადრეული მასალები, როგორც ვ. კოზენკოვა თვლის, სინკრეტულია და ეს იმპულსაცია შემდგომად გრძელდება. ხდება ეს ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და, რაც მთავარია,

სამხრეთიდან, საიდანაც კოლხურ-იბერიული არხებით იგი წინა აზიურ სამყაროსაც უკავშირდება.

ჩვენი აზრით, ინოვაციათა სინთეზმა და სინკრეტულობამ და, ცხადია, ადგილობრივმა განვითარებამაც შექმნა ახალი ნაყოფი კულტურისა ყობანურის სახით. კოლხური და ყობანური კულტურის სინკრეტულობა და საოცარი მსგავსება ემთხვევა ძვ.წ. XI/X-VII საუკუნეებს. ასეთი, იგივეობამდე დასული, მსგავსების ახსნა, მხოლოდ მეზობლურ-ეკონომიკური ურთიერთობებით შეუძლებელია. ამიტომ ყობანის და თლიას სამაროვნები გარკვეულ წილად კოლხური ეთნიკური ტომის ინფილტრაციის შედეგია.

ჩვენი ღრმა რწმენით, სადღეისოდ ფაქტობრივად დადასტურებულია იმ არქეოლოგთა მოსაზრებები, რომლებიც მიანიშნებდნენ ან ამტკიცებდნენ დასავლეთ ამიერკავკასიაში მეტალურგიის განვითარებისა და ლითონის დამუშავების ადგილობრივ საწარმოო ტრადიციებისა და მემკვიდრეობის არსებობაზე. ამ მხრივ ნიშანდობლივია ა. იესენის დაკვირვება, რომ ცენტრალური კავკასიის რეგიონში მხოლოდ ცალკეულ მომენტებში შეინიშნება ერთგვარი კავშირი წინამორბედი ხანის ნაწარმის ფორმებთან. ძირითადად კი აქაური ლითონის განვითარებაში საქმე გვაქვს აშკარა წყვეტილთან და ახალი, ადრე უცნობი ფორმებისა და ტექნიკური ხერხების შემოჭრასთან გარედან, უპირატესად დასავლეთ ამიერკავკასიიდან [12, გვ. 80].

ყობანის ტიპის ზემოთ აღნიშნულმა, სრულიად დაუსაბუთებელმა, ხელოვნურად შექმნილმა განცხადებებმა, რომლებიც კოლხური არქეოლოგიური ძეგლების იგნორირებას ეხებოდა, მოგვცა სტიმიული კიდევ ერთხელ შევხებოდით კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობების პრობლემას, რომელიც, ალბათ, კვლავ საკამათო იქნება.

**L. Sakharova**

## **ONCE MORE ON THE RELATIONSHIP OF THE COLCHIAN AND KOBAN CULTURES**

(Summary)

The Colchian and Koban cultures represent two different though closely related cultures. Weapons, tools and implements, pottery, jewellery, every day life mode reveal differences. Unlike the Koban culture, the Colchian one is a phenomenon of a whole culture with traceable inner development and specific ethnic attribution. Koban settlement appears in the 15<sup>th</sup> cent. B.C. (V. Rostunov, M. Sikorski) and the earliest archaeological material, according to V. Kozenkova, proves to be syncretic, revealing

further persisting strong cultural impulses. Innovations apparently penetrated from the North, West, and, primarily, from the South.

In the author's view, synthesis and syncretization of the cultural innovations, along with their application and further development on local ground, resulted in the emergence of a new – Koban – culture. Synchronization and striking similarities of the Colchian and Koban cultures fall to the 11<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cent. B.C., but they cannot be accounted for only by their neighbouring position and economic relations – the fact supports the conjecture that the Koban and Tlia necropoleis reflect the process of infiltration of the Colchian ethnic element.

The author shares assumptions and assertions of those archaeologists who pointed to the existence of local traditions of the mastery of metals and development of metallurgy and continuity in Western Transcaucasia.


## ლიტერატურა

- 1. ბარამიძე მ.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998.
- 2. კალანდაძე ალ.** სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი, 1954.
- 3. მუსხელიშვილი ღ.** 1933 წლის მუშაობის ანგარიში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები. ლ. მუსხელიშვილის არქივი № 27.
- 4. პაპუაშვილი რ.** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხ ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის საბრძოლო იარაღის მიხედვით. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998.
- 5. სახაროვა ღ.** უძველესი საბრძოლო იარაღის ისტორიისათვის. – მაცნე, № 3, 1973, გვ. 82-94.
- 6. სახაროვა ღ.** კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხისათვის. – „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“. სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1993, გვ. 23-24.
- 7. სახაროვა ღ.** კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ. – ძიებანი, № 1, 1998, გვ. 34-39.
- 8. სახაროვა ღ.** შრომის იარაღი კოლხურ და ყობანურ კულტურებში. – ძიებანი, № 9, 2002, გვ. 41-47.
- 9. უშაკოვა ზ.** საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები. – სსმ, X-B, 1940.
- 10. ფანცხავა ღ.** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბ., 1988.
- 11. Батчаев В. М.** Древности предскифского и скифского периодов. Археологические исследования на новостройках Кабардино-Балкарии. т. 2. Нальчик, 1985.
- 12. Иессен А. А.** Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века. – МИА, № 23, 1951.
- 13. Козенкова В. И.** Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры. Восточный вариант. САИ, выпуск В, 2-5, М. 1982.
- 14. Козенкова В. И.** Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (Узловые проблемы происхождения и развития кобанской культуры). М., 1996.
- 15. Козенкова В. И.** Материальная основа быта кобанских племен. Западный вариант. САИ, выпуск В 2-5, М., 1998
- 16. Крупнов Е. И.** Древняя история Северного Кавказа. М., 1960.
- 17. Микеладзе Т. К.** К археологии Колхиды. Тб., 1990
- 18. Ростунов В. Л., Сикорский М. И.** Природно-климатические условия Северо-Осетинской предгорной равнины и вопросы заселения ее человеком в эпоху голоцена. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998.
- 19. Техов Б. В.** Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э., М., 1977
- 20. Техов Б. В.** Кобано-тлийская археологическая культура. – Донская археология № 3-4, 1999.
- 21. Ivašenko M. M.** Beitrag zur Vorgeschichte Abchasiens. – ESA, VII, Helsinki, 1932, S. 98-111.

## ნინო სულავა

### ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ

ლეჩხუმში (დასავლეთ საქართველოს ჩრდ.-აღმ. ნაწილი), სოფ. ცხეთასთან (მდ. ცხენისწყლის ხეობა) 1971 წელს გათხრილი ნამოსახლარის ერთ-ერთი სათავსოს იატაკის დონეზე აღმოჩნდა ქვის ყალიბის ცალი საგდული. ნასახლარის მასალა, რომელიც ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი, დათარიღებულია ძვ. წ. VIII-V სს-ით [7, გვ. 101-102]. ყალიბი მცირე ზომისაა: სიგრძე – 45 მმ, სიგანე – 30 მმ. მას ნახევარცილინდრის ფორმა აქვს (რადიუსი – 15 მმ); ერთი თავი სწორი აქვს, ხოლო მეორეზე დაბრუნებული ჩაღრმავება აქვს ლითონის ჩასახსმელად. ნახევარცილინდრის ბრტყელ მხარეზე, საპირისპირო კუთხეებში ნახვრეტები აქვს, რომლებიც საგდულების დასამაგრებლად უნდა იყოს განკუთვნილი. ამავე მხარეზე ყალიბს აქვს ექვს-ექვსი ღარი, ალბათ, ზედმეტი ლითონის გამოსადევნად. ყალიბი განკუთვნილია მართკუთხა და სამკუთხა ფორმის ორი თხელი (ალბათ, მილიმეტრზე ნაკლები სისქის), დაფანჯრული ფირფიტის ჩამოსახსმელად. ორივე ფირფიტა შევსებულია მეანდრული სვასტიკის გამოსახულებით. ძეგლის გამთხრელის ლ. სახაროვას აზრით, ფირფიტა გამოიყენებოდა როგორც ორნამენტის დასათანი საშუალება, ან თავად იყო ორნამენტი-ინკრუსტაცია [7, გვ. 101]. ეს უკანასკნელი მოსაზრება მეც მართებულიად მიმაჩნია.



სურ. 1

ჩემი აზრითაც, ყალიბში ჩამოსხმული დაფანჯრული სამკუთხა და ოთხკუთხა ფირფიტები, რომელთა სხვადასხვაგვარად კომბინირებით შეიძლება სხვადასხვა გეომეტრიული ფორმების (რომბი, მართკუთხედი, სამკუთხედედი) მიღება, სწორედ ინკრუსტაციისათვის გამოიყენებოდა. ხოლო ინკრუსტირება კი შესაძლებელი იყო იმ ნივთებისა, რომლებზეც გრავირება შესრულებული იყო ღრმა კვეთით.

როგორც აღვნიშნე, ორივე ფირფიტა (სამკუთხედიც და ოთხკუთხედიც) შევსებულია „მეანდრული სვასტიკის“ გამოსახულებით, ანუ ამ ფირფიტებით მიიღება მეანდრული სვასტიკა თუ „ლაბირინთისებური სახე“. ეს ორნამენტი სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვა მასალის (ქსოვილი, კერამიკა, ლითონის ნაკეთობები) არტეფაქტებზეა დადასტურებული.

ლაბირინთისებური სახით (ეს ტერმინი უფრო მეტად შესაფერისი უნდა იყოს) შემკული ნივთები კავკასიის მასალაშიც არის ცნობილი. მაგამ ჩვენი ინტერესის საგანი, ამ შემთხვევაში, შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ნივთები, რომლებიც შემკულია ღრმა გრავირებით და ინკრუსტირებულია მეანდრული თუ ლაბირინთისებური სახით. ამ ნიშნების მიხედვით ჩვენი ყურადღება შეიძლება მხოლოდ კოლხურ მართკუთხა ფირფიტისებურ აბზინდებზე შევაჩეროთ.

როგორც ცნობილია, აბზინდები მზადდებოდა ცვილის მოღვლით კალიანი ბრინჯაოსაგან [10, გვ. 172; 1, გვ. 60-64]. კალიანი ბრინჯაო კარგად მუშავდება გრავირებით. ამიტომ ამგვარ ლითონზე დატანილი ორნამენტი შესაძლებელი იყო შესრულებულიყო გრავირებით, კვეთითა და ინკრუსტაციით. გრავირება უნდა შესრულებულიყო ბრინჯაოზე უფრო მაგარი, მტკიცე ლითონის იარაღით [ლიტ. იხ: 9, გვ. 27]. ნ. კალანდაძის აზრით, ეს მაღალლევირებული ბრინჯაო ან ფოლადი უნდა ყოფილიყო; უფრო სწორად, ბრინჯაოს აბზინდების ზედაპირი გრავირებულია (განსაკუთრებით ღრმა გრავირების შემთხვევაში) მაღალი სისალის მქონე, ციკჭევით დამუშავებული ბრინჯაოსაგან ან ნაწრთობი ფოლადისაგან დამზადებული საჭრისებით [1, გვ. 60, 64]. ინკრუსტირება ხდებოდა გრავირებულ ზედაპირში რკინის, ბაცი ფერის ბრინჯაოს ან მინისებური პასტის ჩასმით [9, გვ. 33; 2, გვ. 6].

ინკრუსტაციისათვის, როგორც ჩანს, სხვა მასალაც გამოყენებოდა. მაგალითად, ყობანის სამაროვნის ერთი აბზინდა (ლაბირინთისებური სახით შემკული), გამოკვლეული გერმანელი მეცნიერის ჰ. ბორნის მიერ, შემკულია დომეიკიტისაგან ჩამოსხმული საინკრუსტაციო ფირფიტით. დომეიკიტი სპილენძისა და დარიშხანის შემცველი ვერცხლისფერ-ნაცრისფერი მინერალია, რომ-

ლის გამოყენებაც, ფაქტიურად, ერთადერთი შემთხვევაა კავკასიისათვის [21, გვ. 13-15].

ლაბირინთისებური სახით შემკული აბზინდები საქართველოს მასალიდან ცნობილია მთელ რიგ ძეგლებზე: თლიას სამაროვნის 12 კომპლექსში (№№ 16ა, 83, 165, 262 [17], 114, 223, 277, 16ბ, 49, 127, 130, 144 [17; 18]); კოლხეთის სამაროვნებზე – ნიგვზიანი, № 12 სამარხი-ორმო, 1 ცალი [4, გვ. 83, ტაბ. XLVIII<sub>5</sub> (1749)], ერგეტის I სამაროვნის № 4 სამარხი-ორმო, 1 ცალი [6], დღვაბას სამაროვანზე 3 ცალი [5, ტაბ. XXXIX].

აფხაზეთის სამაროვნებიდან ლაბირინთისებური სახით შემკული აბზინდები ცნობილი არ არის. სვასტიკებით შემკული ერთი აბზინდაა აღმოჩენილი წითელი შუქურას № 76 (118) სამარხში [19, გვ. 135]. ანალოგიური აბზინდა, ოლონდ, კიდებზე დამატებით გადაბმული სპირალით შემკული, ცნობილია ზუნდაგის განძიდანაც (მდ. აჭარისწყლის ხეობა) [3, გვ. 74-83].

ამ ორი აბზინდის ანალოგიური უნდა იყოს კ. სამოსზე აღმოჩენილი აბზინდა, რომლის ორნამენტური მინდორი შემკულია რომბებითა და სვასტიკებით [23, ტაბ. 82].

ჩრდილო კავკასიიდან, პ. უვაროვას ნაშრომის მიხედვით, მხოლოდ ერთი აბზინდაა ამ ტიპის ცნობილი, ალბათ ყოვანიდან; მისი შუა ნაწილი შემკულია 6 რომბული სეგმენტით, რომლებიც შევსებულია მეანდრული სვასტიკებით [20, სურ. 48]. ანალოგიური აბზინდები დადასტურებულია ე. შანტრის მიერ გამოქვეყნებულ ჩრდილო კავკასიის მასალებშიც, ყოვანის ნეკროპოლიდან, 3 ცალი [22, ტაბ. IX<sub>2</sub>, IXbis<sub>2</sub>, XI<sub>3</sub>]; სამივე აბზინდა დიდი ზომის და მართკუთხაა; და სამივე შემკულია მეანდრით შევსებული მართკუთხა და სამკუთხა სეგმენტებით. ამგვარად შემკული აბზინდები არ არის ცნობილი ბერლინის წინა და ადრეისტორიის სახელმწიფო მუზეუმის ე.წ. კოსნიერსკას კოლექციიდან, რომელიც ასევე ჩრდილო კავკასიის მასალებს შეიცავს [25]. მართკუთხა ფორმის, მოზრდილი აბზინდები ვ. კოზენკოვას ნაშრომების მიხედვითაც არის ცნობილი, მაგრამ ლაბირინთისებური სახით შემკული არ გვხვდება [13, გვ. 52-54, ტაბ. XXX, XXXI; 14; 15, გვ. 59-61, ტაბ. XIX].

ლეჩხუმში აღმოჩენილ ყალიბში ერთ-ერთი ფირფიტა სამკუთხაა. სწორედ ასეთი სამკუთხედებით არის შემკული 1896 წელს სოფ. ვანში (დას. საქართველო) ე. თაყაიშვილის მიერ შემთხვევით აღმოჩენილი აბზინდა [16, გვ. 9, სურ. 3].

ამგვარად, დღეისათვის არსებული მონაცემებით შეიძლება ვთქვათ, რომ ლაბირინთისებური სახით შემკული მართკუთხა ფორმის აბზინდები უმთავრესად საქართველოს მასალებიდანაა ცნობილი, უფრო სწორად კოლხური კულტურის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი.

რაც შეეხება აღნიშნული ტიპის აბზინდების ქრონოლოგიის საკითხებს, აქ ისევ პრობლემის წინაშე ვდგებით, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილო კავკასიის მასალების შედარებას.

ჩრდილო კავკასიის მასალების დათარიღებისათვის ერთგვარ საყრდენ წერტილად იქცა ზმეისკოეს ნასახლარის „ასიმეტრიული ფიბულა“ (ბრჭყალები ვიხმარეთ, რადგან თვით ძეგლის გამოთხრელების პუბლიკაციაში ეს ნივთი არ არის განსაზღვრული ფიბულად [11, გვ. 28, სურ. 8<sub>4</sub>]), რომელსაც გ. კოსაკის დამოწმებით აკავშირებენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ამავე ტიპის ადრეულ ვარიანტებთან [24, გვ. 97-99. 15, გვ. 92]. გ. კოსაკის აზრით, ამ ფიბულიდან (ზმეისკოეს ფიბულიდან) უნდა იყოს განვითარებული თლიას სამაროვნის ოღნავასიმეტრიულ-რკალიანი ფიბულები, რომელთა ასაკიც მან ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნით განსაზღვრა [25, გვ. 101].

ჩემი აზრით, თლიას ეს ფიბულები ძვ. წ. IX-VIII სს-ის მიჯნით ან VIII ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს [8, გვ. 42], რადგან ამ ფიბულებს ახლავს პირგამოყვანილი, „ალი-სებური“ განიერქედის სატევრები, რომლებიც ანალოგიურია ბრილისა და ჩრდილო კავკასიის (ყაბარდო, კამენომოსტსკი) ძვ. წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული სატევრებისა [ლიტერატურა იხ.: 8, გვ. 42]. აგრეთვე ახლავს კერამიკული ნაწარმი, რომელიც ანალოგიებს პოულობს ფოთი-ენგური-ნოსირისა და ცხეთის ძვ. წ. VIII-VII სს-ით დათარიღებულ კერამიკასთან [8, გვ. 42].

თლიას სამაროვანზე პირველი ფიბულების გაჩენის ხანა აბზინდების გაჩენის ხანას ემთხვევა (ერთადა გვაქვს სამარხებში. [8, გვ. 38]). ოლონდ, უნდა გადავწყვიტოთ ეს ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნა თუ ძვ. წ. VIII საუკუნე.

თუ კომპლექსების მიხედვით ვიმსჯელებთ, ზემო ყოვანში №№ 15-16 სამარხებში (რომლებიც ვ. კოზენკოვას მიხედვით ძვ. წ. XI-X სს-ით არის დათარიღებული [14, სურ. 6, 7, 8]) ჩვენთვის საინტერესო ტიპის აბზინდები (თუმცა არამეანდრისებური სახით) ჩნდება იმ ტიპის ფიბულებთან, რომლებიც თლიას სამარხების მიხედვით ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს [8, ტაბ. I<sub>5,6,7</sub>], ანუ ფიბულების უკვე კარგად ჩამოყალიბებულ და განვითარებულ ტიპთან ერთად. ვ. კოზენკოვა კი, ამ აბზინდებს ქრონოლოგიურად თლიას ადრეულ ფიბულებთან განიხილავს [14, სურ. 35]; თლიას ადრეულ ფიბულებთან და არა ყოვანის ადრეულ ფიბულებთან, იმიტომ რომ ყოვანის სამაროვანზე თლიას მსგავსი ადრეული ფიბულები არა გვაქვს.

რაც შეეხება კონკრეტულ თარიღებს:

თლიას სამაროვნის ლაბირინთისებურსახიანი აბზინდების შემცველი №№ 16ა, 83, 165, 262



სამარხები ბ. ტეხოვის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. XII-X სს-ით [17, გვ. 14-47]. ამ სამარხების ინვენტარი მხოლოდ ბრინჯაოსია; თუ თლიას სამარხის ფიბულებიანი კომპლექსებისათვის და ფიბულების ამა თუ იმ ტიპისათვის ჩემს მიერ შემუშავებული დათარიღება მისაღებაა [8], მაშინ ეს სამარხები ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს [8, გვ. 40-41].

თლიას სამარხის №№ 114, 223, 277 სამარხები ბ. ტეხოვის მიერ დათარიღებულია ძვ. წ. X ს-ის ბოლოთი და IX ს-ით [18, გვ. 7-25], №№ 16ბ, 49, 127, 130, 144 სამარხები კი ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით [18, გვ. 28-51]. ამ კომპლექსების ინვენტარში ცულები ბრინჯაოსია (ე. წ. კოლხური), ხოლო სატევრები – რკინის. სამარხთა ეს ჯგუფი ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს [8, გვ. 39-40]. მხოლოდ ერთ სამარხში – № 16ბ – ცულიც და სატევარიც რკინისაა. ანალოგიური რკინის ცულები აფხაზეთის სამარხების მასალის და ბრილის სამარხების მიხედვით, ძვ.წ. VI ს-ით თარიღდება [12, გვ. 7; 8, გვ. 39].

ტიპოლოგიური თვალსაზრისით ძვ.წ. VIII ს-დან დაწყებული VI ს-მდე მეანდრული სახით შემკული მართკუთხა, მოზრდილი ზომის აბზინდები არ იცვლებიან. თლიაში მხოლოდ ერთი შემთხვევა (№ 49 სამარხი – ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. დასაწყისი) გვაქვს წელშეზნეკილი, პეპლისებური აბზინდის არსებობისა.

კოლხეთის სამარხებიდან ნიგვზიანის № 12 სამარხი-ორმო, აკინაკებითა და სკვითური ისრისპირებით, ძვ.წ. VII-VI სს-ის მიჯნითა აქვს დათარიღებული თ. მიქელაძეს [4, გვ. 91]. ერგეტის II სამარხის № 4 სამარხი-ორმო რ. პაპუაშვილმა ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღა; მისივე სინქრონულად მიიჩნევს ერგეტის I სამარხის № 5 სამარხ-ორმოს [6, გვ. 8-9].

ამგვარად, ლაბირინთისებური სახით შემკული აბზინდები ჩვენი მასალების მიხედვით ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან არსებობენ ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისის ჩათვლით.

ცხეთის ნასახლარზე მოპოვებული მცირე ზომის ქვის ფალიბიც ძვ.წ. VIII-VII სს-ისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან (სიტულის ფორმის კოჭები, ზომორფული ყურები) ერთად არის აღმოჩენილი ნასახლარის იატაკის დონეზე [7, გვ. 102-103].

ანალოგიური დანიშნულების ნივთი კავკასიის მასალებიდან (და არამარტო კავკასიის) დღემდე უცნობია.

**Nino Sulava**

## **ON A SMALL MOULD DISCOVERED IN LECHKHUMI**

(Summary)

One part of a stone mould was found in 1971 on the floor level of a premise in the course of excavations of a settlement site near the village of Tskheta (the Tskhenistsqali river basin) situated in Lechkhumi (north-western region of Western Georgia). Archaeological material obtained at the settlement site is datable to the 8th cent. B.C. The mould has the shape of a semi-cone (dimensions: length - 45mm; width - 30 mm; radius - 15 mm). The mould was designed for casting holed triangular or quadrangular plaques filled afterwards with the so-called "meander swastica" or "labyrinthine" ornament and was used for incrustation (inlaid works).

According to the discoverer, such plaques were used for inlaying rectangular buckles with "labyrinthine" decoration. The majority of buckles bearing this specific ornament, come from the Colchian cultural area (Tlia, Colchian necropoleis, Vani), they are discovered also in the North Caucasus. Articles of an analogous design are generally absent in the Caucasian archaeological materials.

### **ლიტერატურა**

1. **კალანდაძე ნ.** აბზინდათა ტექნიკა-ტიქნოლოგიისათვის, 1999 (ხელნაწერი).
2. **კალანდაძე ნ.** ადრერკინის ხანის კოლხური გრავირებული აბზინდების შესწავლისათვის, 1999 (ხელნაწერი).
3. **კახიძე ა., მამულაძე შ.** ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა. ბათუმი, 2000.
4. **მიქელაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამარხები. თბ., 1985.
5. **პაპუაშვილი რ.** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხ-ორმოს ფარდობითი ქრონოლოგიისათვის საბრძოლო იარაღის მიხედვით. ი. მ. კ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბ., 1998.
6. **პაპუაშვილი რ.** ერგეტის II სამარხი (სამარხი ორმო № 4). – ძმ, № 3 (106), თბ., 1999, გვ. 3-9.
7. **სახაროვა ლ.** ლეჩხუმის 1970-1971 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. – მაცნე, № 3, 1976, გვ. 96-105.

8. **სულაგა ნ.** თლიას სამაროვნის ფიბულე-ბიანი კომპლექსების დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 6, 2000, გვ. 38-45.

9. **ფანცხავა ლ.** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბ., 1988.

10. **Абесадзе Ц. Н., Бахтадзе Р. А., Двали Т. А.** Клад позднебронзовой эпохи из с. Удэ (Южная Грузия). – СА, № 3, 1961, с. 166–178.

11. **Деоник Д. В., Крупнов Е. И.** Змейское поселение кобанской культуры. – Археологические раскопки в районе Змейской Северной Осетии, Орджоникидзе, 1961, с. 11–36.

12. **Квирквелия Г. Т.** Материальная культура Северо–Западной Колхиды в VIII-V вв. до н. э. Автореферат диссерт. на соиск. уч. степ. к.и.н. Тб., 1981.

13. **Козенкова В. И.** Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры (Восточный вариант), САИ, вып. В2-5. М., 1982.

14. **Козенкова В. И.** Культурно–исторические процессы на северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке, М., 1996.

15. **Козенкова В. И.** Материальная основа быта кобанских племен (Западный вариант), САИ, вып. В2-5. М., 1998.

16. **Куфгин Б. А.** Материалы к археологии Колхиды, II. Тб., 1950.

17. **Техов Б. В.** Тлийский могильник, I, Тб., 1980.

18. **Техов Б. В.** Тлийский могильник, II, Тб., 1981.

19. **Трапш М. М.** Труды, 2. Сухуми, 1969.

20. **Уварова П. С.** Материалы археологии Кавказа. СПб., 1900.

21. **Born H.** Meisterwerke kaukasischer Bronzeschmiede, Berlin, 1984.

22. **Chantre Er.** Recherches anthropologiques dans le Caucase, II (Atlas). Paris-Lion, 1886.

24. **Jantzen U.** Dgyptische und orientalische Bronzen aus dem Heraion von Samos. – Samos, Band VIII, Bonn, 1972.

25. **Kossak G.** Tli. Grab 85, Bemdrkungen zum Beginn der skythenzeitlichen Formenkreises im Kaukasus. – BAVA, Band 5, Mьnchen, 1983, S. 89-182.

26. **Motzenbдcker I.** Sammlung Kossnierska. Berlin, 1996.

## სურათის აღწერილობა

სურ. 1 – ყალიბი ლეჩხუმიდან

## Description of the figure

Fig. 1 – Mould from Lechkhumi

## რეგაზ პაპუაშვილი

### ტორფიშუპა ნამოსახლარი ონწყოშიაში

1997 წლის ივლისში ზუგდიდის მკვიდრმა მამუკა მალიჩავამ ერგეტაში საველე სამუშაოებზე მყოფ კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლებს აცნობა, რომ ჭაობში, არხის გაყვანის დროს, ექსკავატორმა ზედაპირზე ამოყარა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ნახშირი და ხის ძელები.

გაირკვა, რომ არხი გაყვანილია კოლხეთის ჭაობთა სისტემის უდიდესი მონაკვეთის, ჭურიათიკორის მასივზე. ჭურიათიკორის მასივის ბუნებრივ საზღვრად მიჩნეულია: ჩრდილოეთით მდ. ენგური, აღმოსავლეთით – სოფ. ხორგის ტყიანი ზოლი, სამხრეთით – მდ. ხობისწყალი, დასავლეთით კი – შავი ზღვა. დაჭაობებული მასივის სიმაღლე ზღვის დონიდან 0-0,5 მეტრია. ფართობი 90 კმ<sup>2</sup>, ჭაობის სიღრმე 1,5 მ აღწევს [5, გვ. 60-61].

მდ. ჭურიას, რომელიც აღნიშნული ჭაობის მასივის ორ – ჩრდილო და სამხრეთ – ნაწილებად ჰყოფს შესართავიდან 2 კმ რადიუსში, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მდ. ბუი, ჩრდილოეთიდან კი მდ. მუხურჯინჯი უერთდება. მდინარეებს: ჭურიას, ბუისა და მუხურჯინჯს შორის მოქცეულ ფართობს (ტაბ. I<sub>1</sub>) მოსახლეობა ონწყოშიას უწოდებს. ონწყოშია მეგრულ ენაზე ისეთ ჭაობს ნიშნავს, სადაც ადამიანი ან ცხოველი არა მარტო ეფლობა, არამედ იძირება კიდევ (განსხვავებით ეწერისაგან, სადაც შეიძლება ჩაეფლო, მაგრამ გადაადგილება მაინც შესაძლებელია).

ონწყოშიაში ჭაობისათვის დამახასიათებელი მცენარეული საფარი ტორფის ფენებზეა აღმოცენებული. ზღვიდან 1,5 კმ აღმოსავლეთით, 1,5 მ სიღრმის ტორფნარის ქვეშ ექსკავატორის ციცხვს ამოჰყვა ნამოსახლარისათვის დამახასიათებელ კულტურულ ფენათა ნაშთი და ამიტომაც აქ აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლს ონწყოშიას ტორფქვეშა ნამოსახლარით მოვიხსენიებთ.

ნამოსახლარზე გათხრები არ ჩატარებულა. ბათქაში, ნახშირი, ხის ძელები, თხილისა და წაბლის ნატეხები, ცხოველთა ძელები და კერამიკა 30 მ სიღრმეზე იყო მიმოფანტული, ექსკავატორის მიერ ამოღებულ გრუნტში.

ძეგლის მასშტაბებზე, სტრატეგრაფიასა და კონკრეტულ მახასიათებლებზე მსჯელობა ჯერჯერობით ნაადრევია. თუმცა ზოგადი მიმოხილვა და მისი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა შესაძლებელია და აუცილებელიც.

ფაქტია, რომ ნამოსახლარი მდებარეობს 1-1,5 მ სიღრმეზე ტორფოვანი ფენის ქვეშ. ძირითადი ნაგებობა ხის ძელებით უნდა ყოფილიყო გამართული. სავარაუდოდ კედლები თიხით უნდა ყო-

ფილიყო შელესილი, რის საფუძველსაც გამომწვარი ბათქაშის ფრაგმენტები იძლევა.

თიხის ჭურჭლის რამდენიმე ათეული ფრაგმენტიდან მხოლოდ სამი ცალი აღმოჩნდა პროფილირებული. ერთ-ერთი მათგანი მოზრდილი პირგადაშლილი ქოთნის ნატეხია. მისი ზედაპირი უხეშია, სადა, კეცი კი – მოყავისფრო (ტაბ. I<sub>4</sub>). ამ ჭურჭლის მხოლოდ კეცი და ზედაპირი იქცევს ყურადღებას, რითაც ის ერგეტის, ანაკლიისა და ფიჩორის ნამოსახლარების პროტოკოლხური პერიოდის ფენებიდან მომდინარე თიხის ნაწარმთან ამჟღავნებს სიახლოვეს. უფრო საყურადღებოა მეორე ჭურჭლის ნატეხი, რომელიც წარმოადგენს ქოთნის პირ-გვერდს; ხასიათდება სწორი გადაშლილი პირითა და გამობერილი კორპუსით. ქოთნის ყელი შემკულია ვერტიკალურად დასმული ფრჩხილის ფორმის ნატეხებით. მხარზე შემორჩენილია წყვილი ძუძუსებრივი გამონახარდი, რომელსაც თავები ჩაჭყლებული აქვს. ამ ჭურჭლის ზედაპირიც უხეშია, გამომწვარია მოყავისფრო (ტაბ. I<sub>2</sub>). მსგავსი შემკულობის ჭურჭელი (მხედველობაში გვაქვს მხრებზე ძუძუსებრივი გამონახარდები) გვხვდება ნამჭედურის ნამოსახლარი ბორცვის VI ფენაში [7, ტაბ. 90<sub>4</sub>, 96<sub>5</sub>, 106<sub>6</sub>] და ერგეტაში მამულების დინა-გუძების IV ფენაში [9, ტაბ. 51<sub>1</sub>; 8, ტაბ. 22<sub>2</sub>]. მესამე პროფილირებული ნატეხი ონწყოშიას ტორფქვეშა ნამოსახლარიდან წარმოადგენს მოზრდილი ქოთნისა თუ დერგის პირ-გვერდს. ჭურჭლის პირი სწორია. კორპუსიდან კი გამოზიდულია ჰორიზონტალური, მრგვალნახვრეტიანი ორფერდა ყური. ყურის არეში კორპუსი შიგნითაა შეხნიქილი. ჭურჭელი უხეშადაა ნაძერწი. კეცი რუხია, თიხა – მინარეგებიანი (ტაბ. I<sub>3</sub>).

ჭურჭელი ამგვარი ყურით, კოლხეთის დაბლობის მრავალ ძეგლზეა დადასტურებული: ერგეტაში – მამულების დინა-გუძების IV ფენაში, ნამჭედურის ნამოსახლარი ბორცვის VI ფენაში [7, ტაბ. 84<sub>7</sub>], ფიჩორის ნამოსახლარი ბორცვის IV ფენაში [4, ტაბ. III<sub>91,94</sub>], ნოხვამუს შუა ფენაში [6, ტაბ. 55<sub>3</sub>] და ანაკლიის დინა-გუძების II ფენაში [6, ტაბ. 66<sub>5-7</sub>]. უკანასკნელ დროს ამგვარი ყურები აღმოჩნდა ყულევშიც, მდ. ხობისწყლის მარჯვენა სანაპიროზე გათხრილი ვრცელი ნამოსახლარის ქვედა ფენებში. უნდა აღინიშნოს, რომ ონწყოშიასა და ყულევში აღმოჩენილ ეგზემპლარებს შემორჩენილი აქვს პირის ნაწილიც, რითაც აშკარად ჩანს, რომ ყური ჰორიზონტალურადაა გამართული ჭურჭლის კორპუსზე, ხოლო ხვრელი ვერტიკალურადაა მიმართული. ზემოთ აღნიშნულ დანარჩენ ძეგლებზე ამგვარი ყურები ილუსტრირებულია,

როგორც ვერტიკალური, ჰორიზონტალურად გამჭოლი ხვრელით.

ნაოხვამუზე, 2 მ სიღრმეზე აღმოჩენილ ამ ტიპის ყურს ბ. კუფტინი მხოლოდ პირობით მიაკუთვნებს მეორე ფენას [6, გვ. 239]. პირობითობა და დაეჭვება იმ გარემოებით უნდა იყოს ნაკარნახევი, რომ ამგვარი ყურების თანმხლები კერამიკის ძირითადი ნაწილი ანაკლიის დიხა-გუშუბაზე უფრო არქაული იერის მატარებელია. ფიჩორში, ნამჭედურზე და ანაკლიაში ასეთი ჭურჭელი გვხვდება ისეთ ფენებში, სადაც ადგილი აქვს პროტოკოლხური და ძველი კოლხური I პერიოდისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმის თანაარსებობას.

ფიჩორის ნამოსახლარის IV ფენა შუადან გვიან ბრინჯაოზე გარდამავალი ხანის ძეგლადაა მიჩნეული და მას ძვ.წ. XVI-XV საუკუნეებით ათარიღებენ [4, გვ. 98, ტაბ. XIV<sub>9</sub>]. ძვ.წ. მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულითაა განსაზღვრული ნამჭედურის VI ფენის თარიღი [7, გვ. 20]. ძვ.წ. მესამე ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. მეორე ათასწლეულის დასაწყისით განსაზღვრავს თ. მიქელაძე ანაკლია II თარიღს [8, გვ. 22]. ზემოთხსენებული ძეგლების მიმართ მიღებული ქრონოლოგიის გათვალისწინებით (უფრო კონკრეტული დათარიღების საფუძველი ამჟამად არც გაგვაჩნია) ონწყომიას ტორფქვეშა ნამოსახლარი წინასწარულად ძვ.წ. მესამე ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლად უნდა მივიჩნიოთ.

ონწყომიას ნამოსახლარისადმი ინტერესს ზრდის ის გარემოებაც, რომ იგი ტორფის 1-1,5 მ ფენის ქვეშაა მოქცეული, მსგავსად ისპანის ცნობილი ნამოსახლარისა ქ. ქობულეთის მახლობლად [7, გვ. 5]. ფიქრობენ, რომ ისპანში ეს დასახლება ახალშავზღვიური ტერასის (დიუნური ზოლის) გაჩენამდე უნდა წარმოქმნილიყო [2, გვ. 11-12; 3, გვ. 10-12]. მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთის მახლობლად ადგილ ჭოლიპაში აღმოჩენილი ნამოსახლარის ნაშთი ტორფის ქვეშ არაა მოქცეული, ის გეოსტრატეგრაფიული თვალსაზრისით მაინც რამდენადმე უკავშირდება ისპანისა და ონწყომიას ნამოსახლარებს. საქმე ისაა, რომ ჭოლიპაში, ექსკავატორის მიერ სადრენაჟო არხის გაჭრის დროს 1 მ სისქის ალუვიური ფენის ქვეშ დაფიქსირდა 0,5 მ სისქის ქვიშის ფენა, რომელიც უშუალოდ იდო კულტურულ ფენაზე. კულტურული ფენიდან ამონაყარში, ისევე როგორც ონწყომიაში, მიმოფანტული იყო ხის ძელების, ნახშირისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ჭოლიპას ნამოსახლარზე გათხრები არ ჩატარებულა.

ნივთიერი მასალის შესწავლის საფუძველზე ჭოლიპას ნამოსახლარს ბ. მურვანიძე წინასწარულად ძვ.წ. მესამე ათასწლეულის შუა ხანებით ათარიღებს და აკავშირებს მას ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლართან, ერთის მხრივ, მე-

ორე მხრივ კი, მტკვარ-არაქსული კულტურის იმპულსებზეც მიანიშნებს [1, გვ. 73-77]. ძვ.წ. მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრითაა განსაზღვრული ისპანის ნამოსახლარის თარიღიც [7, გვ. 5-6; 8, გვ. 20].

ონწყომიაში, ჭოლიპაში და ისპანში სრულმასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელებამდე კატეგორიული დასკვნების გამოტანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, მაგრამ მათი დადასტურება ერთგვარ გეოლოგიურ სიბრტყეში თავისთავად ნიშანდობლივი გარემოებაა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ისიც, რომ ძვ.წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული ნამჭედურის VI ფენაც [7, გვ. 7] და ყულევის უძველესი ფენებიც ზღვის თანამედროვე ზედაპირიდან 1,5-2,5 მ-ით დაბლა მდებარეობენ.

სავარაუდოა, რომ ზემოთ აღნიშნული ძეგლები წარმოადგენენ ნაშთს იმ დასახლებებისა, რომლებიც არსებობდნენ დღევანდელი კოლხეთის ტერიტორიაზე ახალშავზღვიური ტერასის (ზღვისპირა დიუნური ზოლის) წარმოქმნამდე, კოლხეთის დაბლობის დაჭაობებამდე.

## R. Papuashvili

### ONTSQOSHIA – UNDERPEAT SETTLEMENT SITE

(Summary)

Remains characteristic of cultural layers were extracted by excavator bucket in 1997 during the process of digging a channel through the peat-bog to connect the rivers of Churia, Bui and Mukhurjinji (Pl. I) in 1.5 km east of the sea, to the south-west of the village of Ergeta (Zugdidi district).

Cultural layer is attested at the depth of 1.5 m and is covered with peat-bog. It is represented by wooden logs, charcoal, remains of plant fruits, bones of various animals and fragments of pottery.

Archaeological excavations have not been carried out. Pottery, coming from the site (Pl. II, 2-4), bears analogies with ceramic material of the following sites attributed to the end of the 3rd millennium B.C.-first half of the 2nd millennium B.C.: layer II of the Anaklian Dikha-Gudzuba, layer IV of Pichori settlement, layer IV of Dikha-Gudzuba of Mamulias in Ergeta, layer VI of Namcheduri settlement, middle layer of Kvaloni Naokhvamu and lower layers of Qulevi settlement. Taking into consideration the chronological attribution of the above sites (at the moment we have no stable grounds for more precise dating), Ontsqoshia settlement site covered with peat-bog can be preliminarily dated to the end of the 3rd-first half of the 2nd millennia B.C.

From the geostratigraphic point, the Ontsqoshia settlement site is connected with other settlement sites covered with a peat layer and discovered in Ispani, Kobuleti district and Cholipa, Lanchkhuti district, as well as the already cited lower layers of Namcheduri and Qulevi settlements.

It can be conjectured that all these sites along with remains of Ontsqoshia settlement, constituted a group of settlements that had existed on the territory of Kolkheti before emergence of dune settlements of the coastal line and turning into the swamp of Kolkheti lowland.

### ლიტერატურა

1. მურვანიძე ბ. ჭოლიპას ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ნაწარმი (წინასწარი ანალიზი). – გურია I თბ., 1996 გვ. 73-78.
2. ხახუტაიშვილი დ. ქობულეთის „ქვეყანა“. ბათუმი, 1995.
3. ხახუტაიშვილი ნ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში. თბ., 1986.
4. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბ., 1997.
5. Абхазава И. С. Болота. – Колхидская низменность, Москва, 1990, с. 60-62.
6. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, II. Тб., 1950
7. Микеладзе Т. К., Хахутайшвили Д. А. Древнеколхидское поселение Намчедури. Тб., 1985.
8. Микеладзе Т. К. К археологии Колхиды. Тб., 1990.
9. Микеладзе Т. К., Мигдисова Н. П., Папуашвили Р. И., Чубинишвили Н. Т. Колхидская экспедиция. – ПАИ, 1987 (1995), с. 31-39.
10. Микеладзе Т. К., Мигдисова Н. П., Папуашвили Р. И. Колхидская археологическая экспедиция. – ПАИ, 1988 (1997), с. 27-30.

### ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – 1. სოფ. ერგეტას სიტუაციური გეგმა; 2-4. ონწყოშიაში ტორფქვეშ აღმოჩენილი კერამიკა.

### Description of the plate

Pl. I – 1. situation plan of the village of Ergeta; 2-4. pottery discovered at the Ontsqoshia site under peat-bog.



## გელა გამყრელიძე

### მერსია ბრძოლის სიუჟეტური ვერცხლის რიტონის შესახებ ზემო რაჭის სოფ. გომიდან

საქართველოს მთიან მხარეში, ზემო რაჭაში, აღმოჩენილი ბრძოლის სცენის გამოსახულებიანი ვერცხლის სასმისი ტორევეტიკის ფრიად უნიკალური ნიმუშია. საყურადღებოა მისი სიუჟეტი და ორნამენტული სამკაული. ვერცხლის სასმისი წაგრძელებული კონუსის ფორმისაა; შემორჩენილი სიმაღლე 13 სმ; პირის დმ – 6,5 სმ; წონა – 86 გ; დაზიანებულია პირ-ყელის ნაწილი; მოტეხილია ქვედა ნაწილი. ამჟამად სასმისი ქ. ქუთაისის სახ. მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში ინახება (ინვ. № 111) [29, გვ. 37] (ტაბ. I, სურ. 1, 2). სასმისი ვერცხლის ერთიანი ფურცლისაგანაა დამზადებული. გამოირიცხული არ არის, რომ რელიეფი ჯერ ბრტყელ ფურცელზე გაკეთდა და შემდგომ შეიკრა. ამიტომაცაა, რომ ფიგურები რამდენადმე დეფორმირებული და პროპორციები დარღვეულია.

სასმისს სამი სარტყელი ამკობს. ზემოდან პირველი – კანელურებიანი ფრიზი; მეორე – ოთხი ადამიანის ურთიერთბრძოლის სცენა; მესამე – ორი ცხოველი და ხე. მოცემული გამოსახულებები სასმისის კედელზე სიმეტრიულადაა განლაგებული.

კანელურების ქვემოთ ორი ორთაბრძოლის სცენაა გამოხატული. მარცხნიდან პირველ წვეროსან ადამიანს თავზე მუზარადი ახურავს; ზეაწეულ ხელში საძვრებლად გამზადებული მოკლე შუბი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში ოთხკუთხა ფარი უჭირავს. მეომარს სხეულზე მოკლე ტანსაცმელი მოსავს, ხოლო მის ქვემოთ შიშველი ფეხები მოუჩანს. ფეხზე, კოჭთან, სარტყლებით გადმოცემული ფეხსაცმელი აცვია.

მეორე მეომარი სახით პირველისაგანაა გამოსახული და მშვილდ-ისარს უმიზნებს პირველს. მას თავზე მუზარადი, ტანზე უსახელო სამოსი და პირველი მეომრისნაირი ფეხსაცმელი აცვია. მესამე მეომარი მეორისადმი ზურგით დგას, თავზე მუზარადი ახურავს; მარჯვენა ხელში სატევარი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში პირველი მეომრისნაირი ფარი უჭირავს. მეოთხე მეომრის ფიგურა სახით მესამისაგანაა მიმართული და ხელში შუბი უჭირავს. ფიგურების ზოგიერთი ნაწილი დაზიანებულ-დეფორმირებულია. მეომართა ქვემოთ რვატოტიანი ხე და ერთმანეთის პირისპირ მდგომი შველი და მგელია.

სასმისზე გამოსახულებების გადმოცემის ტექნიკა დაჭდევის, ამოკაწვრის და რელიეფის შიგნიდან ამოწევის ხერხებითაა წარმოჩენილი, ამოწევილი ფიგურების კონტურები კი მკვეთრადაა შემოვლებული. ფიგურები სქემატურ-ნატურალისტურია; დაბალი რელიეფით და ჩაჭდეული ხაზებითაა გაკეთებული. რელიეფი არც

თუ მაღალი კლასის ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული. ოთხივე მეომრის ტანი სამ-მეოთხედში, ხოლო თავი პროფილშია გამოხატული. მეომრების წვერ-ულვაში ხაზებითაა მოცემული. ზედა და ქვედა კომპოზიციის სივრცობრივი გადაწყვეტა მარტივია. ქვედა სიუჟეტში შვლის უკან ჩანს ხე, რითაც იქმნება ორი სხვადასხვა სიბრტყის ილუზია. მეომრელების ოთხკუთხა ფარებზე ჰორიზონტალური შტრიხებით კი იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელოსანი ეცადა შეექმნა მხატვრული პერსპექტივის ილუზია. ბრძოლის სცენის კომპოზიციის მეომართა დინამიკური პოზები აგრესიული ექსპრესიის განწყობას ქმნის. ცენტრში, უკანა პლანზე გამოსახული ხე ზედა და ქვედა სიუჟეტების დამაკავშირებელ, მთავარ სიმბოლოდ აღიქმება.

სასმისზე გამოხატულ სიუჟეტებს ჯერჯერობით კავკასიაში და მის გარშემო ზუსტი მხატვრულ-სტილისტური ანალოგია არ მოეპოვება. შეიძლება ზოგადი მსგავსება ვეძებოთ მხოლოდ მის საკრალურ (ხე, ცხოველები) და ნივთიერ (საჭურველ-იარაღი) მონაცემებში.

სამწუხაროდ, აქამდე ეს საყურადღებო ვერცხლის სასმისი სამეცნიერო მიმოქცევაში არაა შემოტანილი. მკვლევართათვის ისიც კი უცნობი იყო, თუ დასავლეთ საქართველოს რომელი ადგილიდან მოხვდა იგი ქ. ქუთაისის მუზეუმში. მუზეუმის დავთარში მოკლედ ჩაწერილია, რომ ნივთი 1930 წელს ჩააბარა ისტორიკოს-მხარეთმცოდნე გიორგი ბოჭორიძემ, რომელიც 1937 წლის უსამართლო რეპრესიებმა შეიწირა. ამდენად, გ. ბოჭორიძის მონოგრაფია – „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები“ მხოლოდ 1994 წელს დაისტამბა. ამ საყურადღებო წიგნის გამოქვეყნების შემდეგ ნათელი მოეფინა მოცემული სასმისის აღმოჩენის ადგილმდებარეობას. კერძოდ, სასმისი გ. ბოჭორიძეს ზემო რაჭაში, სოფ. გომის (მდ. გომურას მარჯვენა ნაპირზე) მთავარანგელოზის, სავალალოდ დანგრეული, ეკლესიიდან ქუთაისის მუზეუმში ჩამოუტანია.

სოფ. გომი, ისევე როგორც სოფ. ჯინჭვისის და უწერის სანახები, შუა საუკუნეებში აზნაურ გამყრელიძეებს ეკუთვნოდათ. შემონახულია 1458 წ. მეფე გიორგი VIII მიერ მათზე გაცემული სიგელი (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში – Hd-10149) (დაწვრილებით იხ. [3, გვ. 209, 331, 355; 2, გვ. 21-23, 82, 122]).

გ. ბოჭორიძის ნაშრომში ჩამოთვლილია სოფ. გომის მთავარანგელოზის ეკლესიაში დადასტურებული ნივთები – „ვერცხლის სასმისი 13 სმ, შემკული მშვილდ-ისრითა და შუბით მეომარი ხალხის ჭედური სურათებით; დაზიანებულია.

ძველი ეკუთვნის უძველეს ხანას. სპილენძის თასი 1 ცალი. ბრინჯაოს სარტყლის ნაწილი, შემკული ცხოველთა სახეებით – 2 ცალი. ბრინჯაოს სამაჯური დიდ-პატარა 2 ცალი. ბრინჯაოს ქინძისთავი 2 ცალი. ბრინჯაოს ბეჭედი 1 ცალი. ბრინჯაოს წვრილი ნივთები 7 ცალი. მინის სამკაულის ნაშთი. რქის ბეჭედი 1 ცალი. მძივები ერთი ასხმა, მათში 8 მოზრდილი. მძივების ნატეხები 16 ცალი ...“ [3, გვ. 254].

მკითხველი თუ დააკვირდება, აქ მოხსენიებული ნივთები – ვერცხლის სასმისი, ბრინჯაოს თასი, ბრინჯაოს ბეჭედი, მძივები (მათი დღევანდელი შენახვის ადგილი უცნობია) ის ნივთებია, რომლებიც ხშირად არქეოლოგიურად შესწავლილ წინაქრისტიანულ სამაროვნებში გვხვდება. სადღეისოდ, სოფ. გომთან ყველაზე ახლოს მდებარეობს სოფ. ღებთან აღმოჩენილი ბრილის ცნობილი არქეოლოგიური მრავალფენიანი ძეგლი. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ აქ შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები სოფ. გომის მთავარანგელოზის ეკლესიას შესწირეს.

ამ მხრივ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ეთნოგრაფი სერგი მაკალათია. კერძოდ, „ბრილში ოყა ლობჯანიძეს მიწის ხვნის დროს არაერთხელ გაუხსნია ძველი აკლდამა-სამარხები ... ამოუკრეფია ჭურჭელი, ბრინჯაოს სამკაულები, ქანდაკებები და მძივები“ [14, გვ. 14].

მთიან საქართველოში, ძველი ჩვეულების მიხედვით, მორწმუნე ადამიანი, რასაც კარგ, უჩვეულო ძვირფას ნივთს შემთხვევით იპოვიდა, ყველაფერს სოფლის ხატს, ეკლესიას სწირავდა. აქედან კი ნივთის გატანა დიდ მკრეხელობად ითვლებოდა. ამიტომ, საუკუნეების განმავლობაში რაჭის და სვანეთის ეკლესიებში უამრავი უძველესი ნივთი დაგროვდა [25, გვ. 4-7; 14, გვ. 87].

სოფ. გომში აღმოჩენილი სასმისის ფორმა – ცილინდრული ყელი და მოგრძო, ქვემოთკენ დავიწროებული ტანი, ბოლოში გადანატეხით (მოტეხილია სასმისის პროტომი) გვაფიქრებინებს, რომ ის რიტონი უნდა იყოს.

რიტონებს იყენებდნენ სასმისად. ისინი ძირითადად ორგვარია – მოკლეყელიანი, ცხოველის თავის გამოსახულებით და ყანწისმაგვარი, წვერთან სხვადასხვა არსებათა მცირე ფიგურებით. საქართველოში მეღვინეობის უძველესი ფესვები გვაფიქრებინებს, რომ ყანწ-რიტონი აქ სასმისის უძველესი ფორმაა და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იხმარებოდა.

საერთოდ, რიტონის წარმომავლობის შესახებ მრავალნაირი მოსაზრება არსებობს [64, გვ. 6-15; 61, გვ. 4-13]. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ რიტონი პირველად დაამზადეს მცირე აზიაში [1, გვ. 51]. მეორე ნაწილის აზრით, რიტონის სამშობლო ირანია [62, გვ. 8-14], მესამე ნაწილის მიხედვით, გამორიცხულია, რომ რიტონისნაირი სასმისი მაინცდამაინც ერთ

რომელიმე ადგილას შეექმნათ [54, გვ. 107-108; 46, გვ. 215-235]. მართლაც, შესაძლოა, რომ რიტონი, სრულიად დამოუკიდებლად გაჩენილიყო მეცხოველეობის (რქოსანი პირუტყვი) მიმდევარ ამა თუ იმ რეგიონებში [4, გვ. 73-81], რადგან გამოფხეკილი რქა ბუნებრივი და მარტივად დასამზადებელი სასმისია.

ყანწ-რიტონი, რომელიც თავდაპირველად ცხოველის რქისაგან კეთდებოდა, დროთა განმავლობაში სხვადასხვა მასალისა (თიხა, ლითონი, სპილენძი, მინა) და სხვადასხვანაირი ფორმის მზადდება. რიტონის დამზადებაში უფრო განვითარებული საფეხური უნდა იყოს ლითონის მასალისაგან მისი გაკეთება. ჩანს, ამ დროისათვის ის სარიტუალო ჭურჭლის დანიშნულებას იძენს. ამ პერიოდისათვის ლითონის რიტონები განსაკუთრებით ვრცელდება შავი ზღვისპირეთში, კავკასიაში, აღმოსავლეთ ანატოლიასა და ირანში [32, გვ. 36-47]. მარტო დნეპრისპირეთიდან ჩრდილო კავკასიის ჩათვლით, ყორღანებში 21 ცალია არქეოლოგიურად დადასტურებული (სემიბრატნის ყორღანი, კელერმესის ყორღანი, ულიაპის ყორღანი, კულობა, ტოლსტაია-მოგილას, სოლოხას ყორღანი, მორდვინოვის ყორღანი, ტალაევის ყორღანი, ყარაგოდუუაშხის ყორღანი და სხვ.) [36, გვ. 65].

საქართველოში არქეოლოგიურად აღმოჩენილია გამოსახულებები ხელში ყანწ-რიტონით. მაგალითად: ქ. გუდაუთასთან (ადგილი ბომბორა) ნაპოვნი მჯდომარე ადამიანის ფიგურა, რომელსაც ხელში ყანწ-რიტონი აქვს; ორი მამაკაცის ფიგურა რიტონით ხელში დაბა ყაზბეგიდან; ქ. მცხეთაში, არმაზისხევის № 6 სამარხში გათხრილი ქალღმერთის გამოსახულება ყანწით, „მალთეას რქით“ ხელში; ქალღმერთი ყანწით, ვერცხლის ლანგარზე სოფ. ციხისძირიდან; ვანის ნაქალაქარზე გათხრილი ღვთაების ქანდაკება ყანწით ხელში [37, ტაბ. XLVIII; 27, ტაბ. VII, IX; 7, გვ. 33, ტაბ. VIII; 5, გვ. 135-138; 63, გვ. 30].

„სიუხვის ყანწი“, ყანწ-რიტონი ხშირად ერთ-ერთი ატრიბუტი იყო ღვთაებებისათვის. სამარხეულ ნივთებში ყანწ-რიტონის სიმრავლე გვაპარაუდებინებს, რომ მათი ერთ-ერთი საკრალური ფუნქცია იყო რიტონის გამოყენება მცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალში – საფლავში ჩატანება (მაგ. ლეკითოსებით), ან მის სამარესთან ყანწ-რიტონით მოსახსენებლის შესმა.

საქართველოს ტერიტორიაზე რიტონები აღმოჩენილია – ქ. გუდაუთასთან (ადგილი ბომბორა) ბრინჯაოს რიტონი გარეული თხის პროტომით [44, გვ. 33]; დაბა ყაზბეგიდან ვერცხლის რიტონი ვერძის თავიანი პროტომით [27, გვ. 52, ტაბ. XV<sub>3</sub>]; ყაზბეგის მიდამოებიდანვეა ხბოს თავის გამოსახულებიანი ვერცხლის რიტონი (ინახება ს. პეტერბურგის ერმიტაჟის



აღმოსავლეთის განყოფილებაში); ქ. ბორჯომთან, ბორნიღელეს სამაროვნის ბრინჯაოს რიტონი [39, გვ. 50, ტაბ. 65, 8; 60, გვ. 152]; სოფ. მთისძირის (ადგილი ნაშუები) ვერცხლის რიტონი [59, გვ. 211-216]; ვანის ნაქალაქარიდან ტახის თავიანი თიხის რიტონი; უფლისციხის ნაქალაქარიდან თიხის რიტონი [24, გვ. 76]; მდ. წებელდის ხეობიდან მინის სამი რიტონი [38, გვ. 76-77, სურ. 20<sup>7,8,11</sup>]; ურბნისის ნაქალაქარის სამაროვნიდან მინის რიტონი [17, გვ. 72, ტაბ. 124]; ქ. მცხეთის, სამთავროს სამაროვნიდან მინის რიტონი [19, გვ. 26, სურ. 3].

სოფ. გომში აღმოჩენილი სასმისი ყანწისებური რიტონის ტიპს მიეკუთვნება. მასზე გამოსახული ოთხიდან ორ მეომარს ერთნაირი კონფიგურაციის ფარი უჭირავს, რომლებიც მენჯიდან მხრამდე ფარავთ. ფარი ოთხკუთხაა და მარჯვენა ზედა კუთხე ამოჭრილი აქვს. ფარი ნახატზე ისეა გამოსახული, რომ მკლავზე მარყუჭით დამაგრებული ჩანს და ხელის ჩასაჭიდიც უნდა ჰქონოდა. ამგვარად, მებრძოლს ფარი უფრო მარჯვედ, მოხერხებულად ეკავა და თუ დასჭირდებოდა, ბრძოლის დროს ორივე ხელის ხმარება შეეძლო (ფარის ასეთ დამაგრეს პირველად ჰობლიტები იყენებდნენ [იხ. 8, გვ. 35]). გომის სასმისის ფარის მარჯვენა კუთხე ამოჭრილი იყო, რაც მეომარს ლავირების დროს გამოხედვის საშუალებას აძლევდა და მოხერხებული უნდა ყოფილიყო. ფარის ამგვარი დეტალი მხოლოდ ამ გამოსახულებებზეა აღნიშნული და სხვაგან არ გვხვდება. ამიტომ, სავარაუდოა ეს გამოსახედი საბრძოლო აღჭურვილობის განვითარებაში ადგილობრივ ნოვაციად მივიჩნიოთ. გამოსახედიანი ფარები სხვაგანაცაა აღმოჩენილი, მაგრამ მათზე სიმეტრია არაა დარღვეული. მაგ.: ე.წ. ნახევარმთავარისებური ფარები (ტაბ. II, სურ. 6) ან გამოსახედიანი ფარი, რომელიც ქ. ხერსონესში I ს-ის რელიეფზე გამოხატულ მეომარს უკავია (ტაბ. II, სურ. 9). სასმისის ჭედურობაზე ფარი მოცემულია ვერტიკალური ხაზებით და ხის ფაქტურას მოგვაგონებს. ხის მოგრძო ნაჭრები ჰორიზონტალურად, ალბათ, ლითონის ორი სართყლითაა (ზემთ და ქვემთ) შეკრული. სართყლებს შორის ლათინური ვე-ს მაგვარი, ჰორიზონტალურად გადმოცემული ნიშანი (<), რაღაც ემბლემა შეიმჩნევა.

ოთხკუთხა (მომრგვალებულ კუთხეებიანი) ფარები დადასტურებულია ყარაშამბას ვერცხლის თასზე, რომელიც მდ. რაზდანის შუა წელზე, ძვ.წ. II ათასწლეულით დათარიღებულ სამარხში აღმოჩნდა [51, გვ. 145]; ტრაპეციისებური ფარები სტეფანავანში, გვიანბრინჯაოს ხანის სამარხში აღმოჩენილ სართყელზეა [48, სურ. 65]; კარმირ-ბლურში, კარების ბრინჯაოს გარსაკრავზე გამოსახულია ქ. სუგუნის აღება, სადაც ასურელ მეომრებს ხელში მოგრძო, კუთხეებიანი ფარები უჭირავთ [52, ტაბ. IV]; ჩელტის ოთხკუთხა ფარები აქვთ აბუ-სიმბელის ტა-

ძარში დადასტურებულ ძვ.წ. 1312 წ. ქადემის ბრძოლის სცენაზე, საბრძოლო ეტლებზე ამხედრებულ რამსეს II მოწინააღმდეგე მეომრებს [42, გვ. 132, სურ. 1]; მომრგვალებულ კუთხეებიანი ოთხკუთხა ფარი აქვს ხელში სოლოხას სახელით ცნობილ სამარხში აღმოჩენილ ოქროს სავარცხელზე გამოხატულ ე.წ. სკვიტ მეომარს [47, სურ. 34]. აქვე აღსანიშნავია, რომ სკვიტურ-სარმატული სამყაროსთვის ფარები ნაკლებადაა დამახასიათებელი. თითქმის არ გვხვდება ისინი არც მათ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მასალაში. სამარხებიდან ცნობილია მხოლოდ ხუთიოდე მათგანი, რომლებიც მიჩნეულია ფარის ნაშთებად [50, გვ. 78; 55, გვ. 63].

ჰეროდოტეს მიხედვით, ქსერქსეს ჯარში ირანელები ჩელტის წრიული ფარებით იყვნენ აღჭურვილი (VII, 61). ეგეოსურ-ბერძნული სამყაროსათვის ოთხკუთხა ფარები დამახასიათებელი არაა. ადრეული რომაული ფარები წრიულია, ხოლო დაახლოებით ძვ.წ. III ს-დან ჩნდება ოთხკუთხა, ვერტიკალზე ოდნავ მოღუნული ფარები. პოლიბიოსი „ისტორიაში“ (VI, 23, 2-4) გადმოგვცემს, რომ ფარები შედგება ხის ფირფიტებისაგან და დაფარულია ტყავით (ზომები დაახლოებით 120×80 სმ). ფარს, ზედა და ქვედა მხარეს, შესაკვრელად რკინის გარსაკრავები ერტყა. შემდგომ, კუთხეებიანთან ერთად თანაარსებობენ ოვალური და მოგრძო წაკვეთილ ბოლოებიანი რომბისებური, ექვსკუთხა ფარებიც. ფარის ცენტრში წრიული ლითონის უმბონი იყო. სამივე (ოთხკუთხა, ექვსკუთხა, ოვალური) ტიპის ფარი ქ. რომში ლუციუს სეპტიმიუს სევერუსის ტრიუმფალური თაღის რელიეფებზეა გამოხატული. ოთხკუთხა ფარებია გამოხატული ქ. პომპეიში აღმოჩენილ გლადიატორთა ბრძოლის სცენებზეც (ტაბ. II, სურ. 4).

მარკუს ფურიუს კამილუსის დიქტატორობისას, რომელიც ქვეითის ძირითად ფარად იქცა ოთხკუთხა ფარი – სკუტუმი (scutum) (ტაბ. II, სურ. 3). აქედან მოყოლებული, დაახლოებით ახ.წ. III საუკუნემდე ამ ტიპის ფარები დომინირებენ რომის ქვეით არმიაში (ცხენოსნებს ოვალური აქვთ). ამგვარი ოთხკუთხა ფარები უნდა ჰქონოდათ პომპეუსის ლეგიონერებს, როცა ძვ.წ. 65 წელს პირველად გამოჩნდნენ ტრანსკავკასიაში და იბერიის მეფე არტოკესთან მოუხდათ შეტაკება [იხ. 5, გვ. 57-69]. რომის იმპერიის ეპოქაში ფარის ზომები შემცირდა და ძირითადად მეომრის ტორსს ფარავდა [57, გვ. 230-234].

დასავლეთ საქართველოში, წებელდაში სტეკლიანის გორაზე გათხრილ არქეოლოგიურ კომპლექსში, რომელიც IV ს-ით თარიღდება, ოთხკუთხა ხის ფარი, კუთხეებში რკინის დამაგრებით და ლურსმნეებიანი გარსაკრავით

ზომა – 48×68 სმ) აღმოჩნდა [38, გვ. 95, სურ. 33].<sup>2</sup>

საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული არქეოლოგიურ მონაცემებში ხშირად ჩნდება ფარის წრიული, ბრინჯაოს ან რკინის „გული“, უმბონი. ფარის ხისა და ტყავის სხვა ნაწილები მიწაში ცუდად ინახებოდა. უმბონის წრიულობა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ფარიც აუცილებლად წრიული იყო (მაგ. წრიულ უმბონიანი რომაული ოთხკუთხა სკუტუმები). ფარის წრიულობის შესახებ მოსაზრება საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობა. ამ ფარების დიამეტრი 30-40 სმ-მდეა [26, გვ. 227-232]. ვფიქრობთ, ვარსიმაანთკარის არქეოლოგიურ ძეგლზეც მხოლოდ ფარის გულებია შემორჩენილი და არა ფარები [შეადარე, 16, გვ. 67-72].

საქართველოში ფარის ლითონის წრიული უმბონები და გარსაკრავები არქეოლოგიურ ძეგლებზე ძირითადად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ჩანს; კერძოდ, ბადიაურში, ლილოში, მელაანში, ვანთაში, ურეკში, ყაზბეგში, სამთავროში, კამარახევში, ვარსიმაანთკარში, ვანში (№ 9 სამარხში), ხუცუბანში, წებელდაში, ეშერში, ბრილში და სხვ.

საყურადღებოა, რომ პოპლიტური, წრიული ფარებია აღმოჩენილი წითელი შუქურას № 7 სამარხში და ახულ-აბაას სამარხში [8, გვ. 32-40]. ალბათ, ლითონის უმბონიან, ლითონითვე შეჭედდებულ და უცხოურ (მაგ. პოპლიტურ) ფარებს შეძლებული, წარჩინებული მეომრები ატარებდნენ. ეს შეიმჩნევა, მაგალითად, ვარსიმაანთკარის არქეოლოგიური ძეგლიდანაც, სადაც 166 სამარხიდან მხოლოდ ორში დადასტურდა ფარის „გული“ (დმ – 30 სმ) [16, გვ. 71]. რიგითი მეომრები ჩელტის, ტოტებისაგან დაწნული ლასტის ან ხის ტყავგადაკრულ ფარებს ატარებდნენ, რომლებიც მიწაში მოხვედრის გამო თითქმის არაა შემორჩენილი.

ბერძნულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება ქართველური მოსახლეობის (კოლხების, მოსინიკების, მოსხების, ხალიბების) ფარები. კერძოდ, ჰეროდოტე აღნიშნავს – „კოლხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები, ამის გარდა დანები“ (VII, 79; იხ. აგრეთვე VII, 78). ქსენოფონტის „ანაბასისში“ ხალიბების ხარის ტყავისაგან გაკეთებული ფარები მოიხსენიება (IV, 7, 22). აქვე ნახსენებია, რომ მოსინიკების მეომრებს „ყოველს ხელში ეკავა სუროს ფოთლის

ნაირი ფარი, ხარის თეთრი ბეწვიანი ტყავით დაფარული“ (V, 12). სტრაბონი „გეოგრაფიაში“ გადმოგვცემს, ალბანელები „არიან შუბოსნები და მშვილდოსნები, აქვთ ტყავის აბჯრები და ფარები იბერების მსგავსად“ (XI, 4, 5). აქ ნახსენებია რომაული სკუტუმის მსგავსი ფარი – ოქსეტი [იხ. 40, გვ. 802]. მნიშვნელოვანია, რომ „გეოგრაფიის“ ეს მონაკვეთი ქრონოლოგიურად კავკასიაში რომაელი სარდლის პომპეუსის ალბანელებთან და იბერებთან ბრძოლის დროს ეხება.

როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, კოლხები, ხალიბები, მოსინიკები, იბერები ხმარობდნენ ხარის ტყავის მცირე ფარებს, სუროს ფოთლის ფორმის ფარებს, სკუტუმის მსგავს კუთხეებიან ფარებს. ეს ფარები ზოგი ჩელტის იყო, ზოგიც ხის და ტყავგადაკრული. არქეოლოგიურ მასალაში უმბონების დადასტურება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფარის კონსტრუქციაში ხშირად ლითონიც გამოიყენებოდა.

სოფ. გომის სასმისზე კი მომცრო სკუტუმის მსგავსი ფარებია გამოსახული; მხოლოდ, მათ მარჯვენა ზედა კუთხის ადგილზე გამოსახედი აქვს. ამ ფარების კონსტრუქციის ეს ელემენტი მიგვითითებს სამხედრო აღჭურვილობის გამორჩეულ მხარეზე.

გომის სასმისზე ასახულ მეომრებს მოკლე სამოსი აცვიათ, რომელიც მენჯს ქვემოთ ფარავდა. ტანისამოსი გადმოცემულია ვერტიკალური ხაზებით. პირველ და მეორე მეომარს თითქოს ზემოდან უსახელო სამოსიც მოსავს. პირველ და მესამე მეომარს წელზე ქამრები აქვთ. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, გამოსახელებები ფრიად სქემატურია და ამიტომ დაბეჯითებით რაიმეს თქმა შეუძლებელია. გამორიცხული არაა, რომ მეგრძოლებს აბჯარი ეცვათ. არც ის არის გამოსარიცხი, რომ ხაზებით მოცემულია რომაული ლორიკას (lorica) მაგვარი აბჯარი (ტაბ. II, სურ. 3).

მესამე მეომარს შარვალიც აცვია, რაც სკვითურ-სარმატული სამყაროსთვის დამახასიათებელი ელემენტია. გავიხსენოთ მოკლე ზედა ტანის და შარვლის კომბინაცია, მაგ. სოლოხას სავარცხელზე გამოხატული მეომრის ფარიანი ფიგურა (ტაბ. II, სურ. 7).

ქსენოფონტი „ანაბასისში“ მოგვითხრობს – მოსინიკებს „... ეცვათ ტილოს მკვრივი მოკლე ქიტონები, რომელნიც მუსლებს არ სწვდებოდა...“ (V, 4, 13). ქსენოფონტი აქვე აღნიშნავს, ხალიბებს „... ჰქონდათ სელის აბჯრები, მუცლის ქვედა ნაწილამდე, ხოლო ქვემოთ მჭიდროდ დაგრეხილი თოკები“ (IV, 7, 15), წელზე ქამრები ერტყათ.

საყურადღებოა, რომ ოთხიდან სამ მეგრძოლს ფეხები რომაელი ლეგიონერებივით შიშველი აქვს და ფეხზე კოჭთან შეკრული ფეხსაცმელი აცვია. ცნობილია, რომ ბერძენი მეომრები ხშირად კნემიდებით იფარავდნენ ფეხებს. ხალიბებ-

<sup>2</sup> მოცემული ნაშრომი უკვე დამთავრებული მქონდა, როდესაც საქართველოს სახ. მუზეუმში შემოვიდა კოლექცია, რომელიც თბილისში დელისში მშენებლობის დროს აღმოჩნდა. ნივთები გვიანანტიკური ხანის უნდა იყოს. ერთ-ერთი ფიგურა მეომრისაა (ინვ. 5-996:7), რომელსაც ხელში ოთხკუთხა ფარი უჭირავს (ინფორმაცია მოგვაწოდა არქეოლოგმა ი.მ.დ. იულ. გაგომიძემ).

საც ჰქონდათ კნემიდები (ქსენოფონტი, „ანაბასისი“, IV, 7, 16).

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადასტურებულია ბრინჯაოს და რკინის საჯავშნე ფირფიტები და ჯაჭვის რგოლები. კერძოდ, ისინი აღმოჩნდა – ვანში, ეშერში, თაგილონში, კლდეეთში, წებელდაში (შაპკა). ვანის ნაქალაქარზე გათხრილ, მეომრის (№2) სამარხში დადასტურდა ასამდე რკინის ნახვრეტიანი ფირფიტა. ასეთი ფირფიტებისაგან შეკრულ აბჯარს ქერცლისებურს უწოდებენ. ნახვრეტიანი ფირფიტები მაგრდებოდა ტყავზე ან მკვრივ ტილოზე და ფარავდა მეომრის ტორსს [10, გვ. 183-184]. შესაძლოა, რომ სწორედ ამდაგვარი აბჯარი, რომელიც ჩაჭდებული ხაზებითაა გადმოცემული, ემოსათ გომის სასმისის მებრძოლებს.

სასმისზე გამოსატულ ოთხივე მეომარს თავზე ახურავს ნახევარსფერული მუზარადი. ზოგიერთს თითქოს ცხვირსაფარი და ყბების საფარი მოუჩანს. ანტიკურის წინა ეპოქაში ცხვირსაფარი და ყბისაფარი არ აქვთ მუზარადებზე [41, გვ. 101, ტაბ. XVI]. ისინი არაა დამახასიათებელი არც ირანული სამყაროსათვის. ბერძნული და შემდეგ რომაული სამყაროსათვის კი ყბასაფარები შედარებით ხშირია [იხ. 56, გვ. 65-136, 327-365].

საქართველოში არქეოლოგიურად აღმოჩენილია ე.წ. ქალკიდური, პოპლიტური მუზარადები – სოხუმთან, ქუთაისთან, სოფ. კონთან (აჭარა), სოფ. მუხუთთან (ლანჩხუთის რ-ნი). ახლახან რომაული ნახევარსფერული მუზარადი აღმოჩნდა კახეთში, დედოფლისწყაროს რ-ნიში სოფ. ზემო ქედში (აღმოაჩინა არქეოლოგმა ი.მ.დ. ბ. მაისურაძემ).

რომის რესპუბლიკის ეპოქაში მუზარადებს შუბლთან სიმტიციისათვის უკეთებდნენ დამატებით ლითონის სარტყელს; ისეთს, როგორც გომის სასმისზე პირველ და მეორე მეომრის მუზარადებს მოუჩანთ. რესპუბლიკის და იმპერიის ხანის რომაული მუზარადებისათვის ცხვირსაფარები ნაკლებადაა დამახასიათებელი [56, გვ. 327-365; 57, გვ. 228]. გომის სასმისზე, ალბათ, შერეული ტიპის (ბერძნულ-რომაული) ან კოლხური ხის მუზარადებია მოცემული. კოლხურის შესახებ ცნობას გვაწვდის ჰეროდოტე (VII, 79). ხის მუზარადები მოსხვებსაც ეხურათ (ჰეროდოტე, VII, 78). უფრო მოგვიანო, კერძოდ, პომპეუსის იბერებთან ბრძოლის დროინდელ ამბებზე თხრობისას, სტრაბონი აღნიშნავს, იბერებს ტყავის მუზარადები ეხურათო (XI, 4, 5).

გომის სასმისზე გამოსახულ პირველ მეომარს ზეაწეულ ხელში, წვერით ქვემოთ, საძვერებად გამზადებული შუბი უჭირავს. შუბი მოკლეა და რომბისებური პირი აქვს. შუბისპირის დამაგრების ადგილი ორი ჰორიზონტალური ხაზითაა გადმოცემული. ამდაგვარი შუბიანი მებრძოლია გამოსახული იმპერატორ კონსტან-

ტინეს ტრიუმფალურ თაღზე ქ. რომში [35, სურ. 279] (ტაბ. II, სურ. 5). შუბის წვერით ქვემოთ დახრა თითქოს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს შუბი საძვერებელია და არა სატყორცნი.

საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მონაცემებში შუბისპირები, სხვა იარაღთან შედარებით, პროცენტულად პირველ ადგილზე ჩანს, რაც იმის ნიშანია, რომ იმ დროს შუბი ძირითად საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა. ამასვე ადასტურებს წერილობითი ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც – შუბი წამყვანი იარაღია კოლხების, ხალიბების, მოსხების და იბერებისათვის (ჰეროდოტე, VII, 78, 79; ქსენოფონტი „ანაბასისი“, V, 2, 22; V, 4, 12; V, 4, 25; სტრაბონი XI, 4, 5). „შუბოსანი იბერების“ სპეციალური რაზმის შესახებ აღნიშნავს პლუტარქეს (ლუკულუსი 31).

გომის სასმისზე მეორე მეომარს მარცხენა ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს და შუბიან მეომარს უმიზნებს. მშვილდი მომცრო და თანაბრად მორკალულია; ლარის მიბმის ადგილები ჰორიზონტალურადაა გამოსატული; ისრისპირი სამკუთხა, დაქანებულ ფრთებიანია. ამგვარი ისრისპირები გვიანელინისტურ-რომაული სამყაროსათვისაა უფრო დამახასიათებელი [10, გვ. 180]. საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ისრისპირები პროცენტულად ცოტაა აღმოჩენილი. ალბათ, იმ პერიოდში მშვილდ-ისარს სამხედრო შეიარაღებაში მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა. ამასვე ადასტურებს ჰეროდოტეს (VII, 78, 79) და ქსენოფონტის (IV, 7, 15-16; IV, 8, 3; V, 2, 22; V, 4, 12) ცნობებიც. ისინი კოლხების, მოსხების, მოსინიკების, ხალიბების შეიარაღების ჩამოთვლა-აღწერისას მშვილდ-ისარს არ ახსენებენ. სამაგიეროდ, შემდეგ, რომაელების (პომპეუსის) ლაშქრობის დროს, იბერია-ალბანეთში სტრაბონი იბერების შეიარაღების ჩამოთვლისას მშვილდ-ისარსაც ახსენებს (XI, 4, 5). მშვილდოსანი იბერების შესახებ გადმოგვცემს აპიანეც (მითრიდატეს ომები 101) და დიონ კასიოსიც (XXXVII, 2). სვანების მოწამლული ისრების შესახებ აღნიშნავს სტრაბონი (XI, 2, 19).

სასმისზე მესამე და მეოთხე მებრძოლი ერთმანეთს მოკლე ორღესური სატყვრით და შუბით ერკინებიან. რკინის სატყვარი საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალაში შუბთან შედარებით ცოტაა; ისინი შედარებით მეტია გვიანანტიკურ ხანაში. მაგ.: არმაზისხევი, კლდეეთი, ჩხოროწყუ, ბრილი, წებელდა და სხვ. [21, გვ. 74-75]. ჰეროდოტე შუბებთან ერთად ახსენებს მოკლე სატყვრებს (დანებს ?) (VII, 79). ქსენოფონტი „ანაბასისში“ მიუთითებს, რომ ხალიბებს ქამარზე მოკლე სატყვრები ეკიდათ (IV, 7, 16).

გომის სასმისის ქვედა სარტყელზე პირისპირ დედალი, ურქო შველი და მგელია (მტაცებელი) გამოსახული. ამ ჯიშის ცხოველები კავ-

კასიონის ხეობებში დღესაც ბინადრობენ. შველის უკან ხე მოჩანს. ვფიქრობთ, აქ ალეგორიულად დუალისტური კეთილისა და ბოროტის ბრძოლა აისახა (რაც ძირითადად ახასიათებდა ზოროასტრულ და შემდგომ მანიქეველურ რელიგიებს). ხე ამ შემთხვევაში კეთილის მხარესაა (უკანაა). ზედა, მეომართა ბრძოლის სიუჟეტის, ალეგორიული გამოსახვა უნდა იყოს ქვედა სცენა, სადაც შველი სიკეთეს, კარგს, მგელი, ბოროტებას, ცუდს და ხე ნაყოფიერებას, სიცოცხლის გამარჯვებას და მტრის დამარცხებას ასახავს. აგრეთვე შეიძლება გვეფიქრა ანტითეზურ ტრიადაზეც – ხის ფონზე, შველისა და მგლის დაპირისპირება [23, გვ. 10-21].

გომის რიტონ-სასმისი, ალბათ, სპეციალურად ბრძოლაში დაღუპული, წარჩინებული მეომრისათვის შესაწირად იყო დამზადებული და დაკრძალვის რიტუალში გამოიყენეს. ვფიქრობთ, მეომრებიანი სარტყლის ახსნაში უფრო მიწიერი, ჩვეულებრივი, შესაძლოა, ჩრდილო კავკასიელებთან, სარმატებთან ან ალანებთან ბრძოლა გადმოცემული [იხ. 55, გვ. 3-4]. სასმისის დამამზადებელმა, ადგილობრივმა ხელოსანმა, მისი შესაძლებლობის ფარგლებში, ასახა ის, რაც ნანახი ჰქონდა. ქვემოთა, ცხოველებიან სარტყელში კი ზედა სარტყლის თავისეული მსოფლმხედველობითი, საკრალური შინაარსი ჩაღო, რომელიც იმ ეპოქას ახასიათებდა. გომის სასმისი მხატვრული თვალსაზრისით დამოუკიდებელი და უნიკალურია მეზობელი ქვეყნების ხელოვნების ძეგლებთან მიმართებაში.

გომის სასმისის პირ-გვერდზე ვერტიკალურ-კანელურებიანი ფრიზი დაუყვება. კანელურები ქვედა მხარეს ე.წ. კამარებით ბოლოვდება. საქართველოს ტერიტორიაზე კანელურებიანი, ადგილობრივად დამზადებული ლითონის ჭურჭელი ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჩნდება. მაგ.: ლეჩხუმში [18, გვ. 11, ტაბ. IX], თლიაში [53, გვ. 75, სურ. 63] აღმოჩენილი კანელურებიანი სიტულები. კანელურები, წინარეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ყველაზე დამახასიათებელი ელემენტია, რომელიც ადრეანტიკურ ხანაშიც აგრძელებს არსებობას [13, გვ. 57]. მაგრამ, ამ კერამიკაზე, გომის სასმისისაგან განსხვავებით, კანელურების ბოლოები ყოველთვის ე.წ. კამარებით არ ბოლოვდება.

ვერტიკალური კანელურები არ ჩანს კლასიკური ხანის ბერძნულ კერამიკაზე (სამაგიეროდ არქიტექტურაშია). ის, არ ახასიათებს არც აქემენიდური და არც სასანური ირანის მხატვრულ ჭურჭელს. რელიეფი, კერძოდ, კანელურები ელინისტურ-რომაულ სამყაროში მხატვრულ კერამიკაზე და ტორევეტიკაზე ჩნდება [58, გვ. 279, 280, 288-303; 33, გვ. 238-254]. მაგ.: რომაული, ძვ.წ. I ს-ის კანელურებიანი რიტონი [43, სურ. 9; 35, გვ. 204, სურ. 197]. კანელურები, სარტყლური ფრიზების და ე.წ. მარაოსებური სახის, უფრო ფართოდ გვიანელინის-

ტურ-გვიანანტიკურ ეპოქაში იკიდებს ფეხს [45, გვ. 24-25, სურ. 45].

როგორც ჩანს, კავკასიაში ჭურჭელზე უფრო-ზო კანელირება (ჯერ ლითონზე, ხოლო მერე კერამიკაზე) ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში იწყება. ალბათ, ის აქ გარკვეულ ტრადიციად შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება ფრიზზე განლაგებულ კანელურებს ცალ მხარეს ე.წ. კამარული დაბოლოებით, ის უფრო გვიანანტიკური ხანისათვისაა დამახასიათებელი. სწორედ ამგვარი კანელურებიანი ფრიზია სოფ. გომის რიტონზე.

საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიურად აღმოჩენილ, ანტიკური ხანის ტორევეტიკულ ნიმუშებში გამორჩეული სიმრავლით და მრავალფეროვნებით აღინიშნება გვიანანტიკური ხანა [49, გვ. 9-23; 12, გვ. 77-101, 111]. გვიანანტიკური ხანის ტორევეტიკული ნაწარმი დადასტურებულია – თაგილონში, ურეკში, ციხისძირში, ბანძაში, კლდეეთში, ბორში, სარგვეშში, ხაიშში, ქვაშხიეთში, ზღუდერში, ცხინვალში, ჟინვალში, ერწოში, არმაზისხევეში, ბაგინეთში, სამთავროში და სხვ.

საქართველოს გვიანანტიკური ხანის ტორევეტიკა რომაული სამყაროს გარკვეულ ზეგავლენას განიცდის [49, გვ. 138-147]. გომის სასმისზე ეს, ალბათ, მხოლოდ კანელურების გადმოცემაში აისახა. გვიანანტიკური, კანელურებიანი ჭურჭელი საქართველოში აღმოჩენილია – თაგილონში, ხაიშში, ბანძაში, ციხისძირში [49, გვ. 28-29; 21, გვ. 72-74; 28, გვ. 149-150]. საქართველოში დადასტურებული გვიანანტიკური ტორევეტიკის ზოგიერთი ნიმუში IV ს-შიც ჩანს. შემდგომი პერიოდის ვერცხლის ჭედური ხელოვნების ძეგლები ქრისტიანულ ხელოვნებას განეკუთვნება და ქრისტიანული მსოფლმხედველობის მატარებელია.

ვერცხლის ქიმიური ანალიზი ადასტურებს, რომ ამ ლითონისაგან გაკეთებულ სასმისში ჩასხმული სითხე უფრო უვნებელი ხდება; ვერცხლი ბაცილებს სპობს. ვერცხლის ეს თვისება იცოდნენ ძველადაც და ამ ლითონის სასმისებს საკრალურ რიტუალებში იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ანტიკური ხანის ვერცხლის ტორევეტიკული ნაწარმი ძირითადად მაღალსინჯიანია. საქართველოს ქრისტიანული ხანის ჭედურ ნაწარმს კი ხშირად ვერცხლში, სიმკვრივის გაზრდის მიზნით, უმატებდნენ სპილენძს. ასეთ ნივთებს დროთა განმავლობაში მომწვანო ჟანგი და კოროზია უჩნდება [6, გვ. 79-84]. სოფ. გომის სასმისი მოთეთრო მაღალსინჯიანი ვერცხლისაგანაა დამზადებული, სტიბიუმის მინარეგებით. სტიბიუმის, ვერცხლის მაგვარი მოთეთრო ლითონის საბადო მდებარეობს ზემო რაჭაში ბრილთან (ზოფხიტოში), ხოლო ვერცხლი მოიპოვება კვაისაში (ჯავის რ-ნში). საყურადღებოა აგრეთვე, რომ სოფ. გომის ახლოს ბრილის ცნობილ არქეოლოგიურ

ძეგლზე მოპოვებული ლითონის ნაწარმი შეიცავს სტიბიუმს (ანალიზები ჩაატარა ლითონმცოდნე ი.მ. დოქტორმა გ. ინანიშვილმა). ვერცხლის საბადოებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სტრაბონის ცნობაც ხალიბების მიერ, რკინის გარდა, ვერცხლის მოპოვების შესახებ (XII, 3, 19).

ამგვარად, კავკასიონის სამხრეთ ფერდზე, ზემო რაჭაში, სოფ. გომში დადასტურებული ვერცხლის ყანწ-რიტონი, ჩვენი ვერსიით, ადგილობრივი ნაწარმია, ზოგადად გვიანელინისტურ-გვიანანტიკურ ხანაშია დამზადებული და ბრილის სამაროვნიდან უნდა იყოს. დაკრძალვის რიტუალისათვის დამზადებულ ვერცხლის სასმისზე გამოსახული სიუჟეტი ხელოსნის მიერ სოციოგარემოს აღქმის გამოხატულებას წარმოადგენს, რაც, ერთი მხრივ, ჩრდილო კავკასიურ (სარმატულ-ალანურ), მეორე მხრივ რომაულ სამყაროსთან იჩენს გარკვეულ სიახლოვეს.

G. Gamkrelidze

## ON THE SILVER RHYTON BEARING A REPRESENTATION OF A FIGHTING SCENE FROM THE VILLAGE OF GOMI IN HIGHLAND RACHA

(Summary)

A silver drinking vessel, bearing a representation of a fighting scene, discovered in Zemo Racha (mountainous region of Georgia), constitutes a unique specimen of toreutics. Its scenery and decoration are especially noteworthy. The drinking vessel has the shape of an elongated cone with 13 cm high surviving part (diameter of mouth – 6.5; weight – 86 gr); the mouth and neck of the vessel are partially damaged, while the lower part is broken off. The rhyton is stored in the *fonds* of precious metals of the State Museum of Kutaisi (# 111) (Pl. I, Fig. 1,2). The vessel is manufactured of a whole sheet of silver. It is not ruled out that relief had been applied to the flat surface and only afterwards the sheet was given proper shape. Such technological sequence may account for the fact that the figures and proportions are somehow distorted.

The vessel is decorated with three bands. The first one – a cannellured frieze is applied to the upper part of the rhyton, the second – bears a representation of four fighting men and, the last – third band depicts two animals and a tree. All cited representations are symmetrically distributed upon the surface of the vessel.

Two scenes of single combat are represented under cannellures. The first bearded man from the left bears a helmet; holding a short spear, in readiness to throw it, while in his left hand he is

holding a quadrangular shield. The warrior is wearing a short garment leaving his legs bare; the shoes are represented by bands applied to the ankles.

The second warrior – facing the first figure – is aiming his bow at the enemy. He wears a helmet, a sleeveless garment of ambiguous design and shoes similar to those of his opponent. The third helmeted figure stands with his back to the second warrior; he is holding a dagger in his right hand and a shield similar to that of the first warrior in his left. The fourth figure – facing the third one – is holding a spear. Some parts of the figures are damaged and deformed. The representation of a tree with eight branches and a fallow-deer and a wolf facing each other is placed beneath the fighting figures.

According to the author's assumption, the horn-shaped rhyton discovered in the village of Gomi, situated on the southern slope of the Caucasus, represents an article of local production, generally dating from the Late Hellenistic-Late Antiquity and perhaps, probably stemming from the Brili necropolis. The scenery depicted on the silver drinking vessel designed for the burial rite, reflects the social environment as perceived by the artisan, revealing, on the one hand, north Caucasian (Sarmato-Alanian) influences and, on the other, evincing some affinities with the Roman world.

### ლიტერატურა

1. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961.
2. ბერაძე თ. რაჭა. თბ., 1983.
3. ბოჭორიძე გ. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. თბ., 1994.
4. გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები (სოფ. მთისძირი). თბ., 1982.
5. გამყრელიძე გ. კოლხოლოგიური ნარკვევები. თბ., 2001.
6. გოგინაშვილი ნ. არქეოლოგიური ვერცხლის ნივთების რესტავრაცია-კონსერვაცია. – ხელოვნების სახ. მუზეუმის ნარკვევები, III, თბ., 1997, გვ. 79-84.
7. ინანიშვილი ნ. ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1993.
8. კვიციანი გ. პოლიტიკური ფარები კოლხეთში. – ძიებანი, № 7, 2001, გვ. 32-40.
9. ლომოური ნ. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული და ქართული ტექსტი. თბ., 1966.
10. ლორთქიფანიძე გ. საბრძოლო და სა-

მეურნეო იარაღი. – ვანი II, თბ., 1976, გვ. 167-190.

**11. ლორთქიფანიძე გ.** სამხედრო საქმის ისტორიისათვის ანტიკური ხანის კოლხეთში. – თსუ შრომები, ტ. 205, 1979, გვ. 95-107.

**12. ლორთქიფანიძე ოთ.,** ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია). თბ., 1968.

**13. ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიხელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ან.** ძვ.წ. VI-IV სს. კოლხური კერამიკა ვანიდან. – ვანი V, თბ., 1981.

**14. მაკალათია ს.** მთის რაჭა. თბ., 1987.

**15. მიქელაძე თ.** ქსენოფონტის „ანაბასისი“ (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), ბერძნული და ქართული ტექსტი. თბ., 1967.

**16. მუხიგულაშვილი ნ.** ვარსიმაანთკარის სამაროვნის ბრინჯაოს ფარები. – არქეოლოგიური ძიებანი, VI, თბ., 1986, გვ. 67-75.

**17. საგინაშვილი მ.** ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი. თბ., 1970.

**18. სახაროვა ლ.** ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბ., 1976.

**19. უგრელიძე ნ.** ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.

**20. ურუშაძე აკ.** პლუტარქე, ტ. I, თბ., 1957.

**21. ფუთურიძე რ.** გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. – მსკა, ტ. II, თბ., 1959, გვ. 54-94.

**22. ყაუხჩიშვილი თ.** სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), ბერძნული და ქართული ტექსტი. თბ., 1957.

**23. ყიფიანი გ.** ანტითეზური გამოსახულებანი. – ხელოვნების სახ. მუზეუმის ნარკვევები, I, თბ., 1995, გვ. 10-21.

**24. ყიფიანი გ.** უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი (კატალოგი და შენიშვნები). – ხელოვნების სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ჟურნალი, I, თბ., 2000, გვ. 74-95.

**25. ჩართოლანი შ.** მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, I, თბ., 1976.

**26. ჩოლოყაშვილი კ.** ქართული საბრძოლო იარაღი, ფარი. – სსმმ, ტ. XVIII-B, თბ., 1954, გვ. 227-253.

**27. წითლანაძე ლ.** ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1976.

**28. ჯაფანიშვილი აღ.** ხაიშის განძი. – მნათობი, № 3, 1958, გვ. 149-157.

**29. ჯიქია ლ.** ქუთაისის მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციები. – ძმ, № 53, 1980, გვ. 32-37.

**30. ჰეროდოტე,** ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურ-

თო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ., 1975; ტ. II, თბ., 1976.

**31. Античные государства Северного Причерноморья** (ред. Кошеленко Г., Кругликова И.) Арх. СССР. М., 1984.

**32. Аракелян Б.** Очерки по истории искусства древней Армении. Ереван, 1976.

**33. Блаватский В.** История античной расписной керамики. М., 1953.

**34. Блаватский В.** Очерки военного дела в античных государствах Северного Причерноморья. М., 1954.

**35. Велишский Ф.,** Быт и нравы древних Греков и Римлян. М., 2000.

**36. Власова Е.** Сосуды в форме рога из Семибратных и Уляпских курганов. – ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა. შავი ზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წლის 20-23 სექტემბერი. (მოსხენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1999, გვ. 65-67.

**37. Воронов Ю.** Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969.

**38. Воронов Ю.,** Тайна Цебельдинской долины. М., 1975.

**39. Гамбашидзе О., Гамбашидзе И.,** Работы Месхет-Джавახетской экспедиции. – ПАИ, 1987 (1995), с. 48-54.

**40. Древнегреческо-русский словарь** (сост. Дворецкий И.), т. I. М., 1958.

**41. Есаян С.** Оружие и военное дело Древней Армении (III-I тыс. до н.э.). Ереван, 1966.

**42. История Еврейского народа,** т. I. М., 1914.

**43. Кобылина М.,** Искусство древнего Рима. М.-Л., 1939.

**44. Кривицкий В.** Бронзовый ритон из собрания Эрмитажа. – СГЭ, XLII, 1977, с. 33-36.

**45. Кропоткин В.** Римские импортные изделия в восточной Европе ( II в. до н.э. – V в. н.э.). САИ, Д1-27, М., 1970.

**46. Максимова М.** Ритон из Келермеса. – СА, XXV, 1956, с. 215-235.

**47. Манцевич А.** Курган Солоха. Л., 1987.

**48. Мартиросян А.** Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван, 1964.

**49. Мачабели К.** Позднеантичная торевтика Грузии. Тб., 1976.

**50. Мелюкова А.** Вооружение Скифов. САИ, Д1-4, М., 1964.

**51. Оганесян В.** Серебряный кубок из Карашамба. – Историко-филологический журнал, АН Арм., Ереван, № 4, 1988, с. 145-161.

**52. Пиотровский Б.** Ванское царство (Урарту). М., 1959.

**53. Техов Б.** Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. М., 1977.

**54. Тревер К.** Памятники греко-бактрийского искусства. М.-Л., 1940.

**55. Хазанов А.** Очерки военного дела Сарматов. М., 1971.

**56. Bottini F., Egg M., Hase F., Pelug H., Schaaff V., Schauer P., Waurick G.,** Antike Helme. Verlag des Römisch-Germanischen Zentralmuseums. Mainz, 1988.

**57. Connolly P.** Greece and Rome at war. London, 1988.

**58. Froning H.** Katalog der griechischen und italischen Vasen. Museum Folkwang Essen. 1982.

**59. Gamkrelidze G.** Ein Rhyton mit Gütterdarstellung aus der Kolchis. – Archdologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 30, 1998, p. 211-216.

**60. Georgien, Schdtze aus dem Land des Goldenen Vlies.** Bochum, 2001.

**61. Hoffman H.** Tarentine Rhyta. Mainz, 1966.

**62. Rostovtzeff M.** The animal style in South Russia and China. London, 1929.

**63. Simon E.** Amalthea. – Trade on the Black Sea in the Archaic and Classical Periods: Historical perspective of the Silk Road. The 9<sup>th</sup> International Symposium on the Ancient History and Archaeology of the Black Sea Area. 20-23 September 1999. Vani. Abstracts of Papers. Tbilisi, 1999, p. 62-63.

**64. Svoboda B., Cončev D.** Neue Denkmäler antiker Toreutik. Praha, 1956.

## Description of the plates

Pl. I – 1. Silver drinking vessel from the village of Gomi, Highland Racha; 2. Graphical outline of the vessel.

Pl. II – 3. Roman legionary with scutum from the triumphal arch of Septimius Severus; 4. Gladiator depicted on a relief discovered in Pompeii; 5. Warrior bearing a spear from a relief of the triumphal arch of Constantine; 6. Warrior from the decoration of a comb found in Solokha burial; 7. Warrior from the decoration of a comb found in Solokha burial; 8. Representation of a gladiator from the tomb of Panticapaeum; 9. Warrior bearing a shield with a slight hole depicted on a relief found in Chersonesus and dating from the 1<sup>st</sup> cent. A.D.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. – 1. ვერცხლის სასმისი ზემო რაჭის სოფ. გომიდან; 2. სასმისის გრაფიკული გამოსახულება.

ტაბ. II – 3. რომაელი ლეგიონერი სკუტუმით, სეპტიმიუს სევერუსის ტრიუმფალური თაღის რელიეფიდან; 4. გლადიატორი პომპეიში აღმოჩენილი რელიეფიდან; 5. შუბიანი მეომარი კონსტანტინეს ტრიუმფალური თაღის რელიეფიდან; 6. მებრძოლი სოლოხას სამარხში აღმოჩენილი სავარცხლის შემკულობიდან; 7. მებრძოლი სოლოხას სამარხში აღმოჩენილი სავარცხლის შემკულობიდან; 8. გლადიატორის გამოსახულება პანტიკაპეონში აღმოჩენილი აკლამიდან; 9. გამოსახედფარიანი მებრძოლი ხერსონესში აღმოჩენილი ახ.წ. I ს-ის რელიეფიდან.

ტაბ. I



1




2



ക്രമം. II




3




4




5



6



7



8



9

დიმიტრი ახვლედიანი, რუსუდან ფუთურიძე

პოლხემის ტერიტორიაზე გამოვლენილი ჰერაკლეურ, თასოსურ, ქიოსურ და კნიდურ აფორათა ღამლები

ჟურნალ „ძიებანის“ ორ ნომერში ჩვენ სრულად გამოვაქვეყნეთ კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სინოპური და როდოსული კერამიკული ღამლები [1; 2]. ამჯერად ჩვენს ამოცანას წარმოადგენს, ასევე კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ჰერაკლეურ, თასოსურ, ქიოსურ და კნიდურ აფორათა ღამლების განხილვა. ამათგან ნაწილი პირველად ქვეყნდება, ნაწილი კი ახალ მონაცემებზე დაყრდნობით, თარიღების დაზუსტებას მოითხოვს.

ჰერაკლეური ღამლები

ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილია ხუთი ჰერაკლეური აფორათა ღამლა. ამათგან 2 აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, 2 – ფიჭვნარში, 1 – ბათუმთან, შემთხვევით.

ვანის ნაქალაქარი

1. 07:1 – 37/415

ენგლიფური ღამლა

Καλ εμβλεμα – ჰერაკლეს კომბალი, რომლითაც ორ ნაწილად არის გაყოფილი ფაბრიკანტის საკუთარი სახელი.

ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი [4, გვ. 20]

ი. ბრაშინსკი ამ ტიპის ღამლებს პირველ (A) პერიოდში (I ტიპოლოგიური ჯგუფი) ათავსებს და მას ძვ.წ. IV ს-ის პირველი და მეორე მეოთხედის დასაწყისით ათარიღებს [7, გვ. 39]. პ. ბალაბანოვი ღამლებს მხოლოდ ფაბრიკანტის სახელით I ქრონოლოგიურ ჯგუფს აკუთვნებს და მას ძვ.წ. 400-385/380 წწ.-ით ათარიღებს [6, გვ. 12-28]. ფაბრიკანტ კალიას I-ის მოღვაწეობას ს. მონახოვი ძვ.წ. IV ს-ის 70-იან წლებს უკავშირებს [8, გვ. 191].

2. 07:1 – 72/556

ენგლიფური ღამლა

NI

ძვ.წ. IV-III სს [4, გვ. 20].

ი. ბრაშინსკი ამ ღამლებს მესამე (C) პერიოდში (V გვიანდელი ტიპოლოგიური ჯგუფი) ათავსებს და მას ძვ.წ. III ს-ის პირველი მეოთხედით ათარიღებს [7, გვ. 177-178]. პ. ბალაბანოვი ღამლებს შემოკლებული საკუთარი სახელით III ქრონოლოგიურ ჯგუფში ათავსებს და ძვ.წ. 305-285 წწ.-ით ათარიღებს [6, გვ. 12-28]. ს. მონახოვი ფაბრიკანტის ღამლებს წარწერით NI(-) ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნით ათარიღებს [9, გვ. 448-451].

ფიჭვნარი

3. ენგლიფური ღამლა

Δαμαστίο

Μοιλιοσσι

[3, გვ. 73]

ი. ბრაშინსკი ამ ტიპის ღამლებს მეორე (B) პერიოდში (II გვიანდელი ტიპოლოგიური ჯგუფი) ათავსებს და ძვ.წ. IV ს-ის მეორე, მესამე და მეოთხე მეოთხედის დასაწყისით ათარიღებს [7, გვ. 39]. პ. ბალაბანოვი ღამლებს ორი საკუთარი სახელით II ქრონოლოგიურ ჯგუფში ათავსებს და ძვ.წ. 390/385-305 წწ.-ით ათარიღებს [6, გვ. 12-28]. ეპონიმ მოლოსოსის ღამლებს ს. მონახოვი ძვ.წ. IV ს-ის 70-იანი წლებით ათარიღებს [8, გვ. 191].

4. ენგლიფური ღამლა

Ἡρακλῆιδα

ი. ბრაშინსკი ამ ტიპის ღამლებს პირველ (A) პერიოდში (I ტიპოლოგიური ჯგუფი) ათავსებს და ძვ.წ. IV ს-ის პირველი და მეორე მეოთხედის დასაწყისით ათარიღებს [7, გვ. 39]. ანალოგიური ღამლა აღმოჩნდა პანსკოე I სამაროვანზე და მას ს. მონახოვი და ე. როგოვი ძვ.წ. 400-375 წწ.-ით ათარიღებენ [9, გვ. 148]. შემდგომში ეპონიმ ჰერაკლიდესის ღამლები ს. მონახოვმა ძვ.წ. IV ს-ის 40-იანი წლების დასაწყისით გადაათარიღა [8, გვ. 349].

ბათუმი

5. ენგლიფური ღამლა

.....

ΞΠΙ Συλάνιο

მთლიანი ჰერაკლეური აფორათა აღმოჩნდა შემთხვევით ადგილ „ჭაობაში“.

ამ ტიპის ღამლებს ი. ბრაშინსკი ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს [7, გვ. 113]. ეპონიმ სილანოსის ღამლებს ს. მონახოვი ძვ.წ. IV ს-ის 30-იან წლებს მიაკუთვნებს [8, გვ. 321].

თასოსური ღამლები

ყველა ღამლა აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე.

6. 07:1-90/63

ემბლემა ჭრაქი – ცენტრში ჭრაქი, გარშემო [Θα]σί[ων] Δ[ικ]η[κρατεης]

ეს ღამლა აღადგინა რ. ფუთურიძემ. მისი აზრით, ემბლემა ჭრაქი მხოლოდ ეპონიმ დიკეკრატესთან გვხვდება. იგი ამ დებულების დასამტკიცებლად ბონების ნაშრომს ეყრდნობა [10, გვ. 156]. ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი (რ. ფუთურიძე, ხელნაწერი).

7. 07:1 – 81/310

Θασιον

კნეხტი

Ἡρόδοτο

ძვ.წ. III ს; [5, გვ. 107-108, სურ. 92<sub>2</sub>]

მ. დებიდური ეპონიმ ჰეროდოტოსს ათავსებს

III ქრონოლოგიურ ჯგუფში [11, გვ. 325], რომელსაც იგი ძვ.წ. 325-310 წწ.-ით ათარილებს [11, გვ. 331].

8. 07:1-67/464

ემბლემა – ცენტრში კაპარჭი.

გარშემო წარწერა არ იკითხება.

ძვ.წ. III ს. [4, გვ. 19, სურ. 3<sub>34</sub>].

9. 07:1 – 81/449

ემბლემა – ამფორა, წარწერა არ იკითხება.

**ქიოსური დამლები**

ყველა დამლა აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე.

10-12. 07:1 – 81/7; 07:1 – 85/33; 07:1 – 85/161

სამივე დამლა ერთი სიქით არის დატანილი.

Ἡγησιον Ἡγησιον

ვ. გრეისი და მ. სავატიანუ-პეტროპულაკუ ამ დამლას ძვ.წ. 200 წლის მახლობელი ხანით ათარილებენ [13, გვ. 362].

13. 07:1 – 71/5

Ἰκεσιον

ამ დამლას ვ. გრეისი და გ. იორენსი ძვ.წ. III ს-ის მესამე მეოთხედით ათარილებენ [12, გვ. 166; 14, გვ. 503].

**კნიდური დამლა**

ეს დამლაც აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე.

14. 07:1 – 67/69

[ἐπι Ἀγ]αθοκλε[υς]

[ΕυΕ[διον]

Κνί[διον]

ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევარი [4, გვ. 24-25].

ეპონიმ აგათოკლესს ვ. გრეისი და მ. სავატიანუ-პეტროპულაკუ ძვ.წ. II ს-ის მესამე მეოთხედს აკუთვნიებენ [13, გვ. 329-330].

**D. Akhvlediani, R. Puturidze**

## HERACLEAN, THASIAN, CHIAN AND CNIDIAN AMPHORAE STAMPS REVEALED ON THE TERRITORY OF COLCHIS

Summary

The paper deals with Heracleian, Thasian, Cnidian and Chian amphorae stamps discovered on the territory of Colchis. A part of them is published for the first time, while the dating of the rest of the stamps calls for revision. Two of the five Heracleian amphorae stamps revealed on the territory of

Colchis, were found on the Vani city site, two more stamps - at Pichvnari and the last one - in the vicinity of Batumi. Three Thasian stamps, four Chian ones and a single Cnidian stamp have been excavated on the Vani city site.

The Heracleian and Thasian stamped amphorae were imported to Colchis by the end of the 4<sup>th</sup>-beginning of the 3<sup>rd</sup> cent. B.C.; the Chian ones - in the mid-3<sup>rd</sup> cent. B.C. and the Cnidian amphorae reached Colchis by the third quarter of the 3<sup>rd</sup> cent. B.C.

## ლიტერატურა

1. ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სინოპური კერამიკული დამლები. – ძიებანი, № 5, 1999, გვ. 50-56.

2. ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი როდოსულ ამფორათა დამლები. – ძიებანი, № 4, 1999, გვ. 47-52.

3. კახიძე ა. ფიჭვნარის ძვ.წ. IV საუკუნის სამაროვნის არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. – სლსმ IV, 1974, გვ. 49-101.

4. ფუთურიძე რ. კერამიკული ტარა, ვანი VII, თბ., 1983, გვ. 9-26.

5. ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე. – ვანი VIII, თბ., 1986, გვ. 93-115.

6. Балабанов П. Анализ и датирование амфорных печатей Гераклеи Понтики. – Thracia Pontica, Jambol, 1985, с. 12-28.

7. Брашинский И. Б. Греческий керамический импорт на Нижнем Дону в V-III вв. до н.э. Ленинград, 1980.

8. Монахов С. Ю. Греческие амфоры в Причерноморье. Саратов, 1999.

9. Монахов С. Ю., Рогов Е. Я. Амфоры некрополя Панское I. – Античный мир и археология, вып. 7, 1990, Саратов, с. 128-153.

10. Bon A.-M., Bon A. Les timbres amphoriques de Thasos. Paris, 1957.

11. Debidour M. En classent les timbres thasiens. – BCH, Suppl. XIII, Paris, 1986, pp. 311-334.

12. Grace V. R. Stamped Wine Jar Fragments. – Hesperia, Suppl. X., 1956, pp. 113-189.

13. Grace V., Savvatiianou-Petropoulakou M. Les timbres amphoriques. – Exploration Archéologique de Dýlos, XXVII, Paris, 1970, pp. 277-382.

14. Juhrens G. Zur Herkunft der Amphorenstempel aus dem Heraion von Samos. – BCH, Suppl. XIII, Paris, 1986, pp. 497-503.

## ქიოვან ჯავახიშვილი

### გლიპტიკურ კვლევებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები II. გეგა პრეო-თიანეთიდან<sup>1</sup>

1966 წელს ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ<sup>3</sup> თიანეთის რ-ნის ს. მაგრანეთის განაპირას მდებარე ქუშანანთგორის სამაროვანზე (II) გათხრილ ერთ-ერთ სამარხში (№ 10)<sup>4</sup> აღმოჩნდა გრანატის გემით შემკული ოქროს ბეჭედი<sup>5</sup> [I, გვ. 50-51, 96-97, სურ. 15, ტაბ. II, IV]. გეგა-ინტალიო ოვალურია, ოდნავ ამობურცულ პირზე გამოსახულია ათენას ბიუსტი მკაცრ პროფილში, შემოფარგლული მკერდს ქვემოთ (სურ. 1). სრულიად ახალგაზრდა ქალღმერთი წარმოდგენილია მუზარადის გარეშე; ღამაში მოყვანილობის თავი აქვს, მრგვალი ნაზი სახის ოვალი, მაღალი კისერი, ძალიან ქალური კლასიკური პროფილი და თითქოს ოდნავ აფუებული, განიერი დიადემით გადაჭერილი გრძელი თმა, რომლის ნაწილი მსხვილ ტალღებად ზურგზე ჩამოდის, ნაწილი – დიადემის გასწვრივ წვრილ ტალღებად შუბლს ეფინება; დიადემაზე დამაგრებული აქვს დიდი ზომის სასაფეთქლე სამკაული, რომელიც წარმოადგენს ორ ნახევარმთვარისებურ რგოლზე ჩამოკიდებულ მოგრძო ოვალურ, მირტის ნაყოფის ან რკოსებრ საკიდებს.<sup>6</sup> ხელოვნების ამ მშვენიერ ქმნილებაში განსაკუთრებით მომხიბლავია ქალღმერთის მშვიდი, შთაგონებული გამომეტყველება.

ღვთაება შემოსილია ეგვიპტის, რომლის ერთი კიდე მარჯვენა მხრიდან ირიბად ეშვება, მეორე – მკერდის ქვეშ ამოდის, მხრის გაყოლებით მიემართება და ზურგზე გადადის; მკერდზე და ზურ-

გზე მკაფიოდ მოსჩანს ეგვიპტის ტყავის ბალნის ზვეულები; ეგვიპტის ქვევიდან, მხარზე ქიტონის ფართო ნაოჭები ეშვება; ღვთაების მკერდზე, შუაში, ეგვიპტის დამაგრებული დიდი ზომის გორგონიონი, რომლიდანაც მარცხენა მხრიდან ოთხი წვრილი, დაკლაკნილი გველი ამოდის, მარჯვენა მხართან – ერთი; კიდევ ერთი ასეთი გველი ჩანს მარჯვენა მხრის ზევით, კისერთან.

კვეთა არ არის ღრმა, მაგრამ მკაფიოა და პლასტიკური. გულმოდგინედ, წმინდად და ფაქიზად არის დამუშავებული ყოველი დეტალი: მშვენიერი სახის ნატიფი ნაკვთები, წმინდა პარალელური ხაზებით გადმოცემული სქელი, აფუებული თმა, რომელშიც თითქოს ჩაფლულია მაგრად გადაჭერილი სადა დიადემა, სასაფეთქლე სამკაულის უწვრილესი დეტალები, ეგვიპტის ბეწვის წმინდა ზვეულები, გორგონის თავი შუბლის გარშემო ჩახვეული თმითა და ფოთლისმაგვარი სტილიზებული ფრთით და მოცულობით, პლასტიკურად გამოსახული ქიტონის ფართო ნაკეციები.



სურ. 1

გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მრავალრიცხოვან ანტიკურ გემებზე ღვთაებებისა და სხვადასხვა პირთა ბიუსტების გამოსახულებები, იმ შემთხვევაშიც, როდესაც თავი პროფილშია, მკერდი უმეტესად სამ მეოთხედში ან პირდაპირ არის წარმოდგენილი, მხარი კი ხშირად აღნიშნულია მხოლოდ პირობითად. ერწოს გეგაზე მხარი და მკერდი პროფილშია გამოსახული, მოცემულია პერსპექტივაში, სავსებით რეალისტურად, რაც

<sup>1</sup> პირველი წერილი ამ სერიისა იხ. „ძიებანი“, № 7, 2001, გვ. 64-67.

<sup>3</sup> ექსპედიციის ხელმძღვანელი რ. რამიშვილი.

<sup>4</sup> ქვის სამარხის ტიპის № 10 სამარხი აღმოჩნდა სახურავგადახდილი და ძველადვე გაპარცული [I, გვ. 49-50].


<sup>5</sup> ბეჭედი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გლიპტიკის ფონდში, საინვ. № 1229. ზომები: ინტალიოს – 15x10 მმ; ბეჭდის შიდა – 19x16 მმ; გარე – 21-25 მმ.

<sup>6</sup> საყურადღებოა, რომ მოგრძო მირტის ნაყოფისა და რკოსებრი საკიდები ძვ.წ. V-IV სს. სხვადასხვა სამკაულებში გვხვდება [14, ტაბ. XLVI, № 2322, 2323; 10, ტაბ. XX, გვ. 29, კატ. № 16, გამოსახ. 8, 16; 9, 16; 9, გვ. 54, 55, № 7; გვ. 106, 107, № 60; 2, გვ. 104, № 16, სურ. 8, 9].

მაღალი კლასის ხელოვნებაზე მიგვიბრუნებს და საერთოდ იშვიათია ანტიკურ გლიპტიკაში.

მაღალმხატვრული ხელოვნების ქმნილებაა, უდავოდ გამოჩენილი ოსტატისა. ასე ვარაუდობს ერწო-თიანეთის ექსპედიციის ხელმძღვანელი რ. რამიშვილი და აღნიშნავს, რომ „ათენას გემა უფრო კლასიკური ხანის ნამუშევარს მოგვაგონებს, ვიდრე გვიანანტიკურს“<sup>7</sup> [1, გვ. 50]. მარგ. ლორთქიფანიძეს მიაჩნია, რომ ერწოს გემა, რომელსაც ის ძვ.წ. II ს. ათარილებს, რომელიც ცნობილი ოსტატის ნახელავი უნდა იყოს [1, გვ. 96, სქ. № 137].

გვიქრობთ, ერწოს გემა ავგუსტუსის ხანის კლასიციზტური ხელოვნების ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს.



სურ. 2

ცნობილია, რომ ავგუსტუსის დროის ქვის მჭრელი ოსტატები თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებდნენ კლასიკური ეპოქის ოსტატთა მონუმენტური ხელოვნების, მათ შორის სკულპტურულ ნიმუშებს. ამასთან ახდენდნენ არა მხოლოდ მათ პირდაპირ კოპირებას, არამედ თავისუფალ ინტერპრეტაციასაც [12, ტ. III, გვ. 345, 347]. განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობდა ქალთა ბიუსტები ფიდასის ეპოქის ლამაზი თავებით, მათ შორის კი ძალიან პოპულარული, ქალური სილამაზის განსახიერება მშვიდო-

<sup>7</sup> ოქროს ბეჭედი, რომელშიც გემა არის ჩასმული [იხ. 1, ფერ. ტაბ. IV], ე.წ. ჰორიზონტულმხრებიანი, მირჩილულთვალბუდიანი ტიპის რომაული ბეჭედი, რომელიც ახ.წ. III ს. თარიღდება [იხ. 13, ტაბ. XI, 216, 219-221 და სხვ.].

ბიანი ათენა ლემნია თვით ფიდასისა [12, ტ. III, გვ. 333, 348].

ცნობილია, რომ კ. ლემნოსზე ძვ.წ. 448 წელს გადასახლებულმა ათენელმა კლერუქოსებმა-კოლონიტებმა ფიდასს შეუკვეთეს და თავის მშობლიურ ქალაქს მიუძღვნეს მშვიდობიანი ათენას ქანდაკება (შემდეგში ლემნიად წოდებული), რომელიც აკროპოლისზე დაიდგა. ამ ქანდაკებამ, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა მნახველები (პლინიუსი, ლუკიანე, ჰიმორიოსი) [3, გვ. 193-194], ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ დღეს მის შესახებ წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია ანტიკურობის გამოჩენილი მკვლევარის ა. ფურტვენგლერის შესანიშნავი მიგნების წყალობით: ბერძენ მწერალთა (ლუკიანე, ჰიმორიოსი) აღწერილობის მიხედვით და ერთ-ერთი რელიეფისა და გემების გამოსახულებების მოშველიებით, მან შეძლო რომაული რეპლიკების – დრეზდენში დაცული ტორისისა და ბოლონიის მუზეუმის თავის – დაკავშირება და ფიდასის შესანიშნავი ქმნილების თავდაპირველი კომპოზიციის აღდგენა (სურ. 2, 3). ღვთაება წარმოგვიდგა თავსაბურავის გარეშე; მოკლედ შეჭრილი ტალღოვანი თმა განიერი, სადა დიადემით მაგრად აქვს გადაჭერილი; მარცხენა ხელით შუბს ეყრდნობა, მარჯვენაში მუხარადი უჭირავს; მხრიდან ირიბად დაშვებულ ევიდაზე, მკერდზე დამაგრებული აქვს დიდი ზომის გორგონეონი [3, გვ. 193-194, სურ. 209; 8, ნახ. 6, 7].



სურ. 3

შემორჩენილია საკმაო რაოდენობის რომაული გემები ათენა ლემნიას ბიუსტის გამოსახულებით (სურ. 4). ეს გემები, რომლებზედაც ქალღმერთი წარმოდგენილია მოკლედ შეჭრილი, დიადემით მაგრად გადაჭერილი თმით და მუხარადით ხელში [12, I, ტაბ. XXXVIII, 34-38; 17, ტაბ. XIX, 216, 219-221 და სხვ.].

1372; 15, № 104] ამკარად ფიდიასის ათენა ლემნიას ქანდაკების ზედა ნაწილის კოპიოს წარმოადგენს. მაგრამ ერთი კამეო პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან (სურ. 5), რომელზედაც გამოსახულია ათენა მუზარადის გარეშე, მარჯვენა მხრიდან ირიბად დაშვებული ეგვიდით, მხართან გამოსახული დაკლაკნილი გველებით და დიადემით გადაჭერილი, მხრებზე ჩამოშვებული ტალღოვანი გრძელი (და არა მოკლე) თმით, ა. ფურტვენგლერს ფიდიასის ათენა ლემნიას სახით შთაგონებულ ავგუსტუსის ხანის ნახელავად მიიჩნია [12, III, გვ. 333, 348, სურ. 177]. იგივე შეიძლება ითქვას ერწოს გემის გამოსახულებაზეც, რომელიც ფიდიასის შედეგის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. მიუხედავად რამდენადმე თავისუფალი ინტერპრეტაციისა (გრძელი თმა, სასაფეთქლე სამკაული, გველების გამოსახულება). ამკარაა, რომ ერწოს გემისათვის მოდელს ათენა ლემნია წარმოადგენდა. თუ არ ჩავთვლით მხრებზე ჩამოშვებულ გრძელ თმას, ერწოს ათენას, სადა დიადემით მაგრად გადაჭერილი თმის ტალღების მიმართულებაც კი იმეორებს ფიდიასის ათენა ლემნიას სკულპტურულ გამოსახულებას [შეად. 3, სურ. 209; 8, სურ. 6, 7]. ამ მხრივ ის გაცილებით მეტ მსგავსებას იჩენს ფიდიასის ათენა ლემნიასთან, ვიდრე ა. ფურტვენგლერის მიერ შედარებული პარიზის კამეოს გამოსახულება. მხრიდან ირიბად დაშვებული ეგვიდაც ათენა ლემნიას ქანდაკებისაკენ მიგვანიშნებს.



სურ. 4

ვფიქრობთ, ერწოს გემა ავგუსტუსის ეპოქის ქვისმჭრელის ჰილოსის (Hyllos) ნახელავი უნდა იყოს.

ანტიკურობის ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატი ჰილოსი იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის კარის ქვისმჭრელის, წარმოშობით კილიკიელი ბერძენის (ქ. ეგიდან) დიოსკურიდესის ერთ-ერთი შვილი იყო [12, III, გვ. 315; 7, გვ. 79]. დიოსკურიდესი და მისი სამი ვაჟი ოსტატთა ალექ-

სანდრიული სკოლის წარმომადგენლებად ითვლებიან. ა. ფურტვენგლერის ვარაუდით, როგორც ხელოვანები ისინი ალექსანდრიაში დაოსტატდნენ, შემდეგ ძვ.წ. 30 წელს ოქტავიანე ავგუსტუსმა ეგვიპტეში ყოფნის დროს აღმოაჩინა ისინი და რომში წამოიყვანა [12, III, გვ. 315]. მ.ლ. ფოლენვეიდეტს კი მიაჩნია, რომ ოსტატთა ეს ოჯახი ჯერ კიდევ იულიუს კეისრის ეგვიპტეში ყოფნის შემდეგ (ძვ.წ. 48 წ.) აღმოჩნდა რომში [16, გვ. 73]. ჰილოსი, რომელიც ჯერ ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წწ.) კარზე მოღვაწეობდა, შემდეგ კი ტიბერიუსისა (ახ.წ. 14-37 წწ.), ძალიან ნაყოფიერი შემოქმედი იყო და ღირსეულად ატარებდა გემების ოსტატთა განთქმული ოჯახის სახელს. ჯ. ბორდმანს მიაჩნია, რომ ჰილოსის შემოქმედების აყვავების ხანა ძვ.წ. 20-იან წლებზე მოდის [10, გვ. 30-31]. დიოსკურიდესის მოწაფეებს შორის ჰილოსი ყველაზე თანმიმდევრული კლასიციისტი იყო [16, გვ. 71-72; 5, გვ. 43]. მისი შემოქმედების შთაგონების წყაროს შეადგენდა ბერძნული კლასიკური ხანის ქანდაკებები, რომლებსაც ავგუსტუსის ძლევაშემდეგ გამარჯვებების შედეგად, ნადავლის სახით თავი მოუყარეს რომში [4, გვ. 385; 5, გვ. 44]. ო. ნევეროვიცა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულ ჰილოსის ერთ-ერთ ხელმოწერილ გემაზე გამოსახული აპოლონის ბიუსტი ძვ.წ. IV ს. დასაწყისში სკოპასის მიერ შექმნილ იმ ქანდაკებას უკავშირდება, რომელიც ძვ.წ. I ს. 20-იან წლებში ქ. რამუნტიდან რომში ჩაიტანეს და პალატინის ბორცვზე ავგუსტუსის მიერ აგებულ აპოლონის ახალ ტაძარში დადგეს [5, გვ. 44-45]. ერმიტაჟის გემა აპოლონის გამოსახულებით გამოირჩევა მკაცრი ლაკონური, ერთგვარად გრაფიკული სტილითა და თმის თავისებური ძალიან წმინდა პარალელური ხაზებით გადმოცემის მანერით [16, გვ. 71, ტაბ. 81<sub>3</sub>; 5, გვ. 45, სურ. 44 გვერდზე]. ამ სტილისტური ნიშნების მიხედვით მკვლევარები ცდილობენ დაადგინონ ჰილოსის ნახელავი სხვა გემებიც. მაგ. ნევეროვიცა ვარაუდობს, რომ ჰილოსს უნდა ეკუთვნოდეს ორი გემა ერმიტაჟის კოლექციიდან: ერთი კამეო დიანას ბიუსტის გამოსახულებით – შესაძლოა ანარეკლი ძვ.წ. IV ს. მოქანდაკის ტიმოთეოსის იმ ქანდაკებისა, რომელიც დადგეს რომში პალატინის ბორცვზე სკოპასის აპოლონის გვერდით [5, გვ. 45, სურ. 44 გვერდზე], და მეორე – ინტალიო სივილას ბიუსტის გამოსახულებით [5, გვ. 45, სურ. 45 გვერდზე], რომელსაც იგი აპოლონისა და დიანას ქანდაკებების ფეხით მჯდომ სივილას ქანდაკებას [5, გვ. 45, სურ. 45 გვერდზე] უკავშირებს. მ.ლ. ფოლენვეიდეტის ვარაუდობს (მას ო. ნევეროვიცა ეთანხმება), რომ სტილის მიხედვით, გან-

საკუთრებით თმის გადმოცემის მანერით, ერმიტაჟის ერთ-ერთი შესანიშნავი სარდერის ინტალიო ფიდასის ოლიმპიელი ზევსის ბიუსტის გამოსახულებით, ჰილოსის ნახელავი უნდა იყოს [16, გვ. 72, ტაბ. 83,1; 5, გვ. 43, სურ. 44 გვერდზე]. ჰილოსის ნახელავად მიჩნეულია კიდევ რამდენიმე გემა ქალთა შესანიშნავი ბიუსტებით, წმინდა პარალელური ხაზებით გადმოცემული თმითა და მშვენიერი კლასიკური პროფილებით, აღსავსე რაღაც განსაკუთრებული მშვიდი იდუმალებით [16, ტაბ. 81,2, 5, 6; 6, №№ 116, 117]. ვფიქრობთ, მათ რიცხვს ერწოს გემაც შეიძლება შევუერთოთ. გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ოსტატ ჰილოსის ხელმოწერილი ამეთვისტოს ერთი შესანიშნავი გემა ერმიტაჟის კოლექციიდან ფორტუნას გამოსახულებით [6, № 119], რომელზედაც ღვთაების ბიუსტი თუმცა პირდაპირ არის წარმოდგენილი, თმის გადმოცემის ხერხით და განსაკუთრებით თმის ტალღების მიმართულებით ერწოს ათენას მასთან დიდი მსგავსება აქვს, ორივეს ერთად კი, ვფიქრობთ, ფიდასის ათენა ლემნასთან. ერმიტაჟის ეს გემა საინტერესოა იმიტომაც, რომ, ისე როგორც ერწოს გემაზე, აქაც ძალიან ოსტატურად, წმინდად, დიდი გულმოდგინებით არის გადმოცემული გამოსახულების უწერილესი დეტალები – ღვთაების საყურეები, ყელსაბამი და სიუხვის ყანწი თავისი ატრიბუტებით. საყურადღებოა კიდევ ერთი პატარა დეტალი, რომელსაც ვთვლით, რომ მაინც აქვს გარკვეული მნიშვნელობა: ერწოს ათენას ეგიდის ბეწვის ხვეულების გადმოცემის ხერხი ზედმიწევნით მსგავსია ჰილოსის ნახელავად მიჩნეულ სარდერის გემაზე გამოსახულ სატირის ტიკის ზედაპირის ხვეულებისა [16, ტაბ. 80,4; 82,1].



სურ. 5

საფუძველს, იმისა რომ ერწოს გემა შესაძლოა ჰილოსის ნახელავი იყოს, გვაძლევს ამ ოსტატის განსაკუთრებული ლტოლვა ბერძნული კლასიკური ხანის მოქანდაკეთა (ფიდასი, სკოპასი, ტიმოთეოსი) ქმნილებებისადმი, და უპირველესად კი თვით ერწოს გემის სტილი და თმის გადმოცემის მანერა – ჰილოსის ქმნილებების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი – რომელსაც საგანგებოდ აღნიშნავს მ. ლ. ფოლენვეიდერი [16, გვ. 71].

**K. Javakhishvili**

**GEMS BEARING REPRESENTATIONS OF SCENES FROM SPECIMENS OF ANCIENT MONUMENTAL ART. II.<sup>8</sup> GEM FROM ERTSO-TIANETI**

(Summary)

A gold ring with a garnet gem-intaglio was found in 1966 in a burial (No 10) of the "Kushanaantgora" (II) necropolis, situated on the outskirts of the village of Magraneti (Tianeti district, Eastern Georgia) by the Ertso-Tianeti archaeological expedition (Director – R. Ramishvili). A profiled bust of Athena without a helmet and with an obliquely tied aegis, is represented on the slightly concaved surface of stone; the head of Gorgon with thin wriggling serpents; broad folds of the tunic fall from the aegis upon her shoulder. Her hair, as if slightly fluffed up, is tightly knotted with a broad diadem and it streams down on her shoulders in large waves, while smaller curls lie upon her forehead along the diadem line; her temples are adorned with oval pendants (acorn pattern?) attached to double sickle-shaped rings.

The engraving is not too deep, but the representation is clear and plastic. All details of the beautiful head of the goddess are elaborated carefully and delicately, with great skill: hair is depicted by means of very thin parallel lines; temple adornment; tunic drapery; curves of aegis; gorgoneion on her breast and thin serpents. A sort of a spiritual expression of her face gives special charm to the imagery of the goddess.

R. Ramishvili regards the gem as "a masterpiece of a great artist" and points out that the gem

<sup>8</sup> For the first paper of this series see "Dziebani", 7, Tbilisi, 2001, pp. 64-67

resembles rather specimens of the Classical period than the Roman age [1, p. 50] (the gem is inserted in a ring of the 3rd cent. A.D.). According to M. Lordkipanidze's assumption, it must be the creation of one of the great Greek artists and should be dated to the 2nd cent. B.C. [1, p. 96, n. 137].

The author is inclined to attribute the gem from Ertso to the Augustan period and concludes that it represents descreet interpretation (long hair, temple adornment) of Athena Lemnia by Phidias. A cameo, preserved in Paris, bearing the bust of Athena without a helmet and with long hair, must represent, according to A. Furtwngler, imagery inspired by Athena Lemnia [12, III, pp. 333, 348, fig. 177]. It is suggested that the gem from Ertso must be the creation of the outstanding Greek artist Hyllos, son of Dioskourides, the most consistent classicist among the pupils of Dioskourides [16, p. 71-72; 5, p. 43-45]. Hyllos is hypothesized as the author of a few gems with representations of beautiful female heads [16, Pl. 81, 2, 5, 6, Nos 116, 117] with hair conveyed by means of very thin parallel lines and a valiant mysterious look. According to the author, the gem from Ertso can be attributed to the above group on the grounds of attested strong inclination of Hyllos for masterpieces of the sculptors of the Classical period (Pheidias, Scopas, Timotheus [5, p. 43-45]), as well as style of representation and technique of elaboration of hairdo, specially stressed by M. L. Vollenweider [16, p. 71] and O. I. Neverov [5, p. 45].

### ლიტერატურა

1. რამიშვილი რ. ერწოს კელი გვიანარმაზულ ხანაში. თბ., 1979.
2. ჭყონია ა. ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი VI, თბ., 1981.
3. Виппер Б.Р. Искусство Древней Греции. М., 1972.
4. Машкин Н.А. История Древнего Рима. М., 1949.
5. Неверов О.Я. Мастер Гилл и скульптура храма Апполона в Палатине. – СГЭ, XXXVI, Ленинград, 1973, с. 43-47.
6. Неверов О.Я. Античные инталии в собрании Эрмитажа. Ленинград, 1976.
7. Неверов О.Я. Геммы античного мира. М., 1983.
8. Чубова А.П. Фидий. М., 1962.

9. Уильямс Д., Огден Д. Греческое золото. Ювелирное искусство классической эпохи V-IV века до н.э. Санкт-Петербург, 1995.

10. Boardman J. Engraved Gems. The Ionides Collection. London, 1968.

11. Coche De La Fert E. Les bijoux antique. Paris, 1956.

12. Furtwngler A. Die antiken Gemmen, I-III. Leipzig-Berlin, 1900.

13. Henkel Fr. Die rmischen Fingerringe der Reinland. Berlin, 1913.

14. Marshall F. Catalogue of the Jewellery. London, 1911.

15. Richter G.M.A. Engraved Gems of the Romans. London, 1971.

16. Vollenweider M.L. Die Steinschneidekunst und ihre Knstler in sptrepublikanischer und augusteischer Zeit. Baden-Baden, 1966.

17. Walters H.B. Catalogue of the Engraved Gems and Cameos. Greek, Etruscan and Roman. London, 1926.

### სურათების აღწერილობა

სურ. 1 – ინტალიო. გრანატი. ათენას ბიუსტი. მაგრანეთი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

სურ. 2 – ფიდასი. ათენა ლემნია. მარმარილო. დეტალი. ბერძნული ორიგინალის რომაული ასლი. ბოლონიის მუზეუმი.

სურ. 3 – ფიდასი. ათენა ლემნია. მარმარილო. ბერძნული ორიგინალის რომაული ასლი. თავი – ბოლონიის მუზეუმი, ტორსი – დრეზდენის მუზეუმი.

სურ. 4 – ინტალიო. ქალცედონი. ათენა ლემნია. ბიუსტი. ბრიტანეთის მუზეუმი.

სურ. 5 – კამეო. სარდიონ-ფრცხილი. ათენას ბიუსტი. პარიზი, ნაციონალური ბიბლიოთეკა.

### Description of the figures

1. Intaglio. Garnet. Bust of Athena. Magraneti. State Museum of Georgia.

2. Pheidias. Athena Lemnia. Marble. Detail. Roman Copy of the Greek original. Museum of Bologna.

3. Pheidias. Athena Lemnia. Marble. Roman copy of the Greek original. Head – Museum of Bologna, torso – Museum of Dresden.

4. Intaglio. Chalcedony. Athena Lemnia. Bust. British Museum.

5. Cameo. Cornelian. Athena bust. Paris, Bibliothque nationale.



## მაია ჩარკვიანი


### ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე

ექვთიმე თაყაიშვილმა 1896 წლის ივლისის თვეში, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კომისიის მინდობილობით, არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ვანში [2, გვ. 1-7; 8, c. 110; 6, c. 108-110; 5, გვ. 83-87; 3, გვ. 105; 4, გვ. 130-131; 7, c. 7, 33, 110; 1, გვ. 5-6]. ამ სტატიის მიზანს წარმოადგენს მის მიერ გაკეთებული თხრილების შეძლებისდაგვარად ვანის ნაქალაქარის დღევანდელ გენ. გეგმაზე დატანა და მოპოვებული მასალების სრულად შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. ყოველივეს აღდგენა შესაძლებელი ხდება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შესრულებული საველე დღიურის მიხედვით, რომელიც დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ექ. თაყაიშვილის ფონდში, № 822 (ქვეყნდება პირველად).

იპოვიტ ეგრედ-წოდებულს „კულტურულს ნიადაგს,“ ქვის კედლებს, სხვა-და-სხვა შენობებს, თიხის ჭურჭლის ნატეხებს, ქვევრებს და სხვა. ქვის კიბეები და ძველი შენობის ნაშთები ზოგჯერ ზეზედ ამოსჭვივიან, მაგრამ ჯეროვანი გამოკვლევა ამ ადგილისა შეუძლებელია, მანამ აქ ახვლედიანები სახლობენ. მუშაობის დროს მათ კარ-მიდამოები უფუჭდებათ და ხშირად გამოკვლევა რომელიმე ადგილისა დაგარწმუნებთ, რომ ახვლედიანების სახლების აულებლად მუშაობა შეუძლებელია“ [2, გვ. 6].

მიუხედავად ამ სიძნელეებისა ექვ. თაყაიშვილმა ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოახერხა შვიდი თხრილის დადება (სურ. 1, ვანის ნაქალაქარის გენ. გეგმა).

პირველი თხრილი გაკეთდა 13 ივლისს სო-



სურ. 1


როგორც ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „ძველი ქალაქი ვანისა თავის ნაშთებით დამარხულია ეხლანდელი ახვლედიანების კარ-მიდამოში. სადაც არ უნდა მიადგეთ თხრას ამ გორაკზე, ყოველგან

ლომონ ახვლედიანის ბაღში, აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, დიდი რაოდენობით ადამიანის ძვლები, აგურები (იხ. ვანის ნაქალაქარის გენ. გეგმა, I).



სურ. 2

მეორე თხრილი გაკეთდა 15 ივლისს კირილე ახვლედიანის სახლთან 2 1/2 არშინზე (1,77 მ).<sup>9</sup> აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, სამი დიდი, რკინის ლურსმანი, დოქი, ამფორა, 2 არშინისა და 10 ვერშოკის სიღრმეზე (1,8 მ) - შვიდსაფეხურიანი თლილი ქვის კიბე, რომელიც დაბოლოვდა უხეშად თლილი ქვებით მოკირწყლული იატაკით. აქვეა ნაპოვნი ოთხკუთხა კაპიტელი, 13x12 ვერშოკი (62x48 სმ.), სიმაღლე 9 ვერშოკი (36 სმ.), ამოღარული ზოლებით (იხ. ვანის ნაქალაქარის გენ. გეგმა II).



სურ. 3

მესამე თხრილი გაკეთდა პროკოფი ახვლედიანის სახლთან, სადაც შორიანხლოს ადრე ნაპოვნი იყო აკლდამა ქვის სარკოფაგით [2, გვ. 4]. თვითონ ამ ადგილზე კულტურული ნათესები იყო, ამიტომ მეორე თავისუფალ ნაწილში დაიწყო

<sup>9</sup> 1 ვერსტი უდრის 1066,78 მეტრს, 1 არშინი უდრის 0,71 მეტრს, 1 ვერშოკი უდრის 4 სანტიმეტრს.

გათხრა. თავიდან გაკეთდა გრძელი ტრანშეა 11 არშინის სიგრძის (7,81 მ) და 2 არშინისა და 7 ვერშოკის სიღრმის (1,45 მ). აღმოჩენილი იქნა სპილენძის იარაღის ნატეხი, თიხის ქვევრი ღვინისათვის, თიხის მინიატურული ჭურჭელი, დიდ ჭურჭელში იდო კაჟის ნატეხი, თიხის ჭრაქის ფრაგმენტი (იხ. ვანის ნაქალაქარის გენ. გეგმა, III).

მეოთხე თხრილი 16 ივლისს გაკეთდა მდ. საქვაბიას დელეში. ნაპოვნი იქნა სპილენძის სამაჯური, ოქროს ნაფხვენები, კრამიტის ნატეხები, აგურები, კიბის ნაკვალევი (იხ. ვანის ნაქალაქარის გენ. გეგმა, IV).

მეხუთე თხრილი გაკეთდა პლატონ ახვლედიანის ეზოში (იხ. ვანის ნაქალაქარის გენ. გეგმა, V).

მექვსე თხრილი გაკეთდა ევგენი ახვლედიანის სახლთან. აღმოჩენილი იქნა ალბათ პორტიკის ნაწილი (იხ. ვანის ნაქალაქარის გენ. გეგმა, VI).



სურ. 4

„ახვლედიანების გორაზე“ მიწის ზედაპირზე მოჩანდა მარტო ერთი ძველი ნაშთი. გათხრის შემდეგ ეს აღმოჩნდა თლილი ქვის პატარა, დანგრეული ეკლესია. კედლებზე არავითარი წარწერა არ იყო. ეკლესიის ნანგრევებთან ექთაყაიშვილმა იპოვა პატარა ქვის ნატეხი, რომელზედაც, მისი აზრით, გამოსახული ყოფილა ეკლესიის აღმშენებელი შვილთან ერთად. შვილის გამოსახულება მთლიანად დაცულია, ხოლო მამისა – მარტო წელს ქვემოთ. შვილის სურათს

ზემოთ ხუცურად აწერია: „მეი ბაკურ.“ მამის წარწერა არ შემონახულა. ეს ქვა, ალბათ, ეკლესიის აღმოსავლეთის კედელს ამკობდა. გამოსახული ფიგურების ჩაცმულობა და ასოების მოხაზულობის ხასიათი მიუთითებს იმაზე, რომ ეს ეკლესია იყო ერთ-ერთი ყველაზე უძველესი იმერეთში. ეკლესიის იატაკის ქვემოთ ძვლებით სავსე აკლდამა იყო, რომელიც ალ. სტოიანოვმა გახსნა 1889 წელს. ეს ქვა ექ. თაყაიშვილმა ჩააბარა საისტორიო და საეთნოგრაფიო ქართული საზოგადოების მუზეუმს [2, გვ. 3; 6, ს. 110] (იხ. ვანის ნაქალაქარის გენ. გეგმა, VII).



სურ. 5

ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე ექ. თაყაიშვილმა გათხარა პატარა, თლილი ქვის ეკლესიის ნანგრევები, რომლის თაღში ჩატანებული იყო პატარა ჭურები ხმის მისაცემად. სვეტისთავეები, რომლებიც საქალაქის აერთიანებდნენ ეკლესიასთან, ჩუქურთმებიანი იყო, მდარე ხელობისა. ეკლესიის ბოლომდე გათხრა ვერ მოხერხდა, რადგან ამისათვის კირილე ახვლედიანის სახლი უნდა დანგრეულიყო. ექ. თაყაიშვილი მას ქრისტიანობის საწყისი დროის უძველეს ძეგლად თვლიდა [2, გვ. 6-7]. სამწუხაროდ, სადღეისოდ ეს ნაგებობა არ ფიქსირდება.

ექ. თაყაიშვილს დღიურში ცალკე აქვს აღნიშნული ვანში აღმოჩენილი მასალის ჩამონათვალი:

- 1) თიხის მოგრძო ჭურჭლის ფრაგმენტი.
- 2) თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი.
- 3) თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი - ობლების სახლთან.
- 4) თიხის ტოლჩა.
- 5) თიხის ჭრაქის ფრაგმენტი.
- 6) მომცრო თიხის ქოთან.
- 7) თიხის ფრაგმენტი.
- 8) თიხის ქოთნის ფრაგმენტი.
- 9) მომცრო, მოგრძო თიხის ქოთან, ილო ქვევრში.

- 10) რკინის ლურსმანი - 6 ცალი.
- 11) რკინის იარაღის ნაწილი - ობლების სახლთან.
- 12) სპილენძის მილი.
- 13) სპილენძის ნივთი - გაურკვეველი დანიშნულების.
- 14) სპილენძის არწივი.
- 15) სპილენძის ნემსი.
- 16) სპილენძის სამაჯური.
- 17) სამი სპილენძის ნივთი: ერთი ნემსი (ფრაგმენტი), მეორე ბრტყელი მოკაუჭებული ბოლოთი.
- 18) რკინის დანის ფრაგმენტი.
- 19) ოქროს ძაფი.
- 20) რკინის ნივთის ფრაგმენტი.
- 21) რკინისა და მინის სამაჯურების ფრაგმენტები (2 ც.).
- 22) ტყვიის დაფა ზედ გამოსახული ჯვრითა და ხაზებით.
- 23) რკინის მილი, ისრისპირის.
- 24) სპილენძის დაფა.
- 25) სპილენძის ბალთა.
- 26) გაურკვეველი ნივთის 4 ფრაგმენტი.
- 27) სპილენძის ნივთის ფრაგმენტი, ნაპოვნი პორფირეს სახლთან.
- 28) 60 სხვადასხვა ფრაგმენტი - საქვაბიაში ნაპოვნი.
- 29) მადნის ქვების ნიმუშები, ნაპოვნი საქვაბიაში.
- 30) ცხენის ოთხი კბილი, სამი პატარა - პორფირეს სახლთან, ერთი დიდი - საქვაბიაში.
- 31) თიხის ქოთნების ფრაგმენტები.



სურ. 6

ჩამოთვლილი მასალის აღმოჩენის ადგილი და ვითარება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, დღიურში არ არის აღნიშნული.

ექ. თაყაიშვილმა ვანის ნაქალაქარზე ჩატარებული სამუშაოს ანგარიში ჩააბარა საიმპერატორო არქეოლოგიურ კომისიას, სადაც აღნიშნული იყო როგორც გათხრების დროს ნაპოვნი მასალა, ასევე მოსახლეობაში აღრე ნანახი

ნივთები: ლისიმაქეს ვერცხლის მონეტა, ორი ვერცხლის კოლხური მონეტა, 3 ვერცხლისა და 3 სპილენძის რომაული მონეტა, ოქროს ნატიფი ვარდული, ბრინჯაოს მომცრო, არწივის სტატუეტი, ბრინჯაოს სამაჯური, ბალთა და ნემსი, ტყვიის ფირფიტა, შემკული საზებითა და ჯვრებით, სპილენძისა და რკინის მილაკები [8, c. 110].

სურ. 7



სურ. 8

ზემოთ ხსენებული ნივთები გადაეგზავნა საიმპერატორო არქეოლოგიურ კომისიას, იქიდან რუსეთის საისტორიო მუზეუმში გადავიდა 1896/57 ნომრით [8, c. 226-227], შემდეგ კი მისი ნაწილი დაუბრუნდა კავკასიის (დღევანდელი აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო) მუზეუმს, სადაც დღემდე ინახება საფონდო № 2500-2513 [5, გვ. 84]. აღნიშნული მონაპოვარი გამოქვეყნებული აქვს გრაფინია პ. უვაროვას [9, c. 107-108]. ჩვენი აზრით, ნივთების



აღწერილობის სიზუსტე ეჭვს იწვევს, ამიტომ ვიძლევიტ მისეულ ტექსტს:

სურ. 9

= 2500 - Пряжка бронзовая – пластинчатой формы в обломках, древне-кобанского типа, с поверхностью, разбитой на квадраты, из которых верхний и нижний заняты врезанными вглубь изображениями тигров или леопардов, обыкновенных для предметов подобного типа; два других квадрата заняты полем, носящим следы заливки железом, при чем в центре имеется отверстие для закрепы заливки. Середина была, вероятно, занята изображением оленя, но от него сохранилась только верхняя часть рогов (სურ. 2).

== 2501-2502 - Бронзовые булавки незначительных размеров с маленькою шарообразною головкою (სურ. 3).

№№ 2503-2504 - Бронзовые булавки таких же мелких размеров с плоскою вершинкою с отверстием (სურ. 4).

№№ 2505-2510 - Браслеты бронзовые из круглой проволоки с разделяющимися оконечностями; последние два экземпляра имеют оконечности в виде змеиных головок, более ясных в особенности у последнего экземпляра (სურ. 5-7; 8).

№ 2511 - Перстень бронзовый с неясно награвированным изображением.

№ 2512 - Наконечник стрелы, железный вилообразный незначительных размеров (სურ. 9).

№ 2513 - Орел бронзовый, вероятно римского происхождения (სურ. 10).

კვლევის ამ ეტაპზე, ჩვენ არ დაგვისახავს მიზნად მოყვანილი მასალის შესწავლა, რაც მომავლის საქმეა.



სურ. 10

ექ. თაყაიშვილის აზრით, ვანის ნაქალაქარი ანტიკურ ხანას განეკუთვნებოდა, მასზე გადადიოდა დიდი სავაჭრო გზა რომიდან ინდოეთისაკენ. ის თვლიდა, რომ იქ ნაპოვნი ნივთები იყო როგორც ადგილობრივი წარმოშობის, ასევე სხვადასხვა უცხო ქვეყნიდან (ეგვიპტე, საბერძნეთი, რომი) შემოტანილი [2, გვ. 4-5; 3, გვ. 106-107].

ექ. თაყაიშვილი წერდა: „საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი ვანის ქალაქის გათხრა და გამოკვლევა დიდ შუქს მოჰფენს მისირს, ბერძნების, რომაელების და ვიზანტიელების გავლენას საქართველოში. ეს გამოკვლევა მომავალზე დამოკიდებული...“ [2, გვ. 7].

M. Charkviani

**ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS  
CARRIED OUT BY EKVTIME TAQAISHVILI AT VANI CITY SITE  
(Summary)**

The paper deals with the results of field-archaeological investigation carried out in 1896 at Vani city site by Ekvtime Taqaishvili.

He dig seven trenches. They are recorded in E. Taqaishvili's field diary as private plots belonging to local inhabitants. The author succeeded in defining those ditches and, as a result, they were properly recorded on the general plan of Vani (these ditches are designated with Latin figures). Besides, a catalogue of archaeological artifacts obtained by E. Taqaishvili in Vani is appended to the article.

**ლიტერატურა**

1. გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან, 1996, გვ. 5-6.
2. თაყაიშვილი ექ. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (იმერეთი, გურია, ქართლი), წიგნი I, წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა, ტფ., 1907.
3. ლომთათიძე გ. ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მთხრელი არქეოლოგი. – აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, სტატიების კრებული, თბ., 1966, გვ. 100-117.
4. მეგრელიძე ი., ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989.
5. ხოშტარია ნ., ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. – ვანი I, თბ., 1972, გვ. 83-87.
6. Известия Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе, т. II, 1917-1925, Ленинград, 1927, с. 108-110.
7. Лордкипанидзе Г. К истории древней Колхиды. Тб., 1970, с. 7, 33, 110.
8. Отчетъ Императорской Археологической Комиссии за 1896 год. СПб., 1898, с. 109-112.
9. Уварова П.С., Коллекции Кавказского Музея "Museum Caucasicum," V, Тифлис, 1902, с. 107-108.

**სურათების აღწერილობა**

სურ. 1. ვანის ნაქალაქარის თანამედროვე გენ. გეგმა.  
 სურ. 2. ბრინჯაოს ბალთა.  
 სურ. 3. ბრინჯაოს საკინძები, ბურთულათავიანი.  
 სურ. 4. ბრინჯაოს საკინძები, ბრტყელთავიანი.  
 სურ. 5-7. ბრინჯაოს სამაჯურები, გველისთავებიანი (3 ც.).  
 სურ. 8. ბრინჯაოს სამაჯური.  
 სურ. 9. რკინის ისრისპირი.  
 სურ. 10. ბრინჯაოს არწივის სტატუეტი.

**Description of the figures**

fig. 1. Vani. General plan.  
 fig. 2. bronze buckle.  
 fig. 3. bronze pins with spherical pin-heads.  
 fig. 4. bronze pins with flat pin-heads.  
 fig. 5-7. three bronze bracelets with representations of serpent's heads.  
 fig. 8. bronze bracelets.  
 fig. 9. iron arrowhead.  
 fig. 10. bronze figurine of an eagle.

ადრეული შუა საუკუნეების ქართლის გლიპტიკური ძეგლების შესახებ

ადრეული შუა საუკუნეების ქართლის გლიპტიკური ძეგლების დიდი უმრავლესობა წარმოადგენს სასანური ირანიდან შემოსულ ნაწარმს, მაგრამ არის მათ შორის მცირე ჯგუფები ნივთებისა, რომლებიც საერთო იერით ახლოს დგანან სასანურ მასალასთან, მაგრამ გარკვეული თავისებურებები ახასიათებთ. ამის გამო მათი ცალკე განხილვა მიზანშეწონილად ჩავთვალეთ. მათს უმრავლესობაზე თემატიკა ისევ სასანური საბეჭდავებისაა, ხშირად სტილის დამახასიათებელი საერთო ნიშნებიც ჩანს, მაგრამ ზოგიერთი დეტალის გადმოცემაში, ჭრისა და ჩამოსხმის ტექნიკაში, გამოსახულებათა სტილიზაციაში, ასევე სასანურ ძეგლებზე დაკანონებული ზოგიერთი წესის დარღვევაში ჩანს, რომ ხელოსანი ყოველთვის არ ექვემდებარება დამკვიდრებულ წესებს და უფრო თავისუფლად, დამოუკიდებლად მოქმედებს. ხშირად გამოსახულება მარტივია, გულუბრყვილო, უბრალო სქემად ქცეული, მაგრამ აქაც კი ჩანს ერთგვარი თავის დაღწევის ცდა სასანური კანონისაგან. ყველა ამ ნიშნის გამო დასაშვებად გვესახება მათი ადგილობრივი სახელოსნოების ნაწარმად მიჩნევა.

ასეთებია სამთავროსა და მარტაზისხევიში აღმოჩენილი მცირე ზომის ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები. სამთავროს ბეჭდების ფარაკებზე გამოსახული გარეული თხა და ლომი, საჭრისით, საკმაოდ წმინდა ხაზებით არის ამოჭრილი [5, გამ. 93, 94; 3, გამ. 10, 11]. კარგად არის ხაზგასმული დამახასიათებელი ნიშნები – თხის დიდი ზომის ჩაგრეხილი რქები, ლომის ფაფრიანი თავი, მოქნილი ძლიერი კუდი. (ტაბ. I<sub>2</sub>). ასევე მოხდენილი და დინამიურია პირაშკმული ლომის გამოსახულება მარტაზისხევის მინიატურულ ბრინჯაოს ბეჭედზე (სამარხი № 29). აქაც სამთავროს ფარაკების მსგავსად, ზუსტად ისეთივე ტექნიკით, საჭრისით, წმინდა ხაზებით არის მიღებული გამოსახულება (ტაბ. I<sub>3</sub>).

სამივე შემთხვევაში ცხოველების გამოსახვა შესრულებულია არატრადიციული სასანური მანერით. მაგ., თხის სხეული ორი ღრმულისა და მათი შემაერთებული ღარით კი არ არის გადმოცემული, როგორც საერთოდ გვხვდება ჩლიქოსანთა გამოსახულებანი სასანურ ძეგლებზე, არამედ ერთიანი ოვალური ღრმულით. ასევე განსხვავებულია ლომების და თხის თავების, თვალის გამოსახვის მანერა. გარდა ამისა სასანური ძეგლებისაგან ამ გამოსახულებას ანსხვავებს კიდევ ზოგიერთი დეტალი. სასანურ ხელოვნებაში, კერძოდ, გლიპტიკაში, ცხოველები ყოველთვის მარჯვენა პროფილში არიან წარმოდგენილნი (იგულისხმება ანაბეჭდი), ამ უკანასკნელებზე კი სამივე შემთხვევაში ცხოვე-

ლები მარცხნივ არიან მიმართულნი. აგრეთვე მათ ფეხებს ქვეშ პირველ ორ შემთხვევაში ნიადაგის ზოლია აღნიშნული, რაც სრულებით არ არის დამახასიათებელი სასანური ძეგლებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე ეს ბეჭედი გამოირჩევა მინიატურული ზომებით, ერთგვაროვანი ფორმითა და დამზადების ტექნიკით. გამოსახულებებიც მათზე, როგორც აღნიშნეთ, საჭრისით, ერთგვაროვანი მანერით არის ამოჭრილი. რაც შეეხება მათს თარიღს, ამ ტიპის ბეჭდები საკმაოდ ვრცელ ხანას უნდა მოიცავდეს. ფ. ჰენკელის კლასიფიკაციის მიხედვით მსგავსი სადა ფარაკიანი ბრინჯაოს ბეჭდები IV ს-დან ჩნდება [14, ტაბ. XXXIX, გამ. 1008]. ჩვენი კომპლექსების მიხედვით კი ასეთი ფორმები V-VII სს. განმავლობაშიც გვხვდება სამარხებში [1, ტაბ. XXII<sub>15</sub>, XXIII<sub>12</sub>, XXXV<sub>33-36</sub>].

გარდა ამ ლითონის საბეჭდავი-ბეჭდებისა, ცალკე ჯგუფებად შეიძლება გამოვყოთ მთლიანი მინის საბეჭდავები და მინის ინტალიო-ჩამონასხამები – ბეჭდის თვლები, რომლებიც აგრეთვე მთელი რიგი ნიშნებით განსხვავდებიან სასანური მასალის საერთო მასისაგან.

ამათგან ცალკე გამოვყოფთ მარტაზისხევის საბეჭდავების მცირე ჯგუფს. ეს არის მინის ორი წაკვეთილი სფეროს ფორმის და ორი ელიფსოიდის ფორმის საბეჭდავი. ერთი მათგანი მუქი ლურჯი ფერისაა, სამი კი – მოყვითალო მინისა. ოთხივე ირიზაციის შედეგად მკვირივი მოთეთრო ფენით არის დაფარული. ამ საბეჭდავებს, გარდა ფორმისა, მასალისა და დამზადების ტექნიკისა აერთიანებს გამოსახულებათა ერთგვაროვანი სტილი და ფორმების გადმოცემის ერთნაირი ხერხი.

1. მარტაზისხევის მოყვითალო მინის საბეჭდავზე (სამარხი № 22) გამოსახულია რქოსანი ცხოველის თავი. გამოსახულება ძალზე სქემატურია; ჩანს მოგრძო კისერი, წაგრძელებული ღრუნჩი და გვერდით გაშვებული ყური. თავს ზემოთ ორი ერთმანეთისაკენ გადახრილი რკალი ცხოველის რქებს წარმოადგენს. (ტაბ. I<sub>4</sub>). უნდა ითქვას, რომ სქემად ქცეული ეს გამოსახულება ერთი შეხედვით ე.წ. სასანურ „ნიშნებსაც“ გვაგონებს. კერძოდ, ნიშნების იმ ჯგუფს, სადაც გამოსახულების ზედა ნაწილში ნახევარმთვარე ან რქებია გამოსახული. მსგავსი მანერით შესრულებული რქები სასანურ გლიპტიკაში დამახასიათებელია ხარის თავისათვის.

<sup>10</sup> სამთავროს ბეჭდების ზომებია: პირი – 9×7; რკალის დმ – 17 მმ.

მარტაზისხევის ბეჭდის ზომებია: პირი – 9×8; რკალის დმ – 16 მმ.

ამ საბეჭდავზე კი ცხოველის თავი მაღალი კისრით და წაგრძელებული დრუნჩით გვირთულებს ხარის თავად მის მიჩნევას. ამავე დროს ყველა სხვა რქოსანი ცხოველების რქების გამოსახვა მკაცრად განსაზღვრული იყო სასანურ გლიპტიკაში: ირმის რქები ერთი, ან ორი გრძელი ღარით და მისგან გამოსული მოკლე ირიბი ხაზებით აღინიშნებოდა, რაც განტოტილობის შთაბეჭდილებას ქმნიდა. თხის რქები ორი პარალელურად მიმართული ზურგისკენ გადახრილი რკალით, ვერძის რქები კი, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით გადახრილი, ჩახვეული რკალებით აისახებოდა.

გამოსახულება ჩამოსხმის გზით არის მიღებული, ტლანქი ღარებით არის შესრულებული, დეტალები დამუშავებული არ არის (ზომები: პირი – 40x10; საბეჭდავის სიმაღლე – 11 მ).

2. ამავე სამარხიდან მეორე საბეჭდავი ისევ მოყვითალო ფერის მინისა, დაფარული მოთეთრო მკერივი ფენით, წაკვეთილი სფეროს ფორმისაა, ასიმეტრიული. პირი მცირედ ჩადრეკილია.

პირზე გამოსახული ცხოველის თავი, ამჯერად ეჭვგარეშეა, რომ ხარის თავი უნდა იყოს. ძალზე სქემატური გამოსახულებაა, მაგრამ მაინც გაირჩევა, რომ ზედხედით წარმოდგენილი ცხოველის თავია. ოდნავ შუაწელში შევიწროებული მოგრძო ოვალის ცხოველის დრუნჩია, აქეთ-იქით შევრილები – მისი ყურები, ზოლო თავის ზემოთ ორი ერთმანეთისკენ გადახრილი რკალი – მისი რქებია (ტაბ. I<sub>5</sub>).

ეს გამოსახულება მსგავსია ზემოთ აღწერილისა. ერთგვაროვანია გამოსახვის ტექნიკა, სქემატიზაცია, მაგრამ პირველ საბეჭდავზე ცხოველის თავი ხარის თავს ნაკლებად გავს. ეს შესაძლოა ხელოსნის ნაკლებ ოსტატობას მივაწეროთ. მან ზუსტად ვერ შეძლო კოპირება გამოსახულებისა, შესაძლოა ვერც ამოიცნო თუ რა იყო გამოსახული დედანზე. ამის გამო პირველ შემთხვევაში ვერ მიამსგავსა ხარის თავს. მეორედ კი უკვე უკეთ გამოუვიდა. ხარის თავის მსგავსი გამოსახვა ფართოდ არის გავრცელებული სასანურ გლიპტიკაში. გვხვდება შედარებით რეალისტურად შესრულებული თავები, სადაც მკაფიოდ არის გამოყვანილი დრუნჩი, ნესტოები, ქეჩოზე ირიბი ხაზებით მინიშნებული ბალანი [9, გამ. E06, E05] და ასევე, მშრალ სქემად ქცეული, „შტრიხული მანერით“ შესრულებული გამოსახულებანი, რომელთა მკაფიო ნიმუშს წარმოადგენს სამთავროს სარდიონის ელიფსოიდი (ქვის სამარხი № 346). აქ სამკუთხედისებური მოხაზულობით ასახულია ცხოველის დრუნჩი, ორი შტრიხული შევრილი ყურებს გამოსახავს, ზემოთ ორი რკალი კი რქებია; მათ შორის მოთავსებული ირიბი შტრიხების წყება ბალანს მიანიშნებს [6, გამ. 72; 3, გამ. 49]. მარტაზისხევის მინის საბეჭდავის გამოსახულება საერთო იერით გავს სასანურ გამოსახულებებს, მაგრამ განსხვავებაც შეინიშნება. კერძოდ, კვეთა კი პირობითია, მაგრამ არა

შტრიხული მანერით შესრულებული, არამედ საკმაოდ ღრმა, უხეში ღარებით და ჩამოსხმის შემდეგ არავითარი დამატებითი დამუშავების კვალი არ ეტყობა. ასევე, არ არის მინიშნებული ბალანი რქებს შორს, რაც სასანურ გემებზე ძალზე სქემატურად შესრულებულ ცალებზეც კი ჩანს (ზომები: პირი – 9x7; საბეჭდავის სიმაღლე – 11 მ).

3. მესამე საბეჭდავი ამავე სამარხიდან არის მუქი ლურჯი ფერის მინისა, ელიფსოიდის ფორმისა, ირიზაციის შედეგად მოთეთრო ფენით დაფარული. პირი ბრტყელია და ოვალური.

პირზე გამოსახულია სტილიზებული მცენარე: ძირითადი ღერო, მისი ძირიდან აქეთ-იქით ამოსული რტოები და მცენარის ზედა ნაწილი, შედგენილი ჰორიზონტალურად გაშვებული ორი მოკლე რტოსა და ცენტრში ორად გაყოფილი შევრილისაგან, რომელიც ნახევრად გაშლილი ყლორტის შთაბეჭდილებას ქმნის (ტაბ. I<sub>6</sub>). გამოსახულება იმდენად სქემატურია, რომ ერთი შეხედვით სასანური „ნიშნების“ იმ ჯგუფს ემსგავსება, სადაც გამოსახულების ძირითადი ნაწილი ჯვრისებური ღერძია [9, გამ. 763, № C4; № 912; 10, გვ. 120-121; 11, ტაბ. XXXIX, გამ. 954].

გამოსახულება ჩამოსხმის გზით არის მიღებული, უხეში ხაზებით შესრულებული, დაუღვევარი ნამუშევარია (ზომები: პირი – 12x10; საბეჭდავის სიმაღლე – 11 მ).

4. მარტაზისხევის ამავე სამარხში კიდევ ერთი საბეჭდავი უახლოვდება ზემოთ აღწერილებს. ეს არის მოყვითალო მინის ელიფსოიდის ფორმის მომცრო საბეჭდავი. იგი საკმაოდ ასიმეტრიულია და მცირედ ამობურცული, ოვალური პირი აქვს.

პირზე მცირე ცხოველის ძალზე ბუნდოვანი გამოსახულებაა. შეინიშნება წაგრძელებული სხეული, სამკუთხედისებური მოყვანილობის თავი აცქვეტილი ყურით, წყვილ-წყვილი მოკლე კიდურები და პატარა ჩაშვებული კული. შეიძლება დავუშვათ, რომ ძალღია (?). გამოსახულება ჩამოსხმის გზით არის მიღებული და შემდგომი დამუშავების არავითარი კვალი არ ჩანს. დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებს (ზომები: პირი – 12x9; საბეჭდავის სიმაღლე – 11 მ), (ტაბ. II<sub>7</sub>).

ოთხივე მინის საბეჭდავი ერთგვაროვანი ტექნიკით არის დამზადებული და გამოსახულებებიც სტილისტურად ერთგვაროვანია, რის გამოც ერთი ხელოსნის ნაწარმადაც კი შეიძლება იქნეს მიჩნეული. საბეჭდავები ფორმისა და დამზადების ტექნიკის მიხედვით ზოგადად V-VI სს. შეიძლება დათარიღდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საბეჭდავების გამოსახულებებთან ახლოს დგას მარტაზისხევის № 46 სამარხში აღმოჩენილი მოშავო ფერის ქვიშაქვის წაკვეთილი სფეროს ფორმის საბეჭდავი. მასზე გამოსახულება მომსწო ხაზებით და

ოვალური მოყვანილობის ღრმულით არის გადმოცემული. იგი შეიძლება სტილიზებული მცენარის, ან სასანური ცეცხლის საკურთხევლის – ათაშდანის სქემატურ გამოსახულებად მივიჩნიოთ, იმ შემთხვევაში, თუ გვერდითა ხაზებს მცენარის რტოებად კი არა, ცეცხლის ალის სხივებად ჩავთვლით (ტაბ. II<sub>8</sub>). მსგავსი სქემატურად შესრულებული საკურთხევლის გამოსახულებანი ხშირად გვხვდება სასანურ გემებზე [9, გამ. Lg 2,3]. ვფიქრობთ, ეს ქვიშაქვის საბეჭდავი ასევე ადგილობრივი ხელოსნის ნახელავია; აშკარაა, რომ იგი სასანური გამოსახულების მიხედვით არის შესრულებული, მაგრამ კვეთის მანერის მხრივ იგი უფრო ემსგავსება ზემოთ აღწერილ მინის საბეჭდავებს.

ცალკე ჯგუფად უნდა იყოს განხილული ბეჭდის თვლებად გამოყენებული მინის ინტალიოები, რომელთაგან უმრავლესობა ჩამონასხამებს წარმოადგენს, ნაწილზე კი საჭრისით უნდა იყოს ამოკვეთილი გამოსახულება, ძალზე სქემატურად და ზედაპირულად. ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია ფორმების გამარტივება, პირობითობა, ძალიან პრიმიტიული ხერხებით – მოუხეშავი ხაზებით და ღრმა ღარებით დეტალების გამოსახვა.

1. სამთავროს სამაროვნის № 808 ქვის სამარხის ლურჯი მინის ჩამონასხამი, ბრინჯაოს ბეჭედში. ინტალიოს პირი მრგვალია და ბრტყელი. პირზე გამოსახულია ფრინველი – არწივი, თავით პროფილში მარჯვნივ. პირობითი გამოსახულებაა. წაწვეტილებული ნისკარტი და თავი ერთიანად არის ამოღებული. ასევე უხეში ღარებით არის მინიშნებული ნახევრად გაშლილი ფრთები და დაბლა დაშვებული კუდი (ტაბ. II<sub>9</sub>). თუმცა გამოსახვა სრულიად გამარტივებულია, მაინც არ არის დაკარგული ის ტრადიციული მანერა თავმობრუნებული და ნახევრად ფრთებგაშლილი არწივისა, რომელიც მტკიცედ იყო დამკიდრებული სასანურ ხელოვნებაში [9, გამ. Hg3,4,7; 11, ტაბ. XXVII<sub>25</sub>; ტაბ. XV<sub>4,110</sub>].

ბეჭედი შედგება მრგვალგანიკვეთიანი რკალისა და წაკვეთილი კონუსის ფორმის ბუდისაგან. ბუდის კიდეები დაბრტყელებულია და სალტედ ეკვრის თვალს (ზომები: პირის დმ. – 7 მმ; ბეჭდის სიმაღლე – 25 მმ).

ინტალიო, ბეჭდის ფორმისა და სამარხის კომპლექსის მიხედვით, VI-VII სს. თარიღდება.

2. არმაზისხევის № 11 სამარხის ლურჯი მინის ინტალიო, ბრინჯაოს ბეჭედში. ინტალიოს პირი მრგვალია და ბრტყელი.

პირზე გამოსახულია მინიატურული ირემი, პროფილში მარჯვნივ. ძალზე სტილიზებული გამოსახულებაა. ცხოველის პატარა თავი და განტოტილი რქა ერთიანი ღარით არის გამოსახული: მცირე სხეული, მოკლე კუდი და მორკალული, შეტყუპებული კიდურები აგრეთვე ერთიანად არის მოხაზული (ტაბ. II<sub>10</sub>).

გამოსახულება ჩამოსხმის გზით არის მიღებული, საჭრისით დამუშავების არავითარი კვალი არ ჩანს. ძლიერი სტილიზაციის გამო მას ორნამენტული იერი ეძლევა.

ბეჭედი შედგება სქელი მრგვალგანიკვეთიანი რკალისა და წაკვეთილი კონუსის ფორმის ბუდისაგან. ბუდის კიდეები დაბრტყელებულია და თვალს სალტედ აკრავს (ზომები: პირის დმ. – 8 მმ; ბეჭდის სიმაღლე – 25 მმ).

ინტალიო, ბეჭდის ფორმისა და სამარხის კომპლექსის მიხედვით VI-VII სს. თარიღდება.

3. მსგავსი ტექნიკით შესრულებული გამოსახულებაა კაჭრეთში შემთხვევით მოპოვებულ ბრინჯაოს ბეჭდის ინტალიოზე.

ინტალიო ლურჯი მინისაა, პირი ბრტყელია და მრგვალი. პირზე გამოსახულია ირემი, პროფილში მარჯვნივ მიმართული. ცხოველის სხეული და მორკალული კიდურები ზუსტად იმეორებს არმაზისხევის გამოსახულებას, მხოლოდ უფრო დიდი ზომისაა და კიდევ უფრო სქელი და უხეში ღარებითაა შესრულებული. განსხვავება შეინიშნება მხოლოდ რქების გადმოცემაში. ისინი აქ უფრო რთულად განტოტილია (ტაბ. II<sub>11</sub>).

ეს გამოსახულებაც ჩამოსხმის გზით არის მიღებული, მეორადი დამუშავების გარეშე.

ყურადღებას იქცევს ბეჭდის განსაკუთრებულად დიდი ზომა, თუმცა ფორმა სავსებით იმეორებს ზემოთ აღწერილი ბეჭდების ფორმას (ზომები: პირის დმ. – 11 მმ; ბეჭდის სიმაღლე – 31 მმ).

4. არმაზისხევის და კაჭრეთის გამოსახულებების მსგავსი ტექნიკით არის შესრულებული ავჭალისკარის № 1 სამარხში აღმოჩენილი ლურჯი მინის ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედში. ინტალიოს პირი ბრტყელია და მრგვალი. პირზე გამოსახულია მცირე რქოსანი ცხოველი, პროფილში მარჯვნივ. განსხვავებით ზემოთ აღწერილი ირემებისაგან, მას რქები განტოტილი არა აქვს და ერთიანი ტალღოვანი ღარის სახით ზურგს ზემოთა აქვს გადახრილი (ტაბ. II<sub>12</sub>). ასე რომ უფრო გარეული თხა უნდა იყოს. სხეული, მორკალული კიდურები და კუდი კი ზუსტად ზემოთ აღწერილი ცხოველების მსგავსად არის წარმოდგენილი.

ინტალიოს ჩამოსხმის ტექნიკა ბეჭდის ფორმა და დამზადების ტექნიკაც მეორდება (ზომები: პირის დმ. – 8 მმ; ბეჭდის სიმაღლე – 24 მმ).

ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული მასალიდან რამდენიმე ნივთი ასევე იქცევს ყურადღებას იმ თვალსაზრისით, რომ სასანური ძეგლების ზოგადი გავლენის მიუხედავად, მათ გარკვეული თავისებურება ახასიათებთ. ამჯერად მათგან გამოვყოფთ მხოლოდ იმ მცირე ჯგუფს, რომელიც სტილისტურად და დამზადების ტექნიკით, აგრეთვე მათი ბეჭდების ფორმით უახლოვდება ზემოთ აღწერილ ინტალიოებს.

1. ჟინვალის სამაროვნის № 393 ქვის სამარხის მუქი ლურჯი ფერის მინის ინტალიო, ბრინჯაოს ბეჭედში. ინტალიოს პირი ბრტყელია და ოვალური. სტილიზებული გამოსახულებაა. იმ-



დენად სქემატურია, რომ სასანური „ნიშნების“ გარკვეულ ჯგუფსაც კი შეიძლება მივაკუთვნოთ [9, გამ. № C2,6; 11, ტაბ. III<sub>2,2</sub>]. ცხოველის სხეული და კიდურები ერთიანი მოსქო რკალით არის გადმოცემული. თავი სულ არ არის აღნიშნული. რკალის შუიდან აქეთ-იქით დიდი ზომის რქებია გადაზნექილი, რაც მიგვანიშნებს, რომ თავიც იქ ივარაუდება. ცხოველის ფეხებქვეშ მოკლე ნიადაგის ზოლია აღნიშნული.

ბრინჯაოს ბეჭედი, ზემოთ აღწერილების მსგავსად, შედგება მრგვალგანივკვეთიანი სქელი რკალისა და წაკვეთილი კონუსის ფორმის ბუდისაგან. ბუდეში შემორჩენილია მოთეთრო ფერის მინისებური მასა, რომელზეც იყო დამაგრებული ინტალიო (ზომები: პირი – 10x9; ბეჭდის სიმაღლე – 24 მმ).

აღწერილი გამოსახულება ცხოველის სხეულის სტილიზაციით ძალიან ახლოს დგას არმაზისხევის, ავჭალისკარის ზემოთ აღწერილ ცხოველთა გამოსახულებებთან. მათგან განსხვავებით აქ ცხოველის კიდურებს შორის მცირე ნიადაგის ზოლია გამოსახული, რაც ბრინჯაოს ფარაკიან ბეჭდებზეც შეგვხვდა.

ბეჭდის ფორმისა და გამოსახულების ანალოგიების მიხედვით ინტალიო VI-VII ს-ზე ადრეული არ უნდა იყოს.

2. ჟინვალის სამაროვნის № 533 სამარხის მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინის ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედში. ინტალიოს პირი ბრტყელია და მრგვალი. პირზე გამოსახულია მცირე რქოსანი ცხოველი პროფილში მარცხნივ. გარეული თხა უნდა იყოს. მოგრძო ღარით მინიშნებულია სხეული, გაირჩევა სამკუთხედიანებურად მოხაზული დახრილი თავი, წყვილ-წყვილი მოკლე კიდურები, ზურგს ზემოთ გადახრილი დიდი ზომის რქები (ტაბ. III<sub>14</sub>).

გამოსახულება ჩამოსხმის გზით არის მიღებული. ძალიან სქემატურია, დაუდევრად შესრულებული. ყველაზე მეტად იგი უახლოვდება მარტაზისხევის ძაღლის (?) გამოსახულებიან საბეჭდავს (ტაბ. II<sub>8</sub>). ცხოველების სხეულები, სამკუთხა თავი, კიდურები ერთგვაროვანია და აქაც იგი მარცხენა პროფილშია გამოსახული.

ბეჭედი სრულიად მსგავსია ყველა ზემოთ აღწერილი ბეჭდისა (ზომები: პირის დმ – 8 მმ; ბეჭდის სიმაღლე – 26 მმ). ამდენად, თარიღიც VI-VII სს. მოიცავს.

3. ჟინვალის სამაროვნის № 405 ქვის სამარხის ლურჯი მინის გაუმჭვირვალე ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედში. ინტალიოს პირი მრგვალია და ბრტყელი. პირზე გამოსახულია ფრთოსანი ჩლიქოსანი ცხოველი (ირემი?), პროფილში მარჯვნივ. სხეული და მაღალი ყელი ოდნავ შესამჩნევი ღრმულით არის მინიშნებული, თავი ბუნდოვნად, მოგრძო სამკუთხედივით არის მოხაზული. სხეულის გამოსახვაში თითქოს შეინიშნება სასანური ძეგლებისათვის დამახასიათებელი წესი – წელის არეში მსუბუქი გაზნეკილობა, რაც სხეულს მოქნილობას მატებს,

მაგრამ სამაგიეროდ ზურგს ზემოთ შვერილი, რომელიც ფრთას გამოხატავს ძალზე არაოსტატურად, მოუხეშავი ხაზით არის გამოსახული და სრულებით არ გავს სასანურ გლიპტიკაში დამკვიდრებულ, ყანწისებურად გახრილი ფრთის გამოსახულებას [9, გამ. EEI,2,3; EFi; Egl,2,4; 5, გამ. 280, 281, 278]. ასევე დაუდევრად არის მინიშნებული რქები და მოხრილი კიდურები.

ბეჭდის რკალი ისევე მრგვალგანივკვეთიანი რგოლია, ბუდე კი ცილინდრული ფორმისაა და გვერდებზე შემოუყვება სადა სალტე. მსგავსი მორთულობის მქონე ბეჭდები საკმაოდ ხშირია ჩვენს ძეგლებზე (ზომები: პირის დმ – 8 მმ; რკალის დმ – 20მმ), [1, გვ. 106-107; 2, გვ. 81-82, ტაბ. I<sub>23</sub>].

4. ჟინვალის სამაროვნის კიდევ ერთი ინტალიო-ჩამონასხამი შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვენს მიერ განხილული ძეგლების ჯგუფს. ეს არის № 49 სამარხის მოყავისფრო-ღვინისფერი მინის ინტალიო, ბრინჯაოს ბეჭედში. ინტალიოს პირი ბრტყელია და მრგვალი.

პირზე გამოსახულია სტილიზებული „ყვავილი“, რომელიც სასანური „ნიშნების“ ერთ-ერთ სახეობას გავს; კერძოდ, ვერტიკალურ ღერძზე სხვადასხვაგვარად განლაგებული რკალებისაგან შედგენილ „ნიშნებს“ [9, გამ. NC1,4,7; 13, გამ. 261, 414]. ყვავილი შედგება მაღალი ღეროსა, მის აქეთ-იქით ამოსული რტოებისა და ზემოთ – აყვავებული ნაწილისაგან (ტაბ. III<sub>6</sub>). გამოსახულება ჩამოსხმის გზით არის მიღებული, უხეში ხაზებით და ღარებით შესრულებული. მსგავსი სტილიზებული მცენარის გამოსახულებანი ფართოდ გვხვდება სასანურ ხელოვნებაში – ტორევეტიკულ ნაწარმზე, კედლის სტუკოებზე, გემებზე [8, გამ. 69-70; გამ 106; 12, გამ. 232; 13, გამ. 18]. თუმცა სასანურ ხელოვნებაში ძირითადად, ზედა აყვავებული ნაწილი მცენარისა სამ ნაწილადაა ხოლმე: სამი ფურცლით, ან სამი ნაყოფის კუნწულით, ან სამი ყლორტით დაბოლოებული, რასაც სასანურ ხელოვნებაში სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება [7, გვ. 40; 4, გვ. 61].

ჩვენს ინტალიოზე იგი მხოლოდ ორი გადახრილი ფურცლისგან შედგება. უნდა ითქვას, რომ საკუთრივ ქართულ მასალაშიც გვაქვს რამდენიმე შემთხვევა სამნაწილადი მცენარის გამოსახვისა გლიპტიკურ ძეგლებზე. ასეთებია, აღმანდინის ინტალიო ვერცხლის ბეჭედში და ქალცედონის ელიფსოიდი სამთავროდან, მინის ინტალიო-ჩამონასხამი მაგრანეთიდან [6, გამ. 72; 3, გამ. 56, 99], აგურისფერი ქვიშაქვის ელიფსოიდი მარტაზისხევიდან [4, ტაბ. I<sub>6</sub>].

ბეჭდისაგან შემორჩენილია მხოლოდ სქელი, მრგვალი რკალი. როგორც ჩანს იგი განეკუთვნებოდა ზემოთ აღწერილი ბეჭდების ტიპს (ზომები: პირის დმ – 10 მმ; რკალის დმ – 20 მმ).

აქვე გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ჟინვალის სამაროვნის კიდევ ორ ინტალიოზე, რომლებიც პირდაპირ ვერ მივაკუთვნებთ ზემოთ შესწავლილი მინის ჩამონასხამების ჯგუფს იმის გამო, რომ გამოსახულებები მათზე დაზგაზე ზედაპირული კვეთით არის შესრულებული. ბუნებრივია, რომ ამ მიზეზის გამო მათს ადგილობრივ წარმომავლობაზე ვარაუდის დაშვებაც მეტ სიფრთხილეს მოითხოვს. თუმცა მათაც ზოგიერთი დეტალი ანსხვავებს სასანური ძეგლებისაგან და მათი შემცველი ბეჭდები კი სრულიად მსგავსია ჩამონასხამი ინტალიოების ბეჭდებისა.

ესენია: 1. ჟინვალის სამაროვნის № 210 სამარხის ლურჯი მინის ინტალიო (ლაჟვარდის იმიტაცია), ბრინჯაოს ბეჭედში. პირი ბრტყელია და ოვალური. პირზე გამოსახულია რქებგანტოტილი ირემი პროფილში მარჯვნივ. იგი წევს. სხეული მოგრძო ღრმულით არის მინიშნებული. თავი და კისერი პირობითი ხაზებითაა ასახული, ზურგს უკან გადახრილი რქა კი – ერთი გრძელი ღარით და მისგან გამოსული ირიბი შტრიხებით. აქ, განსხვავებით ზემოთ აღწერილი ირემის რქებისაგან, მისი გამოსახვის მანერა მეტნაკლები სიზუსტით იმეორებს სასანურ ძეგლებზე დამკვიდრებულ წევს. ცხოველის მოხრილი კიდურები და ჩლიქები აგრეთვე პირობითი ხაზებით არის მინიშნებული. ზედაპირული კვეთა, ძლიერი სქემატიზაცია გამოსახულებას ე.წ. „შტრიხული მანერით“ შესრულებულ ძეგლებს უახლოვებს.

ბეჭედი იმეორებს ზემოთ აღწერილ ფორმას – სქელი რკალი, ცილინდრული ფორმის ბუდე. შუა წელზე შემკული სადა მავთულის საღებო (ზომები: პირი – 12x10; ბეჭდის სიმაღლე – 25 მმ).

2. იმავე სამარხიდან ლურჯი მინის (ლაჟვარდის იმიტაცია) ინტალიო, ბრინჯაოს ბეჭედში. პირი ბრტყელია და მრგვალი.

პირზე გამოსახულია მარჯვნივ მიმავალი ცხოველი – კუზიანი ხარი – ზებუ. ცხოველის სხეული მოგრძო ღრმულით არის გამოსახული. თავი და დრუნჩი პირობითად, სამკუთხედისებურად არის მინიშნებული. წვრილი მორკალული რქები წმინდა ხაზებით, ზურგს ზემოთ მოზრდილი კუზი კი მოგრძო ოვალით არის ასახული. უნდა ითქვას რომ კუზის მოყვანილობა განსხვავდება სასანური „სოკოსებური“ მოყვანილობის კუზისაგან [9, გამ. EM<sub>2,4,6</sub>; EN<sub>4,5</sub>; 3, გამ 28, 42, 43]. გრძელი კუდი კი, ფეხებს შორის გაყრილი, ზუსტად იმეორებს სასანურ ძეგლებზე გავრცელებულ ტრადიციას. გამოსახულება ზედაპირულად, სქემატურად არის ნაკვეთი.

ბეჭედი ზუსტად იმეორებს ირმიანი ბეჭდის ფორმას (ზომები: პირის დმ – 10 მმ; ბეჭდის სიმაღლე – 26 მმ).

ერთ სამარხში აღმოჩენილი ეს ორი ინტალიო ძალიან ჰგავს ერთმანეთს, როგორც სტილისტურად, ასევე კვეთის ტექნიკით. ორივე შემთხვევაში სასანური ტრადიციის დიდი გავ-

ლენა იგრძნობა, მაგრამ ამავე დროს შეინიშნება გარკვეული თავისებურებები. მაგ. სხეულები დანაწევრებული კი არ არის, როგორც სასანურ გემებზე, არამედ ერთიანი ოვალით არის გადმოცემული. ასევე განსხვავებულად არის გადმოცემული სხვა დეტალები (ხარის თავი, კუზი, ირმის თავი). საფიქრებელია, რომ ორივე ინტალიო, მათი დიდი მსგავსების გამო ერთი სახელოსნოს ნაწარმია. ბეჭდების ფორმისა და თვით გამოსახულებების სტილის მიხედვით VI-VII სს უნდა დათარიღდეს.

ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, თუ რა მიზეზის გამო გამოვყავით სასანური მასალიდან განხილული ძეგლები. მოკლედ კვლავ ჩამოვთვლით ამ ნიშნებს: განხილულ გამოსახულებებზე ნშირად დარღვეულია სასანურ გლიპტიკაში დაკანონებული წესები: მაგ., გამოსახულების მარჯვენა პროფილში წარმოდგენა. ამ მხრივ თავისუფალ მიდგომას ვხვდებით, ე.ი. ხან მარჯვნივ არის მიმართული გამოსახულება, ხან მარცხნივ. ასევე არის შემთხვევები ნიადაგის ზოლის გამოსახვისა, რაც სრულიად უცხოა სასანური გლიპტიკისათვის და ფართოდ იყო გავრცელებული რომაულ გემებზე. უმრავლეს შემთხვევაში, ცხოველთა გამოსახვის დროს, არ სრულდება დაკანონებული წესი სხეულის გადმოცემა; კერძოდ, სამნაწილად დაყოფა – მკერდისა და გავის გამოსახვა ღრმულით, შუაწელისა კი მათი შემაერთებული ვიწრო ღარით, რაც ცხოველს მოქნილსა და მოხდენილ იერს ანიჭებს. განხილული ჯგუფის ძეგლებზე კი სხეული ძირითადად ერთიანი მოგრძო ოვალით არის აღნიშნული. ასევე განსხვავებულია ზოგ შემთხვევაში კიდურების, ფრთის, თავის, ხარის კუზის გადმოცემის მანერა. არის ზოგიერთი სქემატური გამოსახულება, ან ცალკეული დეტალი, რომელიც აშკარად სასანური გამოსახულების მიბაძვით არის შესრულებული. ასეთია ერთ შემთხვევაში ირმის რქის გამოსახვის მანერა – ერთი გრძელი ღარით და მისგან სავარცხლისებურად აშვერილი კბილანებით; ან ცალკე გამოსახული ხარის თავის და სტილიზებული მცენარის გამოსახულება. ჩანს, რომ ხელოსნები კარგად იცნობდნენ სასანურ ძეგლებს, ბაძავდნენ კიდევაც მათ, მაგრამ უფრო თავისუფლად უდგებოდნენ ამა თუ იმ სახის შექმნას და ნაკლებად ექვემდებარებოდნენ სასანურ ხელოვნებაში დამკვიდრებულ კანონებს.

როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომში შესწავლილი საბეჭდავები მინისაა. ბეჭდის თვლებად განკუთვნილი ინტალიოები ოვალური ან მრგვალი ფორმის ბრტყელი ფირფიტებია. ყველა გამოსახულება, გარდა უკანასკნელი ორისა, ჩამოსხმის გზით არის მიღებული. ვფიქრობთ, დედნები, რომლებიდანაც არის ჩამოსხმული ეს გამოსახულებები, რბილი მასალისაგან იყო დამზადებული, კერძოდ ლითონზე, ან შესაძლოა თიხაზეც კი. ამის საფუძველს იძლევა გამოსახულებათა მსხვილი, მოუხეშავი ღარებით შესრულება

და მათი დაუხვეწავი იერი; დეტალების ძალზე პირობითი მინიშნება. არც ერთი ჩამონასხამი არ არის მიღებული ჭრილაქვიდან. მათზე არ შეინიშნება კვეთის ის სპეციფიკური თვისებები, რომელიც მხოლოდ დაზგაზე კვეთის დროს აქვს გამოსახულებას, და რაც ანაბეჭდზე (ამ შემთხვევაში ჩამონასხამზეც) უსათუოდ აისახებოდა.

რაც შეეხება მთლიანი მინის საბეჭდავებს, ისინიც იმეორებენ სასანურ გლიპტიკაში გავრცელებულ ფორმებს – წაკვეთილ სფეროსა და ელიფსოიდს, მაგრამ აქაც ფორმები დახვეწილი არ არის. ხშირად ძნელი დასადგენია ასიმეტრიული წაკვეთილი სფერო, თუ ელიფსოიდი. ამ ფორმების გავრცელების თარიღად სასანურ მასალაში მიჩნეულია IV-V სს. [9, გვ. 23-24], მაგრამ ჩვენს კომპლექსებში საკუთრივ სასანური საბეჭდავებიც კი (იგულისხმება ეს ორი ფორმა) უფრო გვიან, კერძოდ V-VI სს გვხვდება. ასე რომ, მათი მინაბადი მინის საბეჭდავები მითუმეტეს უფრო დასაშვებია გვიანდელ ხანას მივაკუთვნოთ.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით ბეჭდებს, რომლებშიც ჩასმულია ზემოთ აღწერილი ინტალიო-ჩამონასხამები. ეს ბეჭდები, ისევე როგორც მათში ჩასმული ინტალიოები, საერთო იერით ახლოს ღვანან ირანული წარმოშობის ამ ხანის ბეჭდებთან, მაგრამ ამავე დროს ზოგი თავისებური ნიშანი მათ განცალკევებულად ტოვებს. ჯერ ერთი, ყველა ამ ბეჭდის რკალი განსაკუთრებულად სქელია და ზედ დარჩილული წაკვეთილი კონუსის ან ცილინდრის ფორმის ბუდე ასევე გამოირჩევა მასიურობით. ხშირ შემთხვევაში ბუდის კიდეები სქელ საღებდ არის გადმოკეცილი და განიერ არშიად ეკვრის თვალს. ცილინდრულ ბუდეებს გვერდებზე შემოუყვება ლითონისავე საღებე. მსგავსი სამკაული ირანული ბეჭდებისათვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი. ნ. აფხაზავა, განიხილავს რა ალექსის სამაროვნზე აღმოჩენილ ბეჭდებს, აღნიშნავს, რომ მსგავსი საღებით შემკული ბეჭდები მხოლოდ ალექსისათვის არის დამახასიათებელი და ამდენად იქაური სახელოსნოს ნაწარმად მიიჩნევს [1, გვ. 106]. მაგრამ მსგავსი მავთულშემოვლებული ბეჭდები ცნობილია, როგორც ვნახეთ, ჟინვალიდან. ასევე გველეთის სამაროვნიდან [2, ტაბ. I<sub>23</sub>], აგრეთვე ბაიერნისეული სამთავროდან, ავტალიისკარიდან. მოსალოდნელია მათი სხვა პუნქტებში აღმოჩენაც. თუმცა ალექსში მათი რაოდენობა მართლაც შთამბეჭდავია და არ არის გამორიცხული, რომ ეს ბეჭდები იქ მზადდებოდა. ერთი რამ ცხადია: ყველა ჩვენს მიერ განხილული ბეჭედი ერთნაირად მასიურია, საკმაოდ ტლანქი, არამკვეთრად პროფილირებული, ერთნაირი ტექნიკით დამზადებული და, როგორც ჩანს, ერთ სახელოსნოში დამზადებული. თუ დავუშვებთ რომ მათში ჩასმული ჩამონასხამები ადგილობრივი ნაწარმია, მაშინ ამ ბეჭდების ადგილობრივი ხელოსნების მიერ დამზადებას მეტი საფუძველი უჩნდება.

ბეჭდების ეს ტიპი სასანური ბეჭდების ადგილობრივ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს და ძირითადად VI ს. ბოლოს და VII ს-ში უნდა იყოს გავრცელებული.

ამდენად, გლიპტიკური ძეგლების ამ მცირე ჯგუფის შესწავლამ დაგვანახა, რომ ადრეული შუა საუკუნეების ქართლის მოსახლეობა იყენებდა რა ფართოდ ყოფაში საბეჭდავებს, არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ უცხოეთიდან (ამ შემთხვევაში სასანური ირანიდან) შემოტანილი პროდუქციით, რომლის გამოსახულებათა შინაარსი ხშირად სრულიად გაუგებარიც კი იყო ადგილობრივი საზოგადოებისათვის; არამედ ხმარობდა ადგილობრივი ხელოსნების ნახელავსაც, რომელიც, შესაძლოა ჯერ ვერ იყო ისეთ მაღალ დონეზე შესრულებული, როგორც სასანური გემები, მაგრამ სამაგიეროდ სადა, მარტივ გამოსახულებებს შეიცავდა და სავსებით აკმაყოფილებდა მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნილებას.

## K. Ramishvili

### ON A FEW SPECIFIC GROUPS OF EARLY MEDIAEVAL GEORGIAN GLYPTICS

(Summary)

Specific groups of glyptic specimens can be distinguished differing by several characteristics from the monuments of Sassanian glyptics, widely spread in Mediaeval Georgia. The paper deals with a few signet rings, small groups of seals manufactured of all-glass and cast intaglios. All of them, judging by style and scenery, in general reveal Sassanian influence; at the same time, certain differences are obvious, in particular, neglect of some principles established and common for Sassanian monuments (e. g. representation of animals in left profile, marking the ground by means of a line under their legs or representation of the body of animals by whole, unfragmented outline). Peculiar approaches are sometimes attested in the treatment of other elements as well (e. g. representation of animal's antlers, bull's hump, wings, etc.). All the cited peculiar features enable the author to conclude that these bronze bezel-rings and glass intaglios were produced by a local artisan. The rings with intaglios are uniform in shape and from the point of view of manufacturing technique. In all likelihood, they represent local variations of oriental rings. The dating of these specimens is largely based on the style of representations, shapes of signets and rings and chronology of archaeological complexes they have been found in. Metallic rings and glass signets probably date

from the 5th-6th cent., while the rings with intaglios must belong to the Late Sassanian period – 5th-7th cent.

Thus, it can be assumed that the population of Kartli made intensive use of products imported from Sassanian Iran, but, at the same time, demand for locally manufactured articles existed as well. Despite the fact that these locally made adornments did not reveal such high quality as their Iranian counterparts, their simple and often genuine representations were praised highly by broad masses of society.

### ლიტერატურა

1. აფხაზავა ნ. ქვემო ალევო ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ., 1988.
2. მინდორაშვილი დ. გველეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა. II. – ძიებანი № 7, 2001, გვ. 81-84.
3. რამიშვილი ქ. სასანური გემები საქართველოში. თბ., 1979.
4. რამიშვილი ქ. მცენარეული მოტივი სასანურ გემებზე და ზოგიერთი კავშირები ადრექრისტიანული ხანის ქართულ ძეგლებთან. – ძიებანი, № 6, 2000, გვ. 60-63.
5. Борисов А. Я., Луконин В. Г. Сасанидские геммы. Л., 1963
6. Максимова М. И. Геммы из некрополя Мцхеты. Самтавро. – სსმპ, XVI-B, 1950, с. 221-273.
7. Маршак Б. И. Согдийское серебро. М. 1971.
8. Тревер К. В., Луконин В. Г. Сасанидское серебро. М., 1987
9. Bivar A. D. H. Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum, II. London, 1969.
10. Brunner Chr. J. Sasanian Stamp Seals in the Metropolitan Museum of Art. New York, 1971.
11. Gignoux Ph. Catalogue des sceaux, cameys et bulles sasanides, II. Paris, 1978.
12. Ghirshman R. Iran. Parthians and Sasanians. London, 1962.
13. Harper Pr. O. Representational Motifs on the Sealings. Sasanian Remains from Quasr-i Abu Nasr. Cambridge-Massachusetts, 1973, p. 66-87.
14. Henkel F. Die römischen Fingerringe der Rheinland. Berlin, 1913.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1, 2. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები, გარეული თხა და ლომი, სამთავროს სამაროვანი; 3. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, ლომი,

მარტაზისხევი; 4, 5, 6. მინის მთლიანი საბეჭდავები, გაურკვეველი ცხოველის თავის, ხარის თავის და სტილიზებული მცენარის გამოსახულება.

ტაბ. II – 7. ქვიშაქვის საბეჭდავი მცენარის სქემატური გამოსახულებით, მარტაზისხევი; 8. მინის საბეჭდავი მცირე ცხოველის გამოსახულებით, მარტაზისხევი; 9. მინის ინტალიო-ჩამონასხამი ბრინჯაოს ბეჭედში, არწივის გამოსახულება, სამთავროს სამაროვანი; 10 – მინის ინტალიო-ჩამონასხამი ბრინჯაოს ბეჭედში, ირმის გამოსახულება. არმაზისხევი; 11 – მინის ინტალიო-ჩამონასხამი ბრინჯაოს ბეჭედში, გარეული თხა, ავჭალისკარი.

ტაბ. III – 13. მინის ინტალიო-ჩამონასხამი ბრინჯაოს ბეჭედში, სტილიზებული რქოსანი ცხოველი, ჟინვალის სამაროვანი; 14 მინის ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედში, მცირე რქოსანი ცხოველი, ჟინვალის სამაროვანი; 15. მინის ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედში, ფრთოსანი ირემი (?), ჟინვალის სამაროვანი; 16. მინის ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედში, სტილიზებული ყვავილი, ჟინვალის სამაროვანი; 17-18. მორუხო-ლურჯი მინის ინტალიო (ლაჟვარდის იმიტაცია), ბრინჯაოს ბეჭედში, ირმის და კუზიანი ხარის გამოსახულება, ჟინვალის სამაროვანი.

### Description of the Plates

Pl. I – 1,2. Bronze bezel-rings, wild goat and lion. Samtavro necropolis; 3. Bronze bezel-ring, lion, Martaziskhevi; 4-6. All-glass signet-rings, animal head, ox head and stylized plant.

Pl. II – 7. Sandstone signet-ring, schematic representation of a plant, Martaziskhevi; 8. Glass signet-ring with the representation of a little animal, Martaziskhevi; 9. Cast glass intaglio in the bronze ring, eagle, Samtavro necropolis; 10. Cast glass intaglio in the bronze ring, deer, Armaziskhevi; 11. Cast glass intaglio in the bronze ring, wild goat, Avchaliskari.

Pl. III – Cast glass intaglio in the bronze ring, stylized horned animal, Zhinvali; 14. Glass intaglio in the bronze ring, small horned animal, Zhinvali necropolis; 15. Glass intaglio in the bronze ring, winged deer (?), Zhinvali necropolis; 16. Glass intaglio in the bronze ring, stylized flower, Zhinvali necropolis; 17-18. Grayish blue glass (imitation of lapis-lazuli) in the bronze ring, deer and hunchbacked ox, Zhinvali necropolis.



1



2



3








4



5



6




ტაბ. II




7




8




9




10



11



12





13



14



15









16



17



18



## პაატა ლეჟავა

### ზურტაკეტის ხეობის ნამოსახლარები

კაცობრიობას კლდეში კვეთის საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ რკინის იარაღის წარმოშობამდე ფლობდა ამ ხელოვნებას დედამიწის უძველესი ბინადარი. კლდეში კვეთის ხელოვნებამ განვითარების საკმაოდ გრძელი გზა განვლო, დაწყებული ენეოლითის ხანის პრიმიტიული გვემარების ქვაბ-საცხოვრისებიდან, დამთავრებული შუა საუკუნეების ბრწყინვალე ანსამბლებით. კლდეში ნაკვეთი ძეგლების განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ხმელთაშუა ზღვის აუზის და წინააზიის მიმდებარე ტერიტორია, სადაც უძველესი ცივილიზაციები ერწყმოდა ერთმანეთს [4, გვ. 121-125].

ეს ტრადიცია ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის არეალშიც. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, სამცხე-ჯავახეთი [5; 6; 7; 8; 11; 21] და ქვემო ქართლი პირველ ადგილზეა ამ თვალსაზრისით. ჩვენი მსჯელობის საგანს ამჯერად წარმოადგენს ქვემო ქართლის, კერძოდ მდინარე ქციის ხეობის ხელოვნური გამოქვაბულები და მათში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა [1; 2; 3; 21; 22; 27]. აქ ეს კომპლექსები კლდის ბაზალტოვან მასივებშია გამოკვეთილი [16; 18; 19; 22]. ამ გამოქვაბულთა პრიმიტიული გვემარება აშკარად მიგვანიშნებს მათი ერთი ნაწილის არქაულობას. ზოგ ხეობაში ეს ძეგლები ჯგუფ-ჯგუფადაა, ხოლო ზოგან კი კლდის მთელი „ქალაქებია“ დამოწმებული [21, გვ. 5].

ქვემო ქართლის კლდის ძეგლთა მიზანდასახული კვლევის პირველ ცდად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კომისიის მიერ 1960-1961 წწ. ჩატარებული ექსპედიციები [13; 21, გვ. 5-19; 22; 27], რომლის ხელმძღვანელმა, ცნობილმა გეოლოგმა კ. ჯავრიშვილმა პირველად გამოიწვია ერთმანეთისაგან მდ. ხრამის და მის შენაკად ხეობათა მღვიმეები და ხელოვნური გამოქვაბულები.

ქვემო ქართლი, კერძოდ მდ. ხრამის ხეობა თავისი შენაკადებითურთ, უხეშად რომ ვთქვათ, პირდაპირ „დაცხრილულია“ ხელოვნური გამოქვაბულების კომპლექსებით. დიდ კანიონებში (ზოგ ადგილას მათი სიღრმე 50-100 მეტრს აღწევს) ჯგუფ-ჯგუფად განლაგებული გამოქვაბულები საკმაოდ ეფექტურ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მდინარის ზემო წელის შენაკად ყარაბულახის წყალი ანუ ისტორიული ზურტაკეტის ხეობა, სადაც კანიონის აყობაზე უამრავი ხელოვნური ქვაბია დაფიქსირებული. გამოქვაბულთა სიუხვით გამოირჩევა ამ ხეობის ზედა წელი, სადაც გომარეთის პლატოსთვის დამახასიათებელი

მკაცრი ბუნებრივი კლიმატია გამეფებული. აქ მეტად ხელსაყრელი პირობებია მესაქონლეობის განვითარებისთვის. ისტორიულ წყაროებში ამ ხეობას თრიალეთში მოიხსენიებენ [4].

გამოქვაბულთა მოზრდილი კომპლექსები გვხვდება საკმაოდ ღრმა კანიონში, თანამედროვე სოფელ ახასთან. აქ ძირითადად ხუთი მთავარი ჯგუფის გამოყოფა მოხერხდა. გამოქვაბულთა ფასადებში შეიმჩნევა შუა საუკუნეებში თავდაცვის მიზნით ამოშენებული კედლები, რაც, ალბათ, ამ მხარეში ხშირი შემოსევებით იყო განპირობებული.

ზურტაკეტის ხეობის I კომპლექსი ოთხი იარუსით წარმოგვიდგება, სადაც IV იარუსზე რამდენიმე ქვაბია გაერთიანებული და წინიდან ფართობი ქვის მძლავრი თავდაცვითი კედლით არის შემოზღუდული (ტაბ. I). აქვეა მოწყობილი პატარა ეკლესია ბრტყელი აფსიდით, რომელიც სანახევროდ დანგრეულია. შემორჩენილი კედელი კი კარგად გათლილი დიდი ზომის ოთხკუთხა ქვით არის ნაშენი. ქვის წყობით და სამშენებლო ტექნიკით ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეების უნდა იყოს [2, გვ. 94-95]. ოთხივე იარუსზე განლაგებული გამოქვაბულები სხვადასხვა ზომისაა და მათი სქემატური განშლა საკმაოდ არასტანდარტულად გამოიყურება. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მრავალფეროვნებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა II კომპლექსში, სადაც ერთ-ერთ გამოქვაბულს აქვს შუა საუკუნეებში მოშენებული კომპისებრი ნაგებობა (ტაბ. II, ზრ. 3-3). იგი ნახევარწრიულად ეკვრის ოდნავ შეღრმავებულ ხელოვნურ ნიშს და კედლის სახით გრძელდება № 3 ქვაბისკენ. II კომპლექსის ქვაბები ხასიათდება ძალზე საინტერესო ფორმებით, რომლებიც მეტნაკლები სიღრმითაა შეჭრილი კლდეში (ტაბ. II).

გამოქვაბულების ფასადებზე ამოშენებული საფორტიფიკაციო ნაგებობები მოხერხებულადაა განლაგებული ხეობის გასწვრივ, ერთიმეორის დიაგონალზე და მათ სასიგნალო ფუნქცია ახასიათებთ.

კომპიანი კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთით, ოდნავ ზემოთ თავს იყრის გამოქვაბულთა მსხვილი დაჯგუფება (კომპლექსი III), რომელიც ქვედა მხრიდან თითქმის მიუვალია. ფრიალო კლდის ზედა ქიმიდან, ზედა იარუსის ქვაბებამდე 25მ-ია. ქვემო მისადგომიც საკმაოდ რთულია და ალპინისტური მოწყობილობის დაუხმარებლად ასვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. როგორც ჩანს, ეს გამოქვაბულები თავიდანვე თავდაცვის მიზნით ყოფილა გამოკვეთილი.



საინტერესოდ გამოიყურება ხელოვნურ ქვაბთა IV კომპლექსი, რომელიც ექვსი იარუსისგან შედგება (ტაბ. III). პირველ იარუსზე მდებარე გამოქვაბულებისგან განსხვავებით, დანარჩენები ფორმით და მოცულობით თითქმის არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, მაგრამ ზოგიერთი მაინც გამოირჩევა კლდეში კონუსისებურად გამოკვეთილი გრძელი სათავსოებით (ტაბ. IV<sub>3</sub>). პირველი იარუსის გამოქვაბულები ფართო მოცულობისაა და, შესაძლოა, ამ სათავსოებში საქონლის სადგომები იყო გამართული. ამავე იარუსზე გამოკვეთილია ერთმანეთში გამავალი ხუთი მცირე თუ საშუალო სიდიდის გამოქვაბული. ისინი ერთიმეორეს როგორც ლუკის ტიპის ხვრელებით (რომელსაც არ არის გამორიცხული რომ სარქველი ეხურა), ასევე ვიწრო ღიობებით უკავშირდებიან. კლდის სახელი სამ იარუსად წარმოგვიდგება და ქვაბების ძორიზონტალური განლაგება მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება. არქიტექტურული თვალსაზრისით როგორც ყველაგან გადასვლის ხაზები მკრთალად შეინიშნება და დანარჩენი ქვაბების ფონზე უფრო კომფორტულად გამოიყურება. ერთმანეთში გამავალი ქვაბების სიმრავლე და შედარებით დახვეწილი გეგმარება გვაფიქრებინებს, რომ ეს საცხოვრებელი სოციალურად დაწინაურებულ ოჯახს ეკუთვნოდა.

ამავე კომპლექსის III იარუსზე გვხვდება ქვითკირით ამოშენებული გამოქვაბული (ტაბ. IV<sub>3</sub>), რომელსაც მართკუთხა შესასვლელი აქვს. ამ ქვაბს პირობითად „კარიანი“ დავარქვით და შესაბამისად მის იარუსზე განლაგებულ ქვაბებსაც კარიანი ჯგუფი ეწოდა (ტაბ. IV<sub>2</sub>), ხოლო მის ჩრდილოეთით საკმაოდ დიდი მოცულობის გამოქვაბულს – „ბნელი ქვაბი“.

გამოქვაბულთა ამ ჯგუფის მოპირდაპირე მხარეს არის კიდევ ერთი კომპლექსი, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შეიძლება ჩაითვალოს თავდაცვით ობიექტად. ამას ცხადყოფს მისი მიუვალობა და არქეოლოგიური მასალა, სადაც ყურადღებას იქცევს რკინის ბირთვების სიმრავლე. ქვაბების სტურქტურული განლაგებით ეს ჯგუფი II კომპლექსს უახლოვდება.

ხეობის ერთ-ერთ ღირშესანიშნაობათა შორის აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ ამ კომპლექსებისაგან დაშორებით, შენაკადიდან 5 კმ-ზე მიკვლეული საინტერესო ქვაბ-ნაშენი. ეს ნაგებობა ადრე შუასაუკუნეების ხანის ეკლესიად არის მიჩნეული. კედლები უხეშადაა დამუშავებული შიგნიდან ამოყვანილი თლილი კვადრებით, ხოლო შესასვლელს თაღოვანი კონსტრუქცია ამშვენებს, აღმოსავლეთით მდებარე სარკმელს კი გრეხილი ორნამენტი შემოუყვება.

ამ ხეობის ქვაბ-საცხოვრისებში ჩაატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების მასალა. მაგალითად: თონე-კერიები, მოჭიქული თუ მოუჭიქავი კერამიკული ნაწარმი, ხის ნივთები,

ქსოვილები – ხალიჩა-ფარდაგების სახით. გამოქვაბულის მშრალი კლიმატი საშუალებას იძლეოდა საუკუნეების მანძილზე შემონახულიყო ხისა და ქსოვილის ნაშთები.

რადგანაც ამ საცხოვრებელი ქვაბების ყველაზე ღრმა ფენებში მიკვლეული არქეოლოგიური მასალა შეიცავს ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ კერამიკას, სრული უფლება გვაქვს მათი წარმოშობის თარიღი ამ პერიოდში ვეძიოთ. ხოლო ზედა ფენებში მოპოვებული შუა საუკუნეების დიდძალი საყოფაცხოვრებო ნაწარმი მოსახლეობის მიერ ამ გამოქვაბულების ხელახალ ათვისებაზე მიუთითებს (ძირითადად განვითარებულ შუასაუკუნეებში).

IV კომპლექსში აღმოჩენილია თონეების განსაკუთრებული ტიპი – წაკვეთილი კონუსის ფორმის (დიამეტრი 0,6-0,8 მმ). ამის პარალელი ჩვენ გუდარეხში მოგვეპოვება, იგი ცნობილია როგორც „გუდარეხის ტიპი“. გამოქვაბულში თონეს ორმაგი ფუნქცია ჰქონდა. ის გამოიყენებოდა როგორც პურეულის გამოსაცხობად, ისე გასათბობად. მაშასადამე, ეს უნდა ყოფილიყო თონე-კერია. გამოქვაბულში დადასტურებულია ნამდვილი კერიებიც, რომლებიც უფრო დაბალია, მხოლოდ დიამეტრია იგივე. კლდოვანი იატაკის გამო ქვევრები ნაკლებადაა მიკვლეული. გამოწკვლილის სახით აღმოჩენილია ქვევრის პირების რამდენიმე ნატეხი.

აქ მოპოვებული კერამიკა გამოირჩევა მრავალფეროვნებით. მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი ძირითად წითელკეციანი ან ვარდისფერკეციანია, რომელიც წერნაქით შეღებილი ჯამების, ღოჭების და სურების სახით წარმოგვიდგება. ზოგიერთ მათგანზე ჩხვლეტილი ან წიწვისებრი ორნამენტია დატანილი. მოჭიქულ ჯამებს შორის ჭარბობს განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ბორბლისებრქუსლიანი ჯამები, რომლის თეთრ ანგობზე მწვანე ჭიქურია გადავლებული და მარყუჟისებრი სახეებია ამოყვანილი [23].

ყურადღებას იქცევს ბნელ ქვაბში აღმოჩენილი ჯამის ფრაგმენტი, რომლის მწვანე ჭიქურზეც სხვადასხვა სახის გეომეტრიული ფიგურებია გამოყვანილი. ერთი მათგანი სქემატურად

გამოსახულ ჩიტსაც კი წააგავს. VI კომპლექსის I იარუსზე მოკვლეულია მრავალფერად მოჭიქული ჯამის კიდევ ერთი ფრაგმენტი, სადაც უფრო ღია ფერები (მწვანე, ყვითელი) ღომინირებს და კვადრატებითაა მოხატული. ქუსლის დიამეტრიაა 4 სმ. ამ ფრაგმენტის ანალოგია მოპოვება თბილისის კერამიკულ საწარმოში დამზადებულ თიხის ჭურჭელს შორის და თარიღდება XII-XIII სს. [12, გვ. 33; 13, გვ. 56-57; 14].

I კომპლექსში აღმოჩენილ კერამიკულ მასალაში ძირითადად წითლად და ვარდისფრად გამოშვარი ჭურჭელი ჭარბობს. კერამიკული ნაწარმი შემკულია წითელი წერნაქით ან წიწვოვანი და ტალღისებრი ნაჭდევებით. გვხვდება მეანდრული მოტივიც. ვიწროყელიან და მუცელგა-

მოხერხებულ დოქებს შორის არის მსხლისებრი ფორმის ყავისფრად გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტები. აგრეთვე მწვანედ მოჭიქული მსხლისებრი ფორმის, რომელსაც პირდაპირ ანგობის გარეშე აქვს გადავლებული მწვანე ჭიქური [14; 23].

გამოიკვეთა აგრეთვე შაკეციანი ქოთნების განსაკუთრებული ტიპი, რომელსაც მუცელზე წიბო შემოუყვება, რაც ქვემო ქართლისათვისაა დამახასიათებელი. მრავლად არის მოუჭიქავი ფართოყელიანი დიდი თუ მცირე ზომის კერამიკაც: ჩაფები, ღერგები და სხვ.

ხის ნივთებიდან გამოიყოფა მცირე ზომის ხუფები, რომლებიც ქვაბ-ქოთნების დასაფარებლად გამოიყენებოდა. აგრეთვე მოპოვებულია ზარდახმის (ტაგრუცის) ფრაგმენტები და წაგრძელებული ხის ნივთი დაახ. 17 სმ სიგრძის გახვრეტილი ბოლოებით, რომელსაც მხოლოდ ცალი მხარე აქვს შერჩენილი.

IV კომლექსში, „კარიან ქვაბში“ მიკვლეული მასალის გამორჩეული ნივთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცულისებრი მოყვანილობის მოკლე საბრძოლო (საჩეხი) იარაღი, გრძელ რკინაზე დარჩილული პირით და წაგრძელებული წვეტიანი სატარით, რომელიც ხეში უნდა ყოფილიყო ჩასმული.

განსაკუთრებით თვალში საცემია ქსოვილები, რომლებიც ტანსაცმლის ან ხალიჩა-ფარდაგების ნაშთებით წარმოგვიდგება. მსგავსი მასალა აღმოჩენილია მუგუთის ქვაბებში [4, გვ. 70-83].

გარდა ზემოთქმულისა, ქვაბ-საცხოვრისებში აღმოჩენილია სახვრეტ-სახეხ იარაღად გამოყენებული ღორის ეშვი, სამარილე, ბავშვის სათამაშოები, ცხვრის კოჭები და სხვ.

ზურტაკეტის კერამიკული ნაწარმი ტიპოლოგიურად არ განსხვავდება მუგუთის ან ნახიდურის [4, გვ. 21-70] კერამიკისაგან. განვითარებულ შუა სუკუნეებს ეკუთვნის ბორბლისებრ-ქუსლიანი მოჭიქული ჯამები, ხოლო ბრტყელძირიანი მოუჭიქავი ჯამები, რომლებიც ასევე საკმაოდ აღმოჩნდა, განვითარებული შუასუკუნეების ბოლო პერიოდს მიეკუთვნება. რაც შეეხება შედარებით უხეშად ნაკეთებ საყოფაცხოვრებო ნაწარმს, ისინი მრავლად გვხვდება ზედა ფენებში, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო გვიანი შუა სუკუნეებისაკენ იხრება. ამ პერიოდში კი საკმაოდ გახშირებული შემოსევების წყალობით კულტურული ცხოვრების დონე დაქვეითების გზით მიდის და ბუნებრივია, რომ ხელოსნურ ნაწარმში ადრინდელი სინატიფე თანდათან ქრება. ზოგიერთ კომპლექსში ყველაზე ზედა ფენა კერამიკული თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნაწარმის მიხედვით XIV საუკუნით თარიღდება. მასალის უმრავლესობა, მცირე გამოჩაყლისის გარდა, ფრაგმენტების სახით არის მოღწეული ჩვენამდე. ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალიც. ხოლო ზოგიერთ ქვაბში უწესრიგოდ მიყრილი ადამიანთა დაუმარხავი ძვლებია ნაპოვნი. საფიქრებელია, რომ კლდის სოფლებში ცხოვრება უეცრად შემწყდარა. ეს

გარემოება კი თემურ-ლენგის შემოსევებთან არის დაკავშირებული.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ თითქოს ეს ძეგლები მხოლოდ საფორტიფიკაციო-თავდაცვით ნაგებობებს წარმოადგენდა, მაგრამ ხრამის ხეობის ქვაბ-საცხოვრისების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისინი არა მხოლოდ შიშინობის დროს, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი დროით და ზოგ შემთხვევაში, მუდმივ საცხოვრისადაც გამოიყენებოდა.

ზურტაკეტის ქვაბებში მოპოვებულმა მასალამ, ერთმანეთში ჩადგომულმა თონებმა, რაც მოსახლეობის დიდხანს ცხოვრების კვალზე მეტყველებს, გვიჩვენა, რომ ამ გამოქვაბულების ნაწილში მოსახლეობა მუდმივად ცხოვრობდა. ამასვე მიგვიბრუნებს იქ არსებული თავდაცვითი ტიპის ქვითკირის ზღუდეები და ნაგებობები.

უპასუხოდ რჩება კითხვა თუ რატომ ჩანს ასე დიდი ინტერვალი ძეგლის შექმნიდან ანუ ბრინჯაოს ხანიდან შუა სუკუნეებში მის ხელახალ ათვისებამდე.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ზურტაკეტის ხეობაში გამოკვლეულმა ქვაბ-საცხოვრისების კომპლექსებმა შეგვიძინა უაღრესად საყურადღებო მასალები შუა სუკუნეთა ხანის სამოსახლოთა თუ დროებით თავშესაფართა სრულიად განსხვავებული ტიპის შესახებ, რომლის შემდგომი კვლევა გადაუდებელ ამოცანად გვესახება. არანაკლებ საყურადღებოა ამ გამოქვაბულებში შუა ბრინჯაოს ფენებიდან მომდინარე მასალა, რაც ამ ტიპის ძეგლთა საწყის პერიოდს მიეკუთვნება და სადაც მომავალში უეჭველად უნდა გავრძელდეს საძიებო სამუშაოები.

**P. Lezhava**

## **ROCK-CUT ARCHITECTURAL COMPLEX IN ZURTAKETI GORGE**

(Summary)

A great number of rock-cut monuments are found on the territory of Kvemo Kartli – one of the ancient historical provinces of Georgia. Among them especially noteworthy are multi-tiered complexes of artificial caves abounding in dwellings and situated in river canyons.

Despite a certain interest of the scientific community these monuments had not been studied until recently from the standpoint of architecture and archaeology. They had not been described thoroughly or measured architecturally either. No definite opinion had been formed about these monuments. Even the fact of their artificial origin had been questioned. As to the period of functioning of these monuments the scholars' opinions had been contradictory.

Moreover, specialists had not even known about the existence of the majority rock-cut monuments in this region. Thus, there arose a

necessity for bringing them out and putting into scientific circulation.

### ლიტერატურა

1. **ბახტაძე ნ.** მუგუთის ქვაბები. – ძმ, № 2, 1988, გვ. 33-40.
2. **ბახტაძე ნ.** ქვემო ქართლის კლდის ძეგლთა შესწავლისათვის. – მაცნე, № 4, 1987, გვ. 106-121.
3. **ბახტაძე ნ.** ქცია-ხრამის ხეობის კლდის ძეგლთა ტიპოლოგიისათვის. – მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის და ეკონომიკის ისტორიისათვის, თბ., 1982, გვ. 8-13.
4. **ბახტაძე ნ.** ქვემო ქართლის კლდის ძეგლები. თბ., 1991.
5. **გაფრინდაშვილი გ.** კლდეში ნაკვეთი ძეგლები საქართველოში. – სპელეოლოგთა VII სამეცნიერო სესია, თბ., 1969, გვ. 7-14.
6. **გაფრინდაშვილი გ.** კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში (ქვაბთა საცხოვრისის ნიმუშები ფეოდალურ საქართველოში). თბ., 1959.
7. **გაფრინდაშვილი გ.** ვარძიისა და მისი მიდამოების ქვაბები, თბ., 1957.
8. **გაფრინდაშვილი გ.** ვარძიის ქვაბთა გეგმარების ტიპოლოგიისათვის. – სმამ, ტ. XV, № 1, 1954, გვ. 57-64.
9. **გაფრინდაშვილი გ.** XI-XII სს. ანანურის კლდის სოფელი ვარძიის ქვაბთა ანსამბლში. – საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, I, 1963, გვ. 92-148.
10. **გოგაძე ე.** თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.
11. **გაბაშვილი ტ.** ვარძია, გზამკვლევი, თბ., 1948.
12. **მაისურაძე ზ.** ქართული მხატვრული კერამიკა XI-XIII სს. (დმანისის ანგობიანი კერამიკა. თბ., 1953).
13. **მიწიშვილი მ.** მოჭიქული კერამიკის სარმო შუა საუკუნეების თბილისში (IX-XIII სს.). თბ., 1979.
14. **მიწიშვილი მ.** ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიიდან (XI-XVIII სს.). თბ., 1976.
15. **მელითაური კ.** ვარძიის სამშენებლო-ხელოთმოდგურული შესწავლის საკითხები. თბ. 1961.
16. **მუსხელიშვილი დ.** ქობთავის გამოქვაბულები. – საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, ტ. I, თბ., 1963, გვ.149-155.
17. **ჩიქოვანი თ.** ქართული ხალხური საცხოვრებელი (წალკური სახლი). თბ., 1960.
18. **ჩიტაია გ.** გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში. ტფ., 1926.

19. **წერეთელი დ.** წოფის პალეოლითური სადგომის მორფოლოგიური და გეოლოგიური დახასიათება. თბ. 1958 (ხელნაწერი).

20. **წერეთელი დ.** ქვემო ქართლის ბარის რელიეფი და მეოთხეული ნალექები. ხელნაწერი.

21. **ჯავრიშვილი კ.** ქციის ხრამის მღვიმე-გამოქვაბულები. – საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, 1963, № 2, გვ. 5-19.

22. **ჯავრიშვილი კ.** ზურტაკეტის ციხე-ხეობაში. – გაზ. „კომუნისტი“ 3.XI. 1960.

23. **ჯაფარიძე გ.** ქართული კერამიკა (XI-XIII სს.). თბ., 1956.

24. **ჯაფარიძე თ.** არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.

25. **Гаприндашвили Г.** Пещерные ансамбли Вардзия. Тб., 1960.

26. **Джандиери М. И., Лежава Г. И.** Архитектура горных регионов Грузии. М., 1960.

27. **Осборн Г. Ф.** Человек древнего каменного века. Жизнь, искусство. Л., 1924.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ზურტაკეტის ქვაბთა I კომპლექსის ცენტრალური ნაწილის ანაზომი გეგმები და ჭრილები.

ტაბ. II – ზურტაკეტის ქვაბთა II კომპლექსის სათავსოთა ჯგუფის ანაზომი გეგმები და ჭრილები.

ტაბ. III – ზურტაკეტის ქვაბთა IV კომპლექსის ფასადების სქემატური გაშლა.

ტაბ. IV – ზურტაკეტის ქვაბთა IV კომპლექსის ცენტრალური ჯგუფის ანაზომი, გეგმები და ჭრილები.

### Description of the Plates


Pl. I. – Zurtaketi caves. Central part of the complex I. Plans and sections.


Pl. II. – Zurtaketi caves. Complex II. Group of compartments. Plans and sections.

Pl. III. – Zurtaketi caves. Complex IV. Facades.


Pl. IV. – Zurtaketi caves. Central part of the complex IV. Plans and sections.


ტაბ. I





ტაბ. III





## დავით მინდორაშვილი

### მასალები გვიანი შუა საუკუნეების უფლისციხის შესწავლისათვის

კუძღვნი პროფ. დავით ხახუტაიშვილის  
ნათელ ხსოვნას.

უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლის თითქმის უკვე ნახევარი საუკუნის მანძილზე გამოვლენილია სხვადასხვა პერიოდის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალები, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს გვიანი შუა საუკუნეების თიხის სარიტუალო კერები. მეცნიერულ მიმოქცევაში სრული სახით ისინი დღემდე არ ყოფილა შემოტანილი. არადა მასალები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, საკმაოდ საინტერესო ჩანს როგორც უფლისციხის, ისე საერთოდ საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად.

ძეგლის გათხრებისას სხვადასხვა უბანზე ჩნდებოდა რქისებური შვერილებით შემკული თიხის კერების ცალკეული ნატეხები (ტაბ. III<sub>3-7</sub>). მათი მთლიანობაში წარმოდგენა კარგა ხანს ვერ ხერხდებოდა, რის გამოც ამგვარი კერის ნატეხები თონის ან ჩვეულებრივი, პრაქტიკული დანიშნულების კერის ნაწილებად გაიანჯრებოდა.

1981 წ. უფლისციხის ჩრდილოეთი უბნის სულ ზედა (I) ტერასის ერთ-ერთ საცხოვრებელ ნაგებობაში თონესთან ერთად გამოვლინდა შედარებით კარგად შემონახული სუსტად გამომწვარი კერა, რომელსაც ამკობდა ოთხი რქისებური შვერილი [17, გვ. 7]. კერა გეგმაში ოვალური იყო, აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე რამდენადმე წაგრძელებული. კერას დასავლეთიდან ებმოდა ორი მასიური წანაზარდი, რომელთა შუა არსებული თაღის კიდეებს შემოუყვებოდა ფართო ნაჭდევები. კერის დასავლეთ მხარეს სამი მოგრძო ქვით შემოსაზღვრულ სანაცრეში გაიწმინდა მოლესილი ნაცრის თხელი ფენა. კერას ემჩნეოდა ცეცხლის სუსტი კვალი.<sup>11</sup> (კერის ზომები: სიმაღლე 33 სმ, ზედა ნაწილის დიამეტრი 38-43 სმ, თაღის სიმაღლე 26 სმ, სიგანე 22 სმ., ტაბ. I<sub>1,2,3</sub>). კერის ფორმა, შემკულობა, ცეცხლის სუსტი კვალი, მოლესილი ნაცარი, ნათლად მეტყველებდა, რომ იგი სარიტუალო იყო და მას არ ჰქონდა პრაქტიკული დანიშნულება. ამ აზრს აძლიერებდა ის გარემოე-

ბაც, რომ ნაგებობაზე სამხრეთიდან მიერთებულ მეორე ოთახში აღმოჩნდა ქვის ფილებით შედგენილი კერა, რომლის პრაქტიკული დანიშნულება აშკარა იყო. გარდა ამისა, უფლისციხის გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობებში ხშირად გვხვდებოდა პრაქტიკული დანიშნულების თიხის კერები, რომლებიც აღწერილ კერასთან შედარებით სრულიად განსხვავებული ფორმისაა.

ჩრდილოეთი უბნის ქვედა (II) ტერასაზე, ასევე საცხოვრებელ ნაგებობაში მიკვლეულ იქნა კერა, რომელიც წააგავს ზედა (I) ტერასაზე გამოვლენილ კერას, მაგრამ მასზე მცირე ზომისაა [17, გვ. 14]. იგი წარმოადგენს თიხის სუსტად გამომწვარ, გეგმაში ნალისებური მოყვანილობის ნაგებობას, რომლის ქვედა ნაწილი ფართოა, ზედა კი დიაა, ჰორიზონტალურად მოჭრილი და ძირთან შედარებით ვიწრო. კერის კედლებზე შიდა მხრიდან შემორჩენილი იყო ორნამენტი – მცირე ზომის ამოკაწრული წრეები. კერას აღმოსავლეთიდან შემოწყობილი ჰქონდა ქვები. დასავლეთიდან მასაც ჰქონდა თაღი, რომლის ზედა ნაწილი არ შემორჩენილა. თაღის წინ, ქვებით ნახევარწრიულად შემოსაზღვრულ სანაცრეში აღმოჩნდა მოლესილი ნაცარი. (კერის ზომები: სიმაღლე 35 სმ, ზედა ნაწილის დიამეტრი 17-22 სმ, ძირის დიამეტრი 40 სმ, თაღის სიგანე 26 სმ., ტაბ. II). ცალკეულ დეტალებში განსხვავების მიუხედავად, ის ბევრ საერთოს პოულობს ზედა ტერასის კერასთან. ორივე გამართულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, დასავლეთით მიერთებული სანაცრეებით, სადაც გამოვლინდა მოლესილი ნაცარი. ამავე მხრიდან აქვს თაღები. ორივე გამომწვარია სუსტად. მათში ინთებოდა სუსტი ცეცხლი და ბოლოს, არც ერთ მათგანს პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდა.

სარიტუალო კერა გამოვლინდა ჩრდილოეთი უბნის იმავე (II) ტერასის კიდევე ერთ საცხოვრებელ ნაგებობაში. აღწერილი კერების მსგავსად ისიც გამართულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. კერა ძლიერ იყო დაზიანებული. მისი ქვედა ნაწილი ნალისებური მოყვანილობისაა<sup>12</sup>

<sup>11</sup> ნაგებობა თავის დროზე წარმოადგენდა მარანს, რაზეც მეტყველებს იატაკზე კლდეში ამოკვეთილი საქვევრე ორმოები და მათში აღმოჩენილი ქვევრის ფრაგმენტები. მარანის გაუქმების შემდეგ, ამ ადგილას გამართული გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობა დანგრეულ-გადამწვარა. ამის გამო მთელი იატაკი დაფარულია ნაწილის ათიოდე სანტიმეტრის სისქის ფენით, რომელიც მიწით მოუტკეპნაით და უქცევიათ საცხოვრებელი ნაგებობის იატაკად, სადაც თონე და კერა გაუშართავთ.

<sup>12</sup> საინტერესოა, რომ ნალისებური მოყვანილობის ნაცრით გადალესილი თიხის საკულტო კერები, რომელთა წინ აღმოჩნდა შენაწირი ნივთების დიდი რაოდენობა, გამოვლენილია ჟინვალის ნაქალაქარის განვითარებული შუა საუკუნეების საცხოვრებელ ნაგებობებში. უფლისციხის კერებისაგან განსხვავებით, მათ არა აქვთ ქვებით სპეციალურად შემოღობილი სანაცრეები. ცნობა მომავლად ისტორიის



და ამ მხრივ წააგავს მეორე კერას. გამომწვარია სუსტად. მეორე კერის მსგავსად, დასავლეთი მხრიდან აქვს ქვევით ნახევარწრიულად შემოსაზღვრული სანაცრე და თალი, რომელიც ადრევე დაზიანებულია. აღმოსავლეთიდან მასაც შემოწვობილი ჰქონდა ქვეები, რომელთაგან ერთი მოგრძო ქვა ვერტიკალურად იყო ჩასობილი.<sup>13</sup> (კერის ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 20 სმ, დიამეტრი 35 სმ., ტაბ. III). კერის ჩაქცეული თალის ერთ-ერთ ფრაგმენტზე რელიეფური ხაზებით გამოსახულია მარჯვნივ მიმართული, ცხენზე მდგარი ფრინველისთავიანი არსება. გამოსახულების მარცხენა ხელის წინ დაძვრილია ნახევარმთვარე, ზოლო ფრინველის თავთან ორი მცირე ზომის წრე – ალბათ, მნათობები [4, გვ. 20]. თალის კიდეზე შემორჩენილია ნაჭდევეებით შედგენილი ორნამენტი (ტაბ. III<sub>2</sub>). კერის თალზე წარმოდგენილი კომპოზიცია უაღრესად პრიმიტიული და სქემატურია, მაგრამ სემანტიკის თვალსაზრისით ფრიად საინტერესო. ფრინველისთავიანი მხედრის გამოსახულების შესახებ თ. სანიკიძე აღნიშნავს: „ეს გამოსახულება ფორმითაც და შინაარსითაც უშუალოდ უკავშირდება წარმართული ხანის უძველეს საწესო-სარიტუალო ხელოვნების ნიმუშებს. არ არის გამორიცხული, რომ იგი უფლისციხის ისტორიის დასაწყის ეტაპს ეკუთვნოდეს და იმ დროიდან რელიკვიად (ან შემთხვევით) შემონახული, ფეოდალური ხანის სარიტუალო კერაში ჩაედგათ სათაყვანოდ და სამკაულად“ [9, გვ. 45]. ფორმა-შინაარსით გამოსახულება მართლაც წარმართული რწმენის ანარეკლია, მაგრამ ფრინველისთავიანი მხედრის გამოსახულებას ვერ მივაკუთვნებთ უფლისციხის წარმართობის ხანას და იმ დროიდან შემონახულ გამოსახულებას. ის კერის ორგანული ნაწილია და მასთან ერთადაა შექმნილი შუა საუკუნეებში. ფრინველისთავიანი მხედრის გამოსახულებამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ კერები მართლაც სარიტუალო დანიშნულების იყო.

თავის დროზე კერების ფუნქციონირების ზედა თარიღად XIV ს. იქნა მიჩნეული [14, გვ. 18]. შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ კერები გაცილებით გვიანდელია. სამივე კერა აღმოჩენილია კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ზედა კულტურულ ფენებში, რომლებიც მრავალრიცხოვანი კერამიკული მასალის (თეთრი ანგობით დაფარული, ორმხრივ მრავალფერად მოჭიქული ჯამები; მწვანედ და ფირუზისფერად ერთმხრივ და ორმხრივ მოჭიქული ჭურჭელი; შავად მოხატული და ფირუზისფერად მოჭიქული ჯამები, ფაიანსის ნატეხები და სხვ.) მიხედვით

მეცნიერებათა კანდიდატმა მ. მარგველაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

<sup>13</sup> მეორე და მესამე კერას არა აქვთ რქისებური შვერილები. პირველისაგან განსხვავებით მათ სანაცრეებს ქვეები შემოუყვება ნახევარწრიულად.

თარიღდება XVI-XVII სს. ამდენად კერების თარიღიც ამავე პერიოდით უნდა განისაზღვროს. სამივე კერა<sup>14</sup> მოწვობილია არა საგანგებო, არამედ ჩვეულებრივ საცხოვრებელ ნაგებობებში და როგორც ჩანს, ისინი საოჯახო „სამსხვერპლოებს“ წარმოადგენდნენ.<sup>15</sup>

აღნიშნული კერების გარდა, უფლისციხის გათხრებისას სხვადასხვა უბანზე ჩნდებოდა ამგვარი სარიტუალო კერების რქისებური შვერილებითა და რელიეფური ტალღოვანი ორნამენტით შემკული ნატეხები (ტაბ. III<sub>3-7</sub>). მათგან განსაკუთრებით საინტერესოა კერის მასიური თალის ნატეხი, რომელიც შემკულია ამოღარული კონცენტრული წრეებითა (მზის სიმბოლო?) და ტალღოვანი ორნამენტით (წყლისა თუ გველის სიმბოლო?). ნატეხი ზედხედში წრიულია. მას აქვს რელიეფური შვერილი – რქის სტილიზებული გამოსახულება (ტაბ. III<sub>3</sub>). ერთ-ერთ სარიტუალო კერის ნატეხზე რელიეფური ორნამენტით გამოყვანილ წრეში გამოსახულია ჯვარი (ტაბ. III<sub>7</sub>).

უფლისციხის კერები გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებია, მაგრამ მათი ფორმა-მოყვანილობა, განსაკუთრებით შემკულობა, საზოგადოებრივ ცნობიერებაში საუკუნეების მანძილზე დაღეპილი წინაქრისტიანული ხანის რწმენა-წარმოდგენების გვიანდელი რემინისცენციის მატერიალური გამოხატულებაა. ვფიქრობთ, უფლისციხის საკულტო კერების სახით საქმე უნდა გვქონდეს ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენების გამოძახილთან. კერების ორნამენტული მოტივები თუ მასზე გამოსახული კომპოზიცია (რქისებური შვერილები, კონცენტრული წრეები, ტალღისებური ხაზები, ნახევარმთვარე, ფრინველისთავიანი მხედარი) სათავეს სწორედ წინაქრისტიანული ხანიდან იღებენ.

უფლისციხის რქისებური შვერილებით შემკული კერები ზედხედში თითქმის იმეორებენ მტკვარ-არაქსის კულტურაში საყოველთაოდ ცნო-

<sup>14</sup> უფლისციხის „ზღუდის უბნის“ გათხრების 1963 წ. ერთ-ერთ საველე ფოტოზე შემორჩენილია კერა, რომლის სანაცრე (ისევე როგორც ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი პირველი კერის სანაცრე) სწორკუთხედადაა შემოსაზღვრული კლდის ნატეხი ქვევით. ფოტო ისეა გადაღებული, რომ საკუთრივ თიხით ნამქრწი კერა არ ჩანს. კერა (ფოტოზე არსებული მინაწერის მიხედვით ბუხრისა თუ ლუმელის ნაშთი) აღმოჩენილია № 5 ოთახში და განეკუთვნება შუა საუკუნეებს (ტაბ. II, სურ. 2).

<sup>15</sup> დაახლოებით მსგავსი ფორმის „სამსხვერპლოები“ საცხოვრებელი ნაგებობების გარეთაც იმართებოდა. ცენტრალური უბნის სამხრეთ ნაწილში კლდეში ამოკვეთილი ერთ-ერთი ორმოს გათხრისას მიწის ზედაპირიდან ოციოდე სანტიმეტრის ქვემოთ გამოვლინდა ქვევით შედგენილი სწორკუთხა გეგმის მქონე გვიანი შუა საუკუნეების „საკურთხეველი“ [9, გვ. 22]. ფორმით იგი წააგავს ჩრდილოეთი უბნის ზედა (I) ტერასის კერის ქვევით შედგენილ სანაცრეს.

ბილ სარიტუალო კერებს, რომელთა რქისებურ შვერილებს მკვლევარები უკავშირებენ ხარის// მთვარის კულტს [2, გვ. 29, 30]. მსგავსების მიუხედავად, დროის უზარმაზარი მონაკვეთით დაშორების გამო, როცა შუალედური ძეგლები არ მოგვეპოვება, მათ შორის პირდაპირ პარალელს ვერ გავავლებთ. ხარის კულტს უკავშირდება უფრო მოგვიანო პერიოდის, კერძოდ, გვიანი ბრინჯაოს ხანის სამლოცველოებში, მათ შორის უფლისციხის მახლობლად მდებარე ყათლანიხევის სამლოცველოზე გამოვლენილი რქისებური შვერილებით შემკული საკურთხევლები [11, გვ. 58].

უფლისციხის საკულტო კერების შემკულობაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთ-ერთი კერის თაღზე დაძერწილი ფრინველისთავიანი მხედარი. ფრინველისთავიანი (მ. ხიდაშელის მიხედვით, ფრინველისნიღბიანი) არსებები გამოსახულია ძვ. წ. IX-VII სს. ბრინჯაოს სარტყელებზე [12, ტაბ. XXXVIII], მაგრამ გვიანი შუა საუკუნეების კერაზე ამგვარი გამოსახულება რამდენადმე მოულოდნელი იყო.

უფლისციხის ფრინველისთავიანი მხედარი სიუჟეტის თვალსაზრისით მსგავსებას ამჟღავნებს გაცილებით ადრეულ, ძვ. წ. IV ს. დათარიღებულ ყანჩაეთის სამარხის №№ 7, 8 საბეჭდავებთან, რომელთაგან პირველზე წარმოდგენილია ფრინველი, ფანტასტიკური (რქიანი) ცხენი და რვასხივიანი ვარსკვლავი [1, გვ. 35]. ი. გაგომიძე ამ კომპოზიციაში ქართულ წარმართულ ღვთაებათა ტრიადას (მთვარე - ფრინველი, მზე - ცხენი, კვირია - ვარსკვლავი) ხედავს [1, გვ. 38]. ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოა ყანჩაეთის № 8 საბეჭდავი, რომლის ფარაკზე გამოსახულია რვასხივიანი ვარსკვლავი და ფრინველისთავიანი შუბოსანი მხედარი ფანტასტიკურ რქიან ცხენზე [1, გვ. 38]. ი. გაგომიძის დაკვირვებით, „თუ № 7 საბეჭდავზე აისახა უმაღლეს ღვთაებათა ტრიადა, № 8 საბეჭდავზე უკვე ერთი ღვთაების, მეტრძოლი მხედარი ღვთაების გამოსახულება უნდა გვქონდეს.“ ცხენი და ვარსკვლავი უკვე ამ ღვთაების ატრიბუტებად გვევლინება [1, გვ. 39]. მართალია, საბეჭდავებისა და კერის გამოსახულებები ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად ძალზე დაშორებულია, მაგრამ შეუძლებელია მათ შორის მსგავსება ვერ შევნიშნოთ. ეს განსაკუთრებით ითქმის № 8 საბეჭდავისა და კერის გამოსახულებაზე. შესაძლოა, კერის თაღზე წარმოდგენილი ფრინველისთავიანი მხედარიც მთვარის ღვთაებას განასახიერებდა. მით უმეტეს, რომ მხედრის წინ სწორედ ნახევარმთვარეა დაძერწილი. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ კერების რქისებური შვერილები ხარის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ხარი კი ძველ რელიგიებში მთვარის ღვთაებას განასახიერებდა [3, გვ. 171].

ცნობილია, რომ მზის ღვთაება ხშირად ცხენის სახით გამოიხატებოდა [1, გვ. 36]. ამდენად არაა გამორიცხული, რომ კერაზე დაძერწილი ცხენი მზის ღვთაებას განასახიერებდა. თუმცა, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ყანჩაეთის № 8 საბეჭდავზე ცხენის (მზის) გამოსახულება უკვე მთვარის ღვთაების ატრიბუტადაა ქცეული. საინტერესოა ფრინველისთავიანი მხედრის ზემოთ დაძერწილი მცირე ზომის წრეები. მსგავსი წრეები გამოსახულია კერის შიდაპირზეც. თუ დავუშვებთ, რომ ისინი განასახიერებენ ვარსკვლავებს, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკულტო კერის თაღზე ზეცის მკვიდრთა (მხედარი - მთვარე, ცხენი - მზე, წრეები - ვარსკვლავები) გამოსახულებებია წარმოდგენილი.

უფლისციხის გვიანი შუა საუკუნეების კერები ფორმა-შემკულობით საკულტო და თანაც აშკარად წარმართული ხასიათისაა. რა თქმა უნდა, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ კერასთან გარკვეული რიტუალის შემსრულებელი უფლისციხელი თავისი მრწამსით ქრისტიანია და არა წარმართი,<sup>16</sup> მაგრამ გაუცნობიერებლად მათ სულიერ ყოფაში ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენებიც რომ იყო გარკვეულწილად დაუნჯებული, ამაზე სხვა ფაქტებიც მიუთითებს.

1982 წ. უფლისციხის ჩრდილოეთი უბნის XVI-XVII სს. ერთ-ერთი, სხვებისაგან არაფრით გამორჩეული საცხოვრებელი ნაგებობის (საველე დოკუმენტაციის მიხედვით ნაგებობა № 7) აღმოსავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ერთმანეთისაგან 40-55 სმ-ით დაშორებული, სიმაღლეზე ჩასობილი და ზედ კედელზე მიდგმული სამი მოგრძო, მასიური ქვა. კედელსა და ქვებს შუა ჩადებული იყო თითო მომცრო ქვა (ტაბ. II). თავიდანვე ცხადი იყო, რომ ამ ქვებს კონსტრუქციული დანიშნულება არ ჰქონდათ, მაგრამ მაშინ რას წარმოადგენდა ამგვარად ჩასობილი ქვები? მისი ფუნქციის გარკვევა მხოლოდ პარალელური მასალების მოშველიებით გახდა შესაძლებელი. ჟინვალის ნაქალაქარის გარეუბნის XII-XIII სს. ზოგიერთ ნაგებობაში (№№ 11, 13, 15, 17, 18) გამოვლენილია თითქმის ისეთივე ფორმის სამშვერილიანი საკურთხევლები მართკუთხა ბაქნებით და თავისი შენაწირებით, რომლებიც მიჩნეულია წარმართულ საკურთხევლებად და მათი არსებობა ახსნილია იქ მცხოვრებთა წარმართული რელი-

<sup>16</sup> ამაზე თუნდაც ის ფაქტი მიუთითებს, რომ ერთ-ერთი კერის თაღზე დაძერწილია ჯვარი. გარდა ამისა, ნაგებობები, სადაც აღნიშნული კერები აღმოჩნდა, სულ ახლოს 30-50 მ-ის დაშორებითაა განლაგებული კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ცენტრალური უბნის კიდეზე მდგარი IX-X სს-ით დათარიღებული, გვიან შუა საუკუნეებშიც მოქმედი ეკლესიისაგან. ნაკლებ დამაჯერებელია, რომ ეკლესიის მესვეურებს წარმართთა არსებობა მათთან ასე ახლოს დაეშვათ.

გიის კულტმსახურებისადმი ერთგულებით [6, გვ. 19-24; 7, გვ. 108-109; 15, გვ. 112; 16, გვ. 57]. მათ წარმართულ ხასიათზე უცილობლად მიუთითებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი საკურთხეველი იდგა საგანგებოდ კონსპირირებულ ნაგებობაში, სადაც მოხვედრა შეიძლებოდა მხოლოდ იატაკის ქვეშ მოწყობილი საიდუმლო ხვრელით. ვისგან ცდილობდნენ ამ საკურთხევლების კონსპირირებას? რა თქმა უნდა, ქრისტიანი მრევლისაგან. ძეგლის გამთხრელის, გ. რჩეულიშვილის აზრით, უეჭველია, რომ იქ სრულდებოდა წარმართული საიდუმლო კულტმსახურება [6, გვ. 19-24]. საყურადღებოა, რომ განვითარებული შუა საუკუნეების მსგავსი საკურთხევლები გამოვლინდა საკუთრივ ჟინვალის ნაქალაქარის ძირითადი კვარტალების ზოგიერთ სათავსოშიც [7, გვ. 109]. ანალოგიური, ოღონდ ცოტა მოგვიანო ხანის (დაახლოებით XV ს.) საკურთხეველი გაითხარა სოფ. ბაგის (დუშეთის რ-ნი) ნასახლარზეც [8]. ასე, რომ უფლისციხის საკურთხეველი არაა ერთეული ან გამონაკლისი მოვლენა და მას ჟინვალისა თუ ბაგის საკურთხევლების სახით მოეპოვება პარალელები, რომელთა სემანტიკა კარგადაა გარკვეული [6, გვ. 19-24; 7, გვ. 109; 15, გვ. 112]. თუ ჟინვალში წარმართული ხასიათის მქონე საკურთხევლების არსებობას ეძებნება ახსნა, ვინაიდან მთიდან დროდადრო ჩამოსახლებულ ახალმოშენებებს ეტყობა ჩამოჰქონდათ მთაში ჯერ კიდევ ცოცხლად არსებული წარმართული ტრადიციები და გარკვეულ დრომდე ინარჩუნებდნენ მას [5, გვ. 73], ცოტა უცნაურად გამოიყურება შუაგულ ქართლში – უფლისციხეში ამგვარი საკურთხევლის აღმოჩენა, მაგრამ ერთი უეჭველია, ჟინვალის განვითარებული და უფლისციხის გვიანი შუა საუკუნეების საკურთხევლებს გარეგნულ მსგავსებასთან ერთად, ერთნაირი ფუნქციონალური დატვირთვაც ჰქონდათ. ამგვარი საკურთხევლების სახით საქმე უნდა გვქონდეს ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში ჩამოყალიბებული საკურთხევლების კანონიკურ ფორმასთან, რომელმაც საკმაოდ გვიანობამდე შემოინახა თავი. ჟინვალისა და უფლისციხის წარმართული ხასიათის საკურთხევლების ფორმები უთუოდ მომდინარეობენ ერთი ძირიდან, რომელიც წინაქრისტიანულ ხანაშია საძიებელი. სხვაგვარად წარმოუდგენელია ქრონოლოგიურად და ტერიტორიულად ერთმანეთისაგან დაშორებული ჟინვალური და უფლისციხური საკურთხევლების ასეთი მსგავსება, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა.

პროფ. დ. ხახუტაიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება წერილობით წყაროებში დაცულ ორ უაღრესად საყურადღებო ცნობას, სადაც მითითებულია შუა საუკუნეების უფლისციხეში წარმართული გადმონაშთების არსებობის შესახებ [11, გვ. 66, 67]. მხედველობაში გვაქვს ანტიო-

ქიის მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) ძეგლისდების ქართული თარგმანის მინაწერი და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა. პირველი წყარო გვამცნობს: „ესეცა გუესმა ქუეყანასა სომხითისა და ქართლისასა, რომელნიმე სურბსარგისს ჰმსახურებენ და რომელნიმე მაცთურთა მათ სახლის ანგელოზად უწოდებენ და ჰმსახურებენ სახედ კერპთა და რომელნიმე უჩინოთა ჰმსახურებენ, რომელნიცა ესევეთართა ჰმსახურებენ, სადაცა სახლად, გინა გარეველთა, ანუ სადაცა კლდისპირთა, ანუ ხეთა და რომელნი ჭირვეულთა ჰკითხავენ და ისმენენ მათსა, ანუ მისანსა, ანუ მექრთილესა . . . ანუ რაისაცა სამისნოისა მოქმედსა, ესე ყოველნი გრძნეულთა და ეშმაკთა და იუდას გამცემელსა თანა დაისაჯნენ ... და რომელნი უფლისციხელთა ჰმსახურებენ (ხაზგასმა ჩვენია – დ. მ.) და რომელნი ბორანიას ეშმაკთა თაყუანისცემენ კერპთა, რამეთუ ეშმაკნი არიან და ეშმაკეულნი და ქრისტეს უარისმყოფელნი არიან“ [13, გვ. 200; 11, გვ. 66, 67; 9, გვ. 40]. ვახუშტი ბაგრატიონი კი გვამცნობს: უფლისციხე „იყო ქალაქი ჩინგისამდე, აწ არს შემუსვრილი. აქა არს ბუზნი. გამოსული იხილვების სპალაშკარნი შუბოსანშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშკრებულნი, ნიშვნენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს“ [10, გვ. 366, 11-21] (ხაზგასმა ჩვენია – დ. მ.). ამ ცნობების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი მიუთითებდა: შუა საუკუნეების „უფლისციხეში იმდენად ძლიერი წარმართული სამისნო ყოფილა, რომ ქრისტიანობის ბატონობისას მისი სახელი მთელ ამიერკავკასიაში ყოფილა ცნობილი“ [11, გვ. 66]. გასული საუკუნის 60-იან წლებში, წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გამოთქმულმა ამ მოსაზრებამ, სრული დადასტურება ჰპოვა უფლისციხის საცხოვრებელ ნაგებობებში გამოვლენილი გვიანი შუა საუკუნეების წარმართული ხასიათის საკულტო კერებისა და ქვებით შედგენილი საკურთხევლის სახით.

წარმოდგენილი მასალები აღძრავს არაერთ საინტერესო საკითხს, რომელთა გარკვევა სცილდება წინამდებარე სტატიის მიზანს და ამჯერად მხოლოდ კერებისა და საკურთხევლის პუბლიკაციით შემოვიფარგლებით. ერთი ცხადია, უფლისციხის გათხრებმა სარიტუალო კერების სახით გამოავლინა უაღრესად საყურადღებო მასალა შუა საუკუნეების საქართველოში წარმართული გადმონაშთების შესასწავლად. მომავალი ძიება უფრო მეტ ნათელს შეიტანს ამ საკითხის კვლევაში.

**D. Mindorashvili**

**TOWARD THE STUDY OF THE  
MEDIAEVAL UPLISTSIKHE**

(Summary)

The paper deals with hearths dating from the 16<sup>th</sup>-17<sup>th</sup> cent. discovered in Uplistsikhe. On the grounds of peculiar shape and decoration of the artefacts, the author regards them as pagan hearths (Pl. I; II, 1,2; III). An “altar” composed of three stone slabs, dug straight into the ground in one of the structures of the Late Middle Ages, was brought to light. It finds analogy with a pagan-type “altar” found on the Zhinvali site and dated to the 12<sup>th</sup>-13<sup>th</sup> cent. Inhabitants of Uplistsikhe, performing rites before such altars were, undoubtedly, Christians, but, perhaps subconsciously, traces of pagan beliefs were still preserved in their spiritual life.

**ლიტერატურა**

1. **გაგოშიძე ი.** ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბ., 1964.
2. **კიკვიძე ი.** კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში კერისა და კერის ზესადგრების დანიშნულება და სემანტიკა. – თსუ შრომები, № 162, 1975, გვ. 21-32.
3. **კიკვიძე ი.** მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.
4. **მინდორაშვილი დ.** წარმართული გადმონაშთები ფეოდალური ხანის უფლისციხეში. – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის VI სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1984, გვ. 19,20.
5. **რამიშვილი რ.** ნაქალაქარი ჟინვანი. – ფსად, ტ. IV, თბ., 1982, გვ. 66-75.
6. **რჩეულიშვილი გ.** ჟინვალის ნაქალაქარის გარეუბნის ხუროთმოძღვრება. თბ., 1983, (ხელნაწერი).
7. **რჩეულიშვილი გ.** ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1990.
8. **რჩეულიშვილი გ.** აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგის რაზმის 1991 წ. საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1992 (ხელნაწერი).
9. **სანიკიძე თ.** უფლისციხე. თბ., 1987.
10. **ქართლის ცხოვრება.** ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV. თბ., 1973.
11. **ხახუტაიშვილი დ.** კლდეში ნაკვეთი ქალაქი. თბ., 1965.

12. **ხიდაშელი მ.** ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში. თბ., 1982.

13. **Жордания Ф.** Описание рукописей, II. Тифлис, 1902.

14. **Миндорашивили Д. В.** Уплисцихе в феодальную эпоху. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1900.

15. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А.** Жинвальская экспедиция. – ПАИ, 1979 (1982), с. 106–117.

16. **Рамишвили Р. М., Рчеулишвили Г. М. и др.** Основные результаты работ Жинвальской археологической экспедиции. – ПАИ, 1980 (1982), с. 52–59.

17. **Саникидзе Т. Е.** Новые материалы по пещерному городу Уплисцихе. – IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1989, с. 233-247.

**ტაბულების აღწერილობა**

ტაბ. I – 1-3. უფლისციხის ზედა I ტერასაზე აღმოჩენილი კერა.

ტაბ. II – 1. უფლისციხის ზედა II ტერასაზე აღმოჩენილი კერა; 2. „ზღუდის უბანზე“ აღმოჩენილი კერა; 3. II ტერასის საცხოვრებელ ნაგებობაში აღმოჩენილი „საკურთხეველი“.


ტაბ. III – 1-2. უფლისციხის II ტერასაზე აღმოჩენილი კერა და კერის ფრაგმენტები; 3-7. სხვადასხვა კერის ფრაგმენტები.

**Description of the plates**


Pl. I, 1-3 – hearth discovered on the upper terrace I of Uplistsikhe.

Pl. II, 1 - hearth discovered on the upper terrace II of Uplistsikhe; 2. – herath found on the site of “fortification wall”; 3. “altar” found in the dwelling of terrace II.

Pl. III, 1, 2 – hearth found on terrace II and its fragments; 3-7. fragments of different hearths.




1



2

0 5 10 15




3

ტაბ. II








1



2



3



## ნინო ქებულაძე

### რკინის კოროზია და არაქლოროზი ნივთიერების რესტავრაცია-კონსერვაცია


მსოფლიოს მუზეუმების საგამოფენო დარბაზები და ფონდები ერთობ მდიდარია არქეოლოგიური რკინის ნივთებით.

დედამიწის ქერქის შემადგენლობაში გავრცელების მხრივ რკინა მეოთხე ელემენტია ჟანგბადის, სილიციუმის და ალუმინის შემდეგ; მისი პროცენტული შემცველობა დაახლოებით 4,65 %-ია. რკინა მიიღება წიაღისეულისაგან: მაგნიტური რკინაქვა  $Fe_3O_4$  (მაგნეტიტი), წითელი რკინაქვა  $Fe_2O_3$  (ჰემატიტი) და მყარი რკინაქვა  $Fe_2O_3 \cdot xH_2O$  (ლიმონიტი) [3, გვ. 554]. თავისუფალი სახით ძირითადად მეტეორიტული წარმოშობისაა. მეტეორული რკინისათვის დამახასიათებელია Ni -ის შემცველობა 5-დან 26 %-მდე. უფრო ხშირად 7-8%, მაშინ როცა მიწიერი წარმოშობის რკინა იშვიათად შეიცავს ნიკელს ან შეიცავს ძალიან მცირე რაოდენობით [4, გვ. 365]. რკინა (Ferrum, ლათინურად – სიმტკიცე) ჭედადი და ჭიმვადი ლითონია, ეს თვისებები მისი გახურებით იზრდება. კუთრი წონა 7,8 გ/სმ<sup>3</sup>-ია;  $t_{დნ}=1535^\circ$  [2, გვ. 95]. როგორც ვხედავთ, რკინის ლღობის ტემპერატურა საკმაოდ მაღალია, ამიტომ სავარაუდოა, რომ უძველეს დროში მისი დამუშავების პირველი მეთოდი ცივი ჭედვა იყო, თუმცა აქვე უნდა იქნას გათვალისწინებული ისიც, რომ ამ დროისათვის ადამიანმა უკვე იცოდა სპილენძის მეტალურგია და მას შეეძლო ამ ცოდნით რკინასთან მუშაობისას ესარგებლა. მართლაც ადრეული პერიოდის ნივთების დიდი რაოდენობა ატარებს არა მარტო ცივი, არამედ ცხელი ჭედვის კვალსაც. მეტალოგრაფიული კვლევა გვაძლევს საშუალებას დადგინდეს კონკრეტულ ნივთზე ჭედვა წრთობამდე იყო გამოყენებული თუ შემდეგ, საერთოდ იყო ნივთი ნაწრთობი თუ არა.



არქეოლოგიურ გათხრებში ნაპოვნი რკინის ნივთები ყველა კოროზირებულია. რკინის ნივთის ყველა სახის კოროზია ზედაპირიდან იწყება, ვრცელდება მთელს ზედაპირზე, მიდის სიღრმეში და გრძელდება მანამ, სანამ მთელი მასა ფხვიერ ჟანგად არ გადაიქცევა. ჩვეულებრივ ატმოსფეროში, რომელიც შეიცავს წყალს, ჟანგვის პროცესი ძალიან ჩქარა მიმდინარეობს. მიწაში რკინის დაშლას ხელს უწყობს ნიადაგოვან წყლებში გახსნილი მჟავები და მარილები. ჰაერზე რკინა იჟანგება ანუ იერთებს ჰაერიდან ჟანგბადს. პირველ საფეხურზე წარმოიქმნება  $FeO$  – რკინის ქვეჟანგი (რუხი ფერის), დაჟანგვის შემდეგ საფეხურს რკინის ჟანგი  $Fe_2O_3$  – ჰემატიტი (წითელი ფერის) წარმოადგენს, რომელიც წყალთან წარმოქმნის რკინის ჟანგის ჰიდრატს  $Fe(OH)_3$ . ეს არის ყველასათვის

ცნობილი ჟანგი. არსებობს  $Fe_3O_4$  რკინის ქვეჟანგ-ჟანგი, რომელიც რკინის ქვეჟანგის და რკინის ჟანგის შეერთებით მიიღება:  $FeO + Fe_2O_3 = Fe_3O_4$


რკინის ქვეჟანგ-ჟანგი ძალიან მდგრადია. თუ ნივთის ზედაპირი ამ ოქსიდით არის დაფარული, მაშინ რკინა დაცულია შემდგომი დაჟანგვისაგან, ეს არის ე.წ. მაგნიტური რკინაქვა. ლითონის კოროზიის გამომწვევია ჟანგვა-აღდგენის რეაქციები, რომლის დროსაც ლითონი თავის გარემოცვიდან რაიმე ნივთიერებასთან ურთიერთგავლენის შედეგად გარდაიქმნება არასასურველ შენაერთად. რკინის დაჟანგვაში მონაწილეობს ჟანგბადი. რკინა წყალში არ იჟანგება ჟანგბადის არ არსებობის დროს. დაჟანგვის პროცესში ასევე მონაწილეობას იღებს წყალი. რკინა არ იჟანგება ზეთში, გაჯერებულ ჟანგბადში თუ არ არის წყლის კვალი. დაჟანგვას აჩქარებს მთელი რიგი ფაქტორებისა, როგორცაა: გარემოს pH, მასში მარილების არსებობა, რკინის კონტაქტი სხვა ლითონთან, რომელიც უფრო ძნელად იჟანგება ვიდრე რკინა. რკინის კოროზია წარმოადგენს ელექტროქიმიურ პროცესს – რკინის ზედაპირის ზოგიერთი უბანი გვეკვლინება როგორც ანოდი, რომელზეც ხდება მისი დაჟანგვა:



ამ დროს წარმოქმნილი ელექტრონები გადაადგილდებიან ლითონში ზედაპირის სხვადასხვა უბნებთან რომლებიც კათოდის როლს ასრულებენ. მათზე ხდება ჟანგბადის აღდგენა



უნდა აღინიშნოს, რომ O-ის აღდგენის პროცესში მონაწილეობენ  $H^+$  იონები, თუ  $H^+$ -ის კონცენტრაცია დაიწვეს, ანუ გაიზრდება pH,  $O_2$ -ის აღდგენა ძნელდება. შემჩნეულია, რომ რკინა, რომელიც კონტაქტშია ხსნართან, რომლის pH > 9-10 არ იჟანგება. კოროზიის პროცესში ანოლზე წარმოქმნილი  $Fe^{2+}$  იონები იჟანგება  $Fe^{3+}$ -მდე.  $Fe^{3+}$  იონები წარმოქმნიან რკინის (III) ჰიდრატირებულ ოქსიდს:




ვინაიდან კათოდის როლს ჩვეულებრივ ასრულებს ზედაპირის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე კარგად არის უზრუნველყოფილი ჟანგბადის მიწოდებით, ჟანგი ყველაზე ხშირად ზუსტად ასეთ უბნებზე ჩნდება [1, გვ. 230] (სურ. 1).

მარილების არსებობა აძლიერებს კოროზიას მათი გავლენა აიხსნება იმით, რომ მათგან წარმოქმნილი იონები ქმნიან ელექტროლიტს რო-



მელიც აუცილებელია შეკრული ელექტრული ჯაჭვის წარმოსაქმნელად. ყველაზე დიდ ყურადღებას ითხოვს როდესაც არქეოლოგიურ ნივთზე ქლორის შემცველი ნაერთებიან ვინაიდან ქლორი წარმოადგენს ძალიან აქტიურ ელემენტს და რკინასთან მისი შენაერთები ძლიერ არამდგრადია. ქლორის მოშორება რესტავრატორისათვის ერთ-ერთი ძირითადი დავალებაა. ქლორის არსებობა შეიძლება დადგინდეს ე.წ. როზენბერგის კამერის გამოყენებით [5, გვ. 54].




სურ. 1


ვიდრე არქეოლოგიური რკინის ნივთის რესტავრაციას დავიწყებდეთ, საჭიროა მისი მდგომარეობის დადგენა; რა რაოდენობითაა შენარჩუნებული მასში ლითონური გული და, საერთოდ, არის თუ არა. ამისათვის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა მისი რენტგენოსკოპული გამოკვლევა. რენტგენის სხივებით გაშუქებისას მყარი გული უფრო მკაფიოდ გამოიხატება. დასხივება უნდა მოხდეს ორი ან სამი მხრიდან, რათა გვეჩვენოს არსებული მდგომარეობის ნათელი სურათი. თუ რენტგენოსკოპული გამოკვლევა ვერ ხერხდება, ნივთის მდგომარეობა შეიძლება კუთრი წონის მიხედვით განისაზღვროს. თუ სუფთა ლითონური რკინის კუთრი წონა 7,8-ია, ჟანგეულების 5,24-დან 4,9-მდე მერყეობს, ქლორიანი რკინის კი 2,5-მდე. ამრიგად, თუ რომელიმე რკინის ნივთის კუთრი წონა აღმოჩნდება 3, მაშინ ასეთ ნივთს ძალიან მცირე მეტალური გული აქვს შემორჩენილი, ხოლო დანარჩენი ქლორიდები და ნაწილობრივ ოქსიდებია. თუ კუთრი წონა 6-ია, მაშინ ნივთში დიდი რაოდენობით ლითონური რკინაა [5, გვ. 68].

წინამდებარე ნაშრომის ავტორს საშუალება მქონდა ქიმიურ-სარესტავრაციო სამუშაოები მეწარმეებთან გერმანიის ქალაქ შლეზვიგის არქეოლოგიური მუზეუმის საკონსერვაციო დეპარტამენტში, მუზეუმის ფონდებში დაცულ რკინის ნაკეთობებზე (გასაღები, მაკრატელი, 6 ცალი ლურსმანი, ფირფიტა, სატეხი, გაურკვეველი დანიშნულების ნივთი).<sup>17</sup> თავდაპირველად ჩავა-


ტარეთ რენტგენოსკოპული გამოკვლევა, (სურ. 2, 3, 4), რის შემდეგაც მოხდა რესტავრაციის დაწყება.



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

მიწითა და სქელი ფანგით დაფარული ნივთები (სურ. 5, 6, 7) გავეწმინდეთ აბრაზიული ქვიშის ნაკადით წნევის ქვეშ, რომლის სისქე კონკრეტული ნივთის მიხედვით შეირჩევა.

ფორმების გამოჩენის შემდეგ ნივთი დავფარეთ არალღიტიზს გამამყარებლის და აცეტონის ნარევით:

Araldit AY103 + Hardener HY956 + Aceton (5:1:0,5)

შევდეთ საშრობ კარადაში  $\approx 50^{\circ}\text{C}$ -ზე. გაშრობის შემდეგ კოროზიული ნაღები მოვაშორეთ ალმასის ბორებით. დამუშავების პროცესში საჭირო გახდა ნივთების აბრაზიული ჭავლით

<sup>17</sup> აღნიშნულ ექსპონატებზე სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების უფლება მოგვცა შლეზვიგის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორმა პროფ. კლაუს ფონ კარნაპ-ბორნჰეიმმა და სარესტავრაციო დეპარ-

ტამენტის უფროსმა ბ-მა როლანდ ანილომა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ.

რამდენიმეჯერ დამუშავება. როდესაც კოროზიის ფენა სქელი იყო ნივთს პერიოდულად წმენდის პროცესში ვფარავდით არალდიტის ხსნარით. კვლავ ვდებდით  $\approx 50^{\circ}\text{C}$ -ზე. ნივთის გაწმენდის დასრულების შემდეგ ნაკლებად ადგილები დაფარეთ ნარევით:

Araldit AY103 + Hardener HY956 + talcum + umbra (ყავისფერი მშრალი საღებავი).

ნივთები სადაც დაფიქსირდა ქლორიდები ჩავდეთ ხსნარში

NaOH + Na<sub>2</sub>SO<sub>3</sub> + H<sub>2</sub>O (გამოხდილი)  
(600გრ + 1200გრ + 30ლ)



Reinbek  
Krs. Stormarn LA 57  
KS D 330.417  
1 Schlüssel, Eisen  
1 Nagel, Eisen

სურ. 5.



სურ. 6.



სურ. 7.

ყოველ ორ კვირაში გამოწმენდით CI-ის იონების არსებობას AgNO<sub>3</sub>-ვერცხლის ნიტრატით (pH-14) და არსებობის შემთხვევაში ხსნარს ვცვლიდით. როდესაც ნივთი განთავისუფლდა ქლორის იონებისაგან, იგი ჩავდეთ გამოხდილ წყალში. შემდეგ გავაშრეთ და 30°-ზე გამობარი დაფარეთ კონსოლიდანტით Paraloid B72-ით აცეტონში [8, გვ. 293;] (სურ. 8, 9):

Paraloid B72 + Aceton (400გრ + 1,5ლ)

Araldit AY103 – Bisphenol A + epichlorhydrin

Bisphenol A + ეპოქსიპოლიმერი პრაქტიკულად არამომწამლავია, მაგრამ Bisphenol-ის გამო გააჩნია მგრძობელობა კანზე. უნდა მოვერიოდოთ კანზე მოხვედრას, წინააღმდეგ შემთხვევა-

ში კანი სწრაფად უნდა იქნეს დაბანილი საპნით და წყლით.



Reinbek  
Krs. Stormarn LA 57  
KS D 330.495  
14 Holz-/Metallgegenstände

სურ. 8



Reinbek  
Krs. Stormarn LA 57  
KS D 330.417  
1 Schlüssel, Eisen  
1 Nagel, Eisen

სურ. 9

Hardener – არის პოლიამინამიდები, პრაქტიკულად არამომწამლავია. გამალიზიანებელი თვისება აქვს კანზე და თვალებზე; უნდა მოვერიოდოთ კონტაქტს [6, გვ. 73].

Aceton – დიმეთილკეტონი (CH<sub>3</sub>COCH<sub>3</sub>) – პრაქტიკულად არამომწამლავია.

Paraloid B72 – ეთილმეტაკრილატ მეთილაკრილატის თანაპოლიმერი [7, გვ. 220; 9, გვ. 219].

## N. Kebuladze

### CORROSION OF IRON AND RESTORATION-CONSERVATION OF ARCHAEOLOGICAL ARTEFACTS

(Summary)

Exhibition halls of *fonds* of museums throughout the world abound in iron artefacts.

Judging by the intensiveness of spread within the earth's crust, iron occupies the fourth place after oxygen, silicon and aluminium.

All iron objects obtained during archaeological excavations are damaged by corrosion. Corrosion begins on the surface of an artefact, covers the entire surface and then penetrates into the inner space until the whole mass turns into ferric oxide. Decomposition of iron in the ground is activated by acids and salts dissolved in ground waters. In the air, iron can combine with oxygen, turning into oxides or hydroxides of two- or trivalent ferrum.

Corrosion of metals is provoked by oxidizing-reduction reactions, resulting in transformation of metal into undesirable chemical compositions. Water and oxygen participate in the process of oxidization of iron (ferrum).

The speed of oxidization depends on the pH and presence of mineral salts, in contact of ferrum with another metal less susceptible to the process of corrosion. Corrosion represents an electrochemical process.

However, chlorides are the most dangerous elements. Chlorine is a very active element and its compounds are unstable. Removal of chlorine is an urgent and primary task during restoration work.

Before beginning restoration of an object, it must be assessed as to what extent the iron core is preserved. The best way is to use the X-ray method. In case there is no such possibility, the state of preservation of iron core may be calculated on the basis of the density of the object.

The author had an opportunity to carry out restoration work in the Department of Conservation of the Archaeological Museum of Schleswig, Germany. 12 iron archaeological artefacts have been restored.

X-radiograph photos were taken before beginning the process of restoration. Thick layers of oxides were removed by a pressured stream of abrasive sand. After the shape of the object became clear, it was coated with the following mixture: Araldite AY 103 + Hardener HY 956 + Acetone (5:1:0,5). Then the article was dried up at the temperature ~ 50°C. The next step was to treat corrosion by diamond drill (the procedure can be repeated if necessary). Defects were covered with the following mixture: Araldite AY 103 + Hardener HY 956 + talcum + umbra. Artefacts containing chlorides were treated with the mixture NaOH + Na<sub>2</sub>SO<sub>3</sub> + H<sub>2</sub>O (600 gr + 1200gr + 30 l) until the final removal of chlorine ion. Eventually, dry and heated to 30°C objects were covered with Hardener Paraloid B 72 in acetone: Paraloid B72 + Acetone (400gr + 1,5 l). The following reagents were used:

Araldit AY 103 – Bisphenol A + epichlorhydrin

Hardener HY 956

Acetone

Paraloid B 72

### ლიტერატურა

1. Браун Т., Лемей Г. Ю. Химия в центре наук. М., 1983.

2. Гончаров А. Н., Корнилов М. Ю. Справочник по химии. Киев, 1977.

3. Карапетянц С. Н., Дракин С. Н. Общая и неорганическая химия. М., 1981.

4. Лукас А. Материалы и ремесленные производства древнего Египта. М., 1958.

5. Фармаковский М. В. Консервация и реставрация музейных коллекций. М., 1947.

6. Blackshaw S., Cheetham H. Forming epoxy resin – a useful mounting medium for conservation. – Studies in Conservation, v. 27, London, 1982, pp.70-74.

7. Fox L.G. A note on the use of alkaline dithionite for treating ancient bronze artifacts. – Studies in Conservation, v. 40, 1995, pp.139-142.

8. Stawinoga G. Ein Beitrag zur Eisenentsalzung. – Arbeitslatter Helf 2, 1996, S. 290-295.

9. Thickett D., Cruickshank P., Ward C. The conservation of amber. – Studies in Conservation, v. 40, 1995, pp. 217-226.

### სურათების აღწერილობა

სურ. 1 – კოროზიის პროცესი.

სურ. 2 – გასაღების რენტგენული ფოტო რესტავრაციამდე.

სურ. 3 – მაკრატლის რენტგენული ფოტო რესტავრაციამდე.

სურ. 4 – ლურსმნის რენტგენული ფოტო რესტავრაციამდე.

სურ. 5 – ლურსმანი რესტავრაციამდე.

სურ. 6 – მაკრატელი რესტავრაციამდე.

სურ. 7 – გასაღები რესტავრაციამდე.

სურ. 8 – მაკრატელი რესტავრაციის შემდეგ.

სურ. 9 – გასაღები და ლურსმანი რესტავრაციის შემდეგ.

### Description of the figures

Fig. 1 – The process of corrosion.

Fig. 2 – X-radiograph of key before restoration.

Fig. 3 – X-radiograph of scissors before restoration.

Fig. 4 – X-radiograph of nail before restoration.

Fig. 5 – The nail before restoration.

Fig. 6 – The scissors before restoration.

Fig. 7 – The key before restoration.

Fig. 8 – The scissors after restoration.

Fig. 9 – The key and the nail after restoration.

## არქეოლოგიის ისტორია HISTORY OF ARCHAEOLOGY

სიდონია (თინა) აბულაშვილი

### ბორის კუფტინი – მასალები 1934 წლის არქეოლოგიური ექსპონირებისათვის

ჩვენი მიზანია განვიხილოთ ბ. კუფტინის მიერ 1934 წელს შემუშავებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილი ექსპონირება, რომელიც ხელნაწერის სახით ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. სამწუხაროდ, ამ ექსპონირების ამსახველი სრული მასალა არ არის შემორჩენილი. აღნიშნული ხელნაწერის პუბლიკაცია ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მკითხველს გაეცნოს იმ პრინციპებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ბ. კუფტინი ამ სამუშაოს ჩატარებისას.

მანამდე საქართველოს ისტორიის და კულტურის ამსახველი გამოფენები მოეწყო: 1881 წელს 8 სექტემბერს თბილისში, მთავარმართებლის სასახლეში გახსნილ, V არქეოლოგიური ყრილობისათვის [2, გვ. 17]; 1923 წელს მუზეუმის შენობის ახლადდამთავრებულ კორპუსში – ხუროთმოძღვრების ისტორიული გამოფენა [4, გვ. 455] და 1930 წელს ივლის-ოქტომბერში გერმანიასა და ავსტრიაში, საშუალო საუკუნეების ქართული კულტურის ძეგლების გამოფენა, რომელიც ევროპელებისათვის გასაცნობად წაიღეს უნივერსიტეტის პროფესორებმა გ. ჩუბინაშვილმა და შ. ნუცუბიძემ. გამოფენა გაიხსნა 8 ივლისს ბერლინში და შემდგომ ნაჩვენები იყო კიოლნში, ლაიფციგში, მიუნხენში და ვენაში [4, გვ. 455]. ამ გამოფენის მოწყობაში დიდი იყო ივ. ჯავახიშვილის წვლილი.

1934 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა არქეოლოგიური გამოფენა, რომლის დევიზი იყო „კლასთა უწინარესი საზოგადოება კავკასიაში არქეოლოგიური განყოფილების მასალების მიხედვით“.

ამ გამოფენის მომზადება ივ. ჯავახიშვილმა ბ. კუფტინს დაავალა. ბ. კუფტინის მიერ შემუშავებული იყო ექსპონირების პროექტის გეგმა, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა მაღალი შეფასება მისცა და ამასთანავე გარკვეული შენიშვნები და დამატებები გაუკეთა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება მისი ვრცელი (14 გვ.) მოხსენებითი ბარათი, მუზეუმის დირექტორის მიმართ 1934 წლის მარტში დაწერილი, რომლის სათაურია „რამდენიმე მოსაზრება საქართველოს მუზეუმის გამოფენის შესახებ: „კლასთა უწინარესი საზოგადოება კავკასიაში არქეოლოგიური განყოფილების მასალების მიხედვით“ [3, გვ. 11].

ი. ჯავახიშვილი, მაშინ მუზეუმის სწავლული მრჩეველი, ამ წერილში მუხლობრივად განიხილავს წარმოდგენილ გეგმას. როგორც გ. ლომთათიძე წერს, იგი იწონებს გეგმას და

აღნიშნავს, რომ „სასიამოვნოა მანამდე უსისტემოდ და უქმად მდებარე არქეოლოგიური მასალა, ახლა რომ სისტემურად, გააზრებულად გამოიფინება და მისაწვდომი გახდება“. შემდეგ ბევრ რამეს ასწორებს და დამატებით მოსაზრებას ცნობებით აძლიერებს. მაგალითად: იგი იწონებს არქეოლოგიური ნაშთების სადაურობის აღნიშვნას თანამედროვე პოლიტიკურ-ეროვნული სახელებით („სომხეთი“, „აფხაზეთი“, „ყარაბაღი“ და სხვა) და აცხადებს, რომ იმ უძველესი ხანისათვის ასეთი წესი მიზანშეუწონელიცაა და შემცდენელიც. იგი ურჩევს, რომ წარწერა-განმარტებაში არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის ადგილმდებარეობა ყოველთვის ზედმიწევნითი გეოგრაფიული სახელით იყოს ნაჩვენები [3, გვ. 12]. აქვე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პურეული კულტურის დასაწყისი უფრო ძველია, ვიდრე თუნდაც ქვის, ტალისაგან (კაჟისაგან – თ. აბ.) გაკეთებული ნამგალი [3, გვ. 12]. არც იმაში ეთანხმება, თითქოს მთიანი საძოვრების საჭიროება ნოციერი საძოვრების ნაკლებობით აიხსნება და აღნიშნავს, რომ „ეს საჭიროება მეცხვარეობის გაჩენისთანავე გაჩნდა, რადგან ცხვარი ვერც სიცხეს უძლებს და ვერც სიცივეს“ (3, გვ. 13).

ი. ჯავახიშვილი იწონებს „სამარხავების“ სხვადასხვა დროის, წესისა და სახეობის თვალსაჩინოდ, მთელი ინვენტარის შედგენილობის კომპლექსურად წარმოჩენას, რაც დამთვალიერებელს საშუალებას მისცემს მაშინდელი ადამიანის ნივთიერი ავლა-დიდება და კულტურის დონე შეძლებისდაგვარად სრულად წარმოიდგინოს. მას მიაჩნია, რომ გამოფენას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს – „ყოველმა მნახველმა უნდა შეიგნოს, რომ ოქრო-ვერცხლის გარდა მეცნიერებისათვის ძვირფასია სამარხავის ყოველი ნივთი, ძვალი, ყოველი წვრილმანი“ [3, გვ. 14].

ყველა ეს მოსაზრება ბ. კუფტინს დაეხმარა უფრო სრულყოფილი და გააზრებული გეგმა შეედგინა. სპეციალურად ამ ექსპონირებისათვის უმდიდრესი არქეოლოგიური მასალის ბაზაზე პირველად იყო ათვისებული კერამიკის შეწებების და რესტავრაციის ახალი მეთოდები, რამაც გარკვეულწილად საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში რესტავრაციის განყოფილების შექმნას [1], რაც, რა თქმა უნდა, ბ. კუფტინის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მან შეძლო ეპოქების შიგნით დაეღაგებინა ერთგვაროვანი მასალა და დაენახა მატერიალურ კულტურაში არსებული განსხვავებე-

ბი. ამ გამოფენის მომზადებასთან დაკავშირებული მასალების გამოქვეყნება, ვფიქრობთ, საშუალებას მისცემს მკითხველს დაინახოს ის ამოცანები, რომლებსაც ამ სახის გამოფენები ისახავენ მიზნად და ის განსხვავება, რომელიც თანახლავს სხვადასხვა დროს ამგვარი გამოფენების მოწყობას.

ჩვენი ნაშრომის მოცულობა საშუალებას არ გვაძლევს მთლიანად გამოვაქვეყნოთ მოცემული პროექტი. ვაქვეყნებთ ამ პროექტის შესავალ ნაწილს; პირველი და მეორე თავის გეგმის სტრუქტურას; მეორე თავის მე-7 და მე-10 თემას მთლიანად და ბ. კუფტინის ხელით შესრულებული ექსპოზიციის ამსახველ 2 გრაფიკულ სქემას, რომელიც ასახავს მე-7 და მე-10 თემას.

გეგმის ნაბეჭდი ხელნაწერი შედგება 37 გვერდისაგან და ბ. კუფტინის ხელით შესრულებული 18 ჩანახატისაგან. გეგმა გათვალისწინებული იყო ორი დარბაზისათვის. პირველ დარბაზში გამოფენილი იყო მასალა რომელიც წარმოაჩენდა წინაგვაროვნულ კომუნას ("Дородовая Коммуна") და შედგებოდა ოთხი თემისაგან. მეორე დარბაზში გამოფენილი იყო მასალა, რომელიც ასახავდა გვაროვნულ კომუნას ("Родовая Коммуна") და შედგებოდა ოთხმეტი თემისაგან. თითოეულ თემაზე არსებობდა სათანადო სტენდი ლოზუნგებითა და სათაურებით, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატებით იყო შევსებული.

## План

Выставки "Доклассового Общества На Кавказе" по материалам археологического отдела Музея Грузии.

Цель выставки – служить политико-просветительным задачам и способствовать делу культурной революции и социалистического строительства. Поэтому все построения и все работы должны быть направлены и подчинены этой цели.

На кого должна быть рассчитана выставка.

Выставка должна быть научно-популярной и доступна массовому зрителю.

Общие установки – В основу выставки будет положена пропаганда марксистского мировоззрения и приложение его к пониманию истории развития общественных форм на Кавказе.

Экспозиция археологических коллекций будет производиться в разрезах, уясняющих вопросы происхождения человека, его древности, хозяйственно-общественного развития и идеологии.

Выставка Экспонатов По Ступеням Последовательного Развития Общественных Форм.

+–ый Зал. ДОРОВОДОВАЯ КОММУНА.

1-ая тема: Происхождение человека

2-ая тема: Процесс развития прямой походки предка человека и освобождение прямых конечностей. Начало изготовления орудий и появление кинетической речи.

3-ья тема: Производительные силы и общественная структура людей четвертичного периода.

4-ая тема: Стадия поло-возрастной дифференциации первобытного общества.

ამ თემის დახასიათებისათვის გამოფენილი იყო კოლექციები დევის-ზვრელისა და გვარჯილას-კლდის მღვიმეებიდან.

## II-Й ЗАЛ

Лозунг: "Условия познания всех процессов мира в их самодвижении, в их спонтанном развитии, в их живой жизни есть познание их как единства противоположностей". Ленин (Ленинск. Сб. IXС-117).

## РОДОВАЯ КОММУНА

НАДПИСЬ К ЗАЛУ "Переход дородовой охотничьей коммуны в родовую был вызван возникшим внутри ее противоречием, вследствие несоответствия между усложнившимся хозяйством при росте производительного, главным образом, женского труда с одной стороны и первобытной общественной структурой, основанной на непроизводящей охотничьей деятельности, с другой.

Уже в конце палеолита в связи с усовершенствованием основного типа охоты на крупного зверя и увеличением прибавочного продукта присходит некоторое обособление в хозяйственной деятельности членов коммуны. Участие в крупной охоте принимают опытные в этом деле мужчины, другие более специализировались на изготовлении усложнившегося охотничьего инвентаря, женщины продолжают заниматься собирательным хозяйством. Меньшая подвижность возросшего вследствие этого коллектива дает возможность более длительному приручению добытых на охоте молодых животных сначала только в целях консервации животного продукта. Невсегда однако равномерная охотничья добыча заставляет коммуну чаще обращаться к продуктам женского труда. Это ведет с неизбежностью к совершенствованию техники последнего и способствует переходу от простого собирательства к зачаточному земледелию. При создавшейся таким образом большей устойчивости хозяйства простое приручение животных становится началом их одомашнения. Сначала была приручена собака, а затем ряд стадных животных. Все это вместе взятое привело к качественной перегруппировке охотничьего коллектива, превра-

тившегося в родовую общину с земледельческо-скотоводческой основой хозяйства.

**НАДПИСЬ К ВЫСТАВКЕ:** Родовая коммуна на Кавказе обнимает периоды дометаллический, т. е. позднюю эпоху камня "неолит", период знакомства с медью и период развитой бронзовой индустрии. Растущая индивидуализация производства, совпавшая с появлением железа, как более дешевого и общедоступного материала, разлагает наконец родовую коммуну.

1-ая тема: Переход от присваивающего к производящим типам хозяйства и к новым дифференцированным формам орудий.

2-ая тема: Знакомство с металлом, развитие техники выплавления руд и древний период пользования медью.

3-ья тема: Открытие бронзы и бронзовое производство на Кавказе.

4-ая тема: Сельское хозяйство на среднем и позднем этапе развития родовой коммуны на Кавказе.

5-ая тема: Ремесленное производство в родовой коммуне на Кавказе на поздних этапах ее развития.

6-ая тема: Домашнее хозяйство и женский труд.

7-ая тема: Торговля и обмен.

8-ая тема: Производственные отношения и общественный строй в родовом обществе на Кавказе с признаками намечающегося разложения в эпоху первого появления железа.

9-ая тема: Период халдской государственности и клинописные свидетельства.

10-ая тема: Военная организация и вооружение

11-ая тема: Работоторговля и рабский труд.

12-ая тема: Одежда и украшения

13-ая тема: Искусство и художественная промышленность в родовом обществе Кавказа на поздней ступени его развития.

14-ая тема: Религиозные представления и культ.

#### ТОРГОВЛЯ И ОБМЕН

Товарообмен на данной стадии развития родового общества является обычным процессом, как между отдельными родами так и более отдаленными странами.

Предметами обмена выступают: продукты местного, хозяйства и ремесла, монопольные продукты, отсутствующие на другом месте как то: соль, металлы, раковины, янтарь, сердолик, шкуры и пр. а с развитием скотоводства и земледелия излишки сельско-хозяйственных продуктов.

Рост торгового обмена развивает в результате массовую стандартизацию производства, усиливает разделение труда между ремесленниками, в дальнейшем выдвигает на первое место хозяйства и лиц принимающих на себя деятельность обмена, что с появлением денег приводит к накоплению богатства в отдельных руках и к социальной дифференциации. (Деньги раньше появились чем Соц. дифференциация? – ,& reanbybc [tkbs vbyfothb&)

а) Выставлены: бронзовые кольца различной величины как средство обмена, янтарь и раковины как редкие привозные ценности.

Надпись: В первое время торговля была исключительно меновой. Но обмен постепенно становится постоянным явлением и неудобства меновой торговли все сильнее ощущаются. На этой стадии возникает ходкий товар, т. е. всем нужный товар, в котором в месте с тем удобнее было выражать и соотношение продукта с другими продуктами при их обмене ("Цена" товара). Таким ходким товаром являлись: шкуры, скот, соль, куски металлов, украшения и нередко и люди. В дальнейшем оформляется на правах меновой единицы какой-нибудь один из этих товаров, принимающих на себя функцию денег. Таким товаром в родовом обществе Закавказья являются бронзовые слитки определенного веса, принимающие форму колец и массивных браслетов. В основу веса их, как показывает таблица Моргана, была положена система мер и весов принятых в Ассирии, которой принадлежала по-видимому в это время решающая роль в торговом обмене этих стран.

б) выставлены: изображение колесного экипажа на бронзовом поясе и карта важнейших торговых путей данного времени.

Надпись: Развивается обмен, развиваются средства передвижения. Сухопутным способом перевозки товара первоначально служил выюк.

С развитием дорог получает распространение и колесный экипаж. Для сношения с отдаленными странами крупную роль играли водные пути: каботажное морское и речное плавание.

#### ВОЕННАЯ ОРГАНИЗАЦИЯ И ВООРУЖЕНИЕ

НАДПИСЬ: "Войны, которые раньше велись только для отмщения за нападение для расширения сравнительно недостаточной территории, становятся теперь постоянным промыслом" (Энгельс). Вооружение получает значительное развитие и дифференцировку, обнаруживая заметные варианты по различным территориально-хозяйственным

объединениям. В основе своей оно сохраняет однако общий характер и состоит, главным образом, из боевых топоров, кинжалов, мечей, ударных булав, копий, дротиков, лука и стрел. Защитным оружием служат щиты и мисюрки (плоские шлемы).

Выставлены: Комплексы вооружений война самтаврского, кобанского, ганджа-карабахского района, война убитого бронзовой стрелой из Икалто (Кахетия), бронзовые изображения воинов из казбекского клада.

(Выставлены разные виды оружия в типологическом порядке – ბ. კუფტინის ხელით მინაწერი).

### **ლიტერატურა**

1. აფაქიძე ა. ბ. კუფტინის დახასიათება, ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ბ. კუფტინის არქივი.

2. გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან. თბ., 1998.

3. ლომთათიძე გ. ი. ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში. – საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, ტ. II, 1951, გვ.1-36.

4. ჯორბენაძე ს. ცხოვრება და ღვაწლი ი. ჯავახიშვილისა. თბ., 1984.

### **ტაბულების აღწერილობა**

ტაბ. I – ვაჭრობა და გაცვლა.


ტაბ. II – სამხედრო ორგანიზაცია და შეიარაღება.

### **Description of the plates**


1. Tab. I – Trade and exchange.

2. Military organization and weapons.

В принципе я попрежнему согласна на Ваше предложение, но обстоятельства сложились таким образом, что я решительно не в состоянии сказать, когда мог бы осуществиться мой приезд. Дело в том, что нелегко было попасть в Елабугу, а еще труднее из нее выехать. Сделать это индивидуально, имея в виду, что приходится тащить с собой весь свой скарб, я вообще не в состоянии и потому волей-неволей мне приходится ждать того момента, когда двинется в путь весь наш Институт. В связи с последними событиями из Ленинграда, можно надеяться, что это произойдет в мае или июне текущего года. Мне предстоит следовательно вернуться в Ленинград летом, осмотреться там и тогда уже решить вопрос о моей дальнейшей судьбе. Очень прошу Вас поэтому отложить решение вопроса о моей работе в Грузинской Академии Наук до того времени, если к тому не встретится препятствий.

В заключение разрешите мне еще раз поблагодарить Вас за доброе отношение и пожелать Вам всего наилучшего.

Искренне уважающая Вас М. Максимова

23 мая 1945 г.

Глубокоуважаемый Симон Николаевич!<sup>28</sup>

Приношу Вам свои поздравления с великим и радостным праздником победы и переходом к мирной жизни, которая сулит нам все новые успехи в области развития науки и культуры.

Все годы войны я с большой радостью и интересом следила за успехами археологии и истории в Грузии, достигнутыми под Вашим руководством и за работами уважаемых Георгия Васильевича Церетели, Симона Георгиевича Каухчишвили, Георгия Саридановича Ахвледиани, Акакия Гавриловича Шанидзе. К сожалению, в обстановке войны была сильно затруднена возможность личного общения с грузинскими учеными и возможность близкого ознакомления с их достижениями. В частности научные издания Академии Наук Грузии до нас почти не доходят, а между тем без этого совершенно невозможна плодотворная работа по истории античного и эллинистического Востока.

Сейчас я позволю себе обратиться к Вам с большой просьбой, не отказать выделить мне экземпляры Ваших статей, опубликованных в "Известиях" и "Сообщениях" Академии Наук Грузии, относящихся к античному периоду на территории Грузии (особенно древней Колхиды и Иберии), а также, если возможно, резервировать для меня один экземпляр готовящегося к выходу в свет русского издания "Истории Грузии". Я слышала, что первое издание на грузинском языке разошлось и достать его невозможно.

Если бы Вы согласились выполнить эту мою просьбу, Вы оказали бы мне большое одолжение и крайне обязали бы меня.

Зная Вашу любезность и неизменное доброжелательство, заранее приношу Вам свою благодарность.

С глубоким уважением А. Болтунова

Ленинград, Васильевский Остров, 7 линия, д. 2, кв. 13.

Тбилиси, 25/11-46 г.

Глубокоуважаемый Симон Николаевич!

Поздравляю Вас с замечательной и радостной датой в истории Грузии. Очень сожалею, что перед Вашим отъездом в Сухуми мне не удалось повидаться с Вами. Перед отъездом в Россию позвольте передать Вам свои самые наилучшие сердечные пожелания здоровья, бодрости, сил и хорошего отдыха.

Надеюсь, что в следующий раз встречу с Вами в более счастливых обстоятельствах и увижу Вас здоровым и бодрым за Вашей обычной плодотворной работой.

От всей души благодарю Вас за гостеприимный и дружеский прием и за Ваше внимание и содействие моей работе.

Сердечный привет и наилучшие пожелания прошу передать от меня Вашей супруге.

С глубоким уважением А. Болтунова.

## კომენტარი

1. პახომოვი ევგენი ალექსანდრეს-ძე (1880-1965) – ბაქოში მოღვაწე გამოჩენილი ნუმიზმატი და ისტორიკოსი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბაქოს მუზეუმის დაარსების (1922) ერთ-ერთი მოთავე, შესწავლილი აქვს ქართული მონეტებიც.

2. მეშჩანინოვი ივანე (1883-1968) – ლენინგრადელი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი, მუშაობდა არქეოლოგიაშიც.

3. ბეტანოვი – ?

4. ზოგრაფი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1889-1968) – ერმიტაჟში ნუმიზმატიკური განყოფილების გამგე.

5. პახომოვი იური – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მატერიალური კულტურის ძეგლების ლაბორატორიის გამგე. ელი კვეცი – პახომოვის მეუღლე, ამავე ლაბორატორიის თანამშრომელი.

6. იესენი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (1896-1964) – ბრინჯაოს ხანის კავკასიის არქეოლოგიისა და ძველი ისტორიის მკვლევარი.

7. იამპოლსკი ზელიკ იოსების ძე – ბაქოში მოღვაწე ცნობილი ისტორიკოსი.

8. ლატიშევი ვასილ ვასილის ძე (1855-1921)) – ცნობილი ფილოლოგი-კლასიკოსი, ისტორიკოსი, აკადემიის ნამდვილი წევრი, ძველი მწერლების ცნობების გამომცემელი.

9. რესლერი – ?

10. კრუპნოვი ევგენი ევნატეს ძე (1904-1970) – ცნობილი მოსკოველი არქეოლოგი, მომუშავე ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლოგიაში.

11. კალანდაძე ალექსანდრე (1909-1976) – ცნობილი ქართველი არქეოლოგი, 1945 წლამდე იმყოფებოდა ფრონტზე.

12. 1944 წ. ს. ჯანაშიამ მოსკოვის რამდენიმე სამეცნიერო ცენტრში წაიკითხა მოხსენებები მცხეთაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებზე.

13. განათლების სახალხო კომისარიატი.

14. მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტი, რომელსაც შემდგომ ეწოდა არქეოლოგიის ინსტიტუტი.

15. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

16. რუბინშტეინი – ?

17. გერასიმოვი მიხეილ მიხეილის ძე (1907-1970) – ცნობილი ანთროპოლოგი, პლასტიკური რეკონსტრუქციის ლაბორატორიის გამგე. აღგენილი აქვს ძველი მცხეთელი მოქალაქეების ისტორიული პორტრეტები.

18. შულცი პ. ნ. – კსიას (Краткие сообщения Института археологии) რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი. შულციის წერილს ახლავს ჟურნალის რედაქტორის აკად. ბ. დ. გრეკოვის მომართვა.

19. ლემლეინი გიორგი – ცნობილი მოსკოველი მინერალოგი, რომელიც მონაწილეობას იღებდა მცხეთის არქეოლოგიური მონაპოვრის დამუშავებაში.

20. შმერლინგი რენე ოსკარის ასული (1901-1967) – ცნობილი ხელოვნებათმცოდნე.

21. ს. ჯანაშიას ცოლ-შვილი.

22. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

23. ლემლეინის წერილს ახლავს ფოტო კვიპროსზე აღმოჩენილი მძივებისა. ფოტოს მეორე მხარეს მითითებულია ინგლისურ ენაზე ავტორი H. P. Whitlock და ჟურნალი, რომელშიც მოთავსებულია სტატია: Natural History Magazine 32, № 4, 1932.

24. ლემლეინის სტატია „მინისებრი წარმოების ნაშთები კარსანში, მცხეთის მახლობლად“ გამოვიდა სმამ-ში 1945 წ., VI, № 9 (გ. ლომთათიძის თარგმანი).

25. მინერალოგთა საკავშირო ყრილობა თბილისში არ ჩატარებულა.

26. მაქსიმოვა მარიამ ივანეს ასული (1885-1973) – ცნობილი ლენინგრადელი ხელოვნებათმცოდნე, გლიპტიკის მკვლევარი.

27. ბარნაველი სარა ვასილის ასული (1902-1984) – ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, გლიპტიკოსი.

28. ბოლტუნოვა ანა ვასილის ასული – რუსი ისტორიკოსი, ანტიკური ხანის მკვლევარი.

**მილოცვა**  
**CONGRATULATION**

**ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ახალი ეტაპი**  
**(პროფ. გიორგი დუნდუას 70 წლისთავის გამო)**

ქართული ნუმიზმატიკის ახალი ეტაპი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული პროფ. გიორგი დუნდუას მოღვაწეობასთან. ახლახან მას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექცია, სამეცნიერო საბჭო და თანამშრომლები ულოცავენ ბ-ნ გიორგის საიუბილეო თარიღს, უსურვებენ ჯანმრთელობას და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

დაიბადა იუბილარი 1932 წლის 12 ივლისს, ქ. თბილისში. 1951 წელს თბილისის ვაჟთა XI საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ისტორიის ფაკულტეტზე და წარჩინებით ამთავრებს ამ უკანასკნელს 1957 წელს.

1958 წლიდან გიორგი დუნდუა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების სტაჟორი, შემდგომში კი უმცროსი და უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1968 წლიდან გ. დუნდუა სამუშაოდ გადადის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 1986 წლიდან იგი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელია, სადაც იგი 1990-1998 წწ. იბერიის არქეოლოგიის სექტორის გამგეა.

1965 წელს გიორგი დუნდუამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობანი XV საუკუნის საქართველოში (ისტორიულ-ნუმიზმატიკური გამოკვლევა)“, ხოლო 1982 წელს – სადოქტორო დისერტაცია: „Монетное дело и монетное обращение Грузии в античную эпоху (VI в. до н.э. – IV в. н.э.).“

ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე (1960-1963 წწ.), სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები („სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის ანტიკური ხანის საქართველოში“, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილება დღიდან მისი დაარსებისა“, „გიორგაულის“ საკითხისათვის“, „პიტიუნტ-ბიჭვინტა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“) საფუძვლად დაედო მისი მომავალი სამეცნიერო კვლევის მიმართულებას. ავტორის სწორედ ამ სადებიუტო გამოსვლებმა მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება. ცხადი გახდა, რომ ქართულ ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში მო-

ვიდა თავისებურად მოაზროვნე, პრინციპული მკვლევარი, რომელიც გაბედულად ცდილობდა დაერღვია მიღებული სტერეოტიპები.

გიორგი დუნდუას მიერ 1964 წლისათვის შემუშავებული სამუშაო გეგმა, ფაქტიურად ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების მომავალ სამეცნიერო სამუშაო პროგრამას წარმოადგენდა.

მონოგრაფიაში „სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში“ (1964 წ.) იგი წერდა: „ე. პაზომოვის და დ. კაპანაძის ზოგადი ხასიათის შრომების შემდეგ საჭირო ხდება ქართული ნუმიზმატიკის დიფერენცირებული შესწავლა პერიოდებად, საუკუნეებისა და მიხედვით, მონეტათა ჯგუფებისა და მიხედვით. მაგრამ უკუგდებული უნდა იქნეს ამა თუ იმ პერიოდის ქართული მონეტების იზოლირებული განხილვის ცდები. აუცილებელია პარალელურად შეისწავლოს სინქრონულ ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული უცხოური საფასეებიც. ეს ერთად თავმოყრილი ნუმიზმატიკური მასალა უნდა შეჯერდეს წყაროების ცნობებთან და არქეოლოგიის კვლევის შედეგებთან. უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიის დაყოფა „ნუმიზმატიკურ პროვინციებად“, ე.ი. პერიოდების მიხედვით უნდა შეიქმნას საქართველოს ისტორიულ-ნუმიზმატიკური გეოგრაფია, რომ წარმოადგენა გეკონდეს გარკვეულ ხანებში საქართველოს ესა თუ ის კუთხე რომელი ქვეყნის მონეტებით იკვებებოდა. ამის შემდეგ კი უნდა გაირკვეს ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი გარე სამყაროსთან და სავაჭრო-სატრანზიტო გზების საკითხი.“ აქედან გამომდინარე, გიორგი დუნდუას რეკომენდაციით დაგეგმილი იქნა შემდეგი სამუშაო, როგორც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ისე მოგვიანებით არქეოლოგიური კვლევის ცენტრში: 1. სამონეტო საქმე, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი XV საუკუნის საქართველოში (გ. დუნდუა). 2. სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა ანტიკური ხანის საქართველოში (გ. დუნდუა). 3. მახლობელი აღმოსავლეთისა და საქართველოს ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით V-XIII სს-ში (ირ. ჯალალანია). 4. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში (რ. ქეხულაძე). 5. საქართველოსა და სეფიანთა ირანის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (თ. ქუთელია). 6. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (მ.

ანთადე). 7. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯეღაირთა სახელმწიფოსთან ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ც. ლვაბერძე). 8. დასავლეთ საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (იზ. ცუხიშვილი). 9. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (თ. ღუნდუა). 10. დასავლური სამყარო და საქართველო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (თ. ღუნდუა). 11. სამონეტო მიმოქცევა აფხაზეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. V - ახ.წ. XIII საუკუნეებში (ს. შამბა). 12. სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახ.წ. I საუკუნიდან 1453 წლამდე (ირ. ვარშალომიძე). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მათგანი რეალიზებულია საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციებისა და მონოგრაფიების სახით.

გარდა ამისა, მისივე ინიციატივითა და გეგმით (როგორც პროექტის ხელმძღვანელისა), ირ. ჯალაღანისთან ერთად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით, დასრულდა ორი ფუნდამენტური მონოგრაფია: 1. ქართული მონეტების კორპუსი (ძვ.წ. VI-ახ.წ. XIX სს.) და 2. საქართველოს სამონეტო განძები (ძვ.წ. VI-ახ.წ. XIX სს.). ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მესამე პროექტზე: საქართველოში აღმოჩენილი უცხოური მონეტების კორპუსი (ძვ.წ. VI-ახ.წ. XVIII სს.).

ისეთი მასშტაბური ხასიათის კვლევა-ძიებამ, რომლის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, გიორგი ღუნდუას წინაშე იმთავითვე დააყენა მეთოდოლოგიის საკითხი. აკად. ივ. ჯავახიშვილის ფუძემდებლურ მითითების საფუძველზე მან თავისი მეთოდოლოგიის პრინციპი ასე ჩამოაყალიბა: თითოეული ნუმიზმატიკური ნაშრომი უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისაგან - თეორიული, სადაც თავი მოეყრება წერილობით ცნობებს ამა თუ იმ პერიოდის საქართველოში სამონეტო საქმისა და სამონეტო მიმოქცევის შესახებ; აღწერილობითი - სადაც მეცნიერულად უნდა აღიწეროს შესაბამის პერიოდში საქართველოში მოჭრილი და აქვე სამონეტო ცირკულაციაში დასაქმებული უცხოური მონეტები და შედარებითი - სადაც მოხდება პირველი და მეორე ნაწილის კვლევის შედეგების ურთიერთშეჯერება. აღსანიშნავია, რომ გიორგი ღუნდუას მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდში არასდროს უღალატია თავისი კრედიტსა და ამან მისცა მას საშუალება მკვეთრად გამიჯვნოდა იმ ნუმიზმატიკოსების რიცხვს, რომლებიც მარტოდონენ მონეტების აღწერითა და ტიპოგრაფიის შედგენით კმაყოფილდებოდნენ. ამან საშუალება მისცა მას ჩამოყალიბებულიყო, პირველ რიგში, როგორც ისტორიკოსი, შემდეგ კი - ნუმიზმატიკოსი. გიორგი ღუნდუამ გააფართოვა ნუმიზმატიკური მეცნიერების შესაძლებლობები. იგი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს, მონეტები გადააქციოს პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროდ, მათი საშუალებით შეიტანოს

გარკვეული კორექტივები წერილობითი წყაროების ცნობებში, ან იმ ფაქტებით შეავსოს ისტორიული მეცნიერება, რომელთა შესახებ წერილობით ძეგლებში არავითარი ინფორმაცია არაა დაცული. მონეტებზე დაყრდნობით, იგი ყოველთვის ცდილობს გააშუქოს საქართველოს ისტორიის, პალეოეკონომიკის, კულტურისა და რელიგიის ისტორიის კარდინალური საკითხები. ამ პრინციპითაა დაწერილი ყველა მისი ნაშრომი, რომელთა რიცხვმა (საენციკლოპედიო სტატიების ჩათვლით) დიდხანია ასეულს გადააჭარბა. ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

გიორგი ღუნდუა მრავალგზის მონაწილეობდა რესპუბლიკურ, ყოფილ საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. მისი მოხსენებები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული დონით.

გიორგი ღუნდუა თანაბარი ყურადღებით იკვლევს ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს ნუმიზმატიკის საკითხებს. მაგრამ მაინც განსაკუთრებით გამოსაყოფია მისი დამსახურება ანტიკური ხანის კოლხეთისა და იბერიის ნუმიზმატიკისა და ისტორიის შესწავლაში. ამ მიმართებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი შრომები ე.წ. კოლხური თეთრის გენეზისის პრობლემას რომ ეძღვნება. ათეული წელი დასჭირდა მას იმისათვის, რომ დამაჯერებელი გაეხადა ჰიპოთეზა კოლხური თეთრის ქალაქ ფაზისში ემისიის შესახებ. დღეს ამ საკითხში მას ოპონენტი აღარ ჰყავს. პარალელურად მან დაწვრილებით განიხილა კოლხური თეთრის ქრონოლოგიის, სემანტიკის, სამონეტო სისტემის და სხვა საკითხები და ყველაფერი ეს მჭიდროდ დაუკავშირა ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს.

გიორგი ღუნდუამ პირველმა მონოგრაფიულად შეისწავლა საქართველოში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერები, შეადგინა მათი ქართული იმიტაციების სრული მეცნიერული კატალოგი, შეიმუშავა მათი აბსოლუტური და შედარებითი ქრონოლოგია; პირველმა ზუსტად დაათარიღა ე.წ. აკის სტატერი.

გიორგი ღუნდუამ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ბიჭვინტისა და ვანის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი და უაღრესად მნიშვნელოვანი ნუმიზმატიკური მასალა. მონოგრაფიულად შეისწავლა ქ. ტრაპეზუნტის II-III საუკუნეების სპილენძის საქალაქო მონეტები. მათზე გამოსახული სიუჟეტებისა და ანტიკური ხანის წყაროების ცნობების ანალიზის საფუძველზე, გააშუქა ამ ქალაქის რელიგიის ისტორიის კარდინალური საკითხები და წამოაყენა პრინციპულად ახალი დებულება, რომ ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები ქართველური სამყაროს მა-



ტერიალური კულტურის განუყოფელი ნაწილია. მასვე ეკუთვნის ორიგინალური ჰიპოთეზა ვანში ძვ.წ. I ს-ში მონეტის ემისიის შესაძლებლობის შესახებ. გიორგი ღუნდუასვე ეკუთვნის აგრეთვე მოსაზრება, რომ მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის, როგორც სანაპირო ზოლის, ასევე ცენტრალური რაიონების დაპყრობას ადგილი ჰქონდა სინქრონულად - ძვ.წ. 105-90-იან წლებში, რომ სამხედრო ექსპედიცია კოლხეთში განხორციელდა დიოფანტეს ლაშქრობის შემდეგ ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში და სწორედ ჩრდილოეთის მარშრუტით და არა სამხრეთიდან.

გიორგი ღუნდუამ ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა სენაკის რაიონის ს. ეკში აღმოჩენილ II-III სს. რომაული მონეტების დიდი განმის შესწავლას და სეფიეთის განმში შემავალი დენარების რეატრიბუციას. ამ განმების ანალიზზე დაყრდნობით, მან განიხილა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე II-III სს. რომაული მონეტების ცირკულაციის საკითხები (იხ. „საქართველოს სამონეტო განმები, რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან,“ 1979).

გიორგი ღუნდუამ მეცნიერულად განსაზღვრა ნასტაკისში, ალაიანსა და ერწო-თიანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა. მონოგრაფიულად შეისწავლა „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე მიკვლეული მრავალრიცხოვანი მონეტები, მაგრამ ეს ვრცელი გამოკვლევა დღემდე გამოუქვეყნებელია. 1987 წელს გიორგი ღუნდუამ გამოსცა შემაჯამებელი ნაშრომი "Нумизматика античной Грузии"-ის პირველი ნაწილი, რომელიც სამაგიდო წიგნია ძველი კოლხეთისა და იბერიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის.

ძალზე მნიშვნელოვანია გიორგი ღუნდუას ვრცელი გამოკვლევა „ე.წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები“ („მაცნე,“ 1976, № 1, 3). ამ გამოკვლევაში მან პირველმა მოხაზა ქართლის ერისმთავრების სახელით მოჭრილი დრაქმების ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოები, დაამტკიცა, რომ სტეფანოსის სახელით აღბეჭდილი და ჯვრის გამოსახულებიანი მონეტების ემისია ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ სტეფანოს I, რომელსაც ქართული წერილობითი წყაროები რატომღაც „ურწმუნოდ“ მოიხსენიებენ, დააყენა ამ დიდი პიროვნების რეაბილიტაციის საკითხი თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე.

გიორგი ღუნდუამ ქართულ-სასანური დრაქმების ატრიბუციის პრობლემა გააშუქა ირან-ბიზანტია-აღმოსავლეთ საქართველოს VI საუკუნის ისტორიის ფონზე და მჭიდროდ დაუკავშირა იგი მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობის საკითხს.

გ. ღუნდუა ბრწყინვალე, არ ვაჭარბებთ, პედაგოგია. იგი ჯერ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

კითხულობდა ლექციებს, ამჟამად კი თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „იბერიაში.“ მას მიჰყავს ლექციების კურსი საქართველოსა და რუსეთის ისტორიაში, ისტორიის დამხმარე დისციპლინებში, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში. დასახელებული უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს. 1992-1993 წლებში გაზეთ „ბანკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მისი ვრცელი ლექციების კურსი ქართული და საქართველოში გავრცელებული უცხოური მონეტების შესახებ, რომელიც რუსუდანის ეპოქამდეა (ჩათვლით) მოყვანილი. ლექციების ამ ციკლის ცალკე წიგნად გამოცემა და ბოლომდე მიყვანა უაღრესად საჭირო საქმეა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში დღემდე მოქმედი სახელმძღვანელო ქართულ ნუმიზმატიკაში - მოძველებულია.

გიორგი ღუნდუა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის როგორც სამუშაო, ისე ცენტრთან არსებული სადისერტაციო საბჭოების წევრია.

გიორგი ღუნდუა გამოირჩევა მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპულობით და პირად ურთიერთობებში უღალატო მეგობრობით. არის შესანიშნავი ოჯახის მამა და ბაბუა.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლები მიესალმებიან ბ-ნ გიორგის მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით და მისგან ქართული ნუმიზმატიკის ასპარეზზე ახალ წარმატებებს ელიან.

ირ. ჯალაღანია  
გ. ჯაფარიძე

ქრონიკა  
CHRONICLE

2001 წლის საშუალო სამუშაოები

2001 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თოთხმეტმა ექსპედიციამ იმუშავა ველზე-დმანისის ექსპედიციის (ხელმძღვ. ი.მ.დ. ჯ. კოპალიანი, პალეოლითის რაზმის უფროსი ი.მ.დ. მ. ნიორაძე) შუა საუკუნეებისა და პალეოლითის შემსწავლელმა რაზმებმა სამუშაოები ჩაატარეს III უბანზე, სადაც აღებულ იქნა შუა საუკუნეების X და XI ნაგებობათა კედელი. ამით მომზადდა ფართობი მათ ქვეშ მდებარე პალეოლითური ძეგლის გათხრებისათვის. პალეოლითური ძეგლის შემსწავლელმა რაზმმა II უბანზე გაწმინდა 20 მ<sup>2</sup> ფართობი, სადაც II-VI ფენებში გამოვლინდა უძველესი ადამიანის ძვლების 28 ნიმუში, მათ შორის ერთი თავის ქალა; უძველესი ცხოველების ძვლები და მრავალრიცხოვანი ქვის მასალა: ანატაკები, ნუკლეუსები, ჩოპერები, ჩოპინგი, სახოკი. ექსპედიცია მუშაობდა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის „ადრეული ჰომინიდების ადგილსამყოფლის ინტერდისციპლინარული კვლევა დმანისისა და მის მიდამოებში (2000-2005 წწ.)“ შესაბამისად.

**სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.დ. მ. გაბუნია) სადაზვერვო სამუშაოები გააგრძელა ამხერის გორაზე და დაადგინა, რომ აშელის ეპოქიდან მოყოლებული ამ მთის კალთები არაერთგზის გამოუყენებია ადამიანს საცხოვრებლად. თუმცა ქვედა პალეოლითის დროინდელი უძრავი კულტურული ფენის დაფიქსირება ჯერ არ მოხერხდა.

**კასპის რაიონის ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.კ. ზ. მახარაძე) გადარჩენითი სამუშაოები ჩაატარა სოფ. კაკეთისხევთან, ადგილ კატრიანში, სადაც ორი დაზიანებული ყორღანი გათხარა. ორივე ყორღანი ბედენური კულტურის წრეს უნდა ეკუთვნოდეს (ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახევარი). ექსპედიციამ ასევე კვლავ გააგრძელა ციხიგორის ელინისტური ხანის სატაძრო კომპლექსის დიდი ეზოს შესწავლა. აქ თიხით მოტკეპნილი დონის ქვეშ გამოვლინდა ქვით მოფენილი (12x1,6 მ), უფრო დიდი ეზოს ნაწილი, რომელიც ზემოდან ადევს წინარე ელინისტურ, აქემენიდურ ფენას. გათხრილი სექტორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა დიდი ნაგებობის ნაშთი, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გაწმენდილ იატაკზე აიკრიფა ელინისტური ხანის კერამიკა.

**წალკა-თრიალეთის ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.კ. გ. ნარიმანიშვილი) დაზვერვითი და საფიქსაციო სამუშაოები განახორციელა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობის სავარაუდო ზოლზე და დააფიქსირა წალკის წყალსაცავის ფსკერზე წყლის ზემოქმედებით გაშიშვლებული, რკინის ფართო ათვისების პერიოდის ნამოსახლარი. ასევე, ექსპედიციამ მცირე თხრილის გავლებით სოფ. ბეშთაშენთან, წყალსაცავის ფსკერზე არსებული ბედენური ყორღანის კრომლესის აღმოსავლეთით, დაადგინა, რომ ამ ყორღანს ჰქონია, აქამდე მხოლოდ შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებთან ცნობილი, სარიტუალო გზა.

**შაორი 2001** (ხელმძღვ. ი.მ.დ. ვ. ლიჩელი, უბნის უფროსი გ. ნარიმანიშვილი). სადაზვერვო თხრილებით მოისინჯა ნინოწმინდის რაიონში შაორის (ქოროღლის) მთასთან არსებული ნასოფლარის ერთმანეთისაგან დაშორებული II და III უბანი. II უბანზე გავლებულმა ექვსმა თხრილმა აჩვენა, რომ ამ ადგილას ადამიანს სხვადასხვა დროს - ადრებრინჯაოს, გვიან ბრინჯაოს, გვიან შუა საუკუნეებსა და XX ს-ის დასაწყისშიც უცხოვრია. რაც შეეხება III უბანს, იგი შენების ტექნიკით განსხვავდება II უბნისაგან და იმეორებს შაორის მთის წვერზე არსებული ნაგებობის შენების ხერხებს, თუმცა სხვა მასალა აქ არ აღმოჩენილა.

**კუხეთის ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.კ. ც. ჩიკოძე) ადგილ „ციხის საკირეებში,“ სოფ. მარტყოფთან შეისწავლა ჭაბურღილის დადგმისას დანგრეული სამარხი. ძვ.წ. VII საუკუნის სამარხში ყოფილა: ადამიანის ძვლები, თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები, რკინის 2 მახვილი, ხანჯალი, შუბისპირი, ბრინჯაოს ჩქიფი, სამაჯური, სასაფეთქლე რგოლები, სიკილა. ინტერესს იწვევს ერთ-ერთი თიხის ჭურჭლის ძირზე ამოღარვით დატანილი არამეული დამწერლობის მსგავსი ნიშნები.

**ნასტაკისის ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.კ. ნ. მირიანაშვილი) ბაქო-სუფსის მილსადენთან დაკავშირებით გათხარა იგოეთთან მდებარე გრაკლიან გორაზე არსებული, შესაძლოა საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთები, სადაც კერამიკასთან ერთად დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კრამიტი და ალიზი. გამთხრელი ძეგლს ძვ.წ. II - ახ.წ. I სს-ით ათარილებს და მიაჩნია, რომ ამ აღმოჩენით ქართლის სამეფოს ისტო-

რიაში, კასპის უფლისციხესთან დაკავშირებით, ახალი ფურცელი გადაიშალა.

**კოლხეთის ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.კ. რ. პაპუაშვილი) მეთვალყურეობა განახორციელა სოფ. ყულევთან „ტერმინალ 2000“-ის მშენებლობაზე. შედეგად, მდ. ხობის შესართავთან მარჯვენა ნაპირზე (I უბანი) არსებულ ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლართან აღმოაჩინა თიხის ნაწარმი და კოლხური ცულის ყალიბი. მდ. ცივას მარცხენა ნაპირზე (II უბანი) - ძვ.წ. VI-IV სს-ის ნამოსახლარებზე აღმოჩნდა ადგილობრივი და საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებიდან ჩამოტანილი ამფორები და სუფრის ჭურჭელი; III უბანი იყო XIX ს-ის სასაფლაო, საიდანაც გადასვენებულ იქნა 100 მიცვალებულის ნეშტი. ექსპედიციამ სოფ. ცაიშიში (ცაცხვის უბანი) დააფიქსირა ძვ.წ. I ათასწლეულის სამაროვანი ბრინჯაოსა და რკინის სატევრებით, აბზინდებით, ფიბულებით, სამაჯურებით, რგოლებით და სხვ.

**გურიის ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.დ. ვ. სადრაძე) 2001 წელს ბაქო-სუფსის მილსადენის თანხებით სამუშაოები ჩაატარა ლანჩხუთის რაიონის სოფ. გვიმბალაურთან მდებარე ხელოვნურ გორა-ნამოსახლარზე - ზურგაზე. ნამოსახლარის ზედა, მოხვნიტ დაზიანებული ფენა შეიცავდა ანტიკური და ელინისტური ხანის მასალებს, ქვედა - წინაანტიკური და ანტიკური ხანის თიხის ნაწარმს და რამდენიმე ძეგლის ნაშთს.

**ვანის ექსპედიციამ** (ხელმძღვ. აკად. ოთ. ლორთქიფანიძე) მცირე მასშტაბის გათხრები ჩაატარა ვანის ნაქალაქარის სამივე ტერასაზე. ზედა ტერასაზე - აღმოსავლეთით მოიცვა თირში ნაკვეთი სათავსოს გარეთა მხარე და დავიდა კლდოვან დედაქანამდე. მასალა წარმოდგენილი იყო გვიანელინისტური ხანის თიხის ჭურჭელის ფრაგმენტებით, ადგილობრივი კრამიტის ნატეხებით, გვერდნაჭრილი ბრინჯაოს ზარაკით და თავგახსნილი რგოლით. ყველგან შეიმჩნეოდა ცეცხლის კვალი. ცენტრალურ ტერასაზე, „დიდი არხის“ აღმოსავლეთ კიდეცა და № 2 კონტრფორსის სამხრეთით, თირისა და რიყის ქვებისაგან ნაგები წყობის ქვეშ, კრამიტყრილში აღმოჩნდა გვიანელინისტური ხანის იმპორტული და ადგილობრივი კერამიკული ფრაგმენტები. კრამიტყრილს მოჰყვა ყვითელი თიხნარის სტერილური ფენა, მას კი - სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დაქანებული და კურტინის კონტრფორსს მიბჯენილი დანახშირებული ფენა, რომელიც შეიცავდა: თეთრ ანგობზე წითელი საღებავით მოხატული კერამიკისა და მინის იმპორტული, ადრეელინისტური ხანით

დათარიღებული, ალაბასტრონის ფრაგმენტებს. დანახშირებული ფენა ზემოდან ელო სილოვან ფენას, რომელშიც აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ე.წ. სკვითური ტიპის ისრისპირი. ეს ფენა ადრეელინისტურ ხანაზე უფრო ადრეული პერიოდით შეიძლება დათარიღდეს. № 3 კონტრფორსთან, კურტინის სამხრეთით, კრამიტყრილში ასევე გამოვლინდა გვიანელინისტური მასალა. ქვედა ტერასაზე გაიწმინდა ცენტრალური დარბაზის რიტუალური ღარის 1-1,5 მ სიგრძის მონაკვეთი. მისი გადახურვის ფილებისა და ღარში არსებული 1 მ დანალექის ქვეშ, ღარის ფსკერზე არსებულ ორ ჩაღრმავებაში, რიყის ქვებთან და სილასთან ერთად შერეული აღმოჩნდა რკინის მცირე ზომის გუნდები, ბრინჯაოსა და ვერცხლის საკინძები, ცვარას ზომის ბურთულები და ოქროს მავთულის ფრაგმენტები. ამავე შენობაში აღმოჩნდა მინიატურული ოქროს დისკო. ვანის ქვეყანაში დაზვერვების დროს ექსპედიციამ სოფ. ზედა გორაში, მარგველაშვილების გორაზე აკრიფა ადრეანტიკური ხანის კერამიკული ფრაგმენტები.

**სვანეთის ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.დ. შ. ჩართოლანი) გათხრები ჩაატარა სოფ. ეცერში – ფხუტერის „ლამარიას“ ნაეკლესიარზე, სადაც განვითარებული შუა საუკუნეების საკულტო და სამეურნეო ნაგებობებში გამოვლინდა V-VI სს-ის ნაეკლესიარი კედლები საძირკვლებით და იატაკით, შეწირული ჭურჭლით, თიხის სასმისში ჩაყრილი ხორბლითა და ტყის ნობათით. ლაღამის „მაცხვარის“ პირველი სართულის ფრესკების გადარჩენის მიზნით, ჩრდ. კედლის გასწვრივ, ეზოს მხრიდან ამოჭრილი იქნა წყლის საწრეტი არხი, შიგნით კი - იატაკის გაწმენდისას - ორი მიცვალებულისათვის გაკეთებული უინვენტარო სამარხი აღმოჩნდა. დაზვერვების შედეგად ექსპედიციამ მესტიის რაიონის სოფ. სოლში მიაკვლია ადრეშუასაუკუნეების ერთ სამაროვანს; ლატალის თემში - 24 ნაეკლესიარს, 3 ქვაჯვარს და 3 წარმართულ სალოცავ ადგილს. ექსპედიციამ შეაგროვა ინფორმაცია სოფლებში: ცანა, ზესხო, ბაბილი, არქეოლოგიური ძეგლების განზრახ დაზიანების შესახებ.

**მაშავერას ხეობის ექსპედიციამ** (ხელმძღვ. კ. კახიანი) სამუშაოები ჩაატარა დმანისის რაიონის სოფ. განთიადთან და ფოლადაურთან. განთიადთან, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის თხრით დაზიანებული ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიასთან აღმოჩნდა ტუფისაგან დამზადებული მცირე პლასტიკის II ნიმუში, შუა საუკუნეების სამარხთა სახურავების ქვის ფილები და კრამიტის ნატეხები. სოფ. ფოლადაურთან გათხრები აწარმოა ექვს პუნქტში: I - სოფლის ჩრდილოეთით, სახნავ-სათეს

## Field Work in 2001

მინდორში არსებულ გვიანანტიკური-ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარის კულტურულ ფენაზე; II - ორი დაზიანებული სამარხი, რომელთაგან ქვაყუთში აღმოჩნდა IV საუკუნისათვის დამახასიათებელი სარდიონის, ალმანდინის, პასტის მძივები, 2 ოქროს საყურე, ალმანდინით, ფირუზითა და მარგალიტით შემკული; III - ადრე შუა საუკუნეების კულტურული ფენა; IV და V - რკინის წარმოების დამადასტურებელ წიდებსა და რკინის საღრბო ქურას შეიცავდა; VI პუნქტი იყო სოფ. ფოლადაურში წყალსადენისთვის გაჭრილ ტრანშეასთან - დანგრევის პირამდე მისული შვერილაბსიდიანი ეკლესია, რომლის დასავლეთის შესასვლელთან, კარის ღიობში აღმოჩნდა ოთხმხრივ ორნამენტირებული სტელა.

**თბილისისა და მისი ქვეყნის ექსპედიციამ** (ხელმძღ. მ. აბრამიშვილი) განაახლა საჯოგეს ნასახლარზე 1988-1990 წლებში გამოვლენილ № 2 და № 3 შენობათა ნაშთების გათხრა და გაწმინდა № 1 შენობის სამხრეთით გავლებული ჭრილი. ზედა სამშენებლო დონის ქვეშ, 2,35 მ სიღრმის ჭრილში კარგად ჩანს ნახანძრავი ნაგებობებისაგან დარჩენილი სხვადასხვა ფერის სამშენებლო დონეები. ჭრილის გაწმინდისას მოპოვებული მცირე რაოდენობის მასალა გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპისა და შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპისთვისაა დამახასიათებელი. ექსპედიციამ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩაზე, ანალიზხელსაწყოს ინსტიტუტის მშენებლობისათვის ამოღებულ ქვებულში, აქ ადრე აღმოჩენილი ნივთების ადგილას, გაჭრა სადაზვერვო თხრილები. შედეგად გაიწმინდა ორი ორმოსამარხი, რომლებიც შესაძლოა გვიანანტიკური ხანით განისაზღვრონ.

**თბილისის შუა საუკუნეთა ხანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.კ. ო. ტყეშელაშვილი, მოადგილე ი.მ.კ. მ. ძნელაძე) საპატრიარქოს ძალისხმევით, კონცერნ „ქართული შაქრის“ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდის შეწვევით სამუშაოები გააგრძელა წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა ნაეკლესიარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. გათხრების ფართობმა 900 მ<sup>2</sup> მიაღწია. გამოვლენილ იქნა IV-XVIII საუკუნის ნაგებობათა ნაშთები და შესაბამისი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალა.

ქრონიკა ექსპედიციათა ანგარიშების მიხედვით მოამზადა **გ. მინდიაშვილმა**

In 2001 fourteen expeditions of the Centre for Archaeological Studies conducted field work.

**Dmanisi Expedition** (directed by Dr. J. Kopalani; head of the Palaeolithic team: Dr. M. Nioradze). The teams studying the Middle Ages and the Palaeolithic worked on plot III, where walls of structures X and XI were removed, thereby preparing the area for excavating the underlying Palaeolithic site. The team studying the Palaeolithic remains on plot II cleared the area of 20 m<sup>2</sup>; here 28 specimens of bones of ancient man were brought to light in layers II-VI, including one human skull, bones of ancient animals and numerous stone material: flakes, cores, choppers, chopping, scraper. The expedition worked under the auspices of the international scientific project "Interdisciplinary Study of the Habitat of Early Hominids in Dmanisi and its Vicinity (2000-2005)".

**The Expedition of the South Georgian Mountain Region** (directed by Z. Makharadze (Cand. Hist. Sci.) conducted salvage work at Katriani locality near v. Kavtiskhevi, where two damaged barrows were excavated. Both barrows must belong to the Bedeni culture cycle (second half of the 3<sup>rd</sup> millennium B.C.). the expedition also continued the study of the large courtyard of the Tsikhia Gora Hellenistic temple complex. Here, under the rammed clay level, part of a larger yard paved with stones (12 x 1.6 m), overlying a pre-Hellenistic, Achaemenid layer, came to light. Remains of a large structure were brought to light in the north-eastern part of the excavated sector; Hellenistic pottery was found on the floor cleaned in the south-eastern corner of the structure.

**The Tsalka-Trialeti Expedition** (directed by G. Narimanashvili, Cand. Hist. Sci.), carried out exploratory and cleaning work along the probable route of construction of the Baku-Tbilisi-Ceyhan and Baku-Tbilisi-Erzurum pipelines. A settlement site of the period of extensive use of iron, exposed through the action of water, was recorded here. By digging a minor trench near v. Beshtasheni, to the east of the Bedeni barrow cromlech, at the bottom of the water storage reservoir it was ascertained that this barrow had a ritual road, hitherto known only with Middle Bronze barrows.

**Shaori 2001** (directed by Dr. V. Licheli; section head: G. Narimanishvili). Exploratory

trenches were dug in plots II and III, lying at some distance from one another, on the former village site near the Shaori (Koroghli) mountain in Ninotsminda district. Six trenches showed human habitation here at different times: Early Bronze, Late Bronze, late Middle Ages and at the beginning of the 20<sup>th</sup> century. Plot III differs from plot II in the construction technique, repeating the techniques of construction of the structure on the top of the Shaori mountain; however, no other material has come to light here.

**The Kukheti Expedition** (directed by Ts. Chikoidze, Cand. Hist. Sci.) studied a burial demolished at establishing a borewell. The 7<sup>th</sup> cent. B.C. burial contained: human bones, fragments of clayware, 2 iron swords, a dagger, a spearhead, bronze fork, bracelet, temple hoops, siclos. Characters resembling Aramaic script, grooved on the bottom of one clay vessel, evokes interest.

**The Nastakisi Expedition** (directed by N. Mirianashvili, Cand. Hist. Sci.) excavated – in connection with the Baku-Supsa pipeline – the remains of, conjecturally, a fortification structure on Grakliani Gora, near Igoeti; along with pottery, a large quantity of tiles and adobe was brought to light. The excavator dates the site to the 2<sup>nd</sup> cent. B.C. – 1<sup>st</sup> cent. A.D., believing that a new page has been turned in the history of the Kingdom of Kartli in connection with Uplistsikhe in Kaspi.

**The Kolkheti Expedition** (directed by R. Papuashvili, Cand. Hist. Sci.) observed the construction of "terminal 2000" near v. Qulevi. As a result, clayware and a mould of a Colchian axe were discovered on the ancient settlement site of the second half of the 2<sup>nd</sup> millennium and first half of the 1<sup>st</sup> millennium B.C., on the right bank of the mouth of the Khobi river (plot I); 6<sup>th</sup>-4<sup>th</sup> cent. B.C. sites on the left bank of the Tsivi river (plot II) yielded local vessels and amphorae from various Greek centres; plot III was a 19<sup>th</sup> cent. cemetery, from where the remains of 100 deceased were transferred to another place. At v. Tsaishi (Tsatskhvi plot), the expedition recorded a burial ground of the 1<sup>st</sup> millennium B.C., with bronze and iron daggers, buckles, fibulae, bracelets, hoops, etc.

**The Guria Expedition** (directed by V. Sadradze), funded by the Baku-Supsa pipeline, carried out work at Zurga, an artificial mound-settlement site near v. Gvimbalaure, Lanchkhuti

district. The upper layer of the site – damaged by ploughing – contained Classical and Hellenistic period material, while the lower layer yielded pre-Classical and Classical clayware and several bone remains.

**The Vani Expedition** (directed by Acad. O. Lortkipanidze) carried out small-scale excavations on the three terraces of the Vani city site. The outer side of a facility cut in yellow sand stone was cleaned, reaching the bedrock. The material involved fragments of Late Hellenistic earthenware and of local tile, a bronze bell with its side cut in and penannular hoop removed. The trace of fire was in evidence everywhere. Fragments of Late Hellenistic imported and local pottery were found among tiles under a wall built of yellow sand stone and boulders on the central terrace – between the eastern edge of the "large ditch" and to the south of counterfort 2. The tile heap was followed by a sterile layer of yellow clay and sand, then came a charred layer inclined from south to north and abutting the counterfort of the curtain; the layer contained fragments of red-painted pottery with white engobe and of an Early Hellenistic imported glass alabastron. The charred layer overlay the sandy layer in which fragments of a clay vessel and a so-called Scythian-type arrowhead were found. This layer may be dated to a period prior to the Early Hellenistic layer. Late Hellenistic material was also brought to light in the tile heap, near counterfort 3, to the south of the curtain. On the lower terrace a 1-1.5 m section of the ritual ditch of the central hall was cleaned. Mixed with boulders and sand, under the slabs of the roof of the ditch and under 1 m deposit in the ditch in two holes of the ditch, were found small iron balls, bronze and silver fibulae, granule-size balls and fragments of gold wire. A miniature gold disk was found in the same building. While exploring the land of Vani the expedition gathered Early Classical ceramic fragments on Margvelashvilebis Gora, in v. Zeda Gora.

**The Svaneti Expedition** (directed by Dr. Sh. Chartolani), carried out excavations on the site of the former Pkhutreri "Lamaria" church in v. Etseri. Walls of the former church, with foundations and floor, donated vessels, corn in a clay mug and forest fruits were brought to light in developed medieval cult and economy facilities, dating from the 5<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries. With a view to saving the frescoes of the first floor of the

Laghani "Matskhvari" church, a canal was dug for draining water along the north wall, from the side of the yard; within – at cleaning the floor – a burial for two deceased persons was discovered, without grave goods. The exploration carried out by the expedition in v. Soli, Mestia district, revealed a burial ground of the early Middle Ages; 24 sites of former churches in the Latali commune, 3 stone crosses and 3 pagan places of prayer. The expedition gathered information in the villages: Tsana, Zeskho, Babili about deliberate damage of archaeological sites.

**The Mashavera Valley Expedition** (directed by K. Kakhiani) conducted work near the villages of Gantiadi and Poladauri of Dmanisi district. Near Gantiadi, at the early medieval church, damaged while laying a fibre-optic cable, 11 specimens of minor plastic art works, made of tufa, stone slabs of burial roofs and fragments of tiles were unearthed. Excavations near Poladauri were carried out at six points: I. north of the village – the cultural layer of the Late Classical – early medieval settlement site in a field under crops; II. two damaged burials, with one cist yielding sard, almandine, paste beads, characteristic of the 4<sup>th</sup> century, 2 earrings adorned with gold, almandine, turquoise and pearl; III. cultural layer of the early Middle Ages; IV and V. containing lags and a furnace for smelting iron – a proof of iron manufacture; VI. a dilapidated church with a projecting apse, near a trench dug for a water-pipe in v. Poladauri; a stele ornamented on four sides was found in the western doorway.

**The Expedition of Tbilisi and its Region** (directed by M. Abramishvili) resumed excavation of the remains of buildings 2 and 3, brought to light in 1988-1990 at the Sajoge settlement site, and cleaned the trench dug to the south of building 1. Under the upper construction level, at the depth of 2.35 m construction levels of different colors, left by fire-destroyed buildings are visible. The small quantity of material obtained at cleaning the trench is characteristic of the last stage of the Middle Bronze Age. The expedition dug exploratory trenches on the site of earlier discovered items in the foundation pit dug for the construction of the Institute of Instruments for Analysis in Sandro Euli Street, Tbilisi. As a result two pit burials were cleaned, perhaps dateable to the Late Classical period.

**The Tbilisi Archaeological Expedition of the Middle Ages** (director O. Tqeshelashvili, Cand. Hist. Sci.; deputy director M. Dzneldze, Cand. Hist. Sci.), through the endeavour of the Patriarchate and the sponsorship of the "Georgian Tea" Concern and of the Georgian Cultural Heritage Foundation, continued work on the site of the former church of the Forty Sebastian Martyrs and adjoining territory, the excavated area reaching 200 m<sup>2</sup>. Remains of structures of the 4<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries and diverse and numerous materials were brought to light.

The chronicle was prepared by **G. Mindia-shvili** according to the reports of the expeditions

## შემოკლებათა განმარტება

### ABBREVIATIONS

**აკც** – არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი.

**ოსუ** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**მაცნე – ისტორიის... სერია** – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი.

**მსკა** – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

**სდსძ** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი.

**სიგა** – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.

**სიგკ** – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

**სმამ** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი.

**სსმმ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

**სხ** – საბჭოთა ხელოვნება. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალი. თბილისი.

**ფსაძ** – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

**ძიებანი** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. თბილისი.

**ძმ** – ძეგლის მეგობარი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. თბილისი.

**ВГМГ** – Вестник Государственного музея Грузии им. С. Джанашиа. Тбилиси.

**МИА** – Материалы и исследования по археологии СССР. Москва.

**ПАИ** – Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.

**СА** – Советская археология. Институт археологии. Москва.

**САИ** – Свод археологических источников. Археология СССР. Москва.

**СГЭ** – Сообщения Государственного Эрмитажа, Ленинград.

**СГМИИ** – Сообщения Государственного музея изящных искусств. Москва.

**ТАИЯЛИ** – Труды Абхазского Института языка, литературы и истории. Сухуми.

**ТГИМ** – Труды Государственного исторического музея. Москва.

**ВАВА** – Beitrage zur Allgemeinen und Vergleichenden Archdologie.

**ВСН** – Bulletin de correspondance hellñnique.

**DAI** – Deutsche Archdologische Institut. Berlin.

**ESA** – Eurasia Septentrionalis Antiqua. Helsinki.